იაკობ ფანცხავა

ძველი ნაწერები

კრიტიკა
პუბლიცისტიკა
მემუარები

გამომცემლობა „მერანი“. თბილისი. 1980

8 Г1
899.962 1.092 [ფანცხავა]+301 (47.922) (09)
ფ 253

გამოჩენილი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის იაკობ ფანცხავას (ფხა) რჩეულში შესულია მწერლის როგორც გამოქვეყნებული, ისე დღემდე უცნობი ლიტერატურულ-კრიტიკული და პუბლიცისტური ნაწერები. ქართულ მემუარულ ლიტერატურაში უთუოდ საპატიო ადგილს დაიკავებს წიგნში შეტანილი „ჩემი თავგადასავალი", რომელიც პირველად ქვეყნდება. ყურადღებას იქცევს ავტორის წერილები კლასიკური მემკვიდრეობის ცალკეულ საკითხებზე, კერძოდ, „ალექსანდრე ჭავჭავაძის ლექსები", „ნიკოლოზ მელიტონის ძე ბარათაშვილი", და სხვა, რომლებმაც თავის დროზე ცხოველი ინტერესი გამოიწვიეს ჩვენს ლიტერატურულ საზოგადოებაში.

წერილები იბეჭდება, ძირითადად ისე, როგორც ავტორის ხელიდან გამოვიდა. შეტანილია სტილისტურ-ორთოგრაფიული შესწორებები და შემოკლებულია ცალკეული ადგილები.

ფ $\frac{70202-27}{М604(09)-80}$ 83—80

© გამომცემლობა „მერანი". 1980

ალექსანდრე ჭავჭავაძის ლექსები

ნაწილი პირველი

(ვუძღვნი ანდ. დეკანოზიშვილს)

ყრმა უმღერალი არ ვარგა,
ჭაბუკი დაუთრობელი.

ფშაური ლექსი.

1

ალ. ჭავჭავაძის ლექსთა შესახებ მინდა მკითხველს ვებაასო. მაგრამ თან კი ნაღველით მივსებს გულს ჩვენი ლიტერატურის აუტანელი მდგომარეობა. რათა, რისთვის?

ალ. ჭავჭავაძე ჯერ კიდევ ვაჟკაცი იყო, მხნე სულითა და ჯანით ჭარმაგი. გარდაიცვალა თბილისში 1846 წლის ნოემბერს. აი შესრულდა ორმოცდათოთხმეტი წელიწადი მისი გარდაცვალების დღიდან. და თუმცა ამდენმა ხანმა განვლო, ალ. ჭავჭავაძისა და მის თხზულებათა შესახებ სწორედ იმდენიეე — არც მეტი, არც ნაკლები — ვიცით დღესაც, რამდენიც ვიცოდით ამ ნახევარი საუკუნის წინათ.

მისი გარდაცვალების შემდეგ განვლილმა 50 წელმაც არ ჩაგვაგდო გულისხმაში. ამისთანა გარემოება ყველგან საბუთს აძლევს მწერლობას განიხილოს ღვაწლი და ამაგი აშა თუ იმ მწერლისა და მისი ბიოგრაფია დაწვრილებით შეისწავლოს. ჩვენში კი ასე` არ მომხდარა. ჩვენში არც ერთი ქართველი არ გამოჩნდა, რომელსაც ეს ნიჭიერი პოეტი, მღე-

რალი ტკბილი, მამულიშვილი მოგონებოდა და ამ მოგონებით ქართველობაშიც აღეძრა სურვილი ალ. ჭავჭავაძის შესწავლისა და გაცნობისა. არც ერთი მონოგრაფია, არც ერთი წერილი, ერთი პწკარიც კი არ გაიმეტა ჩვენმა ჟურნალ-გაზეთობამ, რომ მცირედაც არის მოგონებოდა მკითხველ საზოგადოებას ეს „ტკბილი მგოსანი", კაცი, რომელიც მთელი ოცდაათი წლის განმავლობაში თითქმის პირველი საზოგადო მოღვაწეც იყო მთელ მაშინდელ საქართველოში. მეტი დაცინვაღა იქნება ბედისა?! ლიტერატურა რის ლიტერატურაა, მწერლობა რის მაქნისია, თუ მწერალი არ ახსოვთ, თუ ამ მწერალთა და მგოსანთა ფასი და ღირსება გათვალისწინებული არა აქვთ?

ამჟამად ჩემ წინა დევს ალ. ჭავჭავაძის ლექსთა კრებული და გაოცებული ვარ, მიკვირს, რომ წიგნაკი გამოცემულია ამ ოცი წლის წინათ, მეტად ულამაზოდ, უშნოდ. იგი აღსავსეა მრავლისაგან უმრავლესი კორექტურულისა და სხვა შეცდომებით! მაგრამ ამის მიუხედავად, ამ ხნის განმავლობაში არც ერთი კერძო კაცი არ გამოჩენილა, არ მოპოვებულა ისეთი დაწესებულება, რომ ეს წიგნაკი მეორედ გამოეცათ, ამ წიგნაკის გარეგანი ულაზათობა მოესპოთ და მით მკითხველი წაეხალისებიათ, თუმცა, იცოცხლეთ, გამომცემლები ბლომად მოგვეძებნებიან-კერძო კაცნიცა და მთელი საზოგადოებანიც. კერძო კაცნი ერთმანეთს ეცილებიან, აბა, ვინ ვის მოვასწრებთ ახლანდელ უგბილთა და უსუსურთა გონების ნაწარმოების გამოცემასო. ასეთი ვითომდა მწერლობის განძი წიგნაკებად იბეჭდება თბილისსა, ქუთაისსა, და ფოთშიც კი. გამომცემლებს უკვირთ კიდეც, რომ ეს მათი ამაგი ზარალის მეტს არრას იძლევა. ოღონდაც! გვყავს მთელი გამომცემელი ამხანაგობა, მაგრამ ამ ამხანაგობას გუნებაშიც არ გაუვლია გამოსცეს ალ. ჭავჭავაძის ლექსები და სხვა მისი ნაწერები.

ეს კი გაუგებარია, რადგან ამხანაგობა ახლანდელ მწერალთა ნაწერებს ბეჭდავს და თვითონ მწერლებსაც სასყიდელს აძლევს. ალ. ჭავჭავაძის ნაწერებს კი ამ ხუთი წლის წინათ გაუვიდა ვადა ავტორისა, თუ მის მემკვიდრეთა საკუთრების უფლებისა, რადგან ამ უფლებას ძალა აქვს მხოლოდ ორმოცდაათი წლის განმავლობაში ავტორის გარდაცვალების შემდეგ. მაშასადამე, დღეს ყველას შეუძლია, გამოსცეს ალ. ჭავჭავაძის

თხზულებანი და გამომცემელს ამისათვის კაპეიკიც არ გადახდება ავტორისა ანუ მის მემკვიდრეთა სასარგებლოდ: მოგება წმინდად გამომცემლისაა. და არა გვგონია, რომ ალ. ჭავჭავაძის ნაწარმოებთა გამოცემა წასაგები საქმე იყოს.

ასეთსავე მდგომარეობაში იქნებოდა ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებაც. მისი ერთი მოვალეობათაგანი ისიც არის, რომ უნდა გამოსცეს ისეთი ნაწარმოებნი, რომელთაც უეჭველად ამჩნევია ნიშანწყალი ავტორის სულის სიფაქიზისა და ღრმა აღმაფრენისა. ამ მხრივ ალ. ჭავჭავაძეს არა უკანასკნელი ალაგი უჭირავს. ენა მისი ხომ მშვენიერი ქართული ენაა. ამიტომ მოსალოდნელი იყო, რომ ეს გარემოება მაინც აიძულებდა ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას ალ. ჭავჭავაძის ლექსების მეორედ გამოცემას, რადგან პირდაპირი და ძირითადი მოვალეობა ამ საზოგადოებისა ხომ დაცვაა ქართული ენისა და ამ ენის გავრცელება ხალხში. ეს კი განა სხვაგვარად შესაძლებელია, თუარ იმით, რომ ხალხში გავრცელდნენ იმ მწერალთა ნაწარმოებნი, რომელთ ქართული ენის სიმშვენიერე, მისი სინარნარე ზედმიწევნით შეუსისხლხორცებიათ?! ამ მხრივაც ხომ ალ. ჭავჭავაძეს უკანასკნელ ადგილს ვერ დავუთმობთ? მაგრამ ამაზე შემდეგ იყოს.

არის კიდევ გარემოება, რომლის მეოხებით ალ. ჭავჭავაძის თხზულებათა მეორედ გამოცემა აუცილებლად საჭიროა. ეს ის გარემოებაა, რომ პირველ გამოცემაში ბევრი ლექსის სათაური მკითხველისათვის გაუგებარია. ამ საქმეში კი მხოლოდ ჩვენს ისტორიკოსებსა და ფილოლოგებს შეუძლიათ დიდი დახმარება გაუწიონ გამომცემელთ და მკითხველთ შრომა შეუმცირონ, ლექსთა გაგება გაუადვილონ, ყოველ წელს საუნივერსიტეტო ქალაქებიდან, ვინ იცის, რამდენი ფილოლოგი ჩამოგვივა ხოლმე. მაგრამ არც ერთი მათგანი დღემდის არ ცდილა, მკითხველი საზოგადოებისათვის განემარტებია აზრი და მნიშვნელობა ალ. ჭავჭავაძის ზოგ ლექსთა სათაურისა, რადგან ეს აზრი, ეს მნიშვნელობა დავიწყებულია. ამ სათაურთა განმარტებას კი მხოლოდ აღმოსავლეთის მწერლობა იძლევა. თვით მკითხველს ეს არ ძალუძს. აქ, უეჭველია, დამხმარე სჭირდება. უამისოდ მკითხველი იძულებულია გვერ-

დი აუაროს ალ. ჭავჭავაძის მშვენიერ ლექსთა კითხვას და ადვილგასაგები ლექსები, თუნდაც, აი „კვალში“ რომ ისტამბება, ისეთები იკითხოს და გემოვნება მშვენიერებისა წაიბილწოს...

რა ჰქნას, სად ეძებოს მკითხველმა მნიშვნელობა ასეთი სიტყვებისა: ლაჯარამ, მასტამ, იალაღზე, შარიშური, შუშტარ, მუხალითში, ყაფია, ჯანყუში, ბუიელარდას ხმა, მანჰა განჯალუ დეგულამის ხმა, ჯოვრი ჯანდა ხარიბამ და სხვა. ჩვენი აზრით, თუ ისეთი არავინ მოგვეძებნება, რომელიც იკისრებს ამ სიტყვების განმარტებასა და ახსნას, ბევრად უმჯობესი იქნება, ასეთი სათაურები სრულებით ამოიშალოს და არ დაისტამბოს, რადგან ამ სათაურთა გაუგებრობა მკითხველს აშინებს და ალ. ჭავჭავაძის ლექსების წაკითხვის სურვილს უსპობს.

ასევე როდი ითქმის იმ სიტყვების შესახებ, რომელნიც ახლანდელს საშუალო მკითხველს დავიწყებული აქვს, მაგრამ ამა თუ იმ ცნების ნამდვილი გამომხატველი და გამომთქმელი კია. ჩვენი ენა დღეს ერთგვარ. განსაცდელშია. რაკი ქართულ ენას არ ასწავლიან სკოლებში, მკითხველ საზოგადოებას თანდათან ავიწყდება ბევრი ცნება, ბევრი სიტყვა, ნამდვილი ქართული, თუ უცხოური, მაგრამ ამ ენასთან კი დიდი ხნიდან უკვე შესისხლხორცებული. მათ მაგიერ დამახინჯებით შეთხზული, ასეთი სიტყვების სიმრავლე კი, როგორც მოგეხსენებათ, მშობლიური ენის მშვენიერებასა და სილაზათეს სპობს. სამწერლო ენა ივსება ახალის, ხალხისათვის გაუგებარისა და დედაენის შეუსაბამო სიტყვებით. აი, სწორედ ამ გარემოების ბრალია, რომ ამ ბოლო დროს ასე გამრავლდა რიცხვი პროვინციალიზმის მოტრფიალეთა, რაიცა შეუწყნარებელი უნდა იყოს, რადგან ეს გარემოება ძალიან ხელის შემწყობია ჩვენი ენის გადაგვარებისა და გათახსირების საქმეში. ამიტომ ასეთი აღვირახსნილი პროვინციალიზმი რომ დროზე შევაჩეროთ და უცხო ენის გავლენას მშობლიური ენა არ გავაქელვინოთ, საჭიროა და ფრიადაც საჭირო, მკითხველს განვუმარტოთ ამა თუ იმ მწერლის მიერ ხმარებული ცნებანი და სიტყვანი, თორემ ყოველ მკითხველს როდი შეუძლია, ლექსიკონები იქონიოს და ამ სიტყვათა განმარტების ძებნაში თვალისჩინი გაიწყალოს. ეს სიძნელე წაკითხვისა და წაკითხულის გაგებისა

მკითხველს გულს უცრუებს მწერალზე. სწორედ ამ გარემოებას არა მცირედი ადგილი უჭირავს ალ. ჭავჭავაძის ლექსთა წაკითხვის საქმეში.

მკითხველს რომ გაუადვილდეს ალ. ჭავჭავაძის ლექსთა კითხვა, ცოტაოდენ სამსახურს გავუწევ: ვიდრე ალ. ჭავჭავაძის ლექსთა განხილვას შევუდგებოდე, აქვე მოვიყვან იმ სიტყვათა განმარტებას და სწორედ იმრიგად, რა რიგზეც ეს სიტყვები შეხვდება მკითხველს. მკითხველი თვით დაინახავს, თუ რამდენი სიტყვა, მეტად მშვენიერი და ცნების ზედმიწევნით გამომხატველი მოეპოვება ალ. ჭავჭავაძეს.

არის კიდევ ერთი გარემოება, რომელიც სავალდებულოდ ხდის, რომ ალ. ჭავჭავაძის ნაწერები უეჭველად ხელახლა და ფრიად მალე გამოიცეს. აი, რა, ალ. ჭავჭავაძის ლექსთა კრებულს ზედ აწერია: ნაწილი პირველი. ჩანს, გამომცემლები მაშინვე ფიქრობდნენ, რომ პირველ ნაწილს მეორე და მესამე მოჰყვებოდა. მართლაც, ესევე გამომცემლები გვაუწყებენ წინასიტყვაობაში, რომ პირველ ნაწილში მოჰყვა წვრილი ლექსებიო, ხოლო მეორე ნაწილში მოთავსებული იქნებიან ნათარგმნი დრამატული თხზულებანიო. ამ დაპირების შემდეგ ოცი წელი გავიდა, მაგრამ ეს მეორე ნაწილი არსადა ჩანს. მგონია, აქ ყველაზე უფრო საზრუნველი ჩვენს დრამატულ საზოგადოებას აქვს... მაგრამ ეს კიდევ არაფერი. თუ ბიოგრაფს დავუჯერებთ, ჩანს რომ პირველი ნაწილის გამოცემის შემდეგ აღმოჩენილია იმაზე მეტი რიცხვი წვრილი ლექსებისა, რაც პირველ ნაწილშია დასტამბული. ეს ორი გარემოება განმარტებას არ საჭიროებს და ცხადყოფს, რომ აუცილებლად საჭიროა დაისტამბოს ალ. ჭავჭავაძის ყოველგვარი ნაწარმოები, ნათარგმნი იქნება იგი, თუ ორიგინალური, სულ ერთია და ლექსთა კრებულის მეორე გამოცემა გამოვიდეს. ასეთი ნიჭიერი მწერლის ნაწარმოები, მგონია, განძად უნდა იქნეს დასახული ჩვენი მწერლობისათვის.

2

არის ერთგვარი მიმართულება კრიტიკაში, რომელიც ავტორის ბიოგრაფიას დიდ მნიშვნელობას აძლევს, არა მცირედ

ადგილს ანიჭებს, რათა ამ ავტორის სულიერი მადლის სიღრმე, სიდიადე ზედმიწევნით შეიგნოს და შეისწავლოს. კაცმა რომ თქვას, ეს მიმართულება სრულიად სამართლიანია, რადგან კრიტიკოსს უწინარეს უნდა აინტერესებდეს თვით სული ავტორისა და ღრმა ანალიზით მისწვდეს ამ სულის ვითარებას.

შემომქმედი სული კი ფრიად რთული რამ არის. ამ რთული საგანის შესამეცნებლად ბიოგრაფია დიდ სამსახურს გაგვიწევს ხოლმე, რადგან ნაწარმოები, თხზულება მხოლოდ ერთი კერძოობაა მწერლისა, კერძოობა დიაღ დიდმნიშვნელოვანი, მის შინაგან ძალთა ერთგვარი გამომეტყველებაა, თვალით დასანახი და ყურით სასმენი ერთგვარი სულთქმაა. მაგრამ მოგეხსენებათ, რომ ადამიანს შინაგან ძალთა გამოთქმა. გამოაშკარავება, გარდა ამ გზისა, კიდევ ბევრი სხვა გზით შეუძლია. ამიტომ ავტორის შესწავლას ცალკერძოობა დაემჩნევა, თუ მარტოოდენ მისი თხზულებით ვიხელმძღვანელეთ.

ღირს კი კვლევად და ძიებად, რომ შევიგნოთ და შევისწავლოთ სულის სიდიადე ისეთი კაცისა, ისეთი ადამიანისა, რომელიც უზენაესი მადლით, შემოქმედებითი ნიჭით და აღმაფრენით არის აღბეჭდილი! ან რა შეედრება ამ ყოვლად უანგარო ძიებას? ყოველი კაცი, კერძო ადამიანი პატივსაცემია იმიტომ, რომ კაცია, ინდივიდია, თავისთავად განმარტებული. და სრული, ერთგვარი საიდუმლოებაა, ბუნების ძალთა ერთგვარი კომბინაციაა. პიროვნებას კი თანდათან ფასი ედება.

საქმე ის არის, რომ განათლებისა და ცივილიზაციის ზრდასთან ერთად ადამიანიც თანდათან თავისუფლდება და დამოუკიდებელი ხდება. რამდენადაც მეტია განვითარება საზოგადოებისა, რამდენადაც უფრო რთულია ცხოვრება საზოგადოებრივი, მით უფრო თავისუფალი და დამოუკიდებელია ადამიანი თავის მოქმედებაში, თავის საქციელში, მეტი გზა და საშუალება ეძლევა თვისი ძალნი აამოქმედოს საკუთარის სულიერი მადლისა და ნიჭის შესაფერად და ამით თვისი ადამიანობა, კაცური კაცობა მკაფიოდ, გარკვევით გამოსახოს. ერთი დღევანდელი სოციოლოგი იქამდის მიდის, რომ გადაჭრით ამბობს, როცა ეკონომიური განვითარება და საზოგადოებრივი ცხოვრების კეთილმდგომარეობა უმაღლეს საფეხურამდე ავა და როცა საჭირო იქნება ადამიანმა მხოლოდ მცირე შრო-

მა გასწიოს, რათა თვისი თავი შეინახოს და კუჭის მოთხოვნილებანი დაიკმაყოფილოს, — მაშინ აღორძინდება დიადი მიუკარებლობა, კენტად, განკერძოებით ცხოვრებაო, ადამიანიც უფრო მეტი ძლიერებით გამოიჩენს ამა თუ იმ ნიშნობლივ თვისებას თავისი არსებობისას და მაშინ გაიფურჩქნება უუმშვენიერესი ყვავილი სოციალური ცხოვრებისა, ესთეტიკური სიცოცხლე, რომელიც გავრცელდება მეტად, და უაღრეს წერტილს განვითარებისას მიაღწევს ის წუთიერი ნიშნობლივი თვისებანი ადამიანისა, მისი სიცოცხლისა, მის გრძნობათა და მისწრაფებათა, რომელნიც არასოდეს არ შეიძლება განმეორდნენ სრულიად და სავსებით. ფრიად ცალმხრივია და გასაკიცხიც ის მიმართულება, რომელიც ადამიანობას თითოეული კაცისას მარტოოდენ სარგებლობისა და გამორჩენის პრინციპზე ახურდავებს. სამართლიანია და ღრმა აზრის გამომთქმელიც ის პასუხი, რომელიც მიიღო გიორგი ბრანდესმა ერთი მხატვრისაგან. როცა ამ მხატვარს ჰკითხა, რა მიზეზია, რომ ამ ბოლო დროს მხოლოდ პორტრეტების ხატვას მოკიდე ხელიო. „უეჭველად იმიტომაო, რომ გადამეტებულ სიამოვნებას ვგრძნობ, როცა ვსწავლობ და ტილოზე გადამაქვს ისეთი რამ, რაიც არცთუ ოდეს ყოფილა და აღარც ოდესმე იქნებაო“...

ეს ხომ ასეა, მაგრამ ჩვენში ყოველივე სხვანაირად სწარმოებს. ამიტომაც არც საკვირველია, რომ ესეც სხვაგვარად იყოს, ე. ი. ჩვენებურად, ქართველურად. ჩვენებურობა კი აქ იქიდან ჩანს, რომ დღემდე არ მოგვეპოება ალ. ჭავჭავაძის ბიოგრაფია, მის შესახებ არა გვაქვს სხვადასხვა მოგონებანი. ვიცით მხოლოდ მისი ცხოვრების ზოგი გარეგანი ფაქტი და ხელთა გვაქვს ერთადერთი წიგნაკი, რომელშიც ალ. ჭავჭავაძის ვითომდა ბიოგრაფიაა მოთხრობილი. ნამდვილად კი ეს წიგნაკი გაბმული ლანძღვაა იმ კაცისა, რომლის „ალს გულისას ცრემლნი მისნი ვერა აკლებს ძალსა წვისას“. სწორედ სამარცხვინოა ქართული მწერლობისათვის, რომ ალ. ჭავჭავაძის შესახებ მხოლოდ ასე ყოვლად საძრახი, ასე მოურიდებლად შეხანხლული წიგნაკია ბიოგრაფიად წოდებული. ასეთი საბიოგრაფიო ცოდნითა და მასალით კი ძნელია, მეტად ძნელი, იძიო ვისიმე სულის ვითარება. მსურს, მკითხველს მოვაგონო ზოგიერთი ამბავი ალ. ჭავჭავაძის ცხოვრებიდან, რათა მგოს-

ნის სახეს ის ბინდი მოშორდეს, რომელიც ბიოგრაფს მისთვის გადაუკრავს, და მკითხველიც დარწმუნდეს, რომ ალ. ჭავჭავაძე არათუ შესანიშნავი პოეტი და ხმატკბილი მგოსანია, არამედ მაშინდელ საქართველოში პირველი საზოგადო მოღვაწეც ყოფილა.

გარსევან ჭავჭავაძე ფრიად საყვარელი კაცი იყო მეფის ირაკლის მეორისა. გარსევანი დანარჩენ კარის კაცთაგან იმდენად განირჩეოდა სწავლა-ცოდნით და ბუნებრივი ნიჭით, რომ ირაკლიმ, ცნობილი ხელშეკრულების შემდეგ, დანიშნა თავის წარმომადგენლად რუსეთის იმპერატორების ტახტის წინაშე, ქ. პეტერბურგში. აი, ამ გარსევან ჭავჭავაძეს, როცა ოჯახობით პეტერბურგში ცხოვრობდა, შეეძინა პატარა ალექსანდრე 1786 წ. ჯერ კიდევ პატარისათვის ირაკლის ამირეჯიბობა მიუცია და ჯამაგირიც კი დაუნიშნავს: წელიწადში ექვსი თუმანი.-პატარა ალექსანდრეს მიმრქმელად ეკატერინე დიდი ჰყოლია. ხუთი წლის ალექსანდრე მშობლებს ფრანგთა პანსიონში მიუბარებიათ, სადაც ფრანგულ ენას სწავლობდა და ფრანგულ ყაიდაზე იზრდებოდა. მაგრამ აქ ალექსანდრე დიდხანს არ დარჩენილა, რადგან ცამეტი წლისას უკვე საქართველოში ვხედავთ. 1802 წელს, როცა თბილისში პირველი სასწავლებელი დაარსდა ახალი ვითარების შესაფერი, პატარა ალექსანდრეც, აი, ამ სასწავლებელში მიუბარებიათ. ახლა ალექსანდრე მისაბაძი მაგალითი გამხდარა სხვა თავადაზნაურთა შვილებისათვის, რადგან თავადაზნაურობას თურმე სურვილი არა ჰქონდათ სკოლაში შვილების მიცემისა.

სამშობლოში ყოფნის დროს პატარა ალექსანდრე დაუახლოვდა და გაიცნო თავისი წრისა და წოდების კაცნი და ქალნი. სწორედ ამ დროს ალექსანდრე ჭავჭავაძე ჩადგა იმ ჯარში, რომელსაც ლეკთაგან შემდგარს, რუსთა საწინააღმდეგოდ ამზადებდა ბატონიშვილი ფარნაოზი. ფარნაოზმა 1803 წელს 14 ენკენისთვეს, ალავერდობა დღეს, თავის ლეკთა ჯარს გაფიცულთა გუნდიც მიუმატა და აჯანყდა. მაგრამ ეს ჯარი, როგორც მოსალოდნელი იყო, მალე დამარცხებულ იქნა და თვით ფარნაოზი და ალექსანდრე, ჩვიდმეტ-თვრამეტი წლის ყმაწვილნი შეიპყრეს. ამ დანაშაულის მოსანანიებლად ალექსანდრე ჭავჭავაძე რუსეთში გაგზავნეს საცხოვრებლად. პირველ ხანად

იგი დააბინავეს ქ. ტამბოვში. გუბერნატორს ებრძანა, ალექსანდრე ჭავჭავაძე პოლიციის მხედველობის ქვეშ ჰყოლოდა და მისთვის გაფაციცებით თვალყური ედევნებია. რამდენიმე წლის შემდეგ კი მას კვლავ სასწავლებელში ვხედავთ, ახლა უკვე პაჟთა კორპუსში. კურსის დამთავრების შემდეგ სიკვდილამდე ალექსანდრე საზოგადო მოღვაწეა და ყოველ საქმეში, ყოველგვარ საზოგადო მოვლენაში, რომელიც კი მაშინ საქართველოში მომხდარა, ესა თუ ის წილი უდევს.

მაშინდელ საქართველოში პირველი საქმე, პირველი საზრუნველი ის იყო, რომ გულითადი სურვილი გენიოსი მეფისა, გამჭრიახი შორსმხედველობა ირაკლისა, „ამ მამაცთა შორის საკვირველებისა“, სისრულეში მოსულიყო, განხორციელებულიყო, ეს სურვილი, რომ საქართველო გაერთიანებულიყო და მის შვილთ წყნარი და მშვიდობიანი ცხოვრება დაემკვიდრებინათ. და ეს ასეც მოხდებოდა, რაკი საქართველოზე მოსეული მეზობელი ტომნი ერთ მთავრობას დაემორჩილებოდნენ, ეს იყო პირველი საქმე, ეს იყო უმთავრესი საზრუნავი მაშინ, ვაითა და ვაგლახით იხსენიებს ერთი ჩვენი მგოსანი მაშინდელ დროს:

ვაი იმ დროსა, ირაკლის ბეერი გარშემო ესია!
ხმლით იგერებდა ბილწებსა, იმათთვის გაულესია!
დღეს ერთს იფრენდა, ხვალე სხვას დაპმართოს უარესია:
არ შეარჩენდა არავის, — ეს იყო მისი წესია.

ყველას უნდა შეეგნო, რომ ასეთი ვითარება აღარ შეიძლებოდა გაგრძელებულიყო. ასეთი ანარქია მხოლოდ სულითა და ხორცით აბეჩავებდა ქართველობას და მისი ბუნებრივი ნიჭი და მადლი მხოლოდ „ბილწებთან“ ბრძოლაში იხარჯებოდა, და ანდერძიც ირაკლისა ის იყო, რომ ეს გამოუსადეგარი ძალთა ხარჯვა ქართველებს თავიდან აეცილებიათ. ეს ის ანდერძია, რომლის გულისთვის ნ. ბარათაშვილი, „ბედი ქართლისაში“. ირაკლიზე გაბოროტებული, შემდეგ მუხლს იდრეკს „გმირი მცხოვანის“ წინაშე და „თაყვანსა სცემს მისსა ნაანდერძევს, წინასწარ თქმულს“. მართლაც მაშინდელმა თაობამ ასეთი დროთა ვითარება, თუ ღრმად ვერ შეიგნო, იგრძნო მაინც სავსებით. ეს გრძნობა და შეგნება იყო მიზეზი, რომ მაშინდელი თაობა გატაცებული იყო სამხედრო ასპარეზზე სამსახუ-

რით, რადგან ეს სამსახური თავის დადებაც იყო საქართველოსათვის. სწორედ ამ ჟამთა ვითარების ალღოს აღების შედეგი იყო, რომ ჩვენი აქ წოდებული მეოცდაათე წელთა მოღვაწენი თითქმის ყველანი მხედარნი იყვნენ. თითქმის ყოველმა მათგანმა სამხედრო ასპარეზზე დაიმსახურა პატივი და დიდება, მოიპოვა სახელი. ამ გარემოების ბრალია ის, ერთი მხრით, გაუგებარი ამბავი, რომ ნ. ბარათაშვილი გატაცებული იყო სამხედრო ასპარეზზე მოღვაწეობის სურვილით, ისე გატაცებული, რომ ვერ გრძნობდა, შეეძლო თუ არა თვისი ჯანის სისუსტის გამო აეტანა სამხედრო სამსახური და სიძნელე ლაშქრობისა. ასე ყოველივე კი ადვილად ასახსნელია, თუ მხედველობაში მივიღებთ ერთ კანონს, რომლის ძალით კერძო კაცთა სულიერი მისწრაფება შეეფარდება, შეეხამება ხოლმე საზოგადოების ზოგადს, უმთავრეს მოთხოვნილებას, უმთავრეს მიმდინარეობას, და კერძო კაცთა ძალღონეც სწორედ ამ მხრივ ამოქმედდება ხოლმე. ამაზეა თქმული, რომ ყოველ დროს, ყოველ ეპოქას თავისი საკუთარი დამახასიათებელი მოთხოვნილება და ნიშნობლივი თვისება აქვსო... აი, ამ დროის საუკეთესო წარმომადგენელი იყო ალ. ჭავჭავაძეც.

სამხედრო ასპარეზზე ალ. ჭავჭავაძემ სახელი დიდათ გაითქვა. არც ერთი ომი, არც ერთი ბრძოლა არ მომხდარა იმ ხანებში, რომ ალ. ჭავჭავაძეს მონაწილეობა არ მიეღოს. 1827 წელს ალ. ჭავჭავაძე იბრძვის ერევნის ასაღებად და ისეთ გმირობას იჩენს, რომ ამისათვის ერევნის უფროსად დანიშნეს. ბაიაზეთის აღების დროს ისეთი თავგანწირვით ომობს, რომ ზოგნი ბაიაზეთის აღებასა და დაპყრობას მთლად ერთიანად ალ. ჭავჭავაძეს მიაწერენ. ახალციხის დამორჩილების საქმეშიც ხომ ალექსანდრე უკანასკნელთაგანი არ იყო. ალ. ჭავჭავაძემ მიიღო მონაწილეობა იმ ომში, რომელიც მოუხდა რუსეთს ნაპოლეონთან 1812 წ.[1] ეს გარემოება საგულისხმო იმითი არის, რომ ალ. ჭავჭავაძე რუსეთის გამარჯვებულ მხედრობას პარიზში გაჰყოლია. მაშასადამე, მაშინ იგი ქართველთაგან პირ-

[1] იხ. „Военный альманах" 1901 წ. სადაც ნათქვამია ალ. ჭავჭავაძეზე, რომ იგი იყო «герой отечественной войны: лихой командир нижнегородского драгунского полка».

ველი იქნებოდა, რომელიც ასეთ ბედნიერებას შეესწრო და პარიზში თავისი თვალით ჰნახა. ალ. ჭავჭავაძის ბიოგრაფიაში ეს არა მცირედი მნიშვნელობის ფაქტია. უეჭველია, ეს ახალი სანახაობა დიდსა და ღრმა შთაბეჭდილებას მოახდენდა ისეთ გრძნობით სავსე და ბუნებით დაჯილდოებულ ადამიანზე, როგორიც იყო ალ. ჭავჭავაძე. აქ, ამ გარემოებაში, უნდა ვეძიოთ გარეგანი იმპულსი იმისა, რომ ალ. ჭავჭავაძე ასე გაუტაცია საფრანგეთის ლიტერატურას და ლიტერატურიდან მან პირველმა თარგმნა ბევრი რამ. ორი ლექსი, ფრანგულით ნათარგმნი, მის ლექსთა კონაშიც არის მოთავსებული[1]. ალექსანდრეს უთარგმნია აგრეთვე რასინი, კორნელი და ჰიუგო.

ალ. ჭავჭავაძე სხვა საქმეშიც არა მცირედ მონაწილეობას იღებდა, იმას მიანდობდნენ ხოლმე ყოველგვარ საძნელო საქმის გარკვევას. კახეთში რომ გლეხკაცობა აჯანყდა, დასამშვიდებლად ალ. ჭავჭავაძე იქნა გაგზავნილი. მანვე 1821 წელს დიდოეთში მშვიდობიანობა დაამყარა და მისი თხოვნითა და შუამდგომლობით დიდოელებს ეპატივათ სახელმწიფო ხარჯი. 1838 წელს ალ. ჭავჭავაძე დანიშნეს მთავარ-სამმართველოს წევრად. ამ დროს ახალციხის მაზრაში შავი ჭირი გაჩნდა. ამ სენის გაჩენისა და გავრცელების მიზეზთა გამოკვლევა ალ. ჭავჭავაძეს მიენდო. მან მოვლო საქართველოს ადგილები ახალციხიდან არფაჩაიმდე და ყოველივე ადგილობრივ შეისწავლა. მისი მოხსენების თანახმად მოხდა განკარგულება და სენის მოსასპობად შემოღებული იქნა სხვადასხვა ღონისძიება. 1843 წელს მასვე მიენდო კახეთის მილიციის მოწყობა. ყოველ ამ მინდობილობათა გარეში თავისუფალ დროს მაინც ჰპოვებდა, სხვა საქმისათვის ეზრუნა. იგი რამდენსამე ხანს თბილისში თეატრს ზედამხედველობდა.

ჩვენ ჯერ არა. გვითქვამს ერთი ფრიად საყურადღებო, გარემოების შესახებ. ეს გარემოება 1832 წლის აჯანყებაა: რა როლს თამაშობდა ამ საქმეში ალ. ჭავჭავაძე? უნდა ვთქვათ, რომ ეს საგანი გარკვეული არ არის. ვიცით მხოლოდ, რომ ალ. ჭავჭავაძე სხვებთან ერთად შეიპყრეს, დააპატიმრეს და რუსეთში მეორედ გაგზავნეს. ფრთხილი ბიოგრაფიც აქ უნ-

[1] იხ. ალ. ჭავჭავაძე ლექსები 71 და 119 გვ.

და შეჩერდეს და მოუცადოს, ვიდრე ამ ხანას ჩვენი წარსული საუკუნის ისტორიისას ზედმიწევნით ვინმე გამოირკვევს და შეისწავლის. მანამდე კი კარი ეღება მხოლოდ ცილისწამებასა და ინსინუაციებს. ისეთ სამძიმო საქმეში, როგორიც არის ღალატი, ამხანაგთა გაცემა, მეტისმეტი სიფრთხილეა საჭირო, თავის დაჭერა აუცილებელია. ამ საქმეში ვიღაც ნაყმევის ნათქვამ-ნაამბობის ფაქტად აღსარება თავხედობაა, მეტი რომ არა ვთქვათ.

ალექსანდრე ჭავჭავაძე მხიარული ბუნებისა, ენამახვილი, დარდიმანდი და სტუმართმოყვარე ყოფილა. კარგად სცოდნია თარისა და ჩონგურის დაკვრა და ზედ დამღერებაც. თვისი სახლი ევროპულსა და აზიურ გემოვნებაზე ჰქონია მოწყობილი და, ვინც კი გარეშე, უცხოელი ჩამოვიდოდა თბილისში, უეჭველად იმასაც ნახავდა. ამ გარემოებას უთუოდ არა მცირედი მნიშვნელობა აქვს, დღეს ჩვენთვის ეს საკმაოდ ცხადია. საქმე ის არის, რომ არც თბილისში და არც სხვა ქალაქებში არა გვყავს ისეთი ოჯახი. ამის შედეგი კი ის არის, რომ, როცა ვინმე უცხოელი ჩამოდის, გადამთიელთა და გადმოსულთა ოჯახში ამოჰყოფს ხოლმე თავს და საქართველოსა და ქართველობაზე ცნობებს ჰკრებს ამ გადამთიელთა ნაამბობის მიხედვით. ამას კი არა ერთხელ მოჰყვა ის, რომ ჩვენზე უცხოეთში ყოვლად უკულმართი აზრი გავრცელდა. მაშასადამე, იმ დროს ალ. ჭავჭავაძის ოჯახი ის ადგილი იყო, სადაც უცხოელი სავსებით ეცნობოდა ჩვენს ცხოვრებას, ჩვენს ჩვეულებასა და ადამიანობას.

თვით ალ. ჭავჭავაძე დროის მიხედვით ფრიად განათლებული კაცი ყოფილა. ზედმიწევნით სცოდნია რუსული და ფრანგული, გერმანული და სპარსული. ამას ისიც მიუმატეთ, რომ ალ. ჭავჭავაძის ოჯახი თურმე იყო ბუდე მშვენიერებისა. მე მის ქალიშვილებზე მოგახსენებთ. მათ მშვენიერებას არა ერთი ჩვენი მგოსანი აუმღერებია. პირველად ეს ქალიშვილები დაამღერებდნენ თურმე თვისი მამის ამა თუ იმ ლექსს ჩონგურსა და თარზე, და შემდეგ სასიმღერო ხმა მთელ თბილისსა და ქართლ-კახეთში გავრცელდებოდა. თუ რაოდენ დიდი იყო ფასი და მნიშვნელობა ამ ოჯახისა, ეს იმითაც მტკიცდება, რომ დღემდე ქართლ-კახეთში არც ერთი ჩვენი მგოსნის იმდენი

ლექსი არ არის სასიმღეროდ და თან ჩონგურზე სათქმელად გავრცელებული, რამდენიც ალ. ჭავჭავაძისა. ახლაც კი, როცა უკვე ამდენმა ხანმა განვლო ალ. ჭავჭავაძის გარდაცვალების შემდეგ, ფილიმონ ქორიძემ შვიდი სხვადასხვა ლექსი გადიღო ნოტებზე, რომელთაც ქართლში დღემდე ამღერებენ თარსა და ჩონგურზე. სხვა რომ არა იყოს რა, ეს გარემოებაც კმარა მის აღსანიშნელად, თუ რა შარავანდედი ჰქონია მოფენილი ალ ჭავჭავაძის ოჯახობას, რა თაყვანება დაუმსახურებია მის ქალიშვილთა ღვთაებრივ მშვენიერებას, და რაოდენი ძლიერება ჰქონია მის ლექსთა, რომ ესენი ამდენ ხანს აძგერებენ გულსა ქაცისას: უბრალო სიკვდილის შვილის ნაწარმოები ამდენ ხანს ეჭრ გასტანს, რადგან ეს ნაწარმოები მალე გაჰყვება ხოლმე ჩაილურის წყალს. ასეთი ოჯახი, რასაკვირველია, არა ერთსა და ორ უცხოელს მოხიბლავდა ჩვენდა სასარგებლოდ.

ჩვენდა საუბედუროდ დიდხანს არ გასტანა ასეთმა სვლამ ჟამისამ, და ეს ყოველივე მოულოდნელად მოისპო, გაჰქრა. 1846 წელს, ნოემბრის სამს, საღამოს ცხრა საათზე მიიცვალა სამოცი წლის, ჯერ ისევ ჯანით და ღონით სავსე ალ. ჭავჭავაძე.

ეს ამბავი ბიოგრაფს ასე აქვს მოთხრობილი: ალ. ჭავჭავაძე ახლა მოსულ კავკასიის ნამესტნიკთან, გრაფ ვორონცოვთან აპირებდა წასვლას და მილოცვას. დილის 12 საათზე ჩაჯდა ეტლში და წავიდა ვორონცოვთან. გაიარა თუ არა ეტლმა ცოტაოდენი მანძილი, გრიბოედოვის ქუჩაზე უცებ ცხენები დაფრთხნენ და მეეტლემ ვერავითარი გზით ვერ დაუჭირა თავი გაგიჟებულ ცხენებს. ეს რომ დაინახა ალ. ჭავჭავაძემ წამოიწია თურმე და უნდოდა მეეტლეს სადავეების დაჭერაში მიშველებოდა. მაგრამ ამ დროს პალტოს სახელოები ეტლის ლურსმნებს გამოედო და მკლავები თავისუფლად ვეღარ მოიხმარა ალ. ჭავჭავაძემ. ამ დაბრკოლების გამო ალ. ჭავჭავაძე გაქანებული ეტლიდან უცებ მოსხლეტით გადმოვარდა და მძიმედ დაეცა მიწაზე: დაემტვრა მკლავები, თავი, წელი და სიცხლი წასკდა![1] ალ. ჭავჭავაძის გვამი კახეთში წაასვენეს და შუამთის მონასტერში მიაბარეს მიწას. აკაკი წერეთელი ალ. ჭავ-

[1] იხ. ზ. მთაწმინდელი. ბესიკი.

ჭავაძის საფლავს „წმინდა საფლავად“ იხსენიებს. აი, ასეთ ადამიანთა საფლავზეა ნათქვამი პოეტის სიტყვები:

Нужны нам великия могилы,
Если нет величия живых.

ალ. ჭავჭავაძეს ცუდი ბედი ეწია. უმეტესობის წარმოდგენით, ალ. ჭავჭავაძე საარშიყო ლექსების მთხზველია, მეტი არაფერი. უმეტესობის აზრით ალ. ჭავჭავაძის ლექსებს არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, არც ესთეტიური და არც ლიტერატურული. ამიტომ ეს უმეტესობა ათვალწუნებით უცქერის ალ. ჭავჭავაძეს და აბუჩად იხსენებს. ეს აზრი, ეს შეხედულება ისე მკვიდრად არის ფეხმოკიდებული საზოგადოებაში, რომ უმრავლესობამ ალ. ჭავჭავაძის ლექსთა შორის მხოლოდ ლექსი — „ლოთებო, ნეტავი ჩვენა“ — თუ იცის; ისიც არა ისე, როგორც ავტორსა აქვს დაწერილი, არამედ სუფრაზე გაგონილი სასიმღერო რედაქციითა. მიტომ ბევრი როდი ხდის თავის თავს ვალდებულად ერთხელ მაინც გადაიკითხოს მისი პატარა წიგნაკი, რადგან წინდაწინვე დარწმუნებულია და ჭეშმარიტებად მიღებული აქვს ის ზეპირი აზრი, რომ ალ. ჭავჭავაძის ლექსთა კითხვა მხოლოდ დროის უბრალოდ დაკარგვაა. და ხომ მოგეხსენებათ, რომ ჩვენი კაცი დროს დიდად აფასებს! ბევრს სარწმუნოდ მიაჩნია და ჰგონია, რომ ალ. ჭავჭავაძეს არა მოეპოვება რა საგულისხმო და გულისა და სულის განმაფაქიზებელი. ახლანდელი უვიცი კრიტიკოსებიც კი საჯაროდ აცხადებენ, რომ ალ. ჭავჭავაძის ლექსები საზოგადოებას ჭრეკვნის და სულიერად აღარიბებსო.

ეს არის საზოგადო აზრი ალ. ჭავჭავაძეზე, მგოსანზე, რომლის ლექსებს ხალხი დღემდე, ამ ნახევარი საუკუნის განმავლობაში, ჭირსა და ვარამში, მხიარულებისა და ლხენის დროს მღერის. ხალხს დღემუდამ და მარადჟამს იგი და მისი ლექსები ახსოვს, და ამ მგოსნის ხსოვნა დღემდე ვერ აღმოფხვრეს ისეთმა ნიჭიერმა მგოსნებმა, როგორნიც არიან გრ. ორბელიანი, აკაკი წერეთელი და ილ. ჭავჭავაძე. აქ სწორედ რაღაც გაუგებრობა უნდა იყოს. მარტო ეს გარემოება კმარა საბუთად, ადამიანი ღრმად ჩაუკვირდეს და იძიოს, რა მიზეზია, რომ ის მწერალი, ის მგოსანი, რომელიც ჩვენს კრიტიკანებს ასე აბუჩად ყავთ აგდებული, ხალხს ახსოვს და

დღემდე არ დავიწყებია. უეჭველია, აქ რაიმე პატივსადები მიზეზი უნდა იყოს. გარდა ამისა, საჭიროა, ვიცოდეთ, ვინ ასულდგმულებს ხალხს, რა სულიერისა და გონებრივი საზრდოთი იკვებება იგი და, თუ დავრწმუნდით, რომ ხალხისძიერ მოწონებული მოსაწონი არ არის, სხვა უმჯობესი საზრდო უნდა მივაწოდოთ. ჩვენი მხრით უზნეობა იქნება, ხალხის სატრფიალო საგანს უგულოდ მოვეპყრათ. ჩვენი წმინდა მოვალეობაა, კარგი ჩვენც მოვიწონოთ, ხოლო ცუდი და მავნებელი ხალხს ავაცილოთ.

დიახ, საზოგადოდ, ასეთი აზრია ალ. ჭავჭავაძეზე გავრცელებული. მაგრამ ამავე დროს ამ უმრავლესობის მიერ შემდგარი ქოროს პირდაპირ დგას დუეტი ხმატკბილ მგოსანთა. ეს მშვენიერი დუეტი შემდგარია აკაკი წერეთლისა და ილ. ჭავჭავაძისაგან. ორივე მშვენიერი ენით, აღტაცებული გრძნობით მოგვითხრობს ალ. ჭავჭავაძის ღირსებასა და მნიშვნელობას. აკაკი ამბობს, რომ ალ. ჭავჭავაძე „მღერალი ტკბილი, მამულიშვილია“, იგი „ტკბილი პოეტია“ და საფლავი მისი „წმინდა საფლავია“. ხოლო ილ. ჭავჭავაძე მკაფიოდ, სრული სავსებით და ზედმიწევნით ახასიათებს მთელ შინაარსს და ნიშნობლივ თვისებას ალ. ჭავჭავაძის ლექსებისას; მიმართულებას იმ მგოსნისას, რომელიც „შეჰკვნესის შავ ბედს ქვეყნისასა ქვეყნისათვის ანატირი“. საფიქრებელი იყო, რომ ამ ორი მგოსნისა, ამ მთელი ერის სათაყვანებელი და საყვარელი პოეტების აზრი იქნებოდა მიღებული საზოგადოების მიერ, მაგრამ ეს ასე არ მოხდა. საზოგადოებას,. რომელიც ხშირად მდარე ლექსებს იზეპირებს მხოლოდ იმიტომ, რომ იგი მოდაშია, ახლა, ასეთ კაცს, ვამბობთ, განა შეუძლია გაიგოს, ან დააფასოს ღირსება და მნიშვნელობა ისეთი ნიჭიერი კაცისა, ისეთი ზეციური მადლის პატრონის მგოსნისა, როგორც ალ. ჭავჭავაძეა? აქ, ამ დაფასებაში, საჭიროა საკუთარი აზრი, საკუთარი გემოვნება. ისიც კია ღვთის წინაშე, რომ ამჟამად ჩვენი ყოველივე დაგმობილია, აბუჩად აგდებულია. მაგრამ ეს ხომ დროებითია, გარდამავალი, და რასაც მშვენიერების ელფერი ატყვია, რაც ზეგარდმო მადლით არის აღბეჭდილი, „მას ვერც შემთხვევა და ვერც ხანი ვერ დააბერებს“...

კიდევ არის მიზეზი, რომ სამართლიანი აზრი ორი ჩვენი დიდებული პოეტისა, მიღებული არ არის და გავრცელებულია ალ. ჭავჭავაძეზე ყოვლად შეუწყნარებელი შეხედულება. ამის მიზეზი კი ჩვენი საზოგადოების გონებრივი დაქვეითებაა. საქმე ის არის, რომ ჩვენში ჯერ მტკიცედ ფეხგადგმულია ის ყოვლად უბადრუკი აზრი, რომ ვითომ პოეტი რაღაც არაჩვეულებრივი რამ არსება არის, ზეცით მოვლინებული და ვითომც ან თუ იტყვის რასმე იგი, ან თუ დასწერს რასმე, ყოველივე ეს უბრალო სიკვდილის შვილთათვის მიუწდომელია. ჩვენში ჯერ პლატონისებური შეხედულება აქვთ პოეტებზე. მკითხველმა, უეჭველია, იცის, რომ, ძველი საბერძნეთის ფილოსოფოსის პლატონის აზრით, პოეტი ჩასაბერავ მილს, საყვირს წარმოადგენდა. ეს მილი, ეს საყვირი მოვლენილი იყო უბრალო კაცთათვის უზენაესი ძალით, რომელიც თვის განკარგულებასა, ნებასა და სურვილს ჩასძახებდა ხოლმე ამ მილის ერთ ბოლოს, რათა მეორე ბოლოთი ხალხს მისწვდომოდა ეს ძალთაძალის განკარგულება. ერთი მხრივ თუ შევხედავთ, ამ შეხედულებით პოეტი დიდი ვინმე როდია. იგი უბრალო საყვირია, დაუწერელი უსტარია, მეტი არაფერი. ის კია, რომ ამ საყვირს მხოლოდ ძალთაძალი ჩასძახებდა, ამ უსტარს უზენაესი ნება დასწერდა. მაგრამ ამავე დროს ცხადია ისიც, რომ რასაც პოეტი ამბობდა, ესე ყოველი ღვთით შთანაბერი იყო, გამოთქმა იყო განგებისა ნებისა და სურვილისა. ამით კი მნიშვნელობა და დანიძნულება პოეტისა ერთბაშად ზვიადდება, გადამეტებული ღირსება ეძლევა. რაც უნდა ეთქვა პოეტს, თუნდა მიუწდომელი და გაუგებარიც ყოფილიყო, მაინც უნდა მიეღოთ, უნდა ღრმად ჩაენერგათ გულში, რათა მის ღვთაებას დაახლოებოდნენ, ნება მისი გაეგოთ.

ეს შეხედულება პოეტზე დიდხანს იყო მიღებული და გავრცელებული ევროპაშიც და სხვაგანაც. ამ აზრისა იყვნენ პოეტებზე პუშკინი და თვით გოგოლიც კი. ხოლო ჩვენში ამთავითვე სულმნათი შოთას მეოხებით ამ აზრის წინააღმდეგი შეხედულება იყო გავრცელებული. შოთა ამბობს: „შაირობა პირველადვე სიბრძნისაა ერთი დარგი“. აქ ცხადია,

თუ რა ნათელი აზრისა ყოფილა შოთა პოეტზე. თუ შაირობა, მელექსეობა, პოეტობა სიბრძნის ერთი დარგია, სიბრძნეს ხომ ნიჭი უნდა ბუნებრივი და გონება განსწავლული, მეტი არაფერი. აქ ძალთაძალს და ზენარებას, თუ სხვა ამგვარ ბუნდოვანებას ადგილი აღარა აქვს. მოშაირეც მეტი არაფერია. ამ მოშაირედ შეიძლება ბევრი ჩვენთაგანი შეიქნეს და აქ განგება არაფერ შუაში არ იქნება. მაგრამ ეს ნამდვილი აზრი უფრო ცხადად, უფრო თვალსაჩინოდ ჩვენმა თანამედროვე პოეტმა გამოთქვა. აკაკი ამბობს:

ეს გული, სარკედ ქცეული,
ბუნების ნათავხედია:
მხოლოდ მის სახეს გიჩვენებთ,
რასაც შიგ ჩაუხედია.
ენაც მას ამბობს, რაც სმენას
სხვისაგან გაუგონია,
ან თვალს უნახავს, და ჭკუას
გაუზომ-აუწონია!

აქ ცხადად გარკვეულია, რომ პოეტი უბრალო სიკვდილის შვილია და მისი გული სარკეა ბარად მღელვარე ცხოვრებისა, შვილია ჩვენი დაუწყნარებელი და დაუდგრომელი მდგომარეობისა. მგოსანი იმას ამბობს, იმას დასწერს, იმას გამოთქვამს, რაც ან სხვისგან გაუგონია, ან თვით შეუმჩნევია ცხოვრებაში საკუთარი დაკვირვებით, ან რაც ჭკუა-გონების ვარჯიშობის დროს ფიქრის ამყოლ მგოსანს განუჭვრეტია საკუთარი გამჭრიახობით. ასეც იქცევა ყოველი ჩვენგანი თვისი მოქმედებისა და მოსაზრების დროს, კერძო, ყოველდღიურ ცხოვრებაში. ამიტომ პოეტი ჩვენი მსგავსებაა, ჩვენი ჭირისა და ვარამის მცოდნეა, ჩვენი ცხოვრების მეთვალყურეა. მისი გულისძგერა ჩვენსას ესმის, მისი მისწრაფება და წადილი ჩვენთვის მიუწვდომელი როდია. აქ ჩვენსა და პოეტს შორის სრული გაგებაა ერთმანეთისა, სრული მსგავსება და ხომ მოგეხსენებათ, რომ similis simili gadet. მაშ, თუ ასე უბრალო ვინმეა პოეტი, რატომ არის; რომ ასე დიდ მნიშვნელობას ვაძლევთ ხოლმე? იკითხავს გაკვირვებული მკითხველი. მხოლოდ იმიტომ, რომ მგოსანი ჩვენზე უკეთ გამოთქვამს ხოლმე ჩვენს აზრს, ჩვენზე უმჯობესად ჩახვდება ჩვენს იდუ-

მალ საკაცობრიო თუ საერთო ზრახვას. ჩვენს გულს ის ღრმად ჩასწვდება და ჩვენს მაცხოვრებელ გრძნობას ზედმიწევნით აათამაშებს. მგოსანი ლამაზად ჩამოასხამს, მშვენიერ სამოსელში ჰხვევს ჩვენს სურვილს. მგოსანი ჩვენი „სულის სულია", ამიტომ მგოსნის ღირსება, ფასი და დიდება იმით კი არ განიზომება, თუ რა საგანს აყენერს მისი თავისუფალი და თავისნება ქნარი. ყოველივე მის ძალას ექვემდებარება, ჩვენი გრძნობა, აზრი და ფიქრი, სურვილი და წადილი. ყოველივე ეს საგანია პოეზიისა. ძალა პოეტისა, მისი შემოქმედების აღმაფრენისა იმით განიზომება, თუ რა ძლიერებით, რა სიღრმით და შნოით, რა გარეგანი ლაზათით გამოთქვამს იგი ჩვენი სკოლის ვითარებას, თუ რაოდენი სინამდვილით აღწერს ჩვენს ცხოვრებას და ბუნების მშვენიერებას. აი, ეს არის საგანი, ეს არის სარბელი ყოველი პოეტისა და მართლაც წყარო ესე დაუშრეტელია, მუდამ შთამბერველია მადლისა, მაჩვენებელია სხვადასხვაობისა და აღმძვრელია დიადი საიდუმლოებისა...

აი, ამ შეხედულებას თუ წავიწინამძღვრებთ, ჭეშმარიტად უნდა ვაღიაროთ, რომ ალ. ჭავჭავაძე უნიჭიერესი, ზეგარდმო მადლით ცხებული მგოსანია, მის ლექსთა მშვენიერება, გარეგანი მოკაზმულობა და სულისკვეთებამდე მიღწეული მისი გულისთქმა ანიჭებს ალ. ჭავჭავაძეს უპირველეს ადგილს ჩვენს მგოსანთა შორის. იგი წინამორბედი იყო წარსული საუკუნის ჩვენთა მგოსანთა გუნდისა, და, როგორც ქვევით დავინახეთ, მის თანამედროვე მგოსანთ კიდეც უსარგებლიათ მის ნაწერებით.

ნიშნობლივი თვისება ალ. ჭავჭავაძის პოეზიისა არის მგრძნობელობა და ამ მგრძნობელობაზე აღმოცენებული სიყვარული. ალ. ჭავჭავაძე გადაჭრით გვეუბნება, რომ

> მგრძნობელობა სჯობს ყოველთ თვისებათ, ცით მოვლენილთა:
> შვენებასაც და გონებასაც ის ასულდგმულებს.

სიტკბოებისა და სიამოვნების ნიადაგი მხოლოდ ეს მგრძნობელობაა, ამიტომ პოეტს არა სჯერა, რაიმე სიტკბოება მიიღოს

იმან, ვისაც მგრძნობელობა შესამჩნევად შეზღუდული აქვს და ვისაც მგრძნობელი გული არა აქვს.

უგვანთა ტრფობა უგრძნოთ ვისა გსმენია?

კაცადკაცადის ყოველივე თვისების უაღრესი მხოლოდ ეს თვისებაა, ეს მგრძნობელობაა. ამიტომ იქ, სადაც გრძნობა და გულისთქმა ძალაში შედის, გონება მათი მონა შეიქნება, მეტი არაფერი.

როს საროს რხევა წარმომიდგება,
ცნობა მელევის, ოხვრა ხშირდების.

უფრო გადაჭრით ამბობს კიდევ მგოსანთა მგრძნობელობის უაღრესობას, მის უპირატესობას, როცა დაუპირისპირებს გონიერებასა და სიბრძნეს.

სიბრძნე და გონიერება რა გინდ მარად ფხიზლად გფლობდნენ,
სიჭაბუკეს და სიყვარულს რაცა უნდათ, იმას ჰყოფდნენ.

მაგრამ ძლიერება და უაღრესი გავლენა მგრძნობელობისა შემდეგ ლექსში უფრო ცოცხლად არის გამოთქმული. ვინც შვენებით ძლეულია, მას —

გონება ესრეთ შთაძახის ხმითა მრისხანეთ მყარითა:
ნუ ჰლუპავ თავსა, ნუ ჰლუპავ მაგა სენითა მწარითა.
ხოლო გული კი ესრედ ჰხმობს ლმობითა სიტყვა წყნარითა:
შენ მას ნუ უსმენ, იხარე სიყვარულითა მტკბარითა.

ცუდად წარადგენს გონება მუნ თვისთა ბრძნულთა თათბირთა:
სადაცა გული მფარველობს, თვით იპყრობს მისთა ადგილთა.
იგი არს მაშინ ხელმწიფე, გამგე ყოველთა წადილთა,
მაგრამ ყველაი ეშუს ჰმონებს, მას უთევს ღამეთ და დილთა.

ამ მხრივ, ამ საგნის შესახებ, ალ. ჭავჭავაძის განმგრძობი ჩვენში გრ.´ ორბელიანია. ეშუისა და მგრძნობელობის შესახებ გრ. ორბელიანი ამასვე ამბობს, სიტყვა სიტყვით იმეორებს. გრ. ორბელიანიც შესანიშნავი მცოდნეა ამ საგნისა და იგი შესაფერი ნიჭიერებით და მშვენიერი ლექსით ათქმევინებდა ქნარს:

მრავალგზის ვფიცავ, გივიწყო და ვქმნაცა ნება გონების;
მაგრამ, როს გხედავ, გონების რჩევა სრულიად არ მესმის.

გული ხელმწიფებს და უფრო უძლიერესათ შენ გეტრფის,
და გულის მონად შექმნილი გონებაც შენდა მოჰფრინვის.

ან კიდევ!

„ესრეთ გონება მარადის ტრფობის ალს აუხოციეს!“

ეს პირისპირობა, ეს მეტოქეობა შეურიგებელ გონებასა და მგრძნობელობას შორის თვით რუსთველს, ამ ადამიანის გულის მესაიდუმლეს, აღნიშნული აქვს, როცა ამბობს, რომ: „მას ერთსა მიჯნურობასა ჭკვიანნი ვერ მიხვდებიან.“

ხოლო ჩვენს მწერლობაში ამ აზრის, ამ შეხედულების წინააღმდეგი იმ თავითვე ნ. ბარათაშვილი შეიქნა, რადგან ამ უკანასკნელს ჰგონია, რომ

თვით უკვდავება შვენიერსა სულში მდგომარებს,
მას ვერც შემთხვევა და ვერც ხანი ვერ დაბერებს.
მხოლოდ კავშირი ესრეთ სულთა ჰშობს სიყვარულსა,
ზეგარდმო მადლით დაუხსნელათ დამტკიცებულსა.

ახლა საგულისხმო და საინტერესოა, ვიკითხოთ, ამ ორ სხვადასხვა აზრს შორის რომელია მართალი? ვინ ცდება: ალ. ჭავჭავაძე და გრ. ორბელიანი, ერთი მხრით, თუ ნ. ბარათაშვილი. ჩვენი აზრით, პირველნიც და უკანასკნელიც მართალნი არიან. საქმე ის არის, რომ ახლანდელმა მეცნიერებამ ყოველივეს სარჩულად მგრძნობელობა დაუდვა. მგრძნობელობის გარეშე როდია რისამე გაგება, რისამე შემეცნება. უამგრძნობელობოდ შეუძლებელია აგრეთვე სიმწარე და სიტკბოება რამ იგრძნო. უღრმეს ფილოსოფოსს ჰერბ. სპენსერს თუ დავუჯერებთ, გადაჭრით გვეტყვის, რომ მთელი ჩვენი ცხოვრება და სიცოცხლე, სულიერი და ხორციელი, საზოგადოებრივი და პირადი წარმოადგენს მხოლოდ კრებულს რამდენიმე გრძნობათა და იდეათა. ეს გრძნობანი და იდეანი კი შედეგია უბრალო მგრძნობელობისა, რომელსაც მგრძნობელობა შეხებისა ჰქვია. სპენსერამდე დიდი ხნით ადრე სიმართლედ აღიარა ესევე საბერძნეთის ფილოსოფოსმა დემოკრიტმა. იგი ამბობს, რომ ჩვენი გრძნობანი მხოლოდ შეცვლილი, გადასხვაფერებული გრძნობაა შეხებისო. აი, ამ რეალურ ნიადაგზე დგას ალ. ჭავჭავაძე. იგი სრულ სიმართლეს აღიარებს როცა გვეუბნება, რომ „ბაგე, ზრახვისა დამწყები, გრძნობას ემილა, ადინა“.

სწორედ ამ ნამდვილ ნიადაგზე აღმოცენდება ხოლმე უძლიერესი და უმაღლესი მისწრაფება, წადილი. უაღრესი აზრი, განყენებული ფიქრიც კი მხოლოდ უშორესი ტოკვაა ძლიერი მგრძნობელობისა. თუ გულმა არ იგრძნო, ისე აზრი ვერ დაიბადება. გრძნობამ სული ძალზე უნდა შეატოკოს, რომ ამ უკანასკნელმა მადლიანი ფიქრი, ნაყოფიერი აზრი წარმოსთქვას, მისწვდეს. ერთი პოეტი, — აღარ მახსოვს, რომელია, — აღნიშნავს ამ ჭეშმარიტ დამოკიდებულებას აზრსა და გრძნობას შორის, როცა აღტაცებით წარმოთქვამს:

Надо сильно чувству душу потрясти,
Чтоб она в восторге выразила мысль.

ეს ასეა. მაგრამ ამავე დროს სრული სიმართლე უძევს საძირკვლად ნ. ბარათაშვილის აზრსაც. საქმე ის არის, რომ გრძნობა მეტად ცვალებად რასმე წარმოადგენს. მისი ამყოლი პირუმტკიცეა. ამიტომ ცხოვრებასა და სიცოცხლეს რომ აზრიანობა რამ მიეცეს, სიტკბოება რომ უცები, სიზმარებრ ჩქარა წარმავალი არ იყოს, საჭიროა, ყოველ ჩვენს გრძნობას, ყოველ ჩვენს წადილს ხანიც მიემატოს, ხანგრძლივობა ეშნეოდეს. აი, ეს ელემენტი, ეს შორსმჭვრეტელობა აკეთილშობილებს გრძნობას. ეს წარმოდგენა გვაიძულებს შევარჩიოთ გრძნობანი და პირველსავე მათგანს არ ავყვეთ, ასეთ საქციელს აზრიანობა მოაქვს თან, განვითარება მოსდევს სამერმისოდ. იმიტომ, რომ ასე შერჩეული გრძნობა, ასე ფაქიზად გამოკრებილი აზრი ხანგრძლივია, ხანი, დრო კი ყოვლის შემძლე, ყოვლის შემოქმედია. აი, ეს ორი ნაკადული, ეს ორი ანკარა წყარო, — მგრძნობელობა და მშვენიერი სული — რომელმაც იმ თავიდანვე ჩვენს მწერლობაში თავი იჩინა, უნდა შეერთდეს, ერთმანეთს შეერიოს და ერთმანეთს გადაეწნას, «обнявшись, будто две сестры», და ეს კვლავ შთაბერს ჩვენს მწერლობას სიცოცხლეს, კვლავ ააღორძინებს და აიყვანს იმ სიმაღლეზე, რომელზეც მეთორმეტე საუკუნიდან ვერ ასულა. ამ ორ ნაკადთაგან ერთს მოაქვს სიტკბოება პირადი, ხოლო მეორეს, — საზოგადოებრივი. როცა ეს ორი სიტკბოება შეერთებული იქნება ქართველისათვის, მაშინ ჩვენი ცხოვრებაც ნორმალურ კალაპოტში იწყებს დენას. ვინც

ამ შეერთებას მოახდენს, ვინც ამ ორგვარ სიტკბოებას მიანიჭებს ქართველს, ჩვენი ერის სულისჩამდგმელიც ის იქნება.

3

ჩვენს მწერლობაში ალ. ჭავჭავაძეს პირველი ადგილი უჭირავს ეშყის გამოხატვაში, ამ ეშყის სხვადასხვაგვარად აღწერაში. ალ. ჭავჭავაძემ მგრძნობელობა კულტად გადააქცია და მისი სრული ზედმიწევნილი მღერალი და გამომთქმელი შეიქნა. მგრძნობელობა კი, რომ აღიძრას და ძალასა და მოქმედებაში მოვიდეს, გული რომ ძალზე შეტოკდეს, ამისათვის მიუცილებლად საჭიროა, მგრძნობელობას თვალწინ მშვენიერება დაუდგეს. მგრძნობელობაცა და მშვენიერებაც ცალ-ცალკე ჰგიებენ, დამოუკიდებლად არსებობენ იმ დრომდე, ვიდრე ერთმანეთს არ შეხვდებიან, ურთიერთს არ შეეფეთებიან და შეეხებიან. მგრძნობელობაც მოშვებული და მოდუნებული, მაშინვე შესაფერად ატოკდება, დაუყოვნებლივ ბანს მისცემს ხოლმე, რაკი მის ნაზ კლავიშებს, თუ შეიძლება ასე ითქვას. — მშვენიერება ოდნავ შეეხება. ამიტომ ალ. ჭავჭავაძე სრულ ფსიქოლოგიურ ჭეშმარიტებას აღნიშნავს, როცა გვეუბნება, რომ:

ანაზდად ხილვამან შენმა მზეო,
ასე მძლია და წარმტაცა გლახ გული.

ან:

გული შენ დაგწვი წამალით,
არ მიდასტაქრე წამალით.

იხილავს თუ არა მშვენიერებას, მგრძნობელობა მაშინვე მისი აღგზნებული მღერალი შეიქნება. „ანაზდად მქმენ მე გლახ შენი მკობარე!“

აი, ასეთი მტკიცე კავშირი აქვს ერთმანეთში მშვენიერებასა და მგრძნობელობას. ფიზიკის ენით რომ ვთქვათ, მგრძნობელობა მშვენიერების რეზონატორია, ბანის მიმცემია და ხომ მოგეხსენებათ, რომ რეზონატორი იმავე ხმისა, იმავე ტემბრისა და ძალის მქონეა, რა ხმაზეც ჟღერს მღერალი საგანი. მაშასადამე, მშვენიერებას მხოლოდ მგრძნობელობის აჟღერება, ატოკება შეუძლია, რადგან მგრძნობელობა პოტენციალურად შე-

იცავს მშვენიერებას. ალ. ჭავჭავაძე, მაშასადამე, მრჩობლათ მართალია, როცა გვეუბნება, რომ, „უგვანთა ტრფობა, უგრძნოთ ტკბობა ვისა სმენია“.

ეს მშვენიერება, გრძნობის ამღელერებელი, თავისთავად კარგად განმარტებული, თვალით დასანახი, ხორცქმნილი სრული არსება უნდა იქნეს და არა განყენებული არარაობა. ამ მშვენიერებას შესამჩნევი, განსაკუთრებული წარმტაცი თვისება აქვს. მგოსანი ასე მიყოლით ყოვლად უნაკლულოდ აგვიწერს ხოლმე ამ მშვენიერებას, რომლის სიყვარულსაც იგი შეუპყრია:

სიყვარულსა შევუპყრივარ აწ შენსა,
ყეტრფის გული
სურვილ ოვული,
ამის ნაცვლად რათ მცემ სენსა?

აქ, როგორც თვით მკითხველი ხედავს, სიამით აღვსებული მშვენიერების სრული და უნაკლო სურათია. სახეა დახატული მკაფიოდ და ზედგამოჭრით: ნახატს არც რა აკლია, არც რამ აქვს მიმატებული. მშვენიერების ამ თვისებათ ხშირად და ბევრ ადგილს, ბევრ ლექსში ნაწილ-ნაწილად იმეორებს მგოსანი. ეშყის აღმძვრელი-საგანი წვრილის, ორშტოვანი ალვის ტანისა (გვ. 35); ტანათ საროა, ვარდებრ ღაწვნი მისნი შლილობენ (გვ. 9), მას ბროლის ფიცარი, ხმა ნაზი (გვ. 20) და მარგალიტად მიჯრით წყობა აქვს (გვ. 24) ამ საგანს ტრფობისას ეშყის ჯაჭვად წნულნი თმანი აქვს (გვ. 31) და თავი თმა-მდიდარი და მას ამშვენებს ირისებრივი (ცისარტყელისებური) მოკაზმულობა (გვ. 35) რაღა გასაკვირველია, რომ ასეთმა მდიდარმა ბუნებამ სრულებით მიიჯაჭვოს სამუდამოდ ყმად ჰყოს აღგზნებული გრძნობა და მგოსანი გულის სიღრმიდან აღმოიკვნესის ხოლმე, რომ

მე, ერთმა, ერთგზის, ერთს ვუძღვენ თავი,
მასვე ვმონებდე მტკიცედ და მყარად.

მშვენიერებას რომ შეეფეთა, იმ წუთიდან მისი გული დაბმულია (გვ. 43), მშვენიერების გარეშე სიცოცხლე ვერ წარმოუდგენია, არ შეუძლია, რადგან მშვენიერება მგრძნობელობის სულის სულია (გვ. 94). განშორება სატრფიალო საგ-

ნისა აუტანელია, რადგან ეს სულთახდომას წააგავს: სიყვარულის შორება წარმოადგენს ისეთ მომენტს, როცა ცხოველ ვვამს სული თვალდათვალ ექცევა (გვ. 110), მთელი არსება, გრძნობა და გონება მგოსნისა სიყვარულს მოუცავს, აღარ ახსოვს რა გარდა ამ სიყვარულის აღმძვრელისა. მთელი სიცოცხლეც მხოლოდ მუდმივი და განუწყვეტელი ფიქრია ამ საყვარელ საგანზე:

ძვირფასო, საყვარელო, მხოლოდ მფლობელო გულისავ,
რომელსაცა სხვა მსგავსი არა სად გეპოვება.
შენ ვეტრფი, შენგან ვცოცხლობ, სულო ჩემის სულისავ..

ყმის შემდეგ, რაღა გასაკვირველია, რომ ასე თავდავიწყებამდე მიღწევას გრძნობს. ბულბულის ნაზი ხმა და სირინოზის სიმღერა თავის ხმასთან შედარებით ყბედობა ჰგონია (გვ. 90), რადგან ენა აშიკისა არა ჰგავს სხვათა გრილ ენას. ეს გულის ძგერა, ეს გრძნობა ისეთი ძლიერი ცეცხლით აღაგზნებს ხოლმე აშიკს, რომ თანახმაა მხოლოდ მაშინ გაჰქრეს ცეცხლი, როცა საყვარლისადმი სანთლად მიძღვნილი გული ადანება (გვ. 111). ეგ სიყვარულია, რომ აცოცხლებს, ასულდგმულებს მგოსანს, მის სიცოცხლეს აცისკროვნებს და მას აღამაღლებს, რადგან ანიჭებს შვებასა და სიამეს.

როს გიყვარდი სურვით შეყვარებულსა,
მეც სიცოცხლე მაშინ მიღირდა ძვირათ.
შენთან, შენით, შენგან გალაღებულსა,
მჭობდეს დღენი სიტკბოების მადინრათ.

ზევით ვნახეთ, რომ ალ. ჭავჭავაძე სრული და ზედმიწევნილი მომღერალია მგრძნობელობისა და ეშყისა. ეს მართლაც ასეა. ასეთი კაცის პოეზია სალხინო პოეზია უნდა იყოს. მაგრამ ასე როდია. ალ. ჭავჭავაძე პირველსავე ლექსში აღიარებს, რომ „მღერათ ოხვრა, ლხენათ გლოვა მებადა.“

სამხიარულო ლექსების დამწერი და მღერალი, იმავ დროს „ჭმუნვის მახვილით“ არის განგმირული.

უნებლიეთ კითხულობს ადამიანი, საიდან არის, რა მიზეზია, რომ კაცი, რომელსაც ანაკრეონს ადარებს არა ერთი და ორი და რომელიც მუდამ მომღერალი, ეშყის ამყოლი და მოყვარულია, — ჭმუნვას აჰყოლია. საკვირველია, მაგრამ ნამ-

დვილი კია. ამიტომ ცალმხრივად თუ განვიერეტთ ამ გარემოებას, თითქმის დავრწმუნდებით, რომ ალ. ჭავჭავაძის პოეზიას ორმაგობა, ორპოფობა ამჩნევია. თუ საქმის ვითარებას ღრმად არ დავუკვირდებით, ეეშმარიტად მივიჩნევთ იმ აზრს, რომ ალ. ჭავჭავაძის ხასიათს დილეტანტის ხასიათის ბეჭედი აზის, რადგან, როგორც ვიცით, დილეტანტის ნიშნობლივი თვისებაა ორპოფობა გრძნობისა, აზრისა და ფიქრისა, მიმდევრობა, აყოლა ორის სხვადასხვა სურვილ-წადილისა. ვინც ასე დაასკვნის, ბეკითად დარწმუნდება, რომ ალ. ჭავჭავაძე დიდი ნიჭის პატრონი არ არისო, იგი უფრო ფუქსავატი ხასიათის ადამიანიაო. ასე იფიქრებს ბევრი, და ჩვენ საბუთი გვაქვს, რომ ასე ფიქრობს არათუ უბრალო მკითხველი, არამედ, ჩვენდა სამარცხვინოდ, ზოგი კრიტიკოსიც კი. მაგრამ ეს აზრი, ეს შეხედულება უსაფუძვლოა და შეუწყნარებელი, რადგან სიმართლეს მოკლებულია და ყალბი. გავარკვიოთ, საიდან წარმოსდგება, სად იმარხება ძირითადი მიზეზი ალ. ჭავჭავაძის ჭმუნვისა.

ალ. ჭავჭავაძის ჭმუნვა შედეგია მისივე მგრძნობელობისა. საქმე ის არის, რომ კაცი, რომელიც გრძნობის გამყოლია და გულისთქმათა დაკმაყოფილებას მისდევს, მოჯადოებულია გრძნობით, სურვილთა ამ ლით და მოწადინებულია, უფრო ღრმად ჩასწვდეს ამდაგვარ სიტკბოებას და უკანასკნელი წვეთი ნექტარისა ამოწუწნოს, ამიტომ აქ სურვილი უფრო ძლიერდება, წყურვილი მუდამ დაუკმაყოფილებელი რჩება. ამგვარ მდგომარეობის სინამდვილეს თვით ალ. ჭავჭავაძე გულწრფელად აღიარებს.

ერთგზის ხელმან შემბრალემან ტრფიალებით მწყურვალესა
მომცა ღალის ფიალა და მრქვა: ნუ სწუხარ, შესვი ესა!
ბევრ ხარბათ დაეწაფა მის შარბათსა საამესა,
მაგრამ წყურვა არ თუ მოსპო, უფროს გამიუღრესა.

რამდენადაც უფრო იკმაყოფილებს კაცი ტრფიალების წყურვილს, მით უფრო უძლიერდება სურვილი, კვლავ დაეწაფოს ამ ტრფიალების ნაკადულს. მაგრამ მოგეხსენებათ, რომ დაკმაყოფილება, წყურვილის მოსპობა აქ ერთგვარია, ძნელია აქ სხვადასხვაობა შეიგრძნო, მრავალფერობა გამოი-

ჩინო. აქ თვით ტრფობის საგნის შეცვლა თუ წარმოადგენს სხვაგვარობას, სიახლეს, თორემ თვით გრძნობა, ამ გრძნობის სიღრმე და სიდიადე, იგივე რჩება. ის კი არა, ბევრჯერ გამეორებული ეს გულის ფანცქალი, ეს გულის ძგერა და აღზნებული გრძნობა ოდნავ მოიშლება, მოდუნდება ხოლმე. აქ კი თავს იჩენს გრძნობის მატლი, მოყირჭება. აი, სწორედ აქ იჩენს თავს ფესვი, ნაკადული ჭმუნვისა, რომელსაც ჩვენი მგოსანი ასე შეუპყრია, ეს ჭმუნვა შედეგია იმ დაუკმაყოფილებელი ტრფიალისა, რომელშიც პოეტმა ვერ შთაბუერა სრულებით თვისი გრძნობა. ეს ჭმუნვა შედეგია მოშვებული, მოყირჭებული მგრძნობელობისა, რადგან, პოეტის სიტყვით, —

> აშიკი ჰხამს იყოს
> ხან მღერით, ხან ტირით.

ალ. ჭავჭავაძე აქ სრულ სიმართლეს აღნიშნავს, რადგან სიყვარულს უეჭველად თან ჭმუნვაც ახლავს. ამგვარ სინამდვილეზე მიგვითითებენ აგრეთვე ადამიანის გულის ისეთი მესაიდუმლენი, როგორნიც არიან უკვდავი შოთა და გრ. ორბელიანი. პირველი ცხადად და აშკარად აღნიშნავს ორმაგობას ტრფობის საქმეში:

> იგია საქმე საზეო, მომცემი აღმაფრენათა.
> ვინცა ეცდების თმობამცა ჰქონდეს მრავალთა წყენათა.

ხოლო მეორე კი აღნიშნავს, რომ, —

> ტანჯვა არს მზრდელი ტრფობისა, დამბერველ ეშხის ცეცხლისა,
> ტანჯვა არს ვალი და მსხვერპლი უზომო სიყვარულისა.

მგრძნობელობის ამ თვისების აღსანიშნავად ალ. ჭავჭავაძემ დასწერა ისეთი საუცხოო, ყოველ მხრივ უნაკლო ლექსი, როგორიც არის „ჭმუნვის მახვილი". არა მგონია, ქართველ კაცს ნება ჰქონდეს, ინტელიგენტის სახელი ატაროს, თუ ეს ლექსი ზეპირად არ იცის. მაგრამ ბევრია ასეთი ჩვენში?!

ჭმუნვა ალ. ჭავჭავაძისა, ტანჯვა გრ. ორბელიანისა და წყენა შოთასი ერთისა და იმავე ხასიათისაა. ხოლო არც ერთი არ წაგავს სკეპტიკურ ურწმუნოებას, სულის ობლობას. ჭმუნვა შედეგია ტრფობისა, მასთან განუყრელია. ეს გრძნობა კი, ეს აზრთა და გრძნობათა მოხაზულობა ისე მუდმივი როდია.

ეს ჭმუნვა გაივლის, დროებით დაწყნარდება, თუკი საგანი ტრფობისა მოახლოვდა, თუ ამ საგანმა, ეშყის აღმძვრელმა სასმენი კარნი ჩვენთვის განაღო და ისმინა ენა, რომელიც მისთვის მუსიკობს. სულის ობლობა კი მუდმივი და განუწყვეტელი რწმენაა ადამიანისა და ბუნების შესახებ. ეს სულის ერთგვარი ვითარება მონოიდეურია და მით შეპყრობილს მარადის არ შორდება ღრმა რწმენა, რომ ყველაფერი კაცთა ცხოვრებაში ამაოა, რადგან ვერ სწვდება სინამდვილეს არსებობისას, რეალობისას, თვით სულის საგანთა და მოვლენათა პირველი შედეგია გადაჭარბებული მგრძნობელობისა, ხოლო მეორე გადაჭარბებული გონიერებისა, თუკი შეიძლება ასე ითქვას.

ჩემი საქმე არ არის, გავარკვიო ამჟამად, რომელია ამ სულის ორგვარ ვითარებათა შორის კარგი ან უმჯობესი, უაღრესი მნიშვნელობისა ან უმცირესი ფასისა. ის კია, რომ მგრძნობელობას როდი აქვს ისე ვრცლად გადაშლილი სარბიელი; მისი სამთავრო იმ სიდიდე როდია, რომ მისმა ამყოლმა მარადის დაიტკბოს სულის სხვადასხვაობით, სიახლით. გარდა ამისა, სიტკბოება რომ იგრძნო აქ, საჭიროა მეორე არსება შენებრ აღგზნებული, რომელსაც შენებრ „ეშყის ალში ჰქმნია მურვა". ეს კი ხშირად მოუხერხებელი და მიუწვდომელია.

უკეთეს მდგომარეობაშია გონებისა და ფიქრის ამყოლი ადამიანი, რადგან იგი სრულებით დამოუკიდებელია და თავისუფალი. აზრის, ფიქრის სამთავრო ფარგალშემოუკლებელია, შემოუზღუდავი. არავისზე არა ხარ აქ დამოკიდებული. ამიტომ სხვადასხვაობა, სიახლე მარადის სრულებით და მხოლოდ დამოკიდებულია საკუთარ ნიჭიერებაზე, საკუთარი სულის მადლზე. ისიც არის, რომ ამგვარი სიახლე როდი დაატკბობს ხოლმე ისე ღრმად, ისე ძლიერად ადამიანს, რა სიღრმითაც შეატოკებს ხოლმე მთელ არსებას ადამიანისას ახალი გრძნობა, ახალი გულის ძგერა, და გულისთქმა. უეჭველია, დიდი და ღრმა იყო სიტკბოება, კმაყოფილება სირაკუზელი მათემატიკოსისა, როცა აღტაცებით წამოიძახა „ევრიკაო", ერთი ცნობილი კანონი რომ აღმოაჩინა. მაგრამ საზოგადოდ კი მგრძნობელობა უფრო ღრმად მიიღებს ხოლმე სიმწარესაც და სიტკბოებასაც. ვერაფერი შეედრება იმ სიმწარეს, რომელსაც იგრძნობს ყოველი ჩვენგანი როცა ტრფობის საგანს ჰკარ-

გავს. ფიზიკის ტერმინებით რომ გამოვსთქვა, ვიტყვი, რომ მგრძნობელობის ზვირთი მოკლეა, ხოლო გახშირებით მტოკავი და ჩქარი მსრბოლავი. ამპლიტუდა ამ ზვირთისა დიდია, ხოლო გონიერების ზვირთი გრძელია, ნელა მტოკავი და ამპლიტუდა მისი მცირეა.

როგორც ვხედავთ, მგრძნობელობის განუყრელი თვისებაა ჭმუნვა. ამავე მგრძნობელობის ნიშნობლივ თვისებას შეადგენს აგრეთვე თავდავიწყებაც. გრ. ორბელიანი გვასწავლის, რომ სიყვარული არს თავის დავიწყებაო. თავის დავიწყებას კი ბევრ რიგად, ნაირად მიაღწევს ხოლმე კაცი. სხვადასხვა გკარი თავის დავიწყების ჩამოთვლა ახლა ჩვენთვის საჭირო არ არის. აქ აღვნიშნავ მხოლოდ ერთგვარ თავდავიწყებას, რომელსაც ასე ხშირად მიმართავს ხოლმე ის, ვისაც გული ტრფობის ალით არის აოხრებული. ეე მოგახსენებთ ლოთობას, მთვრალობას, რადგან, როგორც ალ. ჭავჭავაძე გვიდასტურებს, "ლხინნი არიან კოდილის მრთელებელნი".

მთელ დედამიწის ზურგზე ერთადერთი ცხოველი ადამიანია, რომელიც მ:ორობელ სასმელსა სვამს და მით დროებით თავდავიწყებას ეძლევა. სვამს ყოველი ადამიანი, ყოველი ხალხი, სადაც უნდა ცხოვრობდეს იგი, პაპანაქება სიცხიან ადგილებში, გინდ ყინვით დაზრულ მიდამოებში, ეკვატორზე, გინდ პოლუსზე. სვამს, მთვრალობს კი ადამიანი იმიტომ, რომ უბედურია. დღეს ეთნოგრაფიულმა სოციოლოგიამ გადაჭრით დაგვიმტკიცა, რომ მთვრალობას, ლოთობას უფრო ძლიერ ეტანება ველური და ბარბაროსი ხალხი. რამდენადაც მცირეა განათლება ადამიანისა, რამდენადაც განუვითარებელია საზოგადოება და მოუწყობელია მისი საქმენი, მით უფრო უბედურია ადამიანი, მით უფრო მისდევს ლოთობას. კულტურისა და ცივილიზაციის ზრდასთან ერთად, საზოგადოებაში წესიერება, რიგი იკიდებს ფეხს, ადამიანური ურთიერთობა ვითარდება, ამიტომ ადამიანის პირადი და საზოგადოებრივი ცხოვრებაც უმჯობესდება, ფაქიზდება. ადამიანსაც ებადება განმაკეთილშობილებელი ფიქრი, სურვილი და მისწრაფება. ამიტომ იგი თავის ხანმოკლე სიცოცხლეს ყოველ ამას ანდომებს და ლოთობას აღარ უწილადებს. ამიტომ ასეთ საზოგადოებაში ლოთობა და მთვრალობაც ძალზე კლებულობს. აქ ჰავას, გეოგრაფიულ მდებარეობას ადგილისას სრულებით მცირე მნიშვნელობა და გავლენა აქვს. მაგრამ ხშირად

ისე მოხდება ხოლმე, რომ სხვისგან დაპყრობილი და დამონებული ხალხი, ერიც, რომელსაც ძალზე შეავიწროებს გარეშე მოქმედი ძალა, განადგურებას მიეცემა ხოლმე და გადაგვარების გზას დააღგება. ასეთი ერიც მთელი თვისი არსებით უბედურია. ამიტომ ყოველი დამონებული ერი, რა მაღალ საფეხურზეც უნდა მდგარიყოს დაპყრობის ჟამს, შემდეგ მაინც ლოთობას მიჰყოფს ხელს, მთვრალობას იწყებს.

მაშ ასე, ლოთობა უბედურებისა და კერძო თუ საზოგადოებრივი ცხოვრების მოუწყობელობის შედეგია, მით არის გამოწვეული; ამიტომაც ლოთობა, მათრობელი სასმელის სმა, მგრძნობელობა თან განუყრელია, რადგან მგრძნობელობა, ტრფიალება ადამიანს განუწყვეტლივ როდი აკმაყოფილებს, ჭმუნვას ჰგვრის, რომელიც არ აჩენს გარეთ ნიშანსა, შიგნით კი გულს აოხრებს. ამ აოხრებული გულის სანუგეშოდ და დაუკმაყოფილებელი ადამიანიც, ამით უბედური, დალევს ხოლმე და მაშინ არის, რომ შემოსძახებს ალ. ჭავჭავაძის „ლოთებო, ნეტავი ჩვენა!“

აი, ასე სრული სიმართლით, ასე მწყობრად აქვს ალ. ჭავჭავაძეს აღწერილი და ნაჩვენები ყოველი მომენტი ეშყისა, ყოველი ელემენტი ტრფობისა. მერმე ისეთი ძლიერებით და გარეგანი მშვენიერებით აქვს აღწერილი, რომ ბადალი არ მოეპოვება. და აქ სჩანს სწორედ მისი დიდი ნიჭიც, მისი ძლიერი მგრძნობელობაც და ამითვე განიზომება მისი მნიშვნელობაც ქართულ მწერლობაში. მაგრამ სწორედ ეს მნიშვნელობა არ სწამს ზოგ ჩვენს სეკტანტს, რომლის თვალში ფასი მწყობრად, თანდათან გატარებულსა და განვითარებულ აზრსა და გრძნობას კი არა აქვს, არამედ აგერ-ეგერ ამონაგლეჯ ფრაზებსა და ძალად შეხანხლულ გრძნობას, მაგრამ ამგვარ სეკტანტთა „კბილთ ღრჭენა“ საზიანო არავისთვის იქნება.

4

ალ. ჭავჭავაძის ჭმუნვას სარჩულად მგრძნობელობის გარდა სხვა მიზეზიც უდევს. ჩვენს თავს დამნაშავედ ჩავთვლით და მგოსნის ხსენებასაც უდანაშაულოდ ჩრდილს მივაყენებთ, თუ არ გავარკვევთ და მკითხველს არ ვუჩვენებთ მეორეგვარ მიზე-

ზსაც, მეორენაირ სარჩულს, რომელიც ალ. ჭავჭავაძის ქმუნვას ამოფარებულია. პირველად კიდეც გაიოცებს მკითხველი, თუ ვუთხარი, რომ ალ. ჭავჭავაძის ქმუნვას სარჩულად უდევს მისი ერის უბედური მდგომარეობა და პატივაყრა, ამას არ დამიჯერებს მკითხველი, რადგან სრულებით სხვაგვარი აზრია გავრცელებული, ის აზრი, რომ ალ. ჭავჭავაძე არცთუ რას ფიქრობდა სამშობლოს ბედზე და მას ვითომც არც ერთხელ არ ჩვენებია სული მაცდური, რომელსაც იგი არ განეცადოს და არ ეგრძნობიოს საკაცობრიო სევდა გულისა, სულის მქეჯნავი ურწმუნოება და არ ჩაეწვეთებიოს აზრი, ადამიანის ცხოვრების არარაობის შესახებ. ვნახოთ.

აქ მთლად ამოვწერ ერთ მცირე ლექსს, რომელიც ჩემს აზრს ერთბაშად ცხადჰყოფს. მკითხველთან კი ბოდიშს ვიხდი, რომ ასე ხშირად და ამდენი ციტატი მჭირდება. უნდა მაპატიოს, ცოტა არ იყოს, განზრახაც მომდის ეს. მინდა ალ. ჭავჭავაძის სიტყვებითვე გამოვთქვა ჩემი აზრი, მსურს, მკითხველმაც გადაიკითხოს ჩემთან ერთად ალ. ჭავჭავაძის მშვენიერი ლექსები. მერწმუნეთ, ეს დროის უბრალოდ დაკარგვა არ იქნება. მგოსანი თავის ოცნებას ესაუბრება:

ეჰა, ჩემო ოცნებავ, კვლავ რათ წარმომედგინე,
და დასი მცნობთ ჩვენებათ უბრალოთ რათ მომფინე?
რათ მიჩვენებ სახესა წარსულთა მათ ნუგეშთა,
ერთხელ ჩემის სიცოცხლის ნაზათ დამატკბობელთა.

როგორც მკითხველი ხედავს, აქ ცხადად და გარკვევით არის ნაჩვენები, თუ სად არის მიზეზი მგოსნის ოხვრისა. მგოსანს სევდას ჰგვრის, ცრემლს აფრქვევინებს წარსულთა ნუგეშთა მოგონება. უნდა, მსურველია, წარსულისა სიცოცხლის ნიავმა კვლავ დაჰქროლოს და მით სიტკბო განუახლოს. და თუ ამ ცხოვრების და ნუგეშის მობრუნება შეუძლებელია, მგოსანს ხსოვნითღა უნდა დაიტკბოს წყლული გული. აქ. ალ. ჭავჭავაძე იმასვე ამბობს, რაც მის შემდეგ ორმა ჩვენმა დიდებულმა პოეტმა თქვა. ერთმა სასოწარკვეთილებით წამოიძახა: „თუ არ სიზმრით, მაშ, რით დასტკბეს უიმედო სიყვარული“, მეორე კი, ამა ცხოვრებით იმედგაცრუებული „უცხო მხარეს ოცნების სამთავროში. სიზმარეთში“ დაუწყებს

ძებნას! ჩვენი ერის ცხოვრებაც სწორედ ისე მოეწყო და იმ გზას დაადგა, რომ ჩვენი ერის შვილიც დაკმაყოფილებას და სიტკბოებას მხოლოდ სიზმარეთში თუ მოიპოვებს... ამ გარემოების ბრალია, რომ ჩვენს პოეზიასაც წარსული საუკუნისას სიმწარე შეერია, ამისავე ბრალია, რომ წარსული საუკუნის პოეზია იწერება ისეთი მელნით, რომელიც წარმოადგენს ცრემლში ნალეს ნაღველს. ეს სევდა პირველად წარსული საუკუნის პოეზიაში იჩენს თავს. წინათ ეს სევდა და ოხვრა უიმედო სიყვარულისა ჩვენმა პოეზიამ არ იცოდა. არ იცოდა კი იმიტომ, რომ იგი ეებათა ქება იყო და ლაღადყოფნა არსებულის, მისთვის დასანახ საზოგადოებრივი ცხოვრებისა, რომელიც იმჟამად სდუღდა და გადმოდიოდა. ასეთ ოდგომარეობაში მყოფი მგოსანი სამგლოვიარო ხმაზე ჩანგს არ ააჟღერებდა, რადგან ყოველ საკუთარ ძარღვში სიცოცხლის ნაკადულს ჰგრძნობდა და გარშემო ნეტარებას ხედავდა; ამ სამხიარულო ხმაზე ჟღერდა მუზა შოთასი. ეს მუზა, სავსე სიცოცხლით, ნაზი, ნარნარი ქალწული იყო, რომელსაც ჯერ როდი განეცადა საწუთროს ვნება. სალხინო ჰანგი შოთასი „წყენას“ ხმარობს. იქ, სადაც სევდანაკრავი ალ. ჭავჭავაძე „ჭმუნვას“ იხმარს, გრ. ორბელიანი კი „ტანჯვას“. მაგრამ ეს განსხვავება წინა საუკუნეებისა და მეცხრამეტე საუკუნის პოეზიის ხასიათთა შორის აღნიშნული აქვს თვით აკაკისაც. მაშინ, როცა მეცხრამეტე საუკუნის მგოსანი „საერო კვნესით მარად გულმოკლულია“.

> სამხიარულო, სალხინო ხმებით
> სამოოხით იყო რუსთველის ქნარი,
> და ჩემი მხოლოდ სამარის კარზე
> ეღერს... ის ეღერაა მოთქმა და ზარი.

თუკი ეს არის ნიშნობრივი თვისება მეცხრამეტე საუკუნის ქართული პოეზიისა და აკაკიც არ ცდება. უნდა გულწრფელად ვაღიაროთ, რომ ალ. ჭავჭავაძე პირველი იყო, რომელმაც ეს ახალი მოტივი შეიტანა ჩვენს პოეზიაში, განიცადა რა დროისა და ჟამთა ვითარების ზეგავლენა.

ჩვენი მგოსანი ხშირად იყო გადახვეწილი სამშობლოდან და ყარიბად მცხოვრები. ეს გარემოება კი ხშირად მოაგონებს ხოლმე მშობელ მხარეს მის ბუნებრივ მშვენიერებას და იქ

დარჩენილ მოყვასთ, თვალდამტირებთა. ყარიბად მცხოვრები, უცხო მხარეს გადასვეწილი, თავის თავს ლეშს ადარებს, „ჯერეულ ნორჩ ხანში უცხო ხალხში ოდესა ვრბოდიო“, „არა ვარ მცირე, დასამცირე, ამას ვამბობდიო“ და ამით თავი მომწონდაო. მაგრამ შემდეგ „დაუხვალმა დაჰქროლა ქარმან“ და იგი არა ერთხელ სამშობლოდან გასტყორცნა. უცხო მხარეს ლეშად გდებული იგი ოცნებით წარმოიდგენს სამშობლოს არემარეს და იმითღა იბრუნებს სულს, იმაში ჰპოებს სრულ ნუგეშს მტირალი, რომ „წარმოუდგების კეთილ დღეთა შვებანი განვლილი“ მაშინ, როცა მას „დამაშვრალ თვალთ ძილი ეცემა. ვით ღრმად მორწმუნე ადამიანი ლოცვაში გამოხატავს სასოებას, ისე ჩვენი მგოსანიც სასოებს, რომ კვლავ იხილავს მშობელ მხარეს:

ნეტა ხილეა როს უკე მეღირსოს ელისეს ველთა.
მუნ ვიხარებდე, ეიქარვებდე განვლილ ჭირთ მწველთა,
მოელოთა სუნსა მოსასურნსა ეუნოსვიდე მრთელთა,
ეხედვიდე ყოველთა განხარებულთ კეთილთ მდღეველთა!

მგოსანს დაუხვალმა დაჰქროლა ქარმა და იგი შეპგესლა შეუწყალმა, სახე საზარმა. იგი ადგილსა, მამულს მოაშორა და მარტოდმარტო დააგდო. ასეთ მდგომარეობაში ჩავარდნილს სულის სიღრმიდან სრული გულწრფელობით მგოსანს წამოცდება, რომ, —

ნწეა მხოლოობამ, ხელმქნა გრძნობამ, მტირალ მყო ღმობამ,
შემიცვა გზნობამ, მოყვასთ თმობამ, უხილველობამ

დრომ დაუდგრომმან იგი მოყვასთ აშორა. ამიტომ ამ მოყვასთ სთხოვს, გახსოვდეთ, რაც უნდა შორს ვიყო, რადგან მეც თქვენს ხსოვნაში ამომდის სულიო. კარგად ვიცი გამოცდილებით, რომ „ფასი მოყვასს შორის ჟამს მრჩობლად ედებისო“, და მე „პყრობილს თქვენდამი ერთგულება გულს შემეხორცაო“. „მეცნათაგან (ნაცნობთაგან) შორს ქმნის იძულებული“ მგოსანი გულაჩუყებულ მამულიშვილივით გულამოსკვნით სტირის:

აწ ჰხამს ვესალმოდე მიწასა, წყალსა,
ოხვრით ეაფრქეევდე ცრემლს დაუთვალსა.

ასე გულნატკენია ჩვენი პოეტი სამშობლოს განშორებით. ეს კი უეჭველად იმის მაჩვენებელია, რომ პოეტის გულში შთანერგილა სიყვარული მამულისადმი. ავად თუ კარგად მაინც აქ, ამ მამულის მიდამოზე უნდა სიცოცხლე და სიხარული, სხვაგან ყოფნა არ აკმაყოფილებს სევდასა ჰგვრის და გულს უწყლულებს, რადგან უცხო მხარეს მყოფი იგი ლეშს წარმოადგენს, მეტს არაფერს.

მაგრამ გარდა მამულის სიყვარულისა და წარსული ცხოვრების მოგონებით გულდათუთქულობისა, ჩვენს მგოსანს ოხვრით აკვნესებს და ცრემლებს აღვრევინებს კიდევ სხვა ბოღმა, სხვაგვარი სევდა გულისა. მისი გული დაუსერავს აგრეთვე საკაცობრიო სევდასა, რომ ადამიანის ცხოვრება დაუდგრომელი, წარმავალი და ცვალებადია. მართალია, ჩვენს მგოსანს „სულის ბოროტო“ არ დაუწერია, მაგრამ იმასაც თანამედროვე მგოსანივით, სჩანს, მოხვედრია ბოროტი სულის „ხელი მსახვრალი“. მგოსანი გულმოკლულია იმ შეგნებით, რომ ამა სოფლისა დიდი და მცირე არც ცვალებისა მცირე. კაცთ უბედობა დიაღ სატირალია. სატირალია ეს სოფელი და მისი მდგმურნი იმიტომ, რომ ბოროტებისა და სიცრუის ქვევრნი არიან და მდაბალთ ჩაგვრით, მტაცებლობით და ხვეჭით ატარებენ დროებას. ამ ლექსში გარკვევით არის აღნიშნული და ჩამოთვლილი, რომ ამა სოფლისა ცხოვრება სათვალთმაქცო და თვალისსასეიროა. საგულისხმოა, რომ ამ ლექსში ალ. ჭავჭავაძე გამოთქვამს იმავე აზრს მეფეებსა და სახელმწიფოებზე, რა აზრიც გამოთქმული აქვს ნ. ბარათაშვილს ლექსში: „ფიქრი მტკვრის პირას“. მგონია, რომ ეს უბრალო და შემთხვევითი გარემოება არ არის, რადგან სხვაგანაც შეხვდება გულღადებული მკითხველი ერთნაირ აზრსა და შეხედულებას ალ. ჭავჭავაძისა, გრ. ორბელიანისა და ნ. ბარათაშვილის ნაწერებში. ეს გარემოება საგულისხმოა იმითაც, რომ ცხადად გვიჩვენებს, რომ დროსა და გარემოებას სამივე მგოსნისთვის თვისი ბეჭედი დაუსვამს, თუმცა ისინი ასე სხვადასხვაობენ. ეს კი იმის მაჩვენებელია, რომ იმათ ერთგვარი აზრი უტრიალებდათ თავში ამა თუ იმ მოვლენის შესახებ. და ჩვენი მგოსნები, არათუ მარტოოდენ ტკბილი მღერალნი იყვნენ, არამედ იმავე დროს მოაზრენი და პუბლიცისტებიც ყო-

ფილან, რადგან საზოგადოების დასაშოშმინებლად ცხოვრების მოვლენის შესახებ გამოთქვამდნენ გადაწყვეტილს, გადაჭრილ აზრსა და შეხედულებას... ამ ლექსში ალ. ჭავჭავაძეს შორსმჭვრეტელობა ცხადად სჩანს, იგი უტყუარი ჭეშმარიტებით აღიარებს რომ, —

> რომელნიც ამწარებთ ღარიბთ ცხოვრებას
> და სთხოვთ ურცხვად, უსამართლოთ მონებას,
> მოელოდდეთ მათთან თანასწორებას.

სიტყვას მოაქვს და აქვე აღვნიშნოთ, რომ ალ. ჭავჭავაძე მოქალაქეობრივი გრძნობით ყოფილა აღვსილი და წინაალმდეგი ბატონყმობის სასტიკობისა და ადამიანთა საზიზღარი ურთიერთობისა. თუ გნებავთ, ჩვენს მწერლობაში ეს ერთადერთი მარგალიტია და წინამორბედი შემდეგი თაობის აღტყინებულისა და აღფრთოვანებულის გრძნობისა, იმ გრძნობისა, რომელიც ნეტარების ჟრუანტელს განიცდიდა ხოლმე, ხალხთა ბორკილის მტვრევის ხმა რომ ესმოდა. ეს შეხედულება ცხადად გვიჩვენებს იმასაც, რომ ალ. ჭავჭავაძე ფრიად განათლებული კაცი ყოფილა და ამჩნევია გავლენა საფრანგეთის მე-18 საუკ. ლიტერატურის თავისუფალი შეხედულებისა და აზროვნებისა...

მაგრამ ალ. ჭავჭავაძეს ღრმა სევდიანობა, სევდიანობა ნამდვილი, საკაცობრიო, უფრო მკაფიოდ არის გამოთქმული ლექსში. „გოგჩის ტბა". განათლებული კაცი, მამულიშვილი გულდათუთქულია მით, რომ ადამიანის ცხოვრება არარაობას წარმოადგენს, მეტს არაფერს. ეს ლექსი ისე დიადია, ისე მშვენიერია ყოველი მხრით, რომ ღირსია ცოტა ხანს დავაკვირდეთ. ეს ლექსი საკაცობრიო მოტივზეა აგებული. იგი თამამად შეგვიძლია დავუპირდაპიროთ ნ. ბარათაშვილის „ჩემს მერანს". ერთიცა და მეორეც საზოგადო, საკაცობრიო მოტივით არის სულჩადგმული. ერთიც და მეორეც შეგვიძლია, მსოფლიო ლიტერატურაში გადავიტანოთ და თავიც მოვიწონოთ.

მგოსანი აგვიწერს გარეგან მშვენიერებას გოგჩის ტბისას, რომელიც ხან ზღვისებრ ზვირთებს აღელვებს, ხან კი უწყინარი, მშვიდი და ანკარაა. ამ ტბის გარშემო კი თვალთ წარმოუდგებათ „საგლოვო ნაშთნი შენობათ კვლავ ეროვანთა". აი,

ეს ნაშთნი აღუძვრიან მგოსანს ფიქრსა და ზრახვას, და იგი თვალმიშტერებით წარსულს ჩასცქერის და ამ წარსულიდან ამოაჩენს ხოლმე სხვადასხვა სანახაობას. აქამდი შთენილი კამარა გვარწმუნებს, რომ წინათ აქ ტაძარი ყოფილა, სადაც მეფეთ მუხლი უდრეკიათ მოწიწებით. დღეს კი იქ პირუტყვი, ნადირი ან მხეცი თუ დაიჩოქებს. გოგჩის ტბის გარშემო ქალაქი ვრცელი და მდიდარი ყოფილა წინათ გაშენებული და იქ ვაჭრობა, წარმოება ყოფილა გაჩაღებული. იქაც ჭაბუკნი თავს ირთობდნენ ტაიჭთა სრბოლით. ამ ქალაქში მჯდარმა „ძალი მაღალს ტახტსა ამაყად, წყალობითა და რისხვის ფრქვევით მმართველი ერთა“. დღეს მიყრილ-მოყრილი ქვანი წინათ „ურთიერთთანა კავშირობით ამაღლებულან“. ასე დიღი და მშვენიერი განწყობილება ყოფილა წინათ გოგჩის ტბის მიდამოებში. დღეს კი აღარ არის, რადგან,

დროსა მუსერელის ცელით, ყოველთა წარწყმედით
ციურთა მჯობი მშვენებლობაც სხვათაებრ მოსთელის.

ეს სანახაობა აწინდელთა და მოგონება წარსულისა ჭმუნვით უვსებს გულს მგოსანს და იგი სრულ სასოწარკვეთილებას ეძლევა;

უდაბურება, მჩუმარება, არარაობა
თვალთა და გულსა კაცისასა სევდით ავსებენ.

ეს ლექსი ისეთი დიდებულია, ისეთი მშვენიერი და ყოველი ღირსებით შემკული, რომ საკვირველია, რატომ ასეთი განძი ჩვენი საერო პოეზიისა შეტანილი არ არის ქრესტომატიაში, მოთავსებული არ არის მოზრდილ ყრმათათვის საკითხავ სახელმძღვანელოებში, როგორიც არის „ბუნების კარი“. საკვირველია!?

ხომ ასეთი ჭმუნვით არის შეპყრობილი ალ. ჭავჭავაძე, ხომ ასე დასერილია გული მისი თუ უიმედო სიყვარულით და თუ ადამიანთა ცხოვრების არარაობით, მაგრამ ამის მიუხედავად იგი ცხოვრებაზე მაინც ვაჟკაცური შეხედულებისაა. მას გული არ გასტეხია და ღრმად სწამს, რომ ცხოვრება განვითარების გზას ადგა. ამიტომ ადამიანი უნდა კარგ მომავალს მოელოდეს: მას კარგი დარი უეჭველად დაუდგება.

უწყოდეთ ესე ცნობა მყარითა,
რომ დრო მოგვიალსთ კეთილ დარითა.

მართალია, ზამთარი აზრობს ყვავილთა, მაგრამ ამის მიუ-ხედავად დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ ამ ყვავილთაგან ჯერ არს ველოდეთ ხილთა პირველებთ ტკბილთა, რადგან „ეს არს ზნე დროთა სიარულისა“.

საპყრობილეში პატიმრად პყრობილი, იგი უიმედობას არ ეძლევა და სასოს არ წარიკვეთს, რადგან ბეჯითად იცის, რომ „ჟამი, გულთ მაამი კვლავცა იქნების“.

ამგვარივე საღი შეხედულება აქვს ცხოვრებაზე ნ. ბარა-თაშვილსაც. ამ ობოლ სულს. ამ მხრივ ორივე ჩვენი დიდე-ბული მგოსანი ღვიძლი შვილია ჩვენი მრავალგზის წამებული ერისა. ჩვენი ერის ოდენა ტანჯვა და ვაება სხვა ხალხს არ გამოუელია, არ განუცდია. მაგრამ ჩვენი ხალხი მაინც წელში არ გაწყვეტილა, უიმედობასა და უილაჯობას არ მისცემია. ჯერ ქართველი ვერ დაუმონებია ბედისწერას. ჯავრს არ ნებდე-ბა ჩვენი ხალხი, სასოებას არ ჰკარგავს. იგი მხნე ვაჟკაცივით გაიძახის:

ჯავრო, არ მოგცემ ნებასა,
გულო, არ დაგამავებო,
მტერო, არ შეგეპოვები,
ხმალო, შენ გაგაფხავებო!

და აი, აქ არის სწორედ ნუგეში. ჩვენი საიმედო მომავლი-სა, რადგან, თუ ჩვენი ხალხი ჯავრს არ გაექელვინება და ჩვე-ნი ინტელიგენციაც, ამ ხალხის წინამძღოლი, რაღაც მოჭარ-ბებულ პესიმიზმს და უნიადაგო სასოწარკვეთილებას არ მი-ეცემა, მაშინ წინ კიდევ დიდი გზა გვაქვს გადაშლილი, დროც საკმაოდ ჩვენს ხელთ არის და, გრ. ორბელიანისა არ იყოს.

გულს სიყვარულით, ხელს ხმალით რას არა აღვასრულებ-დეთ.

5

დამრჩა კიდევ აღსანიშნელი ერთი თვისება ალ. ჭავჭავაძის პოეზიისა. მინდა ამ თვისებას ალ. ჭავჭავაძის ქნარისას ცალ-კე თავი ვუძღვნა, რადგან იგი თვისება მიჩნეული არ არის. ის კი არა, მნიშვნელობას უფრო ხშირად გრ. ორბელიანს მიაწერენ ხოლმე. ჩვენში აქსიომად არის აღიარებული, რომ

საქართველოს ბუნების მშვენიერება და ამ ბუნების მრავალფეროვანი მოხაზულება პირველად აღწერილი აქვს მარტოოდენ გრ. ორბელიანს. ეს აზრი გავრცელებული და შესისხლხორცებული გვაქვს.

ეს აზრი სრულიად შემცდარი აზრია. ამიტომ სავალდებულოა, სიმართლე, ჭეშმარიტება აღვადგინოთ. რასაკვირველია, წინააღმდეგი არ ვარ და არც ვიქნები, რომ გრ. ორბელიანი დიადი პოეტია და რომ მას უაღრესად აქვს მინიჭებული მადლი ციური. მე მსურს მხოლოდ სინამდვილე აღვნიშნო, სიმართლეს გამოვესარჩლო და პირველობა მივანიჭო იმას, ვისაც მართლა ეკუთვნის. კავკასიის ბუნების სიდიადე, მრავალფერობა, ფერად-ფერადი და საკვირველი სანახაობანი პირველად ალ. ჭავჭავაძემ აღწერა ერთ ლექსში და ისეთი სისრულით აღწერა, რომ მისთვის ამ მხრივ წინ არავის გაუსწრია. ეს ლექსია „კავკასია“. ამ ლექსიდან ცხადად სჩანს, გრ. ორბელიანს არათუ გაუსწრია წინ კავკასიის დიდებულ მშვენიერებათა აღწერაში, არამედ პირწმინდად, სიტყვა სიტყვით განმეორებული აქვს იგივე, რაც ალ. ჭავჭავაძეს. ეს მსგავსება პლაგიატს როდი ნიშნავს. უეჭველია, ორსავე დიდი ნიჭისა და დაკვირვების მგოსანთ ცალ-ცალკე. დამოუკიდებლათ შეუმჩნევიათ ეს სანახაობა და დამოუკიდებლათვე აღუწერიათ, მაგრამ საქმე ის არის, რომ ეს დიდებული სანახაობა კავკასიის ბუნებისა პირველად ქაღალდზე ალ. ჭავჭავაძემ და არა გრ. ორბელიანმა გადაიტანა. აი, თვით ეს ლექსიც. ეს ობოლი მარგალიტი ჩვენი აღწერილობითი პოეზიისა.

> თხემის შეუპოვარს პონტოს ზეირთთ მიმყრდნობი
> და ტურფითა სალითა კასპიისა გამპობი,
> „კავკასი, გოლიათი, წევს შორის ორთა ზღვათა...

როგორც თვით მკითხველი რწმუნდება, ალ. ჭავჭავაძეს პირველს აღუწერია კავკასიის ბუნების სიდიადე, მრავალნაირობა, ბევრგვარობა და სწრაფი ცვალებადობაც ტაროსისა და ჰავისა.

აქვე ვიტყვი ბარემ ორ სიტყვას ამ ლექსის ბოლო ტაეპის შესახებაც.

ალ. ჭავჭავაძე მოგვითხრობს არაგვისა და თერგის ხეობა-

ში გზატკეცილის გაყვანას მამაცი ციციშვილის დროს, და გამოსთქვამს იმ აზრს, რომ ამ გზატკეცილის გაყვანის მეოხებით:

უშვათ ივერელთ სასოება,
რომე მუნით შევიდეს მათ შორის განათლება.

წარსული საუკუნის დასაწყისს ჩვენი ერის დამოუკიდებელი პოლიტიკური ცხოვრება და თვით არსებობა მოისპო, მზრუნველად და მფარველად რუსეთი მივიჩნიეთ. ესეც იყო სურვილი და განზრახულება. მხცოვანი ირაკლი ფიქრობდა, რომ ამით საქართველო დაუსხლტებოდა ხელიდან ისლამის გავლენას, განშორებოდა ზემოქმედებას წინა აზიისას და ევერია, ღვთისმშობლის მმოსავი და ქრისტეს სარწმუნოების აღმსრულებელი, რუსეთის მეოხებით დაეწაფებოდა ევროპის განათლებასაც. ეს იყო საზრუნავი საგანი, გარდა იმ უმთავრესი მოთხოვნილებისა, რომ, რაკი ძლიერ რუსეთს შეაფარებდა თავს, ჩვენი ერი ამით თავს დააღწევდა სპარსელთა და ოსმალთა მიერ გაცამტვერების განსაცდელს და სრულებით აღგვასაც დედამიწის პირისაგან. დიდი და ისტორიული აქტით — რუსეთთან შეერთებით — ირაკლის მტკიცედ სწამდა, მიაღწევდა იმას, რომ ძლიერი რუსეთის დახმარებით გარეშე მოსეული მძლავრი მტერი და მოუსვენარი მეზობლები დაშინებული ეყოლებოდა, შიგნით კი, თვის სამეფოში, სრულებით თავისუფალი და დამოუკიდებელი იქნებოდა მართვა-გამგეობის მხრით. რაკი მტრისაგან მოსვენებული იქნებოდა, შერე შესძლებდა მტკიცედ გადმოენერგა ევროპული განათლება, და მოქალაქეობრივობა დაემყარებია. საჭიროდ არ მიმაჩნია, მოვიყვანო დამამტკიცებელი საბუთები, რომ ირაკლის შეგნებული ჰქონდა ფასი და მნიშვნელობა ევროპული განათლებისა. ეს მკითხველმა უჩემოდაც კარგად იცის. მაგრამ ესე ყოველივე ასე არ მოხდა და ზოგი სურვილი არ სრულდება... ხოლო ის კი უეჭველია, რომ ახალი ვითარების მეოხებით მთელ საქართველოში მყუდროება დამყარდა და გზა გაგვეხსნა გულმოდგინებით შევდგომოდით მყუდრო მოქალაქეობრივ ცხოვრებასა და შრომას. ჩვენი ერიც, თუმცა ნელა, მაგრამ მტკიცედ, ამ ახალი ვითარების შესაფერად ამოქმედდა. ეს ახალი ვითარება კი ისეთი დიდი ფასისა და მნიშვნელობისა

იყო, რომ იმ დროის მგოსანნი ამ მოვლენას არ ივიწყებდნენ და საზოგადოებას, ერს, ახალი წესწყობილებით აღშფოთებულს, ანუგეშებდნენ. მადლიანი გავლენა ამ ახალი წესწყობილებისა აქვს აღნიშნული ალ. ჭავჭავაძეს ზემომოყვანილ ლექსში. მან პირველმა შეიგნო და ღირსეულადაც დააფასა ეს ვითარება და ისევე საზოგადოებასაც აუწყა. ამ ორგვარ მნიშვნელობას ახალი ვითარებისას აღნიშნავს გრ. ორბელიანიც, როცა იმპერატორ ნიკოლოზ პირველი ამბობს „სადღეგრძელოში“.

მტრისა მძლეველსა,
ჩვენსა მფარველსა,
მარჯვენას შენსა განავრცობ ჩვენზე.

ამიტომ ივერია, —

შენვან მოელის,
ითმ ლამპარს სწავლის
კეალათ აღუნთებ ძველათ გამქრალსა!

ნ. ბარათაშვილიც ამ ახალ ვითარებას შეურიგდა და საზოგადოება მით ანუგეშა, რომ „აწ აღარ ერჩის ქართლის გულსა კასპიის ღელვა“, „შავი ზღვის ზვირთნი მოსისხლე მტერთა“ აღარ მოგვგვრიან და ამის ნაცვლად,

სადაც აქამდის ხმლით და ძალით ფლობდა ქართველი,
მუნ სამშვიდობო მოქალაქის მართავს აწ ხელი.

ეს დიდი მნიშვნელობა ახალი ცხოვრებისა კიდეც შეიგნო ქართველობამ და იგი მართლაც ჩაერია მოქალაქეობრივობის ფერხულში, შეუდგა მრეწველობასა და მეურნეობას, დაეწაფა ევროპიულ განათლებას და იდეალად მყუდრო, მშვიდი ცხოვრება დაისახა. მთელი ქართველობა თვის სახალხო პოეტთან ერთად გულწრფელად აღიარებს, რომ, —

ომისა ვაჟკაცობისა გაგრილდა ჩემში ქინია...
ომი არ მიყვარს, სისხლი არა მწყურს,
მიყვარს სიცოცხლე მშვიდი და მდორე.

აი, ასე ერთი აზრისა და შეხედულებისაა იმ დიდი მოვლენის შესახებ ჩვენი სამი დიდი მგოსანი. ეს ერთსულოვნება და ერთგვარი აზრი იმათი დიდი ფიქრის აღმძვრელია...

ალ. ჭავჭავაძის ენა მშვენიერი ქართული ენაა. მოქნილი

და გამომეტყველი, მკვირცხლი და ნაზად მონარნარე. ეს ენა ღრმა შთაბეჭდილებას ახდენს მკითხველზე. ყოველი გრძნობის, ყოველგვარი აზრისა და ფიქრის მთლიანად, უნაკლოდ და ზედგამოჭრილად გამომთქველი კია იგი ენა. აქ ამ ენის მშვენიერებისა და ლაზათის შესახებ ბევრი ლაპარაკი როდია საჭირო, რადგან მკითხველი თვით დარწმუნდება იმ ნიმუშებით, რომლებიც ზევით საკმაოდ მოვიყვანეთ.

ალ. ჭავჭავაძე უაღრესად ნიჭიერი მგოსანია, ზეგარდმო მადლით ცხებულია. მის ლექსთა გარეგანი მოკაზმულობა და მშვენიერება მკითხველს სიამოვნებას ჰგვრის. მისი ძლიერი გულისთქმა, სულის კვეთებამდე მიღწეული, მას საპატიო ადგილს ანიჭებს ქართველ მგოსანთა შორის. საგანი მისი პოეზიისა არის მგრძნობელობა და ამ მგრძნობელობაზე აღმოცენებული სიყვარული, რადგან სიტკბოებისა და სიამოვნების ნიადაგი მხოლოდ ეს მგრძნობელობა არის. ქართველ მგოსანთა შორის ალ. ჭავჭავაძეს პირველი ადგილი ეკუთვნის ეშხის გამოხატვაში, ამ ეშხის სხვადასხვა ფერად აღწერაში. იგი ამ ეშხის სრული და ზედმიწევნილი მომღერალი და გამომთქმელია. ამიტომ იგი მხიარულების აღმძვრელი მგოსანია. მაგრამ, რადგან ეშხი, მგრძნობელობაზე აღმოცენებული, განუწყვეტელი სიამოვნება კი არ არის, არაშედ იგი, ბევრჯერ და ბევრ გზით განმეორებული, განიცდის მოყირჭების გავლენას, ამ ეშხს თან სდევს სევდა, ჭმუნვა. ამიტომ ალ. ჭავჭავაძე „ჭმუნვის მახვილით“ არის განგმირული. მაშასადამე, იგი მხიარულებასთან ერთად ჭმუნვისა და სევდისმომგვრელი და აღმძვრელია. ეშხისა და სიყვარულის მომღერალი, მგრძნობელობის მაღმერთებელი. ალ. ჭავჭავაძე ამავე დროს ჭმუნვის ამყოლია. მგოსანი ყოველ საშუალებას ხმარობს, რომ მგრძნობელობამ თავისი ძალა და ფაქიზი სინარნარე უდროოდ არ დაჰკარგოს, არ გაფერმკრთალდეს და სიამისა და მშვენიერების ხაზს არ გადასცილდეს. ამის მისაღწევად იგი ლხინის მიმდევარია, ამ ლხინის ტკბილი მომღერალია, რადგან დარწმუნებულია, რომ „ლხინნი არიან კოდილის მრთელებელნი“. ამ ხერხით, ამ ლხინის საშუალებით მგოსანი ცდილობს დროებით თავდავიწყებას მიეცეს, ჭმუნვა და სევდა, მგრძნობელობის მოდუნებით, მოშვებით გამოწვე-

·ული, — მოინელოს და უკუაგდოს, რათა ხელახალი ძლიერებით გაეტაცვინოს ამ მგრძნობელობას და მგრძნობელობის პირმშოს ეშხს.

მაგრამ ისიც ცხადია, რომ მგოსნის სევდისა და ჭმუნვის აღმძვრელი არა მარტო მგრძნობელობის მოყირჭება არის, არაშედ ის გარემოებაც და ამ გარემოების ნ.თელი შეგნება, რომ მგოსნის ერი უბედურ მდგომარეობაშია ჩაყენებული და პატივაყრილია. ამას ადასტურებს მგოსნის ერთი ლექსი, რომელიც ამ სიტყვებით იწყება: „ეჰა, ჩემო ოცნებავ!"... გარდა ამისა მგოსანს ჭმუნვას ჰგვრის აგრეთვე საკაცობრიო სევდიანობა, ნაღვლიანობა, ის ღრმა რწმენა და შეგნება, რომ ადამიანის ცხოვრება, კერძო თუ საზოგადოებრივი, დაუდგრომელი, წარმავალი და ძალზე ცვალებადია. ამ აზრს ამოწმებს ლექსი: „გოგჩის ტბა".

განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ის გარემოება, რომ ქართველ მგოსანთა შორის ალ. ჭავჭავაძემ პირველმა აღწერა კავკასიის ბუნების სიდიადე, მრავალნაირი ფერად-ფერადობა და სწრაფი ცვალებადობა. ამის უტყუარი საბუთია შესანიშნავი ლექსი „კავკასია".

ალექსანდრე გარსევანის ძე ჭავჭავაძე დაიბადა ქ. პეტროგრადში, 1786 წ. ნათლია იმისი იყო ეკატერინე დიდი. ალ. ჭავჭავაძე გარდაიცვალა ქ. თბილისში, სამ ნოემბერს 1846 წ. ამ თარიღებიდან ცხადია, რომ წელს შესრულდა 130 წელიწადი დღიდან პოეტის დაბადებისა, ხოლო სამოცდაათი წელიწადი შესრულდა ამა წლის სამ ნოემბერს დღიდან მგოსნის გარდაცვალებისა. მგოსნის პატივსაცემად, ჰქვია ჭავჭავაძის ქუჩა იმ ქუჩას, რომელიც იწყება გოლოვინის პროსპექტიდან, სახალხო თეატრის პირდაპირ, და ადის ზევით, მთაწმინდისაკენ.

1916 წ.

ნიკოლოზ მელიტონის ძე ბარათაშვილი

ნათელი ხარ შენ ნათელის სულისა,
მალხინებელ დაბინდული გულისა.
ნ. ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ი

ბიოგრაფია

ნიკოლოზ მელტონის ძე ბარათაშვილი დაიბადა ქ. თბილისში, 1816 წ. 22 ნოემბერს. დედა ნიკოლოზისა, ეფემია, იყო უფროსი და მგოსნის გრიგოლ ორბელიანისა. ეფემია მშვიდისა და წყნარი ხასიათის ადამიანი იყო, ქართულად კარგად ზრდილი. მამა ნიკოლოზისა, მელიტონი, ყმაწვილობიდან თბილისში ცხოვრობდა. იგი ქართულ ენაზე იყო გაზრდილი და განათლებული, ქართული ლიტერატურის ზედმიწევნით მცოდნე და კარგი მოლაპარაკე, თბილისში იგი ხელგაშლილად ცხოვრობდა. უხვი და პურმარილიანი იყო. მისი სადილები განთქმული იყო თბილისში. იგი მფლანგავი კაცი იყო. მელიტონი, ანჩხლი ხასიათისა და მყვირალა კაცი, აფექტის ამყოლი ყოფილა და ზაფრიანი. იგი თბილისის მაზრის მარშლად რამდენჯერმე იყო არჩეული. სჩანს, იგი პატივცემული პიროვნება იყო მაშინდელ საზოგადოებაში და ნდობაც ჰქონია მოპოებული. მელიტონისას თითქმის ყოველდღე დადიოდა ეგნატე იოსელიანი, მამა პლატონ იოსელიანისა, ჩვენი ისტორიკოსის და ფილოსოფოსისა. ეგნატემ კარგად იცოდა ქართული და სომხური ლიტერატურა. იგი იმჟამად ღრმად მოხუცებული, გაზრდილი იყო მეფის სასახლეში. მას თავისი თვალით ნახული ჰქონდა და განცდილი ირაკლისა და გიორგის დროის საქართველოს საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ცხოვრება. უეჭველია, ეგნატესგან ბევრი რამ საგულისხმო და გაგონილი ექნებოდა ნ. ბარათაშვილს და ეს მონასმენი და გაგონილი მის გულის ფიცარს ღრმად დაეჭედებოდა. იქნება აქ უნდა ვეძიოთ შინაარსი და დასაწყისი პოემა „ბედი ქართლისა“. მელიტონთან დადიოდნენ: მგოსანი და დიდი საზოგადო მოღვაწე ალ. ჭავჭავაძე, ისტორიკოსი

და ფილოსოფოსი პლ. იოსელიანი, ბიძა ნიკოლოზისა მგოსანი და ნიჭიერი მხედარი გრ. ორბელიანი და მწიგნობარი, იმ დროის შესაფერი სამეცნიერო ცოდნის მქონე სოლომონ დოდაშვილი. ამ უკანასკნელის მეოხებით მელიტონის ოჯახისვე ხშირი სტუმრები იყვნენ რუსეთის მთავრობის მიერ თბილისს გადმოხვეწილი პოლონელი მოღვაწენი, მონაწილენი პოლონეთის 1830 წლის აჯანყებისა. პოლონელთა შორის უმრავლესობა ძალზე განათლებულები, პროფესორები იყვნენ. ამ წრეში დიდი დებატები ხდებოდა პოლონეთისა და მაშინდელი საქართველოს პოლიტიკური ცხოვრების ვითარებისა და საზოგადოებრივ განცდათა შესახებ.

სოლ. დოდაშვილისავე გავლენითა და მეოხებით ნ. ბარათაშვილი მონაწილე შეიქნა 1832 წლის შეთქმულებისა; რომელიც მოწყობილი და მომზადებული იყო ჩვენი მაშინდელი ინტელიგენციის მიერ. სული და გული ამ შეთქმულებისა კი იყო სოლ. დოდაშვილი. ამ შეთქმულების დროს ნ. ბარათაშვილიც გაჩხრიკეს, მაგრამ ვერაფერი უპოვეს, რადგან ეს წინდაწინვე იცოდა; მაგრამ ამ გაჩხრეკამ ის გამოიწვია, რომ ნ. ბარათაშვილმა ყოველივე თავისი ნაწერი, რაც კი იმჟამად ხელთ ჰქონდა, ბუხარში შეყარა და დასწვა განურჩევლად. ნ. ბარათაშვილი ორი კვირით მაინც დაატუსაღეს, მაშასადამე, ჩვენ ამ გარემოებით ცხადად შეგვიძლია გავითვალისწინოთ, რომ ნ. ბარათაშვილი იზრდებოდა და ვითარდებოდა მაშინდელ უმაღლესად განათლებულ წრეში. ამ წრეს მის სულიერ მიდრეკილებაზე დიდი და წარუხოცელი გავლენა ექნებოდა. ამასთანავე ამჟამად ჩვენ ისიც დანამდვილებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ გაჩხრეკის დროს ნ. ბარათაშვილი ბევრს თავისი გონების ნაწარმოებს მოსპობდა, ამ ნაწარმოებს იგი შემდეგ აღარც ან ვერც აღადგენდა და ამნაირად, ჩვენ მოგვესპო, ვინ იცის, რა განძი და რაგვარი მადლით აღბეჭდილი ნაწარმოები. ესეც ნიკოლოზ პირველის რეჟიმის მიერ ჩვენი გონებისა და ესთეტიური სალაროდან ამოგლეჯილი საგანძური და მსხვერპლად შეწირული! ამას აშკარად ამოწმებს თუნდაც ის გარემოება, რომ პირველი ლექსი დაწერილია 1834 წლის თარიღით. დაუჯერებელია, რომ ამ წლამდე ნ. ბარათაშვილს ლექსი არ დაეწეროს.

დიდი, გადამწყვეტი მნიშვნელობა იქონია ამ წრემ ნ. ბა-ბათაშვილის განვითარებისა და გათვითცნობიერების საქმეში. მაგრამ ასე ყოველდღიურმა სტუმრიანობამ და ნადიმებმა მე-ლიტონი დაავალიანა, მოხუცებულობისას გაჭირვებაში ჩააგ-დო. ამ უკანასკნელმა გარემოებამ კი ნ. ბარათაშვილიც ძალზე შეავიწროვა, იგი იძულებული შეიქნა სამოქალაქო სამსახურში შესულიყო, თვითონაც ეცხოვრა და ოჯახსაც დახმარებოდა. ამ გაჭირვებამ მის განვითარებასა და სულის სწრაფვას, წადილს ფრთები შეაკვეცა. რადგან სწორედ ამიტომაც, მან ვერ შესძლო უნივერსიტეტში შესვლა და რუსეთის ნახვა, თუმცა ეს სურვილი მასში ძლიერი იყო. „ესთხოვე უნივერსიტეტში მაინც გაგზავნა, რომ თუ შტატსკი ვიყო, ვიყო... არც ეს შემისრულეს. უბედურებისა გამო, მა-მაც ამ დროს ავად შეიქნა და ავადმყოფი ჩემს თხოვნაზე ასე მეტყოდა: შვილო, ხომ ხედავ შენი სახლის გარემოებასო. იქ-ნება მე ვეღარც კი გავაწიო ამ სნეულებასა, შენს სახლს არ უპატრონებო? ამას შემდეგ გულიც აღარ იყო, რომ კიდევ შე-მეწუხებინა მამაჩემი თხოვნით. დავრჩი ისევ ჩემს მამულში: განვწესდი სამსახურში და დავმორჩილდი ჩემს მკაცრ ბედსა, თუმცა ხანდახან ჯავრით დავაპირებ ხოლმე მასთან შებმას: ან ჩემი ბედი და ან ჩემი სურვილის აღსრულება.“

ნ. ბარათაშვილი პირველად კალოუბნის სამრევლო სკო-ლაში სწავლობდა. 1827 წ. ენკენისთვეში კი იგი მშობლებმა შეიყვანეს კეთილშობილთა სასწავლებელში, რომელიც 1830 წელს გიმნაზიად იქნა გადაკეთებული. გიმნაზიაში იგი მუყა-ითად და კარგად სწავლობდა. ფიზიკის მასწავლებელი შეს-ტაკოვი ერთხელ დროებით სადღაც წავიდა. ნ. ბარათაშ-ვილს და ლევან მელიქიშვილს მიანდო, განეგრძოთ მეტეორო-ლოგიური დაკვირვებანი. სჩანს, ენდობოდა მათ, რადგან იცოდა მათი მუყაითობა და მათი ცოდნის იმედიც ჰქონდა. ერთხელ, ნ. ბარათაშვილმა და მისმა ამხანაგებმა გიმნაზიაში კონცერტი გამართეს. სომხებმა კონცერტის მონაწილეები სასა-ცილოდ აიგდეს. ეს ვერ მოითმინა, ვერ აიტანა ნ. ბარათაშვილ-მა და თავის მხრით ამ მკილავების შესახებ სატირა დასწერა. ეს ისეთი მოხდენილი და ბასრი სატირა იყო, რომ საზოგადო-ებაში მითქმამოთქმა გამოიწვია: სასწავლებლის უფროსებმა

ყურადღება მიაქციეს და ტატო (ასე უწოდებდნენ ნ. ბარათაშვილს ყრმობისას) მამას დასასჯელად გაუგზავნეს: მამამ მას ძალზე სცემა. ამის გამო ნ. ბარათაშვილს თამამად შეეძლო ეთქვა, რომ ვაი ნიჭისაგან მჭირსო. სასწავლებელში ნ. ბარათაშვილი იყო მხიარული გუნებისა, მარდი, პირველი მოცეკვავე და ამახანაგთაგან საყვარელი; იყო ცელქი, ძალზე დამცინავი, ჩქარი და ჭკვიანი, ამხანაგებისა და თავისი თავის მოყვარული. სასწავლებელში ყოფნის დროს სულ იმას ნატრობდა, რომ სამხედრო სამსახურში შესულიყო. მაგრამ ეს სურვილი ვერ შეისრულა; წადილი ვერ განიხორციელა, რადგან 1832 წ. თვისი სიანჩხლის გამო კიბიდან გადმოვარდა და ფეხები სამუდამოდ დაიშავა: იგი დაკოჭლდა. უეჭველია, ეს მარცხი დაღს დაასვამდა მის სულის განწყობილებას, რადგან ამ მარცხმა, ამ ძლიერი სურვილის განხორციელების იმედი სამუდამოდ მოუსპო და აღუკვეთა. ეს გარემოება კი მის მგრძნობიარე ბუნებისა და გაღიზიანებული ნერვების პატრონს დაამწუხრებდა და დაასევდიანებდა და „გული სევდითა კრთოლვას“ დაუწყებდა. ამას თვით იგი გვიდასტურებს: „სულ არ მომსვლია ფიქრად სამოქალაქო სამსახური: ჩემი სურვილი იყო ჯარისკაცობა, იგი მზრდიდა მე აქამდი და ახლაც ხანდისხან კიდევ შთამომეპარება ხოლმე გულში“. გიმნაზია დაასრულა 1835 წელს.

გიმნაზიაში კურსის დასრულების შემდეგ იგი თფილისში ცხოვრობდა 1844 წლამდე. როცა იგი მაზრის უფროსის თანაშემწედ იქნა გადაყვანილი ნახჭევანს. ამ ცხრა წლის განმავლობაში დატრიალებდა და დროს ატარებდა ნაცნობთა, მეგობართა და ნათესავთა შორის. იგი იყო მოთეთრო სახისა, პირხმელი, საშუალო ტანისა და სისქისა, თმა წაბლისფერი, ხშირი წარბები ერთმანეთთან გადაღობილი და შავი, ცოცხალი თვალები, ცხვირისაკენ ოდნავ დახრილი. ასეთი სახისა და ტანადობის ადამიანი მაშინდელი საზოგადოების ახალგაზრდა ქალთა ყურადღებას, რასაკვირველია, ვერ მიიპყრობდა, თუმცა სახე საზოგადოდ საგანგებოდ მიმზიდველი, მარილიანი ჰქონდაო, მოგვითხრობს კ. მამაცაშვილი. ამის მიუხედავად, იგი მაინც ძალიან ეტანებოდა ქალთა საზოგადოებას, უყვარდა მათ შორის ყოფნა და დიდ წუთიერ სი-

ამოვნებას განიცდიდა ხოლმე, როცა მანდილოსანთა და ბანოვანთ წაკიდებდა და წააჩხუბებდა. ამას კი ძალიან ინ:ლად ახერხებდა, რადგან ქალთა და ვაჟთა წრის შესახებ ყოველ:ა ჭორი და მითქმამოთქმა იცოდა. მაშასადამე, იმის ერთი გა-სართობი საქმე ეს იყო. ეს გართობა წუთიერი იყო და იმის სულიერი მადლის მოთხოვნილებას არც აკმაყოფილებდა. ეს გრძნობისა და გონების სულ უბრალო, მსუბუქი საზრდო იყო. ეს მხოლოდ გულის ფხანა იყო. ეს მას მარტოხელობისა და სულის ობლობის სიმწარეს ვერ უქარწყლებდა, ვერ უნელებდა. ამას მრავალგზით ამოწმებს იმისი წერილები. მთვარიან ღამეში ყაბახზე მარტოდმარტო დაიარება, ხალისდება მთვარიან ღამეებში მარტო, განცალკევებულად და სასაფლაოზე ფიქრთ ერთვის; თბილისი მისთვის ის ქალაქია, რომელიც უსარგებლოა მისი გონებისა და გულისათვის. იგი ობოლია ამ ქალაქში. იგი წერს: ...„მაგრამ სულ ამაოა ჩემთვის. ეს ღამეც წავიდა, ვითარცა სიზმარი. კიდევ მომნახა ჩემმა ჩვეულებრივმა მოწყენამ. ვისაც საგანი აქვს, ჯერ იმისი სიამოვნება რა არის ამ საძაგელს ქვეყანაში, რომ ჩემი რა იყოს, რომელიც, შენც იცი, დიდი ხანია ობოლი ვარ“.

ამ წრეში და ამხანად ნ. ბარათაშვილის გრძნობა რამდენჯერმე იქნა დატყვევებული და გული ატოკებული. პირველი იმის საყვარელი საგანი იყოო, ამბობს იონა მეუნარგია, ვინმე ნ. ო; შემდეგ, 1837 წ. მისი გული გაიტაცა მებულკე ფრანგის ლაბიერის ქალმა დელფინამ. ამას უძღვნა გრძნობით აღსავსე ლექსი: „ჩემს ვარსკვლავს“, მესამეჯერ, 1839 წ. გული აუტოკდა ალექ. ჭავჭავაძის ასულის ეკატერინეს მშვენიერებით, რომელსაც მიუძღვნა ლექსები: „ხმით მშვენიერით“, „საყურე“ და „როს ბედნიერ ვარ შენთან ყოფნითა“. ჭავჭავაძის ასული ეკატერინე ერთხელ ყოფილა საგინაშვილისას; ეს საგინაშვილი ნ. ბარათაშვილის მამის, მელიტონის დისწული იყო. ეკატერინეს საყურეს მგოსანი აღტაცებაში მოუყვანია და მას იმ საღამოსვე ეს ლექსი — „საყურე“ — თავისი ამხანაგის ლევან მელიქიშვილისას დაუწერია. პირველ ლექსში მგოსანი თხოვს თავისი ტრფობის საგანს, რომ „მგოსნის ყარიბ გულს ესხივმფენაროს“, მეორეში კი მგოსანი ხარბად შენატრის მას, ვინც თვის ბაგეს საყურის ქვეშ დაიტკბარუ-

ნებს. მაგრამ ეკატერინემ არ თანაუგრძნო მგოსანს, იგი მინგრელსკის გაჰყვა. მას შემდეგ კი მგოსანი ტრფობის საქმეში შეიქნა „დაბინდული გულის“ პატრონი.

სანამ თბილისში ცხოვრობდა, ნ. ბარათაშვილი წევრი იყო ახალგაზრდათა და საზოგადო მოღვაწეთა წრისა, რომელიც ასე თუ ისე თავის გულში ატარებდა ნაციონალურ ზრახვათ და ეტრფოდა სამშობლოს ციაგის გაცისკროვნებას. ამ წრის შესახებ მცირეოდენი ცნობა მოგვეპოვება. მაგრამ ეს ცნობა მაინც საკმაოა, რომ გავითვალისწინოთ, თუ ამ წრეს რა გრძნობანი და გულისთქმანი ასულდგმულებდნენ. ეს წრე, საზოგადოდ, ძალიან ვიწრო წრე იყო და მას ამიტომ არ შეეძლო ფართო საზოგადოებაზე რაიმე გავლენა მოეხდინა. ამიტომ ეს წრე ატარებდა მცირერიცხოვან პირთა იმედებსა და მისწრაფებათ. ამიტომ წრის ყოველი წევრის გულისთქმა პასიური იყო, მოქმედება მოდუნებული და მოღვაწეობა ფერმკრთალი. ამ წრეს შინაარსიც ძალიან ვიწროდ შემოფარგლული ჰქონდა. ეს ყოველივე კი შედეგი იყო იმისა, რომ 1832 წ. შეთქმულება თავიდან ბოლოსთანავე შემჩნეულ იქნა და სრულებით მოსპობილი. აჯანყების მონაწილენი კი ექსორიით იყვნენ გაძევებულნი სამშობლოდან. ყველაზე მეტი სასჯელი მიიღო სოლ. დოდაშვილმა. ამ მარცხმა ერთბაშად მოადუნა საზოგადოებრივი მაჯისცემა. ამავე გარემოებამ პასიურობა შთაბერა ნ. ბარათაშვილის წრის ყმაწვილკაცობასა და მოღვაწეთ. მათი ნებისყოფა მოდუნდა და ესენი გულისთქმას ოცნებითღა ინელებდნენ, იკმაყოფილებდნენ. შინაარსითაც ამ წრის ყოველდღიური ცხოვრება მსუბუქი და მჩატე შეიქნა. ამას ცხადად ამოწმებს კონსტანტინე მამაცაშვილის შემდეგი მოთხრობა: „იმ დროს თბილისში არაფერი გასართობელი ადგილი არა გვქონდა. არც კონცერტები, არც კლუბები. ჩვენი დროს გატარება იყო ან ერთად სადილი, ან ერთად საღამოზე ყრილობა. ხშირად მოვიყრებოდით ხოლმე ახალგაზრდა ამხანაგები ხან ნიკ. ბარათაშვილთან, ხან ლევ. მელიქოვთან, ხან სადილად გარეუბნის ბაღებში ჩვენი დროს გატარება იყო: ლაპარაკი მაშინდელ ლიტერატურაზე, სწავლაზე, სხვადასხვა ჩვენს გარემოებაზე... ქართული დარბაისლური მეტყველი ხუმრობა, შექცევა, სიმღერა, ვისაც სურდა

ქაღალდს თამაშობდა, ნარდს, ჭადრაკს. ქაღალდის თამაშობაში ხანდისხან ნიკ. ბარათაშვილიც მიიღებდა ხოლმე მონაწილეობას. მერმე მეგობრული ვახშამი და ვახშმის შემდეგ სეირნობა მთვარიან ღამეს ქუჩებში და ზოგჯერ ბაღშიაც. ხშირად გვქონდა ლაპარაკი ჩვენს წარსულს ცხოვრებაზე. ერთს საღამოს ნიკ. ბარათაშვილის სახლში გადავწყვიტეთ, რომ, რადგან არა გვაქვს ქართული რიგიანი ისტორია, გავიყოთ მეხუთე საუკუნიდან დაწყებული, თითომ თითო საუკუნე აიღო! და შეადგინოს ისტორია იმ საუკუნისა. პლ. იოსელიანს მიანდვეს დაეწერა ძველის საუკუნეების ისტორია ქრისტეს წინათ და შემდეგ მეხუთე საუკუნემდისინ". აქვე უნდა აღვნიშნოთ ის ცნობანი, რომელთაც თვით ნ. ბარათაშვილი იძლევა თავის წერილებში ამ წრის შესახებ. იგი მოგვითხრობს, რომ „თუ ქალაქის ამბავი გინდა, სწორე გითხრა, ბევრი ჭორიანობაა და ჭირიანობა. ორივე ერთია, მაგრამ ჭირი ტყვილია ამ ხელათ და ჭორი კი მართალი: დიდი დაძგერებებია ქალებისა. დიდი აყალ-მაყალი, დიდი ტირილი, დიდი ღამის თევაები, დიდი წვეულებაები ერთმანეთის ჯავრით". „ყაფლანს ვაქი ჰყავს, დიდ ნათვლას აპირებს ხანურათ, თუ[illegible]ცა ხანებმა ნათვლა არ იციან. ჩვენს დიდ პლატონს (პლატონ იოსელიანს) ძილში კატა დასწოლოდა ბაკენბარდზე და ასე გაეთელა, რომ ვეღარას გზით ვერ გაუსწორებია. ეს ერთი ბაკენბარდი ასე გათელილი დარჩა; ვურჩევთ, რომ მოიპარსოს, მაგრამ არ გვიჯერებს. ეს აკლდა მის ფილოსოფიურ სახეს! სხვა, თფილისი ისევ ის ქალაქია, უსარგებლო გონებისა და გულისათვის". ესეც კი არის მიზეზი, რომ რა მოგწერო?.. დედაკაცები ისევ ისინი, ჩვენი ყმაწვილები და ხახვის ფრანტები სულ შემილის ღასაგერად წამოვიდნენ. ქალაქი მე დამრჩა... მოუსვი, ბიჭო! ამისთანა ფართო ოკეანე არც ერთ ხომალდს არ შეხვედრია. „ახლა ცა ახალია, ქვეყანა ახალია და მოდაში ოთხმოცი წლის კაცები არიან".

აქ ნერვები რომ შეათამაშონ, ოდნავ რომ გააღიზიანონ, შემდეგნაირ გასართობს მიმართავენ ხოლმე. ერთხელ ნ. ბარათაშვილმა და ილ. ორბელიანმა სახუმრო დუელი, ხმალში გასვლა მოაწყვეს. უკანასკნელმა გაისროლა თუ არა, ბარათაშვილი მოსხლეტით და ერთბაშად წაიქცა. ორბელიანს შეეში-

ნა, ხომ არ დავჭერიო, და მიეჭრა ფიცხლავ. ბარათაშვილმა შესძახა: ჯიბეში ქიშმიში მაქვს, არ ამომაცალოო. ორბელიანი მხოლოდ ახლა მოვიდა გონს. ამ დახასიათებიდან აშკარაა, რომ ნ. ბარათაშვილის წრის ახალგაზრდობას და მოღვაწეთ ძალიან მცირე ფარგლებით ჰქონია შემოზღუდული საამოღვაწეო ასპარეზი. აქ საზოგადოებრივ საქმიანობას, მართალი რომ თქვას კაცმა, ადგილიც კი არა აქვს, ეს ახალგაზრდობა სულ ტყუილ-უბრალოდ დროს კარგავს და იოლისა და მდარე ღირსების გასართობებით თავს იქცევს. შინაარსი და საქმიანობა ამ წრისა ყოვლად უფერულია. ამ წრის ყოველი წევრი გრძნობს და განიცდის მხოლოდ პასიერ გულისთქმას, იგი მცონარეობს. აქ საქმიანობისა და მოქმედების ნიშანიც არა სჩანს, მოდუნებული ოცნებაა, სამშობლოსათვის ზრუნვისა და ფიქრის მხოლოდ პოტენციალობაა და არა აქტიობა, მოძრაობა. აქ ადგილი არა აქვს მოღვაწეს, ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით, ამიტომ, რომ მოღვაწე უნდა იღწვოდეს ე. ი. უნდა მოქმედებდეს, საქმიანობდეს, თავის გონებითსა, და ფიზიკურსა და მორალურს ძალას, გამჭრიახობასა და ნიჭს უნდა ხარჯავდეს, უნდა ხმარობდეს და ამ ხარჯვითა და მოხმარებით უნდა ქმნიდეს რასმე მატერიალურსა და მორალურ ღირებულებას. აქ კი ეს არ არის. მაშასადამე, აქ ნიჭიერ ადამიანს დარჩენია მხოლოდ ოცნება, მცონარეობა, ჭორთა და მითქმა-მოთქმათა გავრცელება, აყალმაყალის გამოწვევა, ჭკუის ამახვილება მხოლოდ ერთმანეთის დაცინვასა და კილვაში. ამ ნიადაგზე, ამ წრეში მხოლოდ ასეთი დროსტარებით შეიძლება სიამოვნებისა თუ უსიამოვნების. მხოლოდ წუთიერი, წამითი განცდა. დამეთანხმებით, რომ ყოველივე ეს ძალიან მცირე საზრდოა გრძნობის გაფაქიზებისათვის, ჭკუისა და ნიჭის ვარჯიშობისათვის და გონებისა და მონაბერი მადლის ფხიანობისა და გამახვილებისათვის. ამ წრეში, ამ საზოგადოებაში ადამიანის გრძნობას ობი უნდა მოეკიდოს, ნიჭს კი ჟანგი და გონება უნდა დაუჩლუნგდეს. საზოგადოებრივი ცხოვრება აქ იმდენად მოდუნებულია, რომ ეს ცხოვრება უფრო მთქნარება და უსიამოვნო გაზმორებაა და არა ადამიანური საქმიანობა. აქ ჩვეულებრივი ნიჭისა და მადლის მქონე ადამიანი დაიძირება, დაიყვინთება და სრულ უსუ-

სურობას წარმოადგენს. მხოლოდ საოცარი ნიჭისა და გონების სიმახვილის ბრალია, რომ ნ. ბარათაშვილი ამ საზოგადოებასა და წრეში არ დაიღუპა, არ გაუფერულდა. იგი ამ მიფერფლილ ცხოვრებაში კანდელივით კიაფობს, იგი თავის გრძნობასა და გონებას შინარსს მოუნახავს, საგანს გაუჩენს მხოლოდ იმით, რომ თავისი შინაგანი ბუნების მიხედვით იდუმალი ხმის ძახილს გაჰყვება. ამ წრეს, ამ საზოგადოებას გამოეყოფა და გამოეთიშება არა ფიზიკურად, არამედ მორალურად, იგი გამარტოხელდება და თავის ზრახვათა და ფიქრთა ოკეანეში ცურავს თავის თავად, მარტოხელად, ობოლ სულად, ეს სიმახვილე გონებისა და გრძნობისა კი შედეგია იმ გარემოებისა, რომ იგი მემკვიდრეობით, მამიდან, გაღიზიანებული ნერვების პატრონი იყო. ასეთი ნერვების პატრონი კი მალიმალ და ძლიერადაც მიიღებს ხოლმე შთაბეჭდილებას. ეს შთაბეჭდილება კი ღრმად მოქმედებს მთელ მის ნერვიულ სისტემაზე და განცდად აღრმავებს და ახანგრძლივებს. ეს ორი გარემოება კი გრძნობას ხშირად ატოკებს, გონებას მუდამ ამოქმედებს და ამახვილებს. იგი სწერს თავის მეგობარს მაიკოს: „სიცოცხლე მომძულებია ამდენი მარტოობით. შენ წარმოიდგინე, მაიკო, სინწარე იმ კაცის მდგომარეობისა, რომელსაც მამაცა ჰყავს, დედაც, დებიც, მრავალი მონათესავენი და მაინც კიდევ ობოლია ამ სავსე და ვრცელ სოფელში! ჰეშმარიტათ, მაიკო, ასე გულცივათ ჯერ განსჯა არა მქონია. ასეთი თავისუფალი ფიქრი მაქვს და ასეთი მტკიცე გული, რომ სამოცის წლის მოხუციც ვერ იქნება ჩემისთანა უსყიდველი მსაჯული, მოიგონე ცოტა ხანს დრონი წარსულნი და მაშინ შემიბრალებ. ყმაწვილობითვე შეჩვეული რაზედმე სული ძნელათღა გარდაცვლის ჩვეულებას და ვიდრემდის სრულიად გარდაეჩვევა, მწარეა ტანჯვა მისი“./ სხვა ადგილებს იმის წერილებისას აღარ მოვიტან აქ. ასეთი ადგილები ბლომად არის გაფანტული მის ბარათებში. ამით ვიკმაროთ, რადგან ზევით მოყვანილი სიტყვები სიტყვის შეუბრუნებლად ადასტურებს, რომ ნ. ბარათაშვილი სრულებით გამარტოხელდა ამ წრესა და საზოგადოებაში. იგი სულს იბრუნებს და ნუგეშობს მხოლოდ მცირე მოვლენებით, რომელიც აქა-იქ ბეუტავს და რომელსაც ცხოვრების გასაუმჯობესებელი სამომა-

ვლო ნიშანწყალი აცხია. იგი სწერს: „ჩვენმა ლიტერატურამ ორი კარგი თარგმანი იშოვა: ყიფიანმა გადმოთარგმნა რომეო და ჯულიეტა, შექსპირის ტრაღედია, და მე ვთარგმნე იულიოს ტარანტელი, ტრაღედია ლეიზევიცისა; თუ წაგიკითხავს, ბიბლიოთეკაში იყო დაბეჭდილი; მე ძალიან მომეწონა და ჩვენმა განათლებულმა ქალებმაც, ასე გასინჯეთ, იტირეს“. „ლიტერატურა ჩვენი, ღვთით, დღითიდღე შოულობს ახალთა მოყვარეთა. მრავალნი ყმაწვილნი კაცნი, მოცლილნი სამსახურითგან, მყუდროებაში და მარტოობაში, შეუწევიან მამეულს ენას, რაოდენიცა ძალუძთ. ესე საზოგადო სული ბუნებითის ენის ტრფიალებისა ყმაწვილთ კაცთ შორის აღმოაჩენს, რომ ქართველთ არა სძინავთ გონებით“.

აღსანიშნავია, რომ ნ. ბარათაშვილი დიდი თაყვანისმცემელი იყო სათარასი, თბილისში მაშინ დიდად ცნობილი მომღერლისა, სათარას სიმღერას იგი გატაცებით ისმენდა ხოლმე. ეს თვით მას აქვს აღნიშნული თავის ბარათში.

ზეგით მოვიხსენეთ, ამ ოჯახის მატერიალური მხრით სიეიწროვისა გამო ნ. ბარათაშვილი სამსახურში შევიდა. ითნა მეუნარგია დღეს ჩვენთვის დაუჯერებელ ამბავს მოგვითხრობს, რომ ნ. ბარათაშვილს თვეში ხუთი მანეთი ჰქონდა ჯამაგირი. ხელისუფლებას ნ. ბარათაშვილი კარგად, ბეჯითად და მუყაითად ასრულებდა. როზენმაც კი, საქართველოს მთავარმმართველმა, დიდად მოიწონა მის მიერ საქმის წარმოება. 1844 წ. მიწურულში იგი ნახევანს გადაიყვანეს მაზრის უფროსის თანაშემწედ, 1845 წ. ზაფხულში ავად გახდა განჯის დამპალი ციებითა და განჯაშივე გარდაიცვალა იმავე წლის ცხრა ოქტომბერს. ითნა მეუნარგია ამტკიცებს, რომ ორ ოქტომბერსაო. კონსტ. მამაცაშვილი კი გვარწმუნებს, რომ ნ. ბარათაშვილი გარდაიცვალა 1845 წლის ოცდაერთ აგვისტოს. გარდაცვალებული იქვე, განჯაშივე, იქნა მიწას მიბარებული. 1893 წ. 25 აპრილს ნეშტი გადმოსვენებულ იქნა და დასაფლავებული დიდუბის საყდრის გალავანში; ოდესის უნივერსიტეტში მოსწავლე ახალგაზრდობამ ქართველ საზოგადოებასთან ერთად ამ ნეშტს პატივი სცა იმით, რომ გვირგვინი მიართვა მისივე სიტყვების წარწერით:

თვით უკვდავება მშვენიერსა სულში მდგომარებს,
მას ვერც შეძთხვევა და ვერც ხანი ვერ დააბერებს.

ამით ამ ახალგაზრდობამ ხაზი გაუსვა, რომ ჩვენი ლიტერატურისათვის ნ. ბარათაშვილი წარმოადგენს უპკნობ მშვენიერებას, რომელიც ქართველი ერის სულიერ ბუნებას ახალისებს და სიახლეს ანიჭებს ისე. როგორც უხმობელა მცენარე ბუნებას მუდამ, ზამთარსა და ზაფხულში, ამწვანილებს.

ნ. ბარათაშვილის ლექსები თითქმის ყველა თბილისშია დაწერილი. მხოლოდ ერთი ლექსი „მადლი შენს გამჩენს, ლამაზო“, თბილისიდან გასულს, გარდაცვალებამდე დაუწერია. ეს გარემოება ცხადად გვეუბნება, რომ ნ. ბარათაშვილს მომავალი ბედი წინდაწინვე გარკვეული იყო. რაკი ის სამსახურში შევიდა, ეს ბედი და ბოლო ისეთივე იქნებოდა. რა ბედიც ეწვია ბევრ ახალგაზრდას, რომელმაც ნიჭიც გამოიჩინა და საზოგადოების ყურადღებაც მიიქცია. მაგრამ მერმე წყვდიადში შთაინთქა, რაკი ნივთიერი საჭიროებისა გამო სამსახურში შევიდა და იქ, საქმეებით დატვირთული, იძულებული შეიქნა მწერლობაზე ხელი აეღო. ცხადია, ასეთივე ბედი ეწვეოდა ნ. ბარათაშვილსაც, რომ დაცლოდა და უდროოდ არ გარდაცვლილიყო. აშკარაა, რომ რაკი ის ამ გზას დაადგა, იგი ლიტერატურისათვის უკვე მკვდარი იყო. ამიტომ რაც მოგვცა და დაგვიტოვა, ამის მეტს ის ვერც მოგვცემდა. და თუ დასწერდა მაინც რასმე, ეს იქნებოდა ნაძალადევი, საგანგებოდ შეთხზული და მოკლებული პოეტურ აღმაფრენასა და ესთეტიურ სიტკბოებას. ეს გარემოება ფსიქოლოგიურადაც სრულებით ადვილად გასაგებია, რადგან მგოსნობა და საზოგადოდ მწერლობა ისეთი ხელობაა, რომ ამის მიმდევარი და ამყოლი ყოველთვის თავისუფალი უნდა იყოს, აზრთა და გონების სფეროში გრძნობა მისი დამოუკიდებლად და ლაღად უნდა ტოკავდეს. სამსახურში მყოფი კი დამოკიდებულია ყოველდღე აუარებელს მცირესა და მძიმე საქმეებზე, ამ საქმეებთან დაკავშირებით პირთა და ვითარებაზე. იგი გართულია ამ საქმეებში, ეს კი გონებას აჩლუნგებს, გრძნობას ანელებს, ნიჭს ბლაგვავს და განცდად გულსა და ჭკუაში ვერ ატარებს, ვერ აბუბუნებს. აქ გონებას გამჭრიახობა, გრძნობას კი მახვილობა და სიფაქიზე

ეკლდება. ამიტომ აქ ადამიანის ღირსება და ადამიანობის თვისებაც ილახება, იჩქმალება, ადამიანიც უფერულობას ეჩვევა და ცხოვრებას შორდება, ამიტომ ილ. ჭავჭავაძის აზრი ნ. ბარათაშვილზე, რომ უკანასკნელის სიკვდილი უდროო და უღვთო იყოო, და ვინ იცის, „რამდენი საუნჯე თან წარიტანაო," გამოწვეულია ილიას მიერ მგოსნისადმი გაზვიადებული პატივისცემითა და თაყვანებით, თორემ ეს აზრი სინამდვილეს აღარ შეეფერება, რადგან ნ. ბარათაშვილი, თბილისიდან გასული და საპოლიციო სამსახურით გართული, მგოსნობას ვეღარ განაგრძობდა, გრძნობა მისი მოდუნდებოდა და გაუფერულდებოდა, აზრსა და გონებას კი გატაცება მოაკლდებოდა, ნიჭს — მახვილობა და ფხიანობა. ასეთ პირობებში იგი დაყუჩდებოდა დადუმდებოდა და ცხოვრების გარეშე მაყურებელი შეიქნებოდა. აქ თავს ნებას ვაძლევ მოვიყვანო იონა მეუნარგიას სამართლიანი შენიშვნა: „არ დასცალდა და ის დარჩა საშვალო ტანის პოეტათ, ყმაწვილ კაცად, რომლის პირიდან ვაჟკაცის ხმა თუმცა მოისმის, მაგრამ რომლის ყოველ თხზულებას პირველიდან უკანასკნელამდი ჯერ კიდევ ზედ ამჩნევია მოზარდი კაცის გამოუცდელი მარჯვენა".

ნ. ბარათაშვილს მეგობრები და ამხანაგები დიდ პატივს სცემდნენ და აფასებდნენ კიდეც, რადგან მათ კარგად ჰქონდათ შეგნებული მისი ღირსება და მნიშვნელობა მშობელი ქვეყნის ლიტერატურისათვის. ამას ცხადად მოწმობს ლევან მელიქიშვილის მიერ ნ. ბარათაშვილის დახასიათება. იგი სწერს: „სამძიმოა დაკარგვა კაცისა, რომელიც თავისის გამთბარი სულით და გულით გვაზავებდა ადამიანებთან, ამ უძლურს და ბოროტს ქმნილებებთან, საქართველომ დაჰკარგა იმაში კაცი, რომელსაც იგი უყვარდა მთელის პოეტურის გულით და რომელიც ამ სიყვარულს ყველა თავის მოვალეობაზე მაღლა აყენებდა: ქართველებმა დაჰკარგეს ერთი საუკეთესო თანამემამულეთაგანი," რაკი ნ. ბარათაშვილის ნიჭის ღირსება და თვისება, მისი დამსახურება საშობლოს წინაშე შეგნებული ჰქონდათ მეგობართა, ამხანაგთა, და ნათესავებს, ამიტომ ესენი იმის ხსოვნის წინაშე ვალდებულებას გრძნობდნენ და ამ ვალდებულების განაღდე-

ბის სურვილიც კი დაებადათ, ამათ ხელი მიჰყვეს ფულის შეგროვებას, ხუთ დღეში ათასი მანეთი შეკრიბეს, რომ ამ ფულით ნ. ბარათაშვილის ყველა ლექსი და თარგმანიც გამოეცათ, ძეგლიც დაედგათ და მის ოჯახს დახმარებოდნენ, ხოლო გრ. ორბელიანს მიანდვეს, დაეწერა ბიოგრაფია მგოსნისა და ეპიტაფია ძეგლისათვის. მაგრამ ამ კეთილ განზრახვას ისეთივე ბედი ეწვია, როგორც მოუდის ხოლმე ყოველ ქართულ საქმეს; არაფერი შესრულდა. ნ. ბარათაშვილს აქაც ბედმა უმუხთლა და ამ ბედის მგოსნის მოსისხლე მტრის ბოროტმა, ღვარძლიანმა და ბასრმა ხელმა მოინდომა, რომ ნ. ბარათაშვილის ნაწერები დაკარგულიყო, ხსოვნა კი ამ ტანჯულისა, მაგრამ კი მშვენიერი სულისა, აღკვეთილიყო. მაგრამ ჩვენ დღეს მტკიცედ ვიცით, რომ ნ. ბარათაშვილმა სძლია „ბოროტ სულს", მის მოსისხლე მტერს, რადგან მისი ნაწერები ხელთ გვაქვს. ამას ჩვენ უნდა ვუმადლოდეთ მხოლოდ და მარტო თვით ნ. ბარათაშვილს, რადგან ხასიათად ჰქონია თავისი ლექსების რამდენჯერმე გადაწერა და ნაცნობთა და ნათესავთათვის გაგზავნა. სწორედ ამიტომაც „ბოროტი სულის" მსახვრალმა ხელმა" ვერ შეიძლო მოესპო და გაენადგურებია ან წაებილწა და წაერყვნა ეს ლექსები.

ნ. ბარათაშვილს ლექსების წერა ადრიანად დაუწყია. ჯერ სკოლაშივე სწერდა იგი ლექსებს. აქ პროზასაც ეტანებოდა, რომელსაც ათავსებდა „Цветок Гимназий"-ში, მოწაფეთა ჟურნალში, რომელიც 1833 წ. გამოდიოდა მიხეილ თუმანიშვილის თაოსნობით და რედაქტორობით. ეს მიხეილ თუმანიშვილი იყო მამა ანასტასია მიხეილის ასულის წერეთელ-თუმანოვისა, „ჯეჯილის" რედაქტორისა (მიხეილ თუმანიშვილი ჩვენს მწერლობაში ცნობილია ბირთველის ფსევდონიმით). ნ. ბარათაშვილის პირველი ლექსი კი, რომელიც ამჟამად მოგვეპოვება, აღნიშნულია 1834 წლის თარიღით. ცხადია, წინათ დაწერილი ლექსები დაკარგულია. ეს ჩვენ ზევით აღვნიშნეთ, რაც ლექსები მოგვეპოვება. ესენი ყველა დაწერილია 1834—1845 წ. ე. ი. თორმეტი წლის განმავლობაში. ჩვენ ბეჯითად ვიცით, რომ ნ. ბარათაშვილსაც დაწერილი ჰქონია პოემა „ივერიელნი". ეს პოემა პატრიო-

ტული შინაარსისა ყოფილა და იქ, კოსტ. მამაცაშვილის მოწმობით, მოთხრობილი ყოფილა საქართველოს ისტორიული ცხოვრების ამბები მეათე, მეთერთმეტე და მეთოთხმეტე საუკუნეებისა. ამ პოემის ლექსების გადაკეთება უნდოდაო ნ. ბარათაშვილს, თუმცა ეს ლექსები „ისეც მშვენიერი იყოო", დასძენს კოსტ. მამაცაშვილი. ეს პოემა უეჭველია, შედეგია იმ გარემოებისა, რომ ნ. ბარათაშვილმა და მისმა ამხანაგებმა გადასწყვიტეს, თავიანთ შორის საქართველოს ისტორიის შესწავლა გაენაწილებიათ, დაეწერათ და შემდეგ საზოგადოებაში გაევრცელებიათ. უეჭველია ამ დავალებისა და მეცადინეობის შედეგი — ნაყოფია ეს პოემა. ნ. ბარათაშვილს თვისი კალამი თარგმანშიაც უცდია. მას უთარგმნია ლეიზევიცის[1] ტრაგედია — იულიუს ტარენტელი. ეს ტრაგედია რუსულ ჟურნალში — „Библиотек"-ში ყოფილა მოთავსებული. „მე ძალიან მომეწონაო და ჩვენმა განათლებულმა ქალებმაც კი, ასე გასინჯე, იტირესო", — სწერს მგოსანი თვის ბიძას გრ. ორბელიანს. როგორც ზევითაც ვამბობთ, ნ. ბარათაშვილს ზნეთ ჰქონია თვისი ნაწერები რამდენჯერმე გადაეწერა და ნაცნობთა და ნათესავთათვის გაეგზავნა. ამ გარემოების ბრალია, რომ ეს ნაწერები დღემდე დაცულია შენახული და წარუყენელი, თუმცა კი მაინც დაკარგულია პირვანდელი ლექსები, პოემა „ივერიულნი" და თარგმანი „იულიოს ტარანტელი".

---

[1] იოჰან ანტონ ლეიზევიცი იყო გერმანელი მწერალი. ჰამბურგის თეატრის დირექტორმა შრედერმა საეკეთესო ტრაგედიისათვის პრემია დანიშნა. ლეიზევიცმა ამ პრემიის მისაღებად წარმოადგინა 1775 წელს ტრაგედია იულიუს ტარენტელი. პრემია ვერ მიიღო. ტრაგედია დაწერილია ლესინგისებური ცხადი და ნათელი ენით და შინაარსით შეიცავს სოციალური ბრძოლის ელემენტებს. ლესინგმა ეს ტრაგედია ძალიან მოიწონა. იგი პირველ ხანად გოეთეს ნაწარმოებათაც კი მიიღო. ახალგაზრდა შილერმა ამ ტრაგედიის ზეგავლენით დასწერა ტრაგედია „ავაზაკები". ლეიზევიცის ტრაგედიას სცენაზე დიდი მოწონება ჰქონდა. ქ. ტარენტი ბერძნების მიერ იყო გაშენებული. მცხოვრებნი განათლებულნი და კულტურულნი იყვნენ. ჰქონდათ დემოკრატიული წესწყობილება. ტრაგედიის შინაარსით ის მომენტია აღებული, როცა რომმა, 282 წელს ქრისტეს შობამდე, განიზრახა ტარენტის დამონება და დემოკრატიული წესწყობილების მოსპობა.

იონა მეუნარგია გვარწმუნებს, რომ ნ. ბარათაშვილს უმეტესი ნაწილი თავისი ლექსებისა დაუწერია სახლის გარეშე, უმეტესად ვერის წყლის პირას და მთაწმინდაზე, თუ ეს გარემოება მართალია, მაშინ ცხადია, რომ ნ. ბარათაშვილს ცალკე სამეცადინო ოთახიც კი არ ჰქონია, რომ ამ ოთახში გაცალკევებულიყო და თვისი აზრისა და ფიქრის ნაყოფი ქაღალდზე თავისუფლად გადაეტანა. ეს მით უფრო საფიქრებელი და დასაჯერებელი ამბავია, რომ მისი ოჯახობა მრავალსულოვანი იყო: ნ. ბარათაშვილს მოხუცებული დედამამა ჰყავდა და ოთხი და.

ლექსების გარდა ჩვენ ბლომად მოგვეპოვება ნ. ბარათაშვილის კერძო წერილებიც. ამ ბარათებით ზევით საკმაოდ ვისარგებლეთ, რათა მკითხველისათვის ნათლად გაგვეთვალისწინებია ნ. ბარათაშვილის სულის ვითარება და მიდრეკილება. მაგრამ ეს ბარათები მეორე მხრითაც არიან საგულისხმონი; აქ აღსანიშნავია ის დაკვირვება და დასკვნა, რომელსაც ნ. ბარათაშვილი ამ ბარათებში გადმოგვცემს და რომელიც დიდად ახასიათებს მას, გვიშლის თვალის წინ მგოსნის დაკვირვებით ნიჭის სიღრმეს და გვიდასტურებს მგოსნის სულის მშვენიერებასა და მიმზიდველობას. ამიტომ ჩვენი სურვილია, მკითხველს ეს აზრები მოვაგონოთ.

„საკვირველია, რომ ქართველ კაცს, რაოდენიც დიდებული და ძლიერი უნდა შეიქნეს, არა აქვს ეს შორსმხედველობა, რომ, როდესაც დაატყობს თავის თავს, ვბერდებიო, პოვოს თავისი ბემკვიდრეთ ვინმე, მოამზადოს, მისცეს გზა სოფელში, გამოიყვანოს კაცად და, როდესაც თვითონ დაეცეს, მაშინ მაინც კიდევ ჰქონდეს შემძლეობა და ხმა ერსა შორის თავის მემკვიდრის შუამავლობით“. ეს ძვირფასი დასვენებაა გამჭრიახი გონებისა, აქ აღნიშნულია ძირითადი თვისება ქართველი მოღვაწის ბუნებისა. ამას სიტყვის შეუბრუნებლად გვიმტკიცებს ცხოვრება და მოღვაწეობა ილია ჭავჭავაძისა და ნ. ბარათაშვილისა. ღვთის მადლით, არც ერთი და არც მეორე უდროოდ, ახალგაზრდობაში არ გარდაცვლილა, მაშასადამე, მათ საკმაო დრო ჰქონდათ, მოემზადებიათ თვისი სულიერი მიდრეკილებისა და საზოგადოებრივი მისწრაფების შესაფერი მოღვაწე. ნიჭი და განმავლობა არც ერთს

არ აკლდა, მაგრამ სწორედ ქართველი კაცის ბუნების ამ თვისებისა გამო ერთიც და მეორეც განვიდა ამ სოფლიდან უმემკვიდრეოდ, რასაკვირველია, იმ მნიშვნელობით, რა მნიშვნელობაც აქ ეძლევა ამ ცნებას. რაკი იმდენად დაუდევარია ქართველი კაცი, რომ სულიერი მემკვიდრე გაიჩინოს და მოამზადოს, ამიტომ ეს ქართველი უდარდელია იმის შესახებაც, რომ თავისი ნათესავი მეგობარი და ახლობელი წინ წასწიოს. დაეხმაროს, ამ თვისებასაც გვითითებს ნ. ბარათაშვილი. იგი ამბობს, რომ „ეს სნეულების ბრალია, რომლის გამოც ქართველი თავისიანს არ გამოადგება, იგი დასძენს: „გარა ქართველებში არის მეგობრული და ნათესავებრივი გრძნობა?“ ამავე სნეულებას ქართული კაცის ბუნებისას აღნიშნავს მგოსანი, როცა თვის დას ეუბნება: „აბა ჩემზედ თქვას ვინმემ რამ ცუდი, თუ წამომესარჩლო!“ აი, ეს ძირითადი ნაკლი ქართველი კაცის ბუნებისა აქვს აღნიშნული ნ. ბარათაშვილს. იგი ამ ნაკლს სნეულებას უწოდებს. ზედგამოჭრილიც არის ასეთი შეფასება ამ თვისებისა. ეს კი ისეთი სნეულებაა, რომ ძალზე აფერხებს ჩვენი ერის განვითარებას. წინსვლას და სრბოლას. მაშასადამე, ეს თვისება კერძო პირისა ხასიათისა, გავლენას ახდენს საზოგადოებრივ ცხოვრებაზე, რადგან, როგორც ვიცით, საზოგადოებრივი ცხოვრება სინთეზია კერძო პირადობათა ხასიათისა და ნებისყოფისა. ჩვენ შეგვიძლია, აქ გაკვრით აღვნიშნოთ ის მიზეზი, რომელმაც წარმოშვა, ასაზრდოვა და განამტკიცა ეს სნეულება ქართველი კაცის ბუნებისა, ჩვენი ბეჯითი შეხედულებით ეს სნეულება წარმოშვა იმ გარემოებამ, რომ ჩვენი ერი მეთორმეტე საუკუნიდან დაწყებული განიცდიდა ყიზილბაშთა გათიშვისა და ერთი მეორის გაუტანლობის პოლიტიკის თარეშს. ეს პოლიტიკა აწარმოებდა ქართველთა შორის გაუტანლობასა და უნდობლობას. მაშასადამე, ეს ქართველი კაცის ბუნებას ეს თვისება შესძინა სოციალ-პოლიტიკურმა ცხოვრებამ. მაგრამ ამ ნაკლთან ერთად ნ. ბარათაშვილს აგრეთვე აღნიშნული აქვს ქართველი კაცის ბუნების კეთილი თვისებაც. იგი ამბობს: „ათასი რომ ვიჩანჩალოთ, ისევ საქართველოში უნდა დავაბოლოოთ ჩვენი ცხოვრება“. ეს ისეთი თვისებაა ქართველი კაცის ბუნებისა, რომ იგი ადვილად და იოლად ვერ სტოვებს დედულს, მამულს, სამშობლო

მიდამოებს და ვერ შორდება სამშობლოს ფარგლებს. ამ ძირითადი თვისების ბრალია, რომ ქართველმა ხალხმა შეინარჩუნა ტერიტორია. არ გაიფანტა ებრაელებსა და სომხებივით, იმ სომხებივით, რომელთაც დღეს ძებნა სჭირიათ თავისი ტერიტორიისა. აქვე აღვნიშნოთ ერთი ის მოსაზრებაც, რომელიც ნ. ბარათაშვილს ახასიათებს, როგორც დიდბუნებოვან ადამიანს: მას უდიდეს კმაყოფილებას ჰგვრის ადამიანის ადამიანობა, ე. ი. მაღალი, პირად ანგარებას მოკლებული მადლი. „დაიმარხე მშვენიერება სულისა, უმანკოება გულისა. აი, ჭეშმარიტი ბედნიერება, უმაღლესი სიამე, რომელსაც კი კაცი წაიღებს ამ სოფლიდან. სხვათა ბედნიერებათა სოფლისათა უყურე გულგრილად, ამაყათ და გწამდეს, რომ იგი შეუმჩნეველნი არიან“. აბა მითხარით, რით ჩამოუვარდება ეს მშვენიერი აზრი რომელსამე აზრს ძველი საბერძნეთის დიდი ფილოსოფოსებისას, სოკრატისასა და ეპიკურისას!

ბარათებიდანვე ვამჩნევთ, რომ ნ. ბარათაშვილს უსაზღვროდ უყვარს ბუნება, განიცდის ამ ბუნების მშვენიერებას და ტკბება ბუნების სანახაობით. დამახასიათებელია, რომ მას უყვარს და იტაცებს, ამშვიდებს და სიამოვნებას ჰგვრის ბუნება მხოლოდ მაშინ, როცა იგი წყნარი და ნაზია. მგოსანს არ უყვარს ბუნების ძლიერი და საოცარი მოვლენანი. მას უყვარს წყნარი, მყუდრო და მშვიდი საღამო, მთვარიანი ღამე, მაისის ღამე მიბინდული, გრილი და ამო, — ღამე, როს მთვარე შუქით მოფენს ყაბახსა და კოჯორი დაქრის ნიბვით, ცისა ფერს, ლურჯსა ფერს სიყრმიდან ეტრფოდა და უყვარს ლაჟვარდი ცა, ლაჟვარდი ცისა კამარა, ლბილი მდელო, მოდუდუნე მტკვარი ანკარა, მტკვარი, ჭავლების ხუვილით მომდინარე, საზოგადოდ, კი ლამაზი, მინაზებული ბუნება აქცევს მის გულისყურს და უშუშებს ნერვებს. დამახასიათებელია, რომ მგოსანს ეს ლურჯი ფერი უყვარს. ჩვენ ვიცით, რომ ლურჯი ფერი არის შორეული, დაშორებული ფერი, ამით აიხსნება, რომ საღამოს ჟამს შორეული მთები ჩვენ ლურჯი ფერისა გვეჩვენება. ამიტომ ეს ფერი, როგორც შორეული, გამოუურკვეველია ჩვენთვის. ამიტომ ეს ფერი აღმძვრელია მიუწვდომელობის გრძნობისა და

ფიქრისა. ეს ფერი გვიღვიძებს გრძნობას გამოუცნობელობისადმი, ხელშეუხებელისადმი. ეს კი ადასტურებს, რომ ნ. ბარათაშვილის ნიჭი და გრძნობა გატაცებულია მიუწვდომლობით, საწუთროს საიდუმლოებით, მისი გონება ცდილობს გამოიცნოს ბუნებისა და ადამიანის თვით არსი, მიუწვდომელი და გამოუცნობელი მხარე. იგი წერს: „ამ წარსულ ზაფხულში, ერთს მშვენიერს მთვარიანს ღამეში, ყაბახზე დაეიარებოდი, სადაც მისმა მშვენებამ აღმიტაცა ფიქრნი, წარმიღო გონება“.

ბარათებშივე ვპოულობთ ბარათაშვილის ერთ მოსაზრებას, რომელიც ცხადჰყოფს, რომ იგი სოციალური კითხვებით ძალიან ნაკლებად იყო დაინტერესებული. იგი ურჩევს ზაქარია ორბელიანს, დაანებე თავი სამსახურს და მამულის მოელას შეუდექიო.

ცხადია, ნ. ბარათაშვილი გლეხკაცობის მდგომარეობას, ბატონყმობას ძალიან ზერელედ უცქერის. მისი შეხედულებით, სრულებით საკმარისია გლეხკაცობისათვის, თუ მისი ბატონი ცოტა რამ მზრუნველობას გაუწევს მას. ეს ძალიან მცირე და მსუბუქი შეხედულებაა. ესევე ადასტურებს, რომ ნ. ბარათაშვილი, და, მაშასადამე იმის წრის ახალგაზრდობაც, ამ კითხვაში ბატონყმობის შესახებში ძალიან ჩამორჩენილნი იყვნენ რუსეთთან შედარებით, რადგან რუსეთში უკვე ბრძოლა იყო ატეხილი ამის შესახებ. ამის მაგალითია რადიშჩევის მოღვაწეობა და დეკაბრისტების თავდადებული და გადამწყვეტი შებრძოლება თვითმპყრობელობასთან. დეკაბრისტები გადაჭრით მოითხოვდნენ რუსეთში თვითმპყრობელობის მოსპობას და ბატონყმობის აღმოფხვრას.

ჩვენ ზევით მოთხრობილი გვაქვს ნ. ბარათაშვილის ცხოვრების გარეგანი ამბავი. ამ მოთხრობიდან მკითხველი ცხადად ხედავს, თუ რა პირობებში ვითარდებოდა ნ. ბარათაშვილის სულიერი მადლი. პირველხანად ნ. ბარათაშვილის ყმაწვილობისას ამ საზოგადოებას, ამ წრეს დიდი განმანათლებელი და განმავითარებელი გავლენა ექნებოდა ნ. ბარათაშვილზე, რადგან მისი მამის სახლში თავს იყრიდნენ მაშინდელი ჩვენი წარჩინებული მოღვაწეები და პოლონეთიდან გადმოხვეწილი პროფესორები. იქვე ყოველდღე და-

დიოდნენ ეგნატე იოსელიანი და სოლომონ დოდაშვილი. უეჭველია, სწორედ ამ წრემ მისცა საზრდო და მიმართულება ნ. ბარათაშვილის გრძნობასა და გონებას, მთელი შინაარსიც მისი პოეზიისა მოპოებული და შეძენილია ამ წრისაგან. ამავე წრემ ღრმად გაუჟღენთა ნ. ბარათაშვილს გრძნობა და გონება საზოგადოებრიობით, მისი ყურადღება მიიპყრო მშობელი ქვეყნის ბედმა და უბედობამ და მოჰბერა სურვილი საკაცობრიო ჭირ-ვარამის შეგნებისა და შემეცნებისა. მისი სულის ასეთმა მიდრეკილებამ ისე ძლიერად გაიდგა ფესვები მის ბუნებაში, რომ ეს მას მთელ თავ-ს ცხოვრებაში „იდუმალ ხმათ“ გადაექცა. ეს ხმა აძლევდა მას არსებობის აზრს და ელფერს მის ცხოვრებას. შემდეგ, თუმცა მან ცხოვრების ბევრი სიდუხჭირე და საწუთროს ბევრი სიმწარე განიცადა, მაგრამ ეს მიდრეკილება ისე ღრმა და ძლიერი შეიქნა, რომ იგი მისი ბუნებიდან ველარ იქნა შერყეული და აღმოფხვრილი. იგი ალალმართლად აღნიშნავს: „ყმაწვილობითვე შეჩვეული რაზედმე სული, ძნელადღა გარდაცვლის ჩვეულებას და, ვიდრემდის სრულიად გადაეჩვევა, მწარეა ტანჯვა და ბრძოლა მისი. ახლა მე იმას ვამბობ, რომ მე შინაგანი ხმა მიწვევს საუკეთესოს ხვედრისაკენ, გული მეუბნება, რომ შენ არა ხარ ახლანდელის მდგომარეობისათვის დაბადებულიო.“ ნ. ბარათაშვილის სული ყმაწვილობითვე შეჩვეული იყო, ეფიქრა და ეზრუნა საზოგადოების, მშობელი ქვეყნის ცხოვრების გაუმჯობესებისათვის. ამ ჩვეულებას, ამ მიდრეკილებას ის ველარ გადაეჩვეოდა, თუმცა საწუთრომ ბევრი ისეთი რამ შეამთხვია, რომ ეს გზა დაეგდო, სულისკვეთება აღმოეფხვრა. მართლაც იმ ხანში, როცა ნ. ბარათაშვილი ვაჟკაცობაში შევიდა და მოინდომა თავისი სულიერი მადლის შესაფერი საზრდო მოეპოვებია, ამ დროს მისი ოჯახი ნივთიერ შევიწროებას განიცდის. ამიტომ იგი იძულებულია, უარი განაცხადოს და ვერც განიხორციელოს უნივრესიტეტში შესვლა. ეს კი მისცემდა მის მიდრეკილებას საზრდოს, საშუალებას აღმოუჩენდა ფართო მოღვაწეობისას, ამიტომ მოჰბერდა ალერსიანობისა და მხიარულების მადლს. მაგრამ ეს სურვილი ვერ განიხორციელა, გულში და თავის არსებაში ჩაიკლა. ეს იყო მწარე

გრძნობა და ყმაწვილური გატაცების ძირშივე მოსპობა. ეს გარემოება მას ძალზე დაანაღვლიანებდა და მის გულს დაასევდიანებდა, კაეშნის ხმას შეათვისებდა. მეორე გარემოება, რომელმაც მის მისწრაფებას კარი დაუხშო, იყო იმის მარცხი, რომელიც ახალგაზრდობაში შეემთხვა: მან ორივე ფეხი დაიშავა და დაკოჭლდა ამიტომ იგი სამხედრო სამსახურშიც ვეღარ მოხვდა და ამ ასპარეზზე ვეღარ იმოღვაწა. მაშინ კი ეს მოღვაწეობა მიმზიდველი იყო, რადგან დროის შესაფერი იყო და მონაწილეს შარავანდედს ჰფენდა. აქ ჩემ თავს ნებას ვაძლევ მოვიტანო ჩემი სიტყვები, რომელნიც ახასიათებენ იმ დროის საზოგადო გეზს.

მაშინდელ საქართველოში პირველი საქმე, პირველი საზრუნველი ის იყო, რომ გულითადი სურვილი გენიოსი მეფისა, გამჭრიახი შორსმხედველობა ირაკლისა, „ამ მამაცთა შორის საკვირველებისა", სისრულეში მოსულიყო, განხორციელებულიყო. ეს სურვილი კი იყო, რომ საქართველო კაერთიანებულიყო და მის შვილთ წყნარი და მშვიდობიანი ცხოვრება დაემკვიდრებიათ. ეს ასეც მოხდებოდა, რაკი საქართველოზე მოსეული მეზობელი ტომნი ერთ მთავრობას დაემორჩილებოდნენ. ეს იყო პირველი საქმე, უმთავრესი საზრუნველი მაშინ... ვაითა და ვაგლახით იხსენიებს ერთი ჩვენი მგოსანი მაშინდელ დროს.

ვაი იმ დროსა, ირაკლის მტერი გარშემო ესია:
ხმლით იგერებდა ბილწებსა, იმათთვის გაულესია.
დღეს ერთს იფრენდა, ხვალე სხვას დაჰმართის უარესია!
არ შეარჩენდა არავის, — ეს იყო მისი წესია.

ყველას უნდა შეეგნო, რომ ასეთი ვითარება აღარ შეიძლებოდა გაგრძელებულიყო. ასეთი ანარქია სულითა და ხორცით აბეჩავებდა ქართველობას და მისი ბუნებრივი ნიჭი და მადლი მხოლოდ „ბილწებთან" ბრძოლაში იხარჯებოდა, და ანდერძიც ირაკლისა ის იყო, რომ ეს გამოუსადეგარი ძალთა ხარჯვა ქართველებს თავიდან აეცილებინათ. ეს ის ანდერძია, რომლის გულისთვის ნ. ბარათაშვილი, „ბედი ქართლისა"-ში ირაკლიზე გაბოროტებული, შემდეგ მუხლს იდრეკს, გმირი მცხოვანის" წინაშე და „თაყვანსა სცემს მისსა ნაანდერძევს, წინასწარ თქმულს". მართლაც, მაშინდელ-

მა ოაობამ ასეთი დროთა ვითარება, თუ ღრმად ვერ შეიგნო, იგრძნო მაინც საესებით. ეს გრძნობა და შეგნება იყო მიზეზი, რომ მაშინდელი თაობა გატაცებული იყო სამხედრო ასპარეზზე სამსახურით, რადგან ეს სამსახური თავდადებაც იყო საქართველოსთვის. სწორედ ამ ეამთავითარების ალღოს აღების შედეგი იყო, რომ ჩვენი ეგრეთ წოდებული ოცდამეათე წელთა მოღვაწენი, თითქმის ყველანი, მხედარნი იყვნენ. თითქმის ყოველმა მათგანმა სამხედრო ასპარეზზე დაიმსახურა პატივი და დიდება, მოიპოვა სახელი. ამ გარემოების ბრალია ის, რომ ერთი მხრით, გაუგებარი ამბავი, რომ ნ. ბარათაშვილი გატაცებული იყო სამხედრო ასპარეზზე მოღვაწეობის სურვილით, ისე გატაცებული, რომ ვერ გრძნობდა, შეეძლო თუ არა, თავისი ჯანის სისუსტისა გამო, აეტანა სამხედრო სამსახური და სიძნელე ლაშქრობისა. ეს ყოველივე კი ადვილად ასახსნელია, თუ მხედველობაში მივიღებთ ერთ კანონს, რომლის ძალითაც კერძო კაცთა სულიერი მისწრაფება შეეფარდება, შეეხამება ხოლმე საზოგადოების ზოგადს, უმთავრეს მოთხოვნილებას, უმთავრეს მიმდინარეობას, და კერძო კაცთა ძალ-ღონეც სწორედ ამ მხრით ამოქმედდება ხოლმე. ამაზეა თქმული, რომ ყოველ დროს, ყოველ ეპოქას თავისი საკუთარი დამახასიათებელი მოთხოვნილება და ნიშნობრივი თვისება აქვსო.

ამ მოსაზრებიდან ცხადია, რომ სამხედრო სამსახური დროის შესაფერი სამსახური იყო. ამიტომ ყოველი ნიჭიერი და თავგამოდებული ახალგაზრდა ამ სამსახურს ეტანებოდა. ნ. ბარათაშვილს კი ამის საშუალება მოესპო, კარი დაეხშო. ამიტომ უეჭველია, რომ ეს გარემოება მას გრძნობისა და გატაცების მთელ სიამოვნებას მოაკლებდა, იგი „დაბინდული გულის“ პატრონი შეიქნებოდა. რამდენადაც ძლიერი იყო ეს სურვილი, იმდენად ძლიერი იქნებოდა გრძნობა უკმარობისა, დაუკმაყოფილებლობისა და ეს სურვილი რომ ძლიერი იყო მასში, ამას თვით იგი ამოწმებს: სულ არ მომსვლია ფიქრად სამოქალაქო სამსახური: „ჩემი სურვილი იყო ჯარისკაცობა, იგი მზრდიდა მე აქამომდენ და ახლაც ხანდისხან კიდევ შთამომეპარება ხოლმე გულში“.

მესამე გარემოება, რომელმაც ნ. ბარათაშვილი ჰყო

„მწუხარ და სევდიანი“, ის იყო რომ, თუმცა იგი მარილიანი და მიმზიდველი სახისა იყო, მარდი, ცელქი და მახეილგონებიანი, მაგრამ იმისა სახესა და მთელ აგებულებას ისეთი თვალით დასანახი და შესამჩნევი ცხადი ნაკლულევანება ჰქონდა, რომ იგი თავისი წრის ახალგაზრდა ქალთა საზოგადოების ყურადღებას ვერ დაიმსახურებდა და ვერ გაიტაცებდა. ამის ცხადი დამამტკიცებელია, რომ იგი სამჯერ იყო სიყვარულით აღტყინებული, მაგრამ სამივეჯერ ეს გატაცება გულისა განელდა და დაიფუშა უშედეგოდ. ეს გარემოება მას განდეგილობასა და მარტოხელობას შეაჩვევდა, გულს დაუხშავდა. რაკი იგი და მისი ოჯახიც ნივთიერი მხრით შეუძლო იყო და იგი იძულებული შეიქნა სამსახურში შესულიყო ხუთმანეთიან ჯამაგირზე, ამიტომ ცხადია, რომ ასეთი შეძლებისა და ქონების პატრონს როდი დაუკავშირებდნენ თავის მომავალ მდგომარეობასა და ბედს მისი წრის მაღალი საზოგადოების ქალიშვილები. მაშასადამე, ცხოვრების პირობებმა მას მიანიჭა ისეთი დაბრკოლებანი, რომ მას ამ ცხოვრებაში არ შეეძლო მიეღო და მისი სულიერი და ხორციელი, მისწრაფებანი თავისჩენისთანავე ისპობოდნენ, ჩაკვდებოდნენ ხოლმე. გარდა ამისა, იმხანად ჩვენი ისტორიული ცხოვრების ხაზი გამრუდდა, ხიდი, შემაერთებელი წარსულისა და აწმყოს შორის, ჩატყდა.

ეს განცდაც უეჭველად კაეშნის ხმაზე ააჟღერებდა მის ჩონგურს, რადგან მას თვისი მამული, ამ მამულის მომავალი ყველაფერზე მეტად უყვარდა, იტაცებდა და აღტყინებდა.

აქ აღნიშნულ გარემოებას უნდა ხელი შეუწყო, რომ ნ. ბარათაშვილი გამარტოხელებულიყო და სულით დაობლებულიყო. ამ სულიერ განწყობილებას გვიდასტურებს მისი ბარათებიც.

საკმაოდ აღვნიშნეთ თვისებანი და ხასიათი იმ წრისა, რომელშიც ნ. ბარათაშვილი იმყოფებოდა და ტრიალებდა. ჩვენთვის ახლა ცხადია, რომ ეს წრე მას ვერ დააკმაყოფილებდა, მის გრძნობასა და გონებას ვერ მისცემდა სათანადო საზრდოს. ამიტომ ამ წრეში იგი ვერ მოიპოვებდა სულის სიმ-

შვიდეს და ნერვებს ვერ დაიშუშებდა. ამ წრეში იგი გარეთ-ითად იყო, თორემ მას ამ წრესთან სულიერი კავშირი არც ჰქონდა და არც ექნებოდა. ამ წრეში მისი ყოფნა ისეთი იყო, რომ მას თამამად შეეძლო აკაკისათვის წაეთმია სიტყვები და თავის თავის შესახებ ეს ეთქვა: „თუ ხალხში ვარ, ძალათ ღრუბლებს ვადარებო“. ასეთი მდგომარეობა, დამეხანხმებით, არათუ სიამოვნებას ჰგვრის ადამიანს, არამედ ნერვებს კიდევ უფრო უღიზიანებს. ამიტომ ცდილობს მალე მოშორდეს ამ სულის შემხუთავ ჰაერს, გაიჭრას მთაწმინდასა და ვერის ბაღებში, მტკვრის პირას და ყაბახზე, მთვარიან ღამეში სასაფლაოზე განმარტოვდეს, რომ ამნაირად აქ, ბუნებასთან ახლომყოფობაში იოცნებოს თავისუფლად და გული დაიტკბოს. კაცთა საზოგადოება კი მას ამ პირობებში უფრო ასევდიანებს და შუბლს უსიამოვნო გრძნობათა გამოწვევით უნაოჭებს.

ცხოვრების ამ პირობების მიხედვით, ჩვენ შეგვიძლია, გადაჭრით ვთქვათ, რომ ჩვენი თვალის წინ ორი ბარათაშვილი დგას: ერთია ცელქი, ჭორებისა და მითქმა-მოთქმათა გამავრცელებელი, აყალმაყალის გამომწვევი და ძალზე დამცინავი, მკილავი. იგი ამ თვისებითა და ხასიათით სული და ხორცია ამ წრისა, ამ საზოგადოებისა. მაგრამ ამავე დროს ჩვენ ვხედავთ მეორე ბარათაშვილს, რომელსაც ახალგაზრდობისას ამავე წრისაგან შეუძენია საზოგადოებრიობისადმი მიდრეკილება, ამ საზოგადოებრიობას იგი ვეღარ სტოვებს. მაგრამ მთელი თავისი მდგომარეობითა და მომზადებით ვერც ძალუძს ამ საზოგადოებრიობას მიეცეს მთელი თავისი არსებით. ამიტომ იგი ბედის მომდურავია და არსებული პირობებით მუდამ უკმაყოფილო, გულგატეხილია. აქ სული და ხორცი გაყრილია, გრძნობა და გონება შეთანხმებით მომქმედი არ არის. აქ სულიერი მადლი და მიდრეკილება მუდამ ეამს და მარადის სტანჯავს ხორცს, ფიზიკურ არსებას: პირველი მიდრეკილება მუდამ კრიჭაში უდგას ხორციელობას. ამიტომ აქ მთლიანობა ცოცხალი არსებისა დარღვეულია, გაშლილია, შერიგება და შეთანხმება შეუძლებელი ხდება. ამიტომ აქ სევდიანობასა, დამწუხრებასა და ჭმუნვას აქვს ადგილი. სული ხორცსა სტანჯავს და გასაქანს აღარ

აძლევს. ეს ხორცი სულს დამორჩილებული ჰყავს. ამიტომ ხორცი სუსტდება, ადვილად ემორჩილება ცხოვრების პირობათა ცვალებადობასა, ხორცი კნინდება. სწორედ ამ ყოფაში უნდა ვეძიოთ უმთავრესი მიზეზი, რომ ნ. ბარათაშვილი ასე მალე და ადრე გარდაიცვალა. თორემ აბა რა დასაჯერებელია, რომ განჯის დამპალმა ციებამ, იმ განჯის, სადაც ერთიღა წყალიწადი თუ გაატარა, მეტი არა, — ერთბაშად სიცლია და გადაიტანა: ამ ხორცს აღარ მოეპოვებოდა ძალა და ღონე, უნარი, უბრალო ციებასა და გაცივებას შებრძოლებოდა. იგი ქრავალგზით დატუქსული და დაუკმაყოფილებელი, დაკნინებულია და ღონემიხდილი. ამიტომ იგი ერთბაშად, იოლად კვდება, ისპობა.

არ მინდა ბიოგრაფიული ცნობების მოთხრობა ისე გავაოთავო, რომ აქვე არ აღვნიშნო ის მოელენა, თუ რაგვარ განცდათა ზემოქმედებით სწერდა ლექსებს ნ. ბარათაშვილი. ეს მოვლენა თვით მგოსანს აქვს აღნიშნული თავის ბარათებში. ამიტომ ეს უფრო საგულისხმო და ძვირფასია ჩვენთვის. ჩვენი მკითხველი საზოგადოება საზოგადოდ ისე უყურებს მგოსნობასა და მწერლობას, ვითომ ეს დიდად იოლი და მხოლოდ ესართობი საქმე იყოს, ვითომ ეს განცდა არ იწვევდეს მგოსნის მთელი არსების და ბუნების ძლიერ გარდაქმნას. მკითხველ საზოგადოებას ჰგონია, რომ მგოსანი მხოლოდ წუთით შეჩერდება ხოლმე ამა თუ იმ მოვლენაზე, გარეგან ფაქტზე, და იგი იმ წუთშივე მაგიდას მიუჯდება და ზრახვათა და ფიქრს ერთბაშათ ქაღალდზე გადაიტანს. არც მეტი, არც ნაკლები, მაგრამ ეს შემცდარი შეხედულებაა. მგოსანი თვის არსებასა და ბუნებაში ამა თუ იმ გარეგანი მოვლენით განცდას იგრძნობს, ამით შეტოკდება, გრძნობა გონებას არყოლიებს. ამ მოვლენისაკენ მიიტაცებს გონების თვალს, მასზე შიაჩერებს, სწორედ ამ დროს აქ ავარდება აღმაფრენის ნაპერწკალი და თავს იჩენს ნაკადი აღმაფრენისა. ამ ხნიდან მგოსანი მოჯადოებული და გატაცებულია ამ მოვლენით, იგი შეჯაჭვულია და დამონებული იმ დრომდე, სანამ ამ გრძნობას, ამ შთაბეჭდილებას, ამ განცდას არ მოუპოვებს შესაფერ გამომეტყველებას, გამოთქმასა და გამონათქვამს, არ მისცემს ფორმას ლექსისას ან პროზისას. აი, მხოლოდ ამის შემდეგ იგი გა-

თავისუფლდება ამ მოჯადოებისაგან და ამ დამონებისაგან. მხოლოდ ახლა იშვებს იგი და მოისვენებს, თავისუფლად ამოისუნთქავს. ასეთ განცდათ ნ. ბარათაშვილის შესახებ გვიდასტურებს კონსტ. მამაცაშვილი. იგი მოგვითხრობს: „1838 წ. ივლისის ერთ საღამოს გარეთუბანს წავედით მე და ნ. ბარათაშვილი სასეირნოთ; ტატო ძალიან მხიარული იყო და თავისებურათ მშვენიერათ ხუმრობდა. მერმე ჩამოვარდა ლაპარაკი ჩვენს წარსულ ცხოვრებაზე და ტრაღიკულ დასასრულზე მე-18 საუკუნისა მეფის ირაკლის მოხუცებულობის გამო უღონობაზე, ჩვენი თბილისის წახდენაზე 1795 წ. სექტემბრის 12-ს და სხვ. ამ ლაპარაკის დროს ნიკოლოზს, ყოველთვის მოცინარს და მხიარულს, სახე გამოეცვალა, დაიწყო ხელსახოცით ცრემლების წმენდა და აღელვებულმა მითხრა:

— ჩვენმა უხეირობამ დაგვღუპა! — და ოხვრით დაუმატა.

— ვაი, ჩვენო ქართლის ბედო!

დიდხანს დავდიოდით თავჩაღუნული და მოწყენილი“.

ეს იყო 1838 წ. ივლისში. ახლა თუ მოვიგონებთ, რომ პოემა „ბედი ქართლისა“ დაწერილია ე. ი. დამთავრებულია 1839 წ. უნდა უეჭველად ვაღიაროთ, რომ ამ ხნის განმავლობაში ამ ერთმა ატოკებამ, ძლიერმა განცდამ ნ. ბარათაშვილის გულისყური და არსება მიიპყრო — საქართველოს მე-18 საუკუნის უკანასკნელი დღეების ბედმა. იგი ამით იქნა დატყვევებული და მოჯადოებული. ამ ხნის განმავლობაში ამას უკირკიტებდა და ულოლიავებდა. მაგრამ ამაზე უფრო მეტი დამამტკიცებელი საბუთი გვაქვს, თუ რაგვარ განცდათა გავლენის ქვეშ იმყოფებოდა მგოსანი ასეთი შესანიშნავი ნაწარმოების შექმნის დროს, როგორიც არის „მერანი“. ვალაპარაკოთ თვით მგოსანი: „ილიას დაჭერა რომ შევიტყვე, სწორე გითხრათ, ძალიან შეშფოთდი, ასე, რომ სამი დღე გაბრუებული ვიყავი ათასის სხვადასხვა უცნაურის ფიქრებით და სურვილით და, რომ ეკითხათ კი ჩემთვის, მეც არ ვიცოდი, რა მინდოდა. ბოლოს, მესამეს დღეს ეს ლექსი დავწერე და თითქოს ამან რაღაც შვება მომცაო“. აქ ნათლად და ცხადად არის აღნიშნული, რომ უბრალო ამბავმა — ილია

ორბელიანი შამილმა ტყვედ წაიყვანაო — მგოსნის ყურადღება მიიპყრო, მისი არსება ამან შთანთქა, სამი დღე და ღამე ამასე ფიქრმა გააბრუა, მას გარეშე ამისა აღარაფერი ესმის, განცალკევდა და გამოურკვეველ ძდგომარეობაში ჩადგა. აქ მან განიცადა სწორედ ისევე და იმავე ძლიერებით, რასაც აღნიშნავს დიდებული გოეთე თავისი შესანიშნავი თხზულების „ფაუსტის“ შესავალში. სადაც იგი მოგვითხრობს პოეტური აღმაფრენის განცდას.

ცხადია, რომ ნ. ბარათაშვილი ამ დროს ამ გრძნობას უკვირდება, უკირკიტებს, გამოსავალს ეძიებს და პოულობს ფორმებს. იგი აღმაფრენით არის შთანთქმული და შეპყრობილი. იგი გაბრუებულია და ამ ქვეყნიერობისა არცა რა ესმის. არცა რა იპყრობს მის გულისყურს. მას მოეშვება მხოლოდ მაშინ, როცა გრძნობა ლექსად გამოთქვა და ფიქრები ქაღალდზე გადაიტანა. აქ ჩვენ ვგრძნობთ, ვხედავთ და მონაწილენიც კი ვხდებით მთელი აღმაფრენის დასაწყისისა, გაჟიაფებისა, განვითარებისა და ამ აღმაფრენის ნაყოფის წარმოშობისა. ასეთია ძალა აღმაფრენისა, და სწორედ ის არც მგოსანია, ვინც ამ ძალას ასე არ განიცდის. ის მხოლოდ ამა თუ იმ აზრებისა და ფიქრების მშრალი მქადაგებელია. იგი მკითხველზეც ვერ იქონიებს გავლენასა და შთაბეჭდილებას ვერ მოახდენს. ვინც თვითონ ძალზე არ განიცადა შეტოკება გულისა და გრძნობისა, არ ატარა ეს თავის გრძნობაში კარგა ხანს და იქ არ დააბუნება, იგი ვერც სხვის გრძნობასა და გულს შეატოკებს. სწორედ ასეთსავე მდგომარეობას განიცდიდა აკაკი წერეთელი ჟამსა აღმაფრენისასა. არ შემიძლია, არ მოვიგონო ერთი შემთხვევა. ერთხელ, ახალგაზრდობისას, მე და ჩუმი სამიოდე ამხანაგი აკაკისთან ერთად გოლოვინის პროსპექტზე მივდიოდით. ჩვენ ლაღად სხვადასხვა ამბებს მოვუთხრობდით, ამით თავის თავსაც ვირთობდით და აკაკის გართობასაც ეცდილობდით. მაგრამ ჩვენი გაკვირვება დიდი იყო, როცა აკაკიმ, ამ ჩვენი ლაღობის დროს, ჩუმი და ნელი ხმით სიმღერა დაიწყო. ჩვენ სული გავკმინდეთ და მივჩუმდით, ასე განვაგრძეთ გზა. ჩვენთვის ცხადი იყო, რომ აკაკი გამოგვეყო, გამოგვეთიშა და თავის აღმაფრენის სამფლობელოში შეცურდა. სულიერად იგი

ჩვენთან აღარ იყო. ასე მივედით ნ. 'დიასამიძისას. დარბაზში შევედით და დიასახლისისათვის ამბების მოთხრობა მოვინდომეთ. მაგრამ ამ დროს აკაკიმ დიასახლისის უმცროს ვაჟს სთხოვა, ქაღალდი მოიტა და ლექსს გიკარნახებო. ჩვენ მეორე ოთახში გავედით. რამდენიმე წამის შემდეგ მოვისმინეთ მშვენიერი ლექსი. აი, ასეთია ზნე და თვისება აღმაფრენისა, და ვიტყვით აკაკისავე სიტყვებით:

ის ნუ გგონიათ თქვენ გულის ფხანვა
საყოველთაო... ყოველ დღიური.

თუ ასეთი ძლიერია აღმაფრენის გავლენა და ამ განცდათ შეუძლიათ ასე გაბრუება და გარდაქმნა მგოსნის არსებისა, მაშინ, ცხადია, რომ მგოსანი და საზოგადოდ კი, ნიჭიერი მწერალი, განსაკუთრებულ პირობებში უნდა იქნეს მოთავსებული, უზრუნველყოფილიც, რომ ამ განცდათ დრო მოანდომოს, თვით ბუნებაში ატაროს და ამ დროის განმავლობაში კი მან არ უნდა იგრძნოს დაბრკოლება და შევიწროება. მაგრამ ამჟამად ეს საკითხი ჩვენ არ გვაინტერესებს, რადგან ეს სრულებით შეეხება სოციალური ცხოვრების მოწესრიგებასა და მოწყობილობას.

ტრფობის ლექსები

ჩვენ ზევით აღვნიშნეთ, რომ ნ. ბარათაშვილს დაწერილი და დამთავრებული ჰქონდა დიდი პოემა — „ივერიელნი“, რომელშიც მოთხრობილი ყოფილა ჩვენი ისტორიული ცხოვბის მეათე, მეთერთმეტე და მეთორმეტე საუკუნეების „საქმენი საგმირონი“. ეს პოემა დაკარგულია, იგი არ მოგვეპოება, ეჭვი კი არ არის, რომ ეს პოემა ნამდვილად დამთავრებული ყოფილა. ამას ადასტურებს მოწმობა კონსტ. მამაცაშვილისა, რომელსაც მგოსნის მიერ თვით მოუსმენია ეს პოემა და რომელიც იმდენად პატიოსან და მართალის მთქმელ ადამიანად იყო ცნობილი, რომ იგი აქ უეჭველად აშკარა ფაქტს აღნიშნავს. ჩვენ ისიც ვიცით, რომ ნ. ბარათაშვილს უთარგმნია „იულიოს ტარენტელი“. ეს თარგმანი ჩვენთვის

ცხადყოფს, რომ ნ. ბარათაშვილს ყურადღება მიუქცევია ამ ტრაგედიისათვის იმიტომ, რომ შინაარსი და აზრი ამ ტრაგედიისა შეეხამებოდა, შეეფერებოდა ნ. ბარათაშვილის სულის ვითარებას, მიდრეკილებასა და მიმართულებას: ამ ტრაგედიაში ხაზგასმით გატარებულია თავგამოდებით დაცვა და გამოსარჩლება დემოკრატიული დამოუკიდებლობისა მოქალაქის მიერ. ეს სრულებით შეეხამებოდა ნ. ბარათაშვილის სულის სწრაფვასა და მანაც სიამოვნებით სთარგმნა იგი.

განძი, რომელიც ნ. ბარათაშვილმა დაუტოვა მშობლიურ ლიტერატურას, რიცხვის მიხედვით ძალიან მცირეა. სულ მოგვეპოვება ერთი პოემა „ბედი ქართლისა" და ოცდათექვსმეტი ლექსი... ნ. ბარათაშვილის ხასიათის დაღი და ბეჭედი ღრმად აზის ტრფობის ლექსებსაც...

მკითხველს თვალწინ გადავუშლით პირველად ტრფობის ზოგი ლექსის შინაარსს, აღვნიშნავთ ამ ლექსების იმ მხარეს, რომელიც ნიშნობლივ თვისებას შეადგენს ნ. ბარათაშვილის შემოქმედებისას და მივუთითებთ ამ ლექსების ნაკლულევანებას სხვა ჩვენი მგოსნების ამავე დარგის ლექსებთან შედარებით. შემდეგ განვიხილავთ შინაარსსა და მნიშვნელობას მეორე დარგის ლექსებისა, რომელნიც ახასიათებენ ჩვენი ცხოვრების მაშინდელ საზოგადოებრიობას. ბოლოს კი ცალკე განვიხილავთ პოემის „ბედი ქართლისას" მთელ შინაარსს და სოციალ-პოლიტიკურ მნიშვნელობას.

ყოვლად უწინარეს, უნდა აღვნიშნოთ, რომ ნ. ბარათაშვილის ლექსები რომანტიკული ხასიათისანი არიან, იმ რომანტიკულისა, რომელსაც განსაკუთრებით ბაირონიზმი ეწოდება. ეს ლექსები ამასთანავე და სწორედ ამიტომაც, ლირიული პოეზიის დარგისანი არიან. ამ ლექსში ნათლად, ერთიანად გამომჟღავნებულია სულიერი ვითარება და შინაგანი ბუნება ნ. ბარათაშვილისა, ასე რომ, ეს ლექსები სუბიექტური ხასიათისა არიან. ამიტომ ჩვენ, როგორც ეს ზოგ კრიტიკოსს ჩვევია, შეგვეძლო აქ, ვიდრე ლექსთა შინაარსის გათვალისწინებას და შესწავლას შევუდგებოდეთ, მკითხველისათვის განგვემარტებია, თუ რას წარმოადგენს რომანტიზმი, ბაირონიზმი, ლირიზმი და სუბიექტივიზმი პოეზიაში. ამისათვის კი დიდი შრომა არ დაგვჭირდებოდა. სრულებით იოლად და ადვილად

შეგვეძლო ეს საქმე პირნათლად შეგვესრულებია. ავიღებდით ცნობილს, ყველასაგან მიღებულ სახელმძღვანელოს, რომელშიც პოეზიის ეს დარგები უკლებლივ და ზედმიწევნით განმარტებულია, და გავიმეორებდით, მაგრამ ჩვენ ამას არ ვშვრებით, რადგან გვგონია, რომ ამ დარგების თვისება და ხასიათი უჩვენოდაც მკითხველმაც უნდა იცოდეს. ჩვენ მკითხველზე მეტი წარმოდგენისა ვართ და მის ცოდნასა და შეგნებას მეტ პატივსა ვცემთ. ამიტომ ამ ზოგად მიმოხილვას ვსტოვებთ, გვერდს ვუვლით და პირდაპირ გადავდივართ პირველი დარგის ლექსებზე, ტრფობის ლექსებზე.

პირველი ლექსი — „ბულბული და ვარდზედ“ — იპყრობს მკითხველის ყურადღებას განსაკუთრებული შინაარსით. ჩვეულებრივ მგოსანი ლექსის ამ თემას სულ სხვანაირად შეიმუშავებდა, სხვაგვარად გააშუქებდა და გამოთქვამდა, იგი გადაგვიშლიდა ბულბულის გრძნობისა და გულისთქმის აღძვრას და განვითარებას, დაგვიხატავდა სურათებითა და ნაკვთებით განცდად ბულბულისას ვარდისადმი, აქ ადგილი ექნებოდა ტრფობის საგნისადმი ტრფიალს, რაყიფის ალერსსა, სიყვარულის კურკურსა და გულისთქმათა აშლას, ნიჟიერისა და მგრძნობიარე მგოსნის მიჯრ ეს სურათი იქნებოდა ჩვენი თვალის წინ გადაშლილი მთელი სიგრძე-სიგანით. იგი სურათი მშვენიერი და წარმტაცი იქნებოდა გარეგანი გამოხატულებით და ჩვენც დაგვაკმაყოფილებდა, აღგვიძრავდა რა მშვენიერების სიამოვნებასა და სიტკბოებას. გვაგრძნობინებდა ალერსისა და სიყვარულის აღმგზნებელ ძალას ფერადი გამონაკვთობით. ჩვენი მგოსანი კი ამ მხარეს აქ სრულებით არ ესება. იმისათვის ეს მხარე მშვენიერებისა და ამ მშვენიერების მიერ გამოწვეული სიტკბოებისა არც არსებობს. იგი ეტრფის არა თვით საგანს ტრფობისას, არა მშვენიერებას, ტკბილ გრძნობათა აშლელსა და აღმძვრელს და ამიტომ გულისთქმათა დამაამებელსა და დამამუშავებელს. არა, მისი ბულბულის გულისყური იქით არის მიქცეული, რომ გაიგოს, შეიმცნოს, მისწვდეს საიდუმლოებას ტრფობის გაჩენისას, წარმოშობისას. იგი ვარდს კი არ ეალერსება, კი არ შეფრფინვის, არამედ ეკითხება, მითხარ „თუ როგორ არს გაშლა შენი მღივანი“. რაყიფს აინტერესებს არა თვით წარმტაცი

მშვენიერების სახე და არსება. არა, მას უნდა გაიგოს, თუ როგორ ხდება მღვიანი გაშლა ვარდისა, ე. ი. როგორ ხდება, რომ ვარდი — სიმბოლო მშვენიერებისა — ნელა, ჩუმად, უხილავად და შეუმჩნეველად, თანდათან იბადება, იზრდება, ვითარდება და მშვენიერებად იქცევა, იმ მშვენიერებად, რომელიც მგრძნობიარე არსებას იტაცებს, აღტაცებს ხოლმე და სიამეს ანიჭებს. მაშასადამე, აქ მგოსნის გულისყურს იპყრობს დიდი საიდუმლოება, მან უნდა იცოდეს თვით წარმოშობა და გაჩენა მშვენიერებისა, უნდა მიწვდეს მოელენის, საგნის თვისს არსს, თვით სულს, მეტაფიზიკურ მხარეს. მიწვდეს მიუწვდომელს, გამოიცნოს გამოუცნობელი, უნდა შეიგნოს და შეისწავლოს თვით გაჩენა, თვით დაბადება მშვენიერებისა. ჩვენ აქ ვხედავთ, რომ ნ. ბარათაშვილი საგანს ეხება ნამდვილი მეცნიერული თვალთახედვით. მისი ბულბული აშიკი და ტრფიალი, რაყიფი კი არ არის, რომელიც მშვენიერების ალერსითა და განცდით სიამოვნებას მიიღებს ხოლმე. არა, ეს ბულბული მეცნიერია, ისეთი მეცნიერი, რომელიც ფიქრობს დაკვირვებითა და გამუდმებული ყურყუტით, შეუწყვეტელი ჭვრეტით მისდევს ბუნების დიდ საიდუმლოებას — მშვენიერების წარმოშობისა და გაჩენის საიდუმლოებას. ამას ვერ მისწვდა, ეს ვერ შეიგნო ბულბულმა და მას „მყის მოუკვდა გული“. აქ მიზეზი გულის კვდომისა, გრძნობის სიმწიფისა ის კი არ არის, რომ ტრფობის საგანმა არ მიიღო, არ თანაუგრძნო ტრფიალს. არა, აქ სევდიანობა და ნაღვლიანობა იმან წარმოშვა, რომ საიდუმლოებას ვერ მისწვდა. ის-ის იყო ფიქრობდა, რომ ამ საიდუმლოებას მისწვდებოდა, შეიგნებდა და ამით შვებას იგრძნობდა, რომ ეს ახირებული ტრფიალი, ეს მეცნიერი მკვლევარი ამ მიკრკიტებით დაიღალა, წათვლიმა, და სწორედ ამ მომენტით ისარგებლა საიდუმლო ძალამ ბუნებისამ და მკვლევარის შეუმჩნევლად, ერთბაშად, უეცრივ მთელი მშვენიერება წარმოიშვა. ტრფიალმაც თვალი გაახილა და სიამოვნების ნაცვლად გული გაუსკდა. რატომ? სწორედ იმიტომ, რომ მას მშვენიერება კი არ იტაცებს, ეს მშვენიერება კი არ არის თავის თავად მისი გატაცებისა და მიტაცების საგანი, არამედ მხოლოდ და მარტო მშვენიერების დაბადე-

ბისა და წარმოშობის საკითხი. მეორე მხრივ, ამ ლექსში ის გარემოება იპყრობს ყურადღებას, რომ, რაკი ბულბულმა დაინახა „ვარდი ფურცვნილი, მყის მოუკვდა გული“. აზრი ის არის, რომ რაკი მან საწადელს ვერ მიაღწია, გაფრინდა, საგანს ტრფობისას მოშორდა, გული გაუსკდა და გოდებას მიჰყო ხელი. ნ. ბარათაშვილის პოეზიის დამახასიათებელია, რომ მას ძლიერი გრძნობა, გაბედული ნაბიჯი, მტკიცე ხასიათი იტაცებს და მისგან მოწონებას მიიღებს ხოლმე. თუ საწადელს ვერ მიაღწევს დიდი შრომითა და ჯაფით, სიცოცხლე არარად ღირს, მას ფასი აღარ აქვს, შენს არსებას და ეს არსებობა დაღუპვისაკენ მიექანება. ამიტომ სჯობია, ბარემ ერთბაშად დაიღუპო, მოისპო, აქ კალმის ერთი მოქნევით და მცირე ნაკვთით, ხაზგასმით გამოთქმულია დიდი საკაცობრიო თვისება გრძნობისა და გონებისა.

ჩვენ განგებ ასე დიდხანს შევჩერდით იმიტომ, რომ ეს ლექსი პირველია ყველა ლექსთა შორის. ამ პირველსავე ლექსში ცხადი ხდება მთელი ორიგინალობა, სხვანაირობა ნ. ბარათაშვილის პოეზიისა ტრფობის დარგის ლექსებში. ჩვენთვის ცხადი და ნათელია, რომ ამ ლექსის დამწერი სულ სხვაგვარად ამუშავებს ეშხისა და ტრფობის საკითხს. ასეთი მგოსანი არ კმაყოფილდება მშვენიერების აღწერილობით, არ ეტანება ამ მშვენიერების პირდაპირ ჭვრეტით ზემოქმედება და გავლენა იქონიოს ჩვენს გრძნობაზე. მას სრულებით არ აინტერესებს მშვენიერების პლასტიური მხარე. მას ეს მშვენიერება აღუძრავს მხოლოდ ამა თუ იმ საკითხს და იგი, ამ მშვენიერების ხილვით აღგზნებული ამუშავებს და იკვლევს ამ ახალ საკითხს. მშვენიერება კი არ არის თავის თავად მიმტაცი და წარმტაცი საგანი, არამედ ეს მშვენიერება მხოლოდ საბაბს აძლევს მგოსანს იძიოს და იკვლიოს საკითხი, მშვენიერებასთან დაკავშირებული. ეს მშვენიერება მის გრძნობას მხოლოდ წკიპურტსა ჰკრავს და მერმე კი აფხიზლებს და ამახვილებს გონების გამჭრიახობას. მშვენიერებამ მხოლოდ გრძნობა აშალა, აატოკა. ამ გრძნობამ კი მაშინვე გონიერებას დაუთმო ადგილი, და ეს უკანასკნელიც თვისი მთელი ძლიერებით ამუშავდა. აქ ასეთი დამოკიდებულება არის: მშვენიერებამ გრძნობა აღძრა, გრძნობამ კი

მყისვე გონიერება მოიხმო. ამის შემდეგ გრძნობა მიიჩქმალა, მიყუჩდა, ერთ დონეზე შეჩერდა, თითქოს იგი ამ პროცესში მონაწილეობასაც კი იღებდეს, თითქოს მას არც ჰქონდეს უნარი განიცადოს სიტკბოება და სიამოვნება მშვენიერების პლასტიური ნაკვთების ცქერითა და ჭვრეტით. იგი შესცვალა გონიერებამ, გონიერება მახვილობს, ფხიანდება და გამჭრიახობას იძენს. გონებამ მთლად დაჩრდილა გრძნობა: მეტსაც ვიტყვით, გონებამ მოკლა ეს გრძნობა, რადგან ჩვენ მას ვერც ვხედავთ, ვერც ვამჩნევთ. ჩვენ განვიცდით მხოლოდ გონიერების მოქმედებასა და საქმიანობას. გრძნობა მომენტით არის მოხიბლული, იგი ამ მომენტით ტკბება და ნეტარობს. მას არც აინტერესებს, თუ ეს მომენტი მალე შეიცვლება და წარივლის, და ამ დროს სიტკბოების ნეტარებაც გაშრება, მწარე რამ გრძნობით შეიცვლება. გონება კი მომენტს არ სჯერდება, არ ყაბულდება, იგი წარმოიდგენს მთელ შედეგსაც ამ მომენტის სიტკბოებისას, იგი ამ განცდათ გაითვალისწინებს მთელი დროის განმავლობაში და იკვლევს, თუ რა ცვლილებაა ამ ხანში, ამ დროის განმავლობაში განიცდის სიტკბოებას, მშვენიერების მიერ მინიჭებული. აქ კი, დამეთანხმებით, იფერფლება სიტკბოება, სიამოვნება ისპობა, რადგან გრძნობა მომენტით, წუთიერი გატაცებით სარგებლობს და მშვენიერების პირდაპირი ჭვრეტით გულისთქმას იშუშებს, ამას კი იმჟამად ნეტარობს და ტკბება. მას სრულებით არ უნდა აინტერესებდეს კითხვა, ხანგრძლივია თუ არა ეს სიტკბოება და ნეტარება, შეიცვლება, გარდასხვაფერდება თუ არა ეს სიამოვნება, ამ მომენტში მონაბერი და მონიჭებული, თუ სიამოვნება სიმწარით შეიცვლება. ამ ფარგლებში კი სიტკბოებაც ძლიერია და განცდათ მახვილი, მომჯადოებელი. აი ეს არ აქვს ნ. ბარათაშვილს. ამ განცდათა პროცესში იგი უპირატესობას აძლევს გონებას, რომელიც მშვენიერების მიერ აღძრულსა და გამოწვეულ სიამოვნებას. დროის განმაელობაში იხილავს და იძიებს, და სწორედ ამიტომაც აქ სიტკბოება და სიამოვნება ისპობა და ქრება.

აი, ეს არის მთელი ნიშნობრივი თვისება ნ. ბარათაშვილის ტრფობის ლექსებისა. აქ ტრფობის მეორ გამოწვეულ გულისთქმათა განცდა კი არ არის, არამედ გრძნობა მხოლოდ საშუალებას აძლევს გონებასა და შეგნებას, რომ ეს უკანასკნელი ამუშავდეს და თავისი შეხედულება და დასკვნა წარმოთქვას. თუ გნებავთ, ეს ძალიან დიდი ნაკლულევანებაა ამ დარგის სფეროში, მაგრამ ორიგინალური გეზი კი არის. და ამჟამად ჩვენთვის სწორედ ეს არის ფრიად საინტერესო და საგულისხმო. ჩვენთვის ცხადი ხდება, რომ ნ. ბარათაშვილი ტრფობისა და ეშხის საქმეს სწორედ ამ ორიგინალური მხრით შეეხო. იგი აქ განცალკევებით სდგას.

მეორე ლექსიც „ქეთევან“ ამ ორიგინალობას გვიდასტურებს. ამ ლექსიდან ჩვენ ვიცით, რომ ამილბარი ქეთევანის სატრფო ყოფილა. ამის მეტი ჩვენ არაფერი ვიცით ამ ტრფობის შესახებ. არ ვიცით გრძნობისა და გულისთქმა, ღელვა, აშლა და განვითარება. ჩვენ მგოსანი მიგვიწვევს მხოლოდ უკანასკნელი მომენტის დროს, იმ მომენტის დროს, როცა გულისთქმათა ღელვა დრამად ქცეულა, ქეთევანს დაუკარგავს ყოველივე იმედი და ნუგეში და იგი ჩვენი თვალის წინ ქსნის ტალღებში ჩაინთქება. ცილისწამებამ თურმე ამილბარს ქეთევანზე გული აუცრუა და გაუგრილა. ქეთევანმა ეს ვერ აიტანა, მან გრძნობა შეგნებისა და გონიერებას ვერ დაუმორჩილა და იგი მსხვერპლი შეიქნა გრძნობათა, ძლიერ განცდათა. მაშასადამე, აქაც მგოსანს აინტერესებს უკანასკნელი მომენტი გრძნობათა აშლილობისა. მშვენიერების განცდა და ამ განცდით მოპოვებული სიტკბოება და შვება არ იპყრობს მის გულისყურს. ამ ლექსის დედააზრი ის არის, რომ თუკი გულის სწორის, შენი ტრფობის საგანი, საზოგადოდ კი მეგობარი ერთი ცილის დაწამებით სამუდამოდ მიგატოვებს და მოგშორდება, შენზე გულს გაიტეხს და ხელსაც აიღებს, მაშინ ამ სოფლად ყოფნაც აღარ ღირს, ამიტომ სიცოცხლე უნდა მოისპო და ამ საწუთროს სამუდამოდ გაშორდე; აქაც, ნ. ბარათაშვილის ნიჭი ძლიერი გრძნობისა და გაბედული ნაბიჯის მომღერალია, მომწონებელია. ნ. ბარათაშვილმა არ იცის საშუალობა, შუათანობა, მიეთ-მოეთობა, დათმობა და შერიგება. იგი ძლიერი გრძნობის

მაღმერთებელია და ამ გრძნობის განსახორციელებლად მას ვერავითარი მსხვერპლი ვერ შედრეკს. ეს კი ძლიერი სულის დიდბუნებოვანებაა.

ასეთი თვალსაზრისით და ასეთი დასტაქრის გაბუდულებით შეეხება ხოლმე ყოველთვის ჩვენი მგოსანი ტრფობის საგანს. ამიტომ იგი ტრფობას, ტრფობით გამოწვეულ სასიამოვნო განცდათ კი არ გადაგვიშლის, არამედ იგი ამ მომენტით სარგებლობს, რომ ჩვენ მოგვაწოდოს და გვამცნოს თავისი შეხედულებანი და დასკვნანი ტრფობის შედეგის შესახებ, წინდაწინვე გვაფრთხილებს და ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ „ტრფიალის გრძნობა ცვალებადია". ამის გახსენება კი ტრფობის წუთების დროს, ხომ ჩაკვლაა, ჩახშობაა თვით ტრფობისა, განელებაა გრძნობისა და მოსპობაა სიტკბოების განცდათა, ამიტომ ჩვენი მგოსანი თავის თავთან გინუყრელია და იგი თავის პოზიციაზე მაგრად დგას მაშინაც, როცა იგი მოგვაწვდის თვის, ამ მხრივ შესანიშნავ, ლექსს: „რად ჰყვედრი კაცსა, ბანოვანო, პირუმტკიცობას?" ეს, თუ გნებავთ, მთელი ფილოსოფიაა ტრფობის შესახებ, მსჯელობაა ჭკვიანისა და მახვილი გონების პატრონისა; დასკვნაა დაკვირვებული ნიჭისა და გაფრთხილება ეშხისა და ტრფობის შესახებ. მაგრამ აქ ნასახიც არ მოიპოვება თვით ტრფობისა, ამ ტრფობის მადლისა. აქ არ არის ტკბობა, მშვენიერების განცდათაგან მონიჭებული, არ არის სიამოვნება და გატაცება, ამ მშვენიერების ხილვით გამოწვეული. ამ დარგის სხვა ლექსებიც, მცირე გამონაკლისით, ამასვე გვიდასტურებენ. ამიტომ რომ გამეორება არ დაგვჭირდეს, ამჟამად ეს ვიკმაროთ და გავათავოთ...

ბუნების აღწერილობის საქმეშიც ისეთივეა ნ. ბარათაშვილი. ბუნების დიდებული სანახაობით იგი განიცდის სიტკბოებასა და სიამოვნებას. ეს სანახაობა მას გრძნობას აუტოკებს და აღმაფრენის მადლს აუმოქმედებს. მაგრამ იგი ჩვენ როდი მოგვითხრობს ამ სიამოვნების განცდას ბუნების დიადსა და ფერადი სანახაობის აღწერით, რომ ამ პირდაპირი ნაკვთებით ჩვენი გრძნობა შეატოკოს და სიამოვნება განგვაცდევინოს. იგი მხოლოდ თვით სუბიექტურ შთაბეჭდილებას მოგვითხრობს, რომელიც თვით მასზე იქონია ბუნების სანახაო-

ბამ. ჩვენ კი არ გვეძლევა საშუალება, შევამოწმოთ, თუ რამ-დენად ეს შთაბეჭდილება შეეხამება და შეეფერება ბუნების ამ სანახაობას. ჩვენ მხოლოდ უნდა ვირწმუნოთ და დავიჯე-როთ, რომ იმჟამად ბუნების სანახაობა ისეთი იყო, რომ მხოლოდ ასეთ შთაბეჭდილებას იქონიებდა მგრძნობიარე მგო-სანზე. მთაწმინდის მყუდრო და მშვიდი ბუნება, მსუბუქი ჰაერი ნებივრობასა და ლაღობას კი არ აგრძნობინებს მგო-სანს, არამედ აქ მყოფი იგი განიცდის შინაგან გარდაქმნას, იგი „მწუხარ და სევდიანი“ შეიქმნება და ჩვენც ამას გაგ-ვაცნობს. იგი აქაურობას შორდება, ფრთებს ისხამს, ცაში აფრინდება და იქ უნდა დაისვენოს, შვება და ნეტარება იგრძნოს. იგი აქაურობით როდი კმაყოფილდება. აქაურო-ბამ მას მხოლოდ გრძნობა აუშალა. გრძნობის აღიზიანებამ გონება გაუმახვილა, იგი გადაცდა აქაურობას, მოსხლტა ნიადაგს და შეცურდა უსაზღვროებისა და მიუწვდომელის ოკეანეში. ამით კი თვით იგი კმაყოფილია და იგი, ვით კე-დელი ადამიანი და მოყვარული მეგობარი, ჩვენც იქით. ოკეანისაკენ მიგვიწვევს, სრული დარწმუნებული, რომ იქ ცურვა, ლივლივი და მსუბუქ ფრთათა ნებიერი და თავისუ-ფალი გაშლა ჩვენც სიამოვნებასა და სიტკბოებას გვაგრძნო-ბინებს, ამგვარსავე მოვლენას აქვს ადგილი ლექსში „ფიქ-რნი მტკვრის პირას“. ნელად მღელვარი, მოდუდუნე მტკვა-რი მგოსანს აუშლის ფიქრთა ტალღას, ფიქრთა ტალღა გაი-ტაცებს მას და იგი ჩვენ მოგვითხრობს ამ ფიქრებსა და აზრებს.

ჩვენ აღარ გამოვუდგებით ტრფობის და ბუნების აღწერი-ლობის სხვა ლექსების შინაარსის განმარტებას. ჩვენთვის ესეც საკმარისია შევიგნოთ, თუ რა ხასათისა არის ნ. ბარათა-შვილის ამ დარგის პოეზია ფიზიკის მეცნიერებიდან რომ შე-დარება ვიხმაროთ, ჩვენ უნდა ვთქვათ, რომ თვით ნ. ბა-რათაშვილი და მისი შინაგანი სულიერი ბუნება წარმოადგენს დიდსა და ვეებერთელა მგრძნობიარე კონდენსატორს, რო-მელშიც მომწყვდეულია დიდი გრძნობა და ფართო ფიქრები ბუნების გარეგან სანახაობასა და მშვენიერებას, ტრფობის საგანს აქ ის მნიშვნელობა აქვს, რა მნიშვნელობაც ფიზიკაში ინდუკატორს. როცა ინდუკატორი კონდენსატორს შეეხება, ეს უკანასკნელი იმ წამში გამოიჩენს და გამოამჟღავნებს

ელექტრონის თვისებასა და ძალას. კონდენსატორს აამოქმედებს ინდუქტორი. სწორედ ასევე ნ. ბარათაშვილის სულიერ მადლს აამოქმედებს და აამუშავებს ბუნების სანახაობა და მშვენიერების ჭვრეტა. რაკი ეს მადლი ამოქმედდება ამათი გავლენით, შემდეგ ეს მოქმედება წარმოებს იმ სფეროში და იმ სიგრძე-სიგანით, რა თვისებისაც თვით ეს სულიერი მადლია, სწორედ ისე, როგორც ძლიერება და ეფექტი კონდენსატორისა ერთიანად დამოკიდებულია თვით კონდენსატორისა და არა ინდუქტორის ძლიერებაზე.

საზოგადოებრივი შინაარსის ლექსები

ახლა ჩვენ უნდა განვიხილოთ ნ. ბარათაშვილის ის ლექსები, რომელშიც მას გამოთქმული აქვს აზრები, მიდრეკილება და მისწრაფება საზოგადოებრივი და რომელნიც ამიტომ ახასიათებენ მის სულის სწრაფვას და ამასთანავე ჩვენც საშუალებას გვაძლევენ დავახასიათოთ მისი თანამედროვე თაობა, ე. ი. წარსული საუკუნის ოცდაათიანისა და ორმოციანი წლების მოწინავე თაობა. ამ ლექსების საშუალებით ჩვენ შეგვიძლია შევისწავლოთ და გავითვალისწინოთ ამ წლების მოღვაწეთა სულისკვეთება, წადილი და მისწრაფება საზოგადოებრივი. მაგრამ აქ, სანამ წინ წავიდოდეთ ამ დარგის ლექსების შესწავლაში, საჭიროდ მიმაჩნია მოვიტანო ჩემი შეხედულება ნ. ბარათაშვილზე, რომელი შეხედულებაც მე დაწერილი მაქვს 1895 წ. და რომელიც მოთავსებულია გაზ. „კვალის“ იმ წლის ორმოცდამეხუთე ნომერში. ნ. ბარათაშვილის შესახებ ჩვენ შემდეგსა ვწერდით:

„ყამთა სიავის“ გამო გულმოკლული მგოსანი უმეგობროდ, უთანამოაზროდ დაშთენილი „სული ობოლი“ მარად ითმენს უნუგეშობას, იგი ყველას და ყოველსავე განშორებია, მიზეზს იგი ეძებს თავის სულსა და გულში, „ხმა იდუმალი“ მარად გულსაკლავად ჩასძახის მას ასეთ აუტანელ მდგომარეობაზე და მით აორკეცებს მის სულისკვეთებას. ქენჯნის მის სინდისს. მაგრამ მიზეზი სულ სხვა ყოფილა და პოეტი სრული გულწრფელობით ამბობს:

მაგრამ მე ჩემში ვერ ვპოვებ ავსა,
მის საშფოთველსა და საქეჯნავსა.

რადგან ასეთ კაცს, მამულიშვილური გრძნობით გულდათუთქულსა და მოქალაქეობაზე მარად მზრუნავს, „სწორთა თანზრდილთა, მეგობართ შორის“ ტოლი აღარ ჰყავს, იგი ბუნებას მიეკედლება და მას ჩაჰკვნესის, მოუწოდებს, რათა განკურნოს იგი და მის დაიარათებულ გულს მალამო დაადოს. აქ, უტყვსა, უასაკო ბუნებაში, სევდიანი ფიქრით გაერთოს. მაგრამ უტყვი ბუნება მას თვის გულს არ გადაუშლის და შიგ არ ახედებს. პოეტი გულამოსკვნით გაიქახის:

ვინ იცის, მტკვარო, რას ბუტბუტებ, ვისთვის რას იტყვი,
მრავალ დროების მოწამე ხარ, შენ, მაგრამ ხარ უტყვი.

ანდა, ესევე ბუნება უფრო საიდუმლოებასა და მიუწვდომელობას წარმოუდგენს პოეტს და ამით პოეტის გულს უფრო ასევდიანებს, უფრო ანაღვლიანებს:

გულის თქმა ჩემი შენს იქითა... ეძიებს სადგურს,
ზენაართ სამყოფს, რომ დაჰშთოს აქ ამაოება.
მაგრამ ვერ ცნობენ გლეხ მოკვდავნი განგებას ციურს!

რადგან ბუნება ასე მიუწვდომელი და პირშავია და პოეტის აშფოთებულ სულს ვერ ამშვიდებს, მის გულს ვერ ივრდომებს, ამიტომ პოეტი წარსულს მიაშტერებს თვალს. ამ წარსულის მოგონებით უნდა მოიბრუნოს სული და დაიმშვიდოს მღელვარება. მაგრამ ამაოდ! სევდა და ნაღველი არც აქ შორდება. და ეს იმიტომ მოხდა, რომ პოეტს ძალი და ღონე შესწევს, იმის არსება დღეს დღეობით თხოულობს მოქმედებას, საქმეს საგმიროს. წარსული კი მხოლოდ მოგონებაა, ნელი მოქმედება. ამნაირად პოეტი, მამულიშვილური გრძნობით აღტყინებული, ხედავს, რომ იგი მოკლებულია თანამედროვეთა თანაგრძნობას, ბუნება მას არ ივრდომებს და არ ითვისებს, წარსული კი მხოლოდ მოქმედების სურვილს უღვიძებს და მოქმედებას აქტიურს კი არ ანიჭებს და ამით უფრო ბასრავს პოეტის გულს. ასეთ მდგომარეობაში ძალამიხდილი პოეტი უკანასკნელად კიდევ მო-

იკრებს ღონეს და სრული თავდავიწყებით ისწრაფვის, განშორდეს გარშემორტყმულ არეს, მიდამოს და მინებდეს თავის მერანს, რომ კლდენი და ღრენი გადაატაროს. ბას აღარ სურს დაიმარხოს თავის მამულში, წინაპართ საფლავთა შორის.

ასეთ ტრაგიზმში ჩააყენა ჩვენმა ცხოვრებამ უკეთესი მამულიშვილები. ამ უკანასკნელთა სულისკვეთების სრული და უნაკლო გამომთქმელია ნ. ბარათაშვილი. მაგრამ მის პოეზიას სრულ სასოწარკვეთილებამდი მაინც არ მიუღწევია და იმედი არ მოუსპია. თუმცა პოეტის ქნარი ამ „კაეშნის ხაზზე" დამღერის, სასოება მაინც კვლავ ათბობს გულს პოეტისას:

ჰოი, სახიერო, რათ წარვიკვეთ მე სასოებას:
პირველ უმანკომ თვით ადამმაც სცოდა შენს მცნებას.

პოეტს უნდა გადაიკარგოს, მიდამოს გაშორდეს, მაგრამ იმ იმედით კი, რომ იმის განწირული სულისკვეთება ცუდად არ ჩაივლის. სხვას გზას გაუთელავს და შემდგომ მოძმეს გზის სიძნელეს გაუადვილებს. მართალია, პოეტის გული „საწუთრო" ცხოვრებამ მოწამლა, მაგრამ იგი მაინც ამ ცხოვრების მოყვარულია და გატაცებულია იმ სურვილით, რომ ეს ცხოვრება გააუმჯობესოს:

არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს,
იყოს სოფელში და სოფლისთვის არა იზრუნოს!

პოეტი მზად არის, შესწიროს თვისი სიცოცხლე და ირსება თვის სატრფოს, რომელიც ასე ღრმად უყვარს:

შევიშრობ ცრემლსა, ჭირთ მანელებელს,
გულსა დაეიწვავ დასანაცრებელს,
და მისსა ფერფლსა, ვითა საკმეველს,
შევსწირავ სატრფოს, ჩემსა სალოცველს.

მოკლედ, ეს არის ხასიათი და ნიშნობლივი თვისება ნ. ბარათაშვილის პოეზიისა. პოეზია მისი ღრმაა ისე, როგორც თვით მისი „სულის კვეთება", „მსახვრელია" ისე, რთგორც თვით „სული ბოროტი", დამაამებელია ისე, როგორც ის „ლამპარი წმინდა", რომელიც პოეტს განუთფობდა გულს

ციური სხივით. ნ. ბარათაშვილმა ჩვენს პოეზიაში ახალი კვალი აღბეჭდა და მას ახალი თვისება — ლირიზმი — შესძინა. მის მიერ ახლადგაკვლეულ გზას დაადგნენ ჩვენი უკეთესი პოეტებიც.

ამ დახასიათებიდან ცხადად ჩანს, რომ ნ. ბარათაშვილის შეგნება და გრძნობა დამწუხრებული და ნაღვლიანია. მისი ჩონგური მუდამ „კაეშნის ხმაზე“ ჟღერს. იგი საწუთროს ე. ი. არსებული ცხოვრების პირობების უკმაყოფილო და უმადურია. ასეთი მდგომარეობა მას ქენჯნის და სიცოცხლეს უმწარებს, ამწუხრებს. მიზეზს ასეთი ყოფისას იგი ეძიებს თვის არსებაში, მაგრამ, როცა ღრმად ჩაუკვირდება თვის თავსა და სინდისს, გულწრფელად, აშკარად აღიარებს, რომ მისი სინდისი უმწიკვლოა, უდანაშაულოა ამ საქმეში, მის არსებასა და პირად ღირსებას წილი არ უდევს მისი სინდისის ქენჯნაში, მის დასევდიანებაში. ბოლოს კი იგი შეიგრძნებს, რომ იმის ასეთი დამწუხრებისა და დასევდიანების მიზეზი თვითონ იგი კი არ არის, არამედ ეს მიზეზი მისი არსების გარეშეა, ამ გარეშე მიზეზს კი, სულის ამშფოთებელს, მან უწოდა „სული ბოროტი“ ამ სულმა ბოროტმა ისე დატანჯა და მოქანცა იგი, რომ იძულებულია, მიატოვოს თავისი სამშობლო და სხვა, ახალი სამშობლო ეძიოს, გაჰკვეთოს კლდენი და ღრუნი და სადღაც, შორს იპოვოს ახალი სამშობლო, სადაც სულით იშვებს და ნერვებს დაიშუშებს, ცხოვრებასა და საწუთროს კი შეიყვარებს. აქედან ჩვენ ცხადად ვხედავთ, რომ მგოსნის ტანჯვისა და ქენჯნის მიზეზი — „სული ბოროტია“, მაგრამ ჩვენთვის გარკვეული როდია, თუ რას წარმოადგენს, რას შეიცავს და რას გულისხმობს „სული ბოროტი“, სიმბოლო სულთმხუთავისა, რომელიც მამულიშვილს უსპობს უნარს მოქმედებისასა და ხალისს სიცოცხლისას. ამიტომ ჩვენი ვალდებულებაა, შევეცადოთ, ეს დანაკლისი შევავსოთ, გავხსნათ ფრჩხილები, ვთქვათ ის, რაც არ თქვა ან ვერ თქვა თვით მგოსანმა, და გავარკვიოთ, თუ ვინ ანრა არის ეს „სული ბოროტი“.

ორგვარმა მიზეზმა გამოიწვია და წარმოშვა ის გარემოება, რომ ნ. ბარათაშვილის ქნარმა „კაეშნის ხმაზე“ იწყო

ეღერა. ერთი ასეთი მიზეზთაგანი ოჯახურისა და პირადი ცხოვრების პირობანი, რომელთაც ხელი შეუწყეს, რომ მგოსნის გულს მუდამ კრთოლვა დაეწყო და იგი მწუხარე ყოფილიყო. მეორე მიზეზი კი უნდა ვეძიოთ ჩვენი ერის ცხოვრების მაშინდელ სოციალ-პოლიტიკურ ვითარებაში. ზევით საკმაოდ გავარკვიეთ პირველი მიზეზის ძლიერება და სიღრმე და მკითხველს ნათლად ვაჩვენეთ, რომ ოჯახის მდგომარეობამ საკმაოდ ხელი შეუწყო, რომ ნ. ბარათაშვილი საწუთროს უმადური ყოფილიყო და უკმაყოფილო თვისი მდგომარეობით. იმის ცხადი და დამამტკიცებელი საბუთებიც მოვიტანეთ, რომ პირად ცხოვრებაში ნ. ბარათაშვილმა ბევრი ისეთი რამ განიცადა, რომ იგი უეჭველად დაბინდული გულის პატრონი უნდა გამხდარიყო. ახლა მკითხველს განვუმარტოთ ის სოციალ-პოლიტიკური ვითარება, რომელიც გამოიწვია რუსთხელმწიფების ჩვენში დამყარებამ და რომელი ვითარებაც ანაღვლიანებდა და სევდით ავსებდა ყოველის შეგნებული ქართველის გულსა და გრძნობას, შხამავდა და სწამლავდა მის შეგნებას. ჩვენ აქ მოკლედ აღვნიშნავთ იმ აშკარა ფაქტებს, რომელნიც მაშინ ჩვენი ერის ცხოვრებაში ხდებოდენ და რომელნიც სულის სიმწარეს იწვევდნენ განათლებულსა და შეგნებულ მამულიშვილის გულში.

მეთვრამეტე საუკუნე დასრულდა და ჩვენი პოლიტიკური ცხოვრების საჭეც გადატყდა. მოისპო ჩვენი პოლიტიკური თვითარსებობა. დამყარდა და გამტკიცდა რუსთხელმწიფება. ამან გააუქმა დამოუკიდებელი მართვა-გამგებლობა. მეფის გვარეულობის წევრებს ეს ახალი ხელმწიფება ციკი რუსეთისაკენ ისტუმრებდა. მამულიშვილებსაც საბშობლო მიდამოს აშორებდა და მათ მამულ-დედულს ისაკუთრებდა. გენათელიც კი რუსეთისაკენ გაისტუმრეს, მაგრამ მან დეშეთამდე განუტევა სული. მოისპო ნაციონალური სკოლა. საიდანაც გაიდევნა ქართული ენა, ქართული ისტორიისა და ლიტერატურის შესწავლა. მოისპო ქართული სამართალი და შემოღებულ იქნა რუსული სამართალი, ჩვენს ცხოვრებასთან შეუფერებელი, ისიც რუსულ ენაზე წარმოებული, მკვიდრთათვის სრულებით გაუგებარი. მოისპო დამოუკიდე-

ბელი ეკლესია. ხელისუფლებად ქართველებს აღარ იღებ-დნენ, რადგან არ ენდობოდნენ. ხელისუფლებად გადმოჰყავდათ რუსები, ისიც ისეთი ცოდნისა და ზნეობის მქონენი, რომ უქრთამოდ არაფერს აკეთებდნენ, და ქრთამს რომ მიიღებ-დნენ, როგორც უნდოდათ, ისე შეატრიალებდნენ საქმის მიმდინარეობას. ეს ხელისუფალნი ქუიფობდნენ და ლოთობ-დნენ. ადგილობრივ მოქალაქეს არაფერსა და არაფერში ეკი-თხებოდნენ. ბატონყმობა უფროც გამწვავდა, რადგან ბა-ტონს მიეცა ნება ყმის გაწკეპვლისა, ყმის ჯარისკაცად მი-ცემისა და ციმბირში გაგზავნისაც კი. დღიდან რუსთხელმ-წიფების დამყარებისა საქართველოს ტერიტორიაზე შეუწყვე-ტელი ომების წარმოება გაჩაღდა. ამან ადგილობრივ მცხო-ვრებთ მოსთხოვა გარდამეტი ჯარების შენახვა და გამოკვება, „პროვიანტის“ გადატან-გადმოტანა. ამან კი გამოიწვია ეკ-ზეკუციები და რეკვიზიციები, რადგან ილაჯგაწყვეტილი ხალ-ხი იოლად და დროზე ვერ ასრულებდა ასეთ მოთხოვნილე-ბას. ამან კი გამოიწვია აჯანყება მთაში 1804 წ. ამანვე ააფეთქა ამბოხება კახეთში 1812 წ. მაგრამ ერთიცა და მე-ორეც ჩაქრობილ იქნა, მცხოვრებლები კი, ამ ამბოხებათა მონაწილენი, სასტიკად დასჯილნი. შემდეგ, 1832 წ. მოხ-და ახალი შეთქმულება. თავადაზნაურთა შეუჩერეს უფლე-ბა, ესარგებლებია თვისი წოდების უპირატესობით, მასვე ნება მოუსპეს, ესარგებლა თავისი მამულ-დედულით. რად-გან ამ მამულ-დედულის არც გაყიდვა, არც გაჩუქება და არც მზითვად გატანება არ შეიძლებოდა. ამან თავად-აზნაურობა ნივთიერად ძალზე შეავიწროვა. თავადაზნაურობაც პატივ-აყრილი და შევიწროებული შეიქნა. გლეხკაცობა, ხალხის უმრავლესობა, ბატონყმობის მძიმე უღლის ქვეშ გმინავდა, იმ უღლის ქვეშ, რომელიც რუსთხელმწიფებამ უფროც დაამ-ძიმა და გაამწარა, ხალხი კი საზოგადოდ უზომო რეკვიზი-ციებითა და ზკაცრი ეკზეკუციებით სულთახდომამდი იყო მიყვანილი.

ასეთ პირობებში მყოფი განათლებული და შეგნებული ქართველი, რომლის მამულიშვილური გრძნობაც ამ ფაქტე-ბის მწვავე ძლიერებას განიცდიდა, ილაჯგაწყვეტილი შეიქნა, რადგან არავითარი გამოსავალი აღარ ჰქონდა: იგი მცირე

ჯგუფს წარმოადგენდა. ამ პირობებში ნათლად ხედავდა, რომ ქართველი ერის მთელი აწმყო და მომავალი დაღუპვისაკენ მიექანებოდა. თვითონ ვერავითარ საშუალებას ხმარობდა, ვერც ნახულობდა ისეთ საშუალებას, რომ ამ დამღუპველ პროცესს შებრძოლებოდა, რათა ეს პროცესი ან სრულებით მოესპო და ან ამ პროცესთან შებრძოლებაში თვით სამუდამოდ დაღუპულიყო. ამ შებრძოლების იმედიც აღმოიკვეთა, რადგან ეს ცხადი და აშკარა შებრძოლება, სამგზის წარმოებული, ძლეულ იქნა და გაცამტვერებული... ამ პირობებში ჩვენი საზოგადოების მოწინავე წრეს უნდა შეემუშავებია ერთგვარ პასიურ განცდათა ფსიქიკა. იგი გულჩათხრობილი შეიქნებოდა, მოქმედება მისი ნელი დ უგულო იქნებოდა. იგი პირად განცდათა პატრონი შეიქნებოდა. ამავე დროს მას ძალზე უნდა ეგრძნო სიმწარე ამ გარიყულობისა და ამ მცონარობისა. იგი თავის თავს საყვედურებით მიმართავდა, რომ მას არაფრის გაკეთება შეუძლია, .არ შეუძლია ან უშველოს ან დაეხმაროს გაჭირვებულ მოძმეს და ამიტომ იგი აშკვეყნად ზედმეტი ბარგია, გამოუსადეგარი და უსარგებლო. ამ ნიადაგზე აღმოცენდებოდა სულის ობლობა და სრული მარტოხელობა. ამ პირობებში იგი ფათურს დაიწყებდა თვის სულსა და გულში და მას ჩაუკირკიტდებოდა. აი, აქ კი თავს იჩენს თვით დაკვირვების პროცესი და დაიწყება სინდისის ქენჯნა და უმადურობა თავის თავისადმი.

თუ ზემოთქმულს მხედველობაში მივიღებთ, მაშინ გადაჭრით შეგვიძლია ვთქვათ, თუ სად არის საფუძველი და ნიადაგი იმ გარემოებისა, რომ ნ. ბარათაშვილის ჩონგური „კაეშნის ხმაზე“ ჟღერს, და ვინ ან რა არის ის მსახვრალი სული ბოროტი, რომელიც ნ. ბარათაშვილსა და მის დროინდელ თაობას სულს უხუთავს და შუბლს უნაოჭებდა. ახლა ჩვენთვის ცხადია, რომ ასეთ პირობებში ნ. ბარათაშვილის ჩონგურს „კაეშნის ხმაზე“ უნდა დაეწყო ჟღერა. თვით ნ. ბარათაშვილს უნდა ეგრძნო სულით ობლობა და მარტოობა. იგი უნდა ჩაკირკიტებოდა თვის სულსა და გულს და იქ უნდა ეძებნა მიზეზი თვისი უძლურებისა, უმწეობისა და მიუსაფრობისა. ამ პროცესის დროს კი მას უნდა დაეტუქ-

სა თვისი შეგნება და გულისთქმა იმ შემეცნებით, რომ უძ-
ლურმა დაეხმაროს ცხოვრებას, გააუმჯობესოს იგი და
მოძმეს მძიმე უღელი შეუმსუბუქოს. ასეთი მდგომარეობის
დროს იგი გრძნობს, რომ ვიღაც თუ რაღაც არის მიზეზი
ასეთი სულთხვდომისა. ამ სულთამხუთავს პოეტმა „ბოროტი
სული“ უწოდა. მაშასადამე, მიზეზი ცხოვრების აუტანე-
ლი ყოფისა მონახა თვისი არსების გარეშე. მაგრამ იგი
ვერ მივიდა იმ შეგნებამდე, რომ ეს ბოროტი სული იყო ახა-
ლი სოციალ-პოლიტიკური ვითარება. ასე უმწეო და მიუსა-
ფარი იგი ვერ იტანს ასეთ ვითარებას და სურს, გაშორდეს
სულის ამ შემხუთველ პირობებს. იგი მერანს გადააჯდება,
მას სადავეს მოუშვებს და ეკვედრება, კლდენი და ღრენი გა-
დაცატარე, ოღონდ ამ მიდამოს გამაშორეო. გაშორება და
გადახვეწა ჯი იმიტომ უნდა, რომ იგი მეტი ბარგია, ცხოვ-
რებისათვის უსარგებლო და გამოუსადეგარი. ასე თავდავი-
წყებით და თავგანწირვით მიექანება იგი, მაგრამ მას მაინც
გარკვეული გეზი უჭირავს, ამ გეზს არ უნდა გადაცდეს, იგი
ამბობს: „მხოლოდ ვარსკვლავთა, თანამავალთა, ვამცნო გუ-
ლისა მე საიდუმლო“. ამ განცხადებით ჩვენ ნათლად ვხე-
დავთ, თუ საით უჭირავს ძას თვალი და საით მიდის იმის
გზა. ეს გზა დასავლეთისაკენ მიდის, მაშასადამე, ნ. ბარათაშ-
ვილი აქ გვიდასტურებს, რომ მას იტაცებენ დასავლეთ ევ-
როპის ყოფა-ცხოვრების პირობანი, მოსწონს დასავლეთის
მეცნიერება და ცოდნა და, თუ სამშობლოს მიატოვებს და
თუ ახალ სამშობლოს შეიძენს ამ ახალ სამშობლოდ იქნება
მხოლოდ დასავლეთი. ამიტომ ჩვენთვის ისიც ცხადია, რომ
ამ წყაროს დაწაფებული, იგი ნუგეშს მიიღებს, ნერვებს
დაიშუშებს, გრძნობათ დაიამებს და შეგნებას დაიკმაყო-
ფილებს. იგი ურჩევს თავის მოძმეს, ამავე გზით იაროს,
რადგან ეს გზა, მისგან თელილი, მოძმეს სიძნელეს გაუად-
ვილებს და სიკეთესა და მშვიდობას მიანიჭებს. აქედან ჩვენ-
თვის ნათელია, რომ ნ. ბარათაშვილმა გამონახა საშუალება,
რომელიც ქართველი ერის ცხოვრების აუტანელ პირობათა
მოსპობდა და ამ ცხოვრებას გაუმჯობესებისაკენ უბრუნებდა
პირს. ეს საშუალებაა განათლება და ცოდნის შეძენა. ამი-
ტომაც იგი შეურიგდა ირაკლის გადაწყვეტილებას, რომ სა-

ქართველოში რუსთხელმწიფება დამყარებულიყო. ამიტომაც იმედიანი ამბობს, რომ შავი ზღვის ზვირთნი მოგვგვრიან ჩვენთა მოძმეთა, ე. ი. განათლებულს და ცოდნით აღჭურვილ პირთ. მას ამ შეგნებით იმედი გაუკიაფდა და გული დაიჯერა, რომ აქ იყო ქართველი ერის ხსნა და სასოება. ახლა ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს იმედი და სასოება მგოსანს გაუმართლდა.

ჩვენთვის, საკმარისია, ამით დავკმაყოფილდეთ, რადგან, მგონია, საკმაოდ გავერკვიეთ, თუ სად არის მიზეზი. ნ. ბარათაშვილის პოეზიის შინაარსისა და ხასიათისა. მაგრამ ჩვენ ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ მთელი მნიშვნელობა ამ პოეზიისა ამით არ ამოიწურება, ნ. ბარათაშვილის ჩონგურის ჟღერა რომ ახასიათებდეს მხოლოდ და მარტოოდენ სულის ვითარებას თვით მგოსნისას და მეტი არაფერი, მაშინ, მართალი გითხრათ, ჩვენ ამდენსაც არ შევჩერდებოდით ამაზე. მართალია, ყოვლად პატიოსანი და გულწრფელი იქნებოდა იმისი გამოკვლევა და გამოძიება, რომ შეგვეგნო და გაგვეთვალისწინებია გულისთქმა და სულისკვეთება ერთის შეგნებული ქართველისა, ისეთი ქართველისა, როგორიც თვით ნ. ბარათაშვილია. მაგრამ ეს მაინც კერძოობითი საქმე იქნებოდა შესრულებული. ჩვენთვის კი თვით ნ. ბარათაშვილიც და იმის ქნარის შინაარსიც უფრო მეტის მთქმელია. ერთიცა და მეორეც უნაკლულოდ გამომთქმელი და გამომჟღავნებელია იმ გულისთქმისა და სულისკვეთებისა, რომელსაც განიცდიდა წარსული საუკუნის ოცდაათიანისა და ორმოციანი წლების ქართველ მოღვაწეთა თაობა. ამიტომ ნ. ბარათაშვილი ჩვენ საშუალებას გვაძლევს, დავახასიათოთ ეს თაობა და შევისწავლოთ ამ თაობის მისწრაფება და გულისნადები. ამიტომ თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ თვით ნ. ბარათაშვილი წარსული საუკუნის ჩვენი ცხოვრების მთელი ოცდაათიანი და ორმოციანი წლებია, ისე, როგორც ვოლტერზე ამბობენ, იგი მთელი საფრანგეთის მეთვრამეტე საუკუნე იყოო. თუ გვინდა ვიცოდეთ, რას აკეთებდა, რის გაკეთება სურდა, რაზე ფიქრობდა და რაზ ესწრაფებოდა ამ წლების მოღვაწეთა თაობა, უნდა ვიცოდეთ, რა თქვა, რა დასწერა და რა ფიქრები და ზრახვანი გადაგვიშალა ნ. ბარათაშვილმა. ნ. ბარათაშვილი

წლების მოღვაწეთა თაობის ფოკუსია, რომლიდანაც გამოდიან და რომელშივე თავს იყრიან ამ თაობის მაცისკროვნებელი, ნათელი და ცხოველმყოფელი სხივები. რა ვუყოთ, რომ ეს წრე ძალიან მცირერიცხოვანი იყო. ეს წრე მაინც მომავლის იმედებით ცხოვრობდა და სულდგმულობდა. ეს წრე ფიქრობდა და ზრუნავდა კიდეც ქართველი ერის ცხოვრების გაუმჯობესებისათვის და იგი სასოებდა, რომ დღევანდელი შძიმე ვითარება შეიცვლებოდა ქართველი ერის სანუგეშოდ. მთელი ძალა, მთელი ფხიანობა და მთელი შორსმჭვრეტელი უნარიანობაც სწორედ ეს იმედიანი მწუხარეაა, რომლითაც მთლად გამსჭვალულია თვით ნ. ბარათაშვილიც და იმის დროის მოღვაწეთა თაობაც. ნ. ბარათაშვილის ნაწერებიდან, ლექსებიდან და ბარათებიდან, ჩვენ დანამდვილებით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ამ წლების თაობას აინტერესებდა ჩვენი სოციალური ცხოვრების მხოლოდ პოლიტიკური მხარე. ამ წრეს, ამ თაობას სრულებით არც უფიქრია და არც ზრუნვა გამოუჩენია, რომ სოციალ-ეკონომიური პირობანი ჩვენი ცხოვრებისა შეცვლილიყვნენ. ამის შესახებ ერთი კრინტიც არსად დაძრულა. თუ მხედველობაში არ მივიღებთ ნ. ბარათაშვილის იმ ზერელე განცხადებას, რომ გლეხკაცობისათვის მზრუნველობის გამოჩენა ამათი გაბედნიერებაო, ან ანდაზად თქმულს ილ. ჭავჭავაძის მიერ ერთ ლექსში:

> რომელნიც ამწარებთ ღარიბ ცხოვრებას
> და სთხოვთ ურცხვათ, უსამართლო მონებას,
> მოელოდეთ მათთან თანასწორებას.

სოციალ-ეკონომიური ვითარების საშინელება შეამჩნია, დაინტერესდა და თვისი ძალისა და საშუალების მიხედვით ეიდეც ამოძრავდა მხოლოდ შემდეგი თაობა, სამოციანი წლების მოღვაწენი, ილ. ჭავჭავაძის მეთაურობით. ახლა ჩვენ სისწორით შეგვიძლია ვთქვათ, რომ თვით ნ. ბარათაშვილიც და მისი დროის მოღვაწეთა თაობაც ამ მხრივ ძალიან ჩამორჩებოდნენ რუსეთის მაშინდელ მოღვაწეებს. ამ მოღვაწეთ გარკვეული და გადაჭრილი აზრი ჰქონდათ ბატონ-

ყმობის მოსპობის შესახებ და ბეჯითი რწმენა, რომ რუსეთში დესპოტიზმი უნდა მოსპობილიყო. ამ თაობამ ჰახიბალისებური ფიცი და აღთქმა დასდო თვისი სინდისის წინაშე, რომ, რადაც არ უნდა დაჯდომოდა, ამ ორ საზიზღრობას უნდა შებრძოლებოდა, და მართლაც, იგი თაობა ასეთი თავდაეიწყებითა და თავგანწირვით ეკვეთა ამ ორ საზიზღრობას და ძთელი საუკუნის განმავლობაში ბრძოლის უქრობელი ცეცხლი გააჩაღა. ჩვენთ მოღვაწეთა მაშინდელი რაობისათვის ეს ორი საკითხი არც არსებობს, არც იპყრობს მის გულისყურსა და ფიქრებს. შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ, ნ. ბარათაშვილი უნივერსიტეტში რომ შესულიყო, შეიძლება მას განეცადა მადლიანი გავლენა რუსეთის მაშინდელ მოღვაწეთა და ამ საკითხით დაინტერესებულიყო. ამას გვაფიქრებინებს ნ. ბარათაშვილის სულიერი მადლის მიდრეკილება საზოგადოებრიობისადმი და ის გარემოებაც, რომ მან გადმოთარგმნა, „იულიუს ტარანტელი", რომელიც გაჟღენთილია მოქალაქეობრივი ვალდებულების შეგნებით. მაგრამ ეს ასე არ მოხდა და ჩვენც სინამდვილეს უნდა გავუსწოროთ ანგარიში. შეგვიძლია, გადაჭრით ვთქვათ, რომ წარსული საუკუნის ოცდაათიანი და ორმოციანი წლების ქართველ მოღვაწეთა თაობა ძალზე უსუსური იყო სოციალ-ეკონომიურ კითხვაში, არც ფიქრობდა ამ კითხვის გადაჭრის საჭიროებას. იგი დაინტერესებული იყო მხოლოდ პოლიტიკური საკითხით და დარწმუნებული იყო, რომ ჩვენი ცხოვრება გარდაიქმნებოდა და გაუმჯობესდებოდა, თუკი ქართველ ერში გამრავლდებოდნენ განათლებული და ცოდნის მქონე პირები. ეს თაობა კიდეც შეურიგდა არსებულ და დამყარებულ რუსთხელმწიფებას, რადგან მან ირწმუნა მადლიანი გავლენა ხელმწიფებისა, რომელიც ქართველ ერს მფარველობდა და მტრებისგან იცავდა და ამასთანავე განათლებას ავრცელებდა.

ამ განმარტებიდან შეგვიძლია შემდეგნაირად დავახასიათოთ ნ. ბარათაშვილის დროინდელ მოღვაწეთა თაობა. ამ თაობას ახალმა პოლიტიკურმა ქარტეხილმა სული აუშფოთა, გულისთქმა შეუძრწუნა და ძარღვები დაუპიმა. ამიტომ

ამ თაობამ მოინდომა, თავი დაეღწია ამ ახალი ვითარებისათვის, შებრძოლებოდა მას, შეთქმულებაც კი მოაწყო, რომ პოლიტიკური საუე კვლავ ხელთ ეგდო, მაგრამ იგი აქ ძლეულ იქნა. ამ მარცხმა დაანაღვლიანა, დაასევდიანა და იგი მწუხარ შეიქმნა. ახალმა ვითარებამ მას სამოქმედო ასპარეზი ძალიან ვიწროდ შემოუფარგლა. ამიტომ იგი მცონარი და გარიყული შეიქნა. იმის სამოქმედო ძალა და უნარი ახალმა ვითარებამ მხოლოდ მხედრობაში გამოიყენა, სხვა ყოველივე ასპარეზი ხელთაგან გამოიცალა. ამიტომ იგი თავის სამშობლოში უმწეო და შეუსაფარი შეიქნა. ამიტომ მან ოცნება დაიწყო და მხოლოდ იმედიანი ნაღვლიანობით იქარვებდა გულისთქმათა იარებს. მაგრამ ბოლოს ამ ახალმა ძალამ მის სულსაც სძლია, იგი დაუმორჩილა და შეირიგა ივ შეგნებით, რომ ამ ძალას საზოგადოდ და საერთოდ სარგებლობა მოჰქონდა იმით, რომ იგი მცველი იყო მტერთაგან და განათლებას ავრცელებდა. ეს ორი დადებითი მხარე შეამჩნია ახალ ვითარებას ამ თაობამ და ამით დაიკმაყოფილა სული და შეგნება. ეს თაობა ვერ ამაღლდა იმ შეგნებამდე, რომ ხალხის ნივთიერი მდგომარეობა გაჭირვებული იყო და ხალხი თავგამოდებით იბრძოდა, რათა ამ მდგომარეობიდან თავი გაენთავისუფლებინა. ქართველ მოღვაწეთა ეს თაობა ხალხს გვერდში ვერ ამოუდგა, იგი ამ მხრივ ვერც მისწვდა და ვერც გაუთანასწორდა რუს მოღვაწეთა მაშინდელ თაობას. ამიტომ იგი თაობა კიდევ უფრო დაენდო და მიეკედლა ახალ პოლიტიკურ ძალას და ამკარად აღიარა, რომ ეს ძალა ქართველი ერის სასარგებლოდ მადლიან გავლენასა და ზემოქმედებას ახდენდა. ამით დამყარდა სრული შეთანხმება და შეთანწონილება საზოგადოებრივი სულისკვეთებისა ახალს პოლიტიკურ წესწყობილებასთან. ამიტომ ეს თაობა აქ შედგა და იგი ამ ძალასთან შეთანხმებულად ამუშავდა, ამოქმედდა. მაგრამ ეს შეთანხმებული სიმშვიდე და სიწყნარე მოასწავებდა ცხოვრების შეჩერებას, საზოგადოებრივი ნაკადის შეგუბებასა და შეტბორებას, ხოლო ზრდა-განვითარების მოსპობას. სწორედ ამიტომაც ამ თაობას ასეთი მედგრობითა და გამახვილებული, ხალისიანი სიანჩხლით შეებრძოლა შემდეგი მორიგი თა-

ობა, სამოციან წელთა მოღვაწეთა თაობა, და ატყდა აქ საშინელი ბრძოლა, რომელმაც ცხოვრებასა და მწერლობას მისცა ახალი შინაარსი და ახალი ხასიათიც მიიღო მოღვაწეობამ და საზოგადოებრივმა მოქმედებამ. მაგრამ ამის გარკვევა და გამოაშკარავება ამჟამად ჩვენს საგანს არ შეადგენს. საჭირო იყო მხოლოდ აღგვენიშნა, თუ რა ფარგლებში ჩამოყალიბდა თავგანწირული სულისკვეთება ნ. ბარათაშვილის თაობისა.

ენა ნ. ბარათაშვილისა მკვეთრი, ბეჯითი და მკაფიოდ გამომთქმელია. მაგრამ ეს ენა მაინც ძალზე მწიგნობრულია. მას აკლია ნაქვთიანობა, საზოგადოდ კი ტკბილსასმენია და მცნებათა ზედმიწევნით აღმნიშვნელია.

პოლიტიკური შინაარსის ლექსები

ახლა ჩვენ დაწვრილებით უნდა განვიხილოთ ნ. ბარათაშვილის პოემა — „ბედი ქართლისა" და ლექსი „სუმბული და მწირი". ჩვენ სრული შეგნებითა და მთელი პასუხისმგებლობით უნდა გავითვალისწინოთ დედააზრი და შინაარსი ამ პოემისა და ლექსისა, რადგან ამ პოემასა და ლექსშია მომწყვდეული ნ. ბარათაშვილის მთელი პოლიტიკური აზროვნება და მრწამსი და რადგან ამიტომაც ამ პოემამ და ამ ლექსმა დიდი გადამწყვეტი მნიშვნელობა იქონია ძთელი მე-19 საუკუნის ჩვენს ინტელიგენციაზე, ამ უკანასკნელის პოლიტიკურ აზროვნებაზე და ეს აზრი, ეს შეხედულება მან ღრმად და უცვლელად შეათვისა, შეგნებასა და გრძნობაში ჩაუჭედა.

ამ პოემაში ირაკლის ცხოვრების ორი მომენტია აღებული. ერთი მომენტი ის არის, როცა ირაკლი კრწანისის ველზე ეკვეთა განრისხებულ აღა-მაჰმად-ხანს. მაგრამ ირაკლი ძლეულ იქნა, მან წააგო საქართველოს ბედის ეს გადამწყვეტი ომი, და ძლეულმა მთიულეთისკენ მოჰკურცხლა, იქ შეაფარა თავი. მეორე მომენტია: ირაკლი მარტოდმარტოა შთენილი. მას თან ახლავს მხოლოდ თავისი მსაჯული სოლომონ ლეონიძე. აი, ეს მომენტი იპყრობს მკითხველის მთელ გულისყურს და ყურადღებას. ირაკლი სოლომონ მსაჯულთან ერ-

თად ბჭობს საქართველოს მომავალი ბედის შესახებ. მგოსანი მთელი ობიექტივობითა და გულის სიწრფელით ცდილობს გადმოგვცეს მთელი მოსაზრება ირაკლისა ამ საკითხის შესახებ, ირაკლი თანდათანობითა და ბეჯითი მიყოლით ასაბუთებს თავის სურვილს, რომ რუსთხელმწიფეს უნდა გადასცეს თავისი მემკვიდრეობა. ირაკლის ასეთი გადაწყვეტილებისათვის საკმაო მიზეზი მოეძებნება. იგი ამბობს, რომ, რაკი აღა-მაჰმად-ხანმა გაიმარჯვა და გვძლია, აწ იგი არ დაგვაწყნარებს სიამაყითა. იგი ლეკთაც აგვიყაყანებს და ოსმალოსაც წააქეზებს საქართველოს ასაოხრებლად. რადგან ოსმალო მხოლოდ დროს უყურებს. სამი მხრით მომდგარი მტერი მით უფრო იოლად და ადვილად მიაღწევს მიზანს, საქართველოს აოხრებას, რომ ყმანი ჩემნი ურთიერთს ბაძავენ. აი, ასე აწეწილია საქართველოს მდგომარეობა და იმის პოლიტიკური ცა შავი ღრუბლებით არის მოცული. ამ საბუთებს, ნამდვილი ცხოვრების წიაღიდან ამოღებულებს, ირაკლი იმ არგუმენტსაც დასძენს, რომ, —

აწ განთქმულია რუსთა სახელი,
ხელმწიფე უვისთ ბრძენი და ქველი;
დიდი ხანია გვაქვს ჩვენ ერთობა,
მტკიცე კავშირი — სარწმუნოება.

ამ მოთხრობიდან ცხადად ჩანს, რომ ირაკლის ეს სურვილი და გადაწყვეტილება ზერელე როდია, ქარის მოტანილი როდია. მას ეს ზრახვა ძალზე დასაბუთებული აქვს, საფუძვლიანი მიზეზი აქვს ხელთ. აღა-მაჰმად-ხანმა სძლია ქართლ-კახეთს, რომლის სატახტო ქალაქი თბილისი გააცამტვერა. გააუპატიურა. მეფე ქართლ-კახეთისა იძულებული შეიქნა სატახტო ქალაქი დაეგდო და მთიულეთში თავი შეეფარებინა. აქ იგი გამარტოვებულია და უიმედო, რადგან მას არც ჯარი ჰყავს, აღარც რაიმე დამხმარე ძალა მოეპოვება და აღარც ვისიმე იმედი აქვს. ასეთ უმწეო მდგომარეობაში ჩაყენებულს ირაკლისა და მის სამეფოს განრისხებული და გათამამებული აღა-მახმად-ხანი აღარ მოასვენებდა, ხელახლა წამოვიდოდა ქართლ-კახეთის ასაოხრებლად. იგივე ლეკებსა და მთიულებს საქართველოს წაუსისინებდა და ამით საქმეია

მდგომარეობას საქართველოში უფრო აწეწდა. ამ აწეწვ-
დაწეწვით ისარგებლებდა ოსმალეთი და ისიც სამხრეთითა და
დასავლეთით ომს აუტეხდა საქართველოს, რათა ამ მდგომა-
რეობით მასაც ხელი მოეთბო. საქართველოს წაგლეჯილი ად-
გილები მტკიცედ ალანჭებში ჩაეჭირა და ამ წახაგლეჯისა-
თვის კიდევ მიემატებია ახლად წასაგლეჯი ადგილები.
ამას ერთიცა და მეორეც მით უფრო იოლად მიაწვდენენ,
რომ თვით ქართველნი ურთიერთს ბზარავდნენ, ე. ი. ქარ-
თველთ შორის მტკიცედ იყო გაბჟენილი ურთიერთისად-
მი უნდობლობა, გაუტანლობა, დაუზოგველობა და მტრო-
ბა-შუღლი, ერთი მეორისადმი მიხტომა და აწიოკება. აი,
ასეთი იყო სინამდვილე და ამ სინამდვილეს ნათლად ხედავ-
და ირაკლი, ანგარიშს უწევდა მას. ამავე დროს იგი ნათ-
ლად ხედავს, რომ რუსთხელმწიფე ბრძენი და ქველია, ე. ი.
ძლიერია, ქადილის ძალაც შესწევს და იმის სახელი განთქ-
მულია. განთქმულია იმიტომ, რომ იგი პირდაპირი, ცხა-
დი და შეუპოვარი მტერია სპარსეთისა და სათათრეთისა-
თვის. თუ ასეა იგი თავის მისწრაფებათა მიხედვით დამხმა-
რეა საქართველოსი, რადგან საქართველოს სურვილიც და
მიზანიც ხომ ეს არის, დაასუსტოს სპარსეთიცა და სათათ-
რეთიც. გარდა ამისა, საქართველოს რუსეთთან მტკიცე კავ-
შირი აქვს. ეს კავშირი ერთმორწმუნეობა, ქრისტიანობა, ისიც
მართლმადიდებლობა, ეს კი იმის აღმნიშვნელია, რომ ამ
ორ სახელმწიფოს ერთნაირი კულტურა მოეპოვება, ერთი
მიზანი და გზა აქვს ამ კულტურის დასაცავად, გასამტკი-
ცებლად და გასაღრმავებლად. ამიტომ აქ ინტერესთა გა-
ერთიანება ცხადია. აქ ამიტომ უნდობლობას ადგილი არ
უნდა ექნეს. ამიტომაც ირაკლი მტკიცედ ამბობს, რომ მისი
სურვილია რუსთხელმწიფეს მემკვიდრეობა გადასცეს. აქ
უნდა ხაზგასმით აღვნიშნოთ, რომ ნ. ბარათაშვილი ანაქრო-
ნიზმს უშვებს, როცა ირაკლის მიაწერს, რომ ვითომ მას
სურდეს რუსთხელმწიფეს მემკვიდრეობა გადასცეს. ეს აზ-
რი მართალი არ არის. აქ ისტორიული ფაქტი შეტრიალებუ-
ლია. ის, რაც შემდეგ მოხდა წინ მოხდენილი ფაქტად არის
მიჩნეული. საქმე ის არის, რომ ირაკლის არც უფიქრია,
არც მოუნდომებია და არც ოდესმე სურვილი აღძვრია, რომ

თავისი ხელმწიფება რუსეთისათვის გადაეცა მემკვიდრეობად. პირიქით, თავის ხელმწიფობას იცავდა იგი. მართალია სინამდვილეში ეს ასე არ მოხდა, მაგრამ აქ ირაკლის არავითარი ბრალი არ ედება და ჩვენ ქვეყვით ამას დაწვრილებით გავარჩევთ, რუსთ მფარველობა კი იმიტომ უნდა ირაკლის, რომ იგი დაბეჯითებულია, რომ საქართველოს ხსნა, ამ უბედობისა და დარღვევის ჟამს, მხოლოდ ამ გზით შეიძლება, რადგან „ძნელ არს ცხოვრება სამეფოსი, როს უფვრეტდეს იგი ომსა დღე-დღითი". იგი წინასწარმეტყველის სიმტკიცითა და ბეჯითი რწმენით სოლომონ მსაჯულს გადაჭრით უდასტურებს, რომ საქართველო მშვიდობას ნახავს მხოლოდ რუსეთის საფარქვეშ ამოიყრის ჯავრს სპარსეთისას რუსეთის დახმარებით და ამ პირობებში უეჭველად გვწამდეს,

> რომ ქრისტიანთ ხმა მარად ისმოდეს,
> საფლავზედ ჩვენთა მამა-პაპათა,

ე. ი. დაცული იქნება მიმდინარეობა და თანდათანობა ქართულის კულტურისა დ განვითარებისაო. მთელი მსჯელობა და საბუთიანობა ირაკლისა ასე მიმდინარეობს. ეს მსჯელობა ცხოვრების სინამდვილის ცხადი ასახვაა. ყოველი საბუთი და არგუმენტი აქ ჯაჭვის რგოლებივით ერთმანეთზეა გადაბმული. დასკვნაცა და მოლოდინიც ლოგიკურია.

ახლა ვნახოთ, ამ მტკიცე აზრს, ცხოვრების სინამდვილესთან შეხამებულს, თუ რაგვარ საბუთებსა და მოსაზრებას დაუპირისპირებს მსაჯული სოლომონ ლეონიძე, რომელიც ნ. ბარათაშვილის დახასიათებით, იყო „ნიჭთა ყოველთა უხვად მორჭმული". ნ. ბარათაშვილივე გვამცნებს, რომ სოლომონ ლეონიძესთანა კაცნი აღარ გვყვანან, და „არ გვალხენენ თათბირნი მათნი". ასეთი წინასწარი დახასიათებით, ნ. ბარათაშვილი ერთგვარ მიკერძოებას იჩენს ლეონიძისადმი. იგი ამით წინდაწინ იმ აზრს გვინერგავს, რომ ჩვენ ნდობით მოვეკიდოთ ლეონიძის შეხედულებას. თუ გნებავთ, აქ ცხადად სჩანს, ნ. ბარათაშვილის სუბიექტურობა ამ საკითხში და იგი ამით გვამზადებს, რომ ლეონიძის აზრი სწორი და მისაღებია. სოლომონ მსაჯული მკვეთრსა და ბასრ არგუმენტაციას ირაკლისას არგუმენტებსა და საბუთებს კი არ წა-

მოუყენებს, კმაყოფილდება მხოლოდ ზოგადი მოსაზრებით და მსჯელობით. იგი ცდილობს ირაკლის გრძნობაზე იმოქმედოს და ეს გრძნობა ისე შეათამაშოს შემპარავი ტკბილი ილუზიებით, რომ მას გონიერება დაუყუჩოს, ამ გონიერების საოცარი გამჭრიახობა გაანელოს. იგი ეუბნება:

ნუ გააგონებ მაგ ხმას ქართველთა,
ესდენ შენზედ მსასოებელთა.
ჯერ სამაგისო რა გვეშართება,
რომ განვისყიდოთ თავი-უფლება.

მკითხველი ცხადად ხედავს, რომ ეს ირაკლის მსჯელობის პასუხი არ არის. ეს ცდაა, მსჯელობის საგანს აცდე, იგი ნიადაგს მოაცილო და სულ სხვა სფეროში გადაიტანო მსჯელობისა და ბჭობის საგანი. შემდეგი მოსაზრებაც სოლომონ მსაჯულისა ამგვარიეა. იგი განყენებულ ცნებათა სფეროში მსჯელობს, რომ სჯულის ერთობა არა რას არგებს, ოდეს ერთა თვისება სხვადასხვაობდესო, როგორ შეიძლება ვირწმუნოთ, რომ რუსთხელმწიფე შეიწყნარებს ყოველსავე მას, რასაც მოისურვებს ქართველობაო. ამიტომ ამ აზრის განხორციელებას თავი უნდა დავანებოთ, სურვილი გულშივე ჩავიკლათ და მერმე, თუ ვინც ვერ განაგოს ქართლი, მას უწყის, რაც მოაგვაროსო. ცხადად ეხედავთ, რომ ეს სიტყვის ბანზე აგდებაა, სათათბირო საკითხის გვერდის ავლაა. ამ საკითხის გადაჭრის გადადების სურვილია. რაკი სოლომონ მსაჯულმა ვერავითარი საბუთი და არგუმენტი ვერ იპოვა, რომ ირაკლის დასაბუთებული ზრახვა და სურვილი გაებათილებია, ამიტომ იგი თავის თავთან განაგრძობს თეორიულ მსჯელობას იმის შესახებ, რომ ქართველებს უბედურება არრად მიაჩნიათ, თუ ჭერქვეშ ექნებათ თავისუფლებაო. აქ ქებათა ქება შესხმული თავისუფლებისა და იმის მადლიანი ზემოქმედებისადმი, მაგრამ ეს ბჭობის საგანს სრულებითაც არ ეხება. ბოლოს სოლომონ მსაჯული იქამდისაც კი მიდის, რომ იგი მეფისა და ხელმწიფის უფლებას იჭვის თვალით დაუწყებს ცქერას. ამგვარადვე განყენებულად მსჯელობს სოლომონ მსაჯულის მეუღლეც სოფიო და ძლევამოსილებას თავისი აზრისას ასეთი ნაქვთით გვიდასტურებს:

რა ხელპყრის პატივს ნაზი ბულბული,
ვალიაშია დატყვევებული?!

ამ პოემაში სოლომონ მსაჯულისა და იმის მეუღლის სოფიოს მიერ არ არის წამოყენებული არც ერთი არგუმენტი, არც ერთი მტკიცე საბუთი, რომელიც ირაკლის მკვეთრ არგუმენტაციას აბათილებდეს, ოდნავ მას არღვევდეს და საეჭვოდ ქმნიდეს. ერთიცა და მეორეც უმღერიან, ხოტბას უძღვნიან და ქება-დიდებას თავისუფლებას. დამოუკიდებლობას და ანგარიშს როდი უწევენ ცხოვრების მწარე სინამდვილეს, თავს როდი იწუხებენ—გამონახონ რაიმე საშუალება, რაიმე გამოსავალი ამ სიდუხჭირისაგან. ამიტომ ერთისა და მეორის მოსაზრება განყენებული, სინამდვილეს დაშორებულია — და წარმტაცია მხოლოდ კაბინეტში მჯდარი ადამიანისათვის. სწორედ ამიტომაც ნ. ბარათაშვილიც არ აკლებს თავის სიმპატიას არც სოლომონ მსაჯულსა და არც მის მეუღლეს სოფიოს, ამათ ხოტბას აწევს და უგალობს. ასეთი საქციელი მგოსნისა კი ობიექტივობას არღვევს, მიკერძოებას ააშკარავებს და მკითხველს სრული შეგნებით მიუთითებს, თუ რომელი აზრი და ზრახვაა მის მიერ მისაღები და მოსაწონი, თუ რომელი შეხედულება უნდა აიკვიატოს მან, რომელ მხარეს დაუჯეროს. ამნაირად კი მგოსანი მკითხველს გადაჭრილსა და გარკვეული გეზით მიმართულ აზრს ათვისებს, აწონინებს. სწორედ ასეთი საქციელით მიაღწია ნ. ბარათაშვილმა იმას, რომ ეს აზრი თეორიული და განყენებული, სოლომონ მსაჯულის მიერ ამ პოემაში გამოთქმული, სინამდვილესთან შეხამებულ სრულ ჭეშმარიტებად შიაღებინა, მჭიდროდ ჩაუჭდო მეცხრამეტე საუკუნის მთელ ჩვენს ინტელიგენციას.

ამიტომაც ამ აზრის ასე ღრმად გავრცელების მთელი პასუხისმგებლობაც თავს ედება ნ. ბარათაშვილს.

ამგვარსავე აზრს, რომელიც ამ პოემაში სოლომონ მსაჯულს აქვს გამოთქმული, ნ. ბარათაშვილი უკლებლივ იმეორებს ლექსში „სუმბული და მწირი“. ამიტომ ეს ლექსი პოლიტიკურ თემაზეა დაწერილი და იგი ლექსი პოემის მხოლოდ განმარტებაა, დამატებაა. სუმბული მოთავსებულია ოქროთი და ვერცხლით შემკულ სადგურში მზრუნველი ხელის მიერ.

ამ სადგურში სუმბულს უაღრესად მზრუნველობს კაცი, რომელიც სუმბულის მშვენებას ისე ინახავს, ისე ულალავებს, რომ სუმბულს მზე ვერ აჭკნობს და სიცივე ვერ ჰხრავს. სუმბული კი ასეთ ყოფას გმობს, არ მოსწონს. რადგან ხშული ჰაერი მის შვენებას ვერ გააღიმებს, მას სურს, გარს ევლებოდეს წყარო ცივი, კამკამა, როცა სუმბულს მწირი გააფრთხილებს, რომ ასეთ პირობებში მას მკაცრი ზამთრისაგან იქნებოდა უწყლოთ მკვდარი და ამიტომ მან ფასი უნდა იცოდეს მზრუნველი კაცის ხელისა" (იგულისხმება რუსეთი), სუმბული, ანაზდად და გადაპრეხით უპასუხებს:

ზამთრით ბუნება არა კვდება, სვედით იმოსვის,
როს თავის სატრფოს გაზაფხულსა, განეშორების.

ამ ლექსში ისეთივე გეზია დაცული და გატარებული, როგორიც პოემაში. აქ მწირი აღმნიშვნელი და მიმთითებელია ცხოვრების მწარე სინამდვილისა, სუმბული კი ამ სინამდვილეს ანგარიშს არ უწევს; იგი ზერელედ და განყენებულად მსჯელობს, რომ ზამთრით ბუნება არა კვდებაო. დიახ, სინამდვილეა, რომ ზამთრით ბუნება საზოგადოდ და საერთოდ, მთლად ერთიანად არ კვდება. მაგრამ ის კი ცხადი და უეჭველია, რომ ესა თუ ის სუმბული, ესა თუ ის არსება ისპობა და კვდება, რაკი განიცდის მკაცრი ზამთრის სიმძაფრეს, და მთელი ცდაც და მსჯელობაც მწირისა სწორედ იქით არის მიმართული, რომ სუმბულს შეაგნებინოს და შეათვისებინოს ის აზრი, რომ თვით იგი, განცალკევებული არსება, არ მოისპოს ზამთრის სიმკაცრისაგან, და ამიტომ იგი მადლობელი უნდა იყოს „მზრუნველი კაცის ხელისა". ამგვარადვე მთელი მსჯელობა, ზრახვა და არგუმენტაცია ირაკლისა იქით არის მიმართული, რომ ქართველი ერი გაცამტვერებას, გადაგვარებას, გადაშენებასა და სრულ გაქრობას ააცილოს და მოუპოვოს ისეთი დამხმარე ძალა, რომ ქართველი ერის წინმსვლელობა, მიყოლით განვითარება არ შეფერხდეს, დაცულ იქნეს კულტურისა და ცივილიზაციის მთლიანობა და მხოლოდ ბუნებრივ ცვალებადობას ექნეს ადგილი ამ განვითარების პროცესის დროს. ჩვენ დღეს მტკიცედ ვიცით, რომ ირაკლის ეს გადაწყვეტილება ისტორიული მიუცილებლობა იყო, ამ მიუცი-

ლებლობის ანგარიში გაუწია მან და თვისიერის მატარებელიც გულთმისანივით სწორედ ისეთ რელსებზე შეაჩერა და გაასრიალა, რომ ამ მიმართულებამ უზრუნველყო ქართველი ერის კეთილდღეობაც და არსებობაც.

ილია ჭავჭავაძე[1]

1922 წელს ილიას შესახებ ვწერდი: „ილია ჭავჭავაძეს დიდი სახელი და გავლენა ჰქონდა სამოციანისა და სამოცდაათიანის წლების განმავლობაში. იგი ქადაგებდა და ავრცელებდა იმ აზრებსა და შეხედულებათ, რომელნიც რუსეთის მაშინდელ დიდ მოღვაწეებს აცისკროვნებდნენ“. „ამ დროს მთელი ქართველი განათლებული საზოგადოების მესვეური და მესაიდუმლე იყო ილია ჭავჭავაძე“.

ილიას ეს სახელი და გავლენა სრულებით დამოკიდებული იყო იმ აზრებზედ, რომელთაც თავის ლექსებში ატარებდა, რადგან ეს აზრები და შეხედულება იმ დროის შესაფერი იყო, იმ დროსთან შეგუებული, შეხამებული. ამიტომ იმ დროის ახალგაზრდობასა და მკითხველ საზოგადოებას ილია მოსწონდა[1].

მისი „გლახის ნაამბობი“ ნარნარი და წარმტაცი ლირიზმით არის გაჟღენთილი, ამიტომ ეს მოთხრობა მკითხველს იტაცებს, აკმაყოფილებს მას და სიამოვნებას ჰგვრის.

ილიას „ოთარაანთ ქვრივი“ კი ობოლი მარგალიტია ქართულ პროზაში, აქ ილიას ზედმიწევნით და ზუსტად გამოქანდაკებული ჰყავს ქართველი მშრომელი დედაკაცი. შემთხვევითი როდია, რომ ეს დედაკაცი ქვრივად არის გამოყვანილი, ე. ი. ისეთ მდგომარეობაშია, როცა მას ქმრის ნებისყოფა არ სჩაგრავს, ან ქმრის ეს ნებისყოფა სხვადასხვა სახითა და გა-

---

[1] ნ. ნიკოლაძემ ერთხელ მიამბო, რომ, როცა ჟურნალ „კრებულსა“ ვცემდიო, მაშინ ხშირად ილიასთან დუშეთში მე თვითონ ავიკრებოდიო და დიდი ეაი-ვაგლახითა, ხვეწნითა და მუდარებით „კრებულისათვის“ ლექსებს ძალად გამოვართმევდი — ასე დიდი იყო ილიას მიერ საზოგადოების გატაცებაო.

მოვლინებით ცოლზედ გავლენას არ ახდენს, ასეთი მდგომარეობა კი უფრო მკაფიოდ ამჟღავნებს და გამოხატავს ქალის სულიერი მადლისა და ნებისყოფის ვითარებას მთელი სიგრძე-სიგანითა და სიღრმით. ოთარაანთ ქვრივი ცოცხალი, ხორცშესხმული ქართველი მშრომელი დედაკაცია და ამ უკანასკნელის ზუსტი და უნაკლო გამოქანდაკებაა, ასახვაა[1]. ეს კი შესრულებულია მშვენიერი და მოხდენილი პროზით.

ბანკში ილია ჭავჭავაძის სამსახური და ამ სამსახურის საზოგადოებრივი მნიშვნელობა

წარსული საუკუნის ოთხმოციან წლებში ქუთათურ გაზეთ „შრომაში" დავით კეზელმა პირველმა ილია ჭავჭავაძეს არ მოუწონა თბილისის საადგილმამულო ბანკში სამსახური. იგი ამბობდა: ქართველებს ერთადერთი მგოსანი ჰყავთ და ისიც კი ბანკში თავმჯდომარედ მსახურობსო, იგი ამ ბანკის საქმეებშია ჩაბმული, ამ საქმეებით გართულიაო.

ერთი მხრით, მართლაც სამართლიანი იყო დავით კეზელის შენიშვნა. მაგრამ მაგარი ის არის, რომ ადამიანისა და საზოგადოების ყოველი საქმიანობა და საქციელი უნდა შეეფარდოს ცხოვრების პირობებს და ამ ცხოვრების პირობების მიხედვით უნდა შეფასდეს.

ილია ჭავჭავაძე თავისთავად ღარიბი და ხელმოკლე შეძლების კაცი იყო, ამიტომ იგი კარგად გრძნობდა ან ხედავდა, რომ მწერლობა და მგოსნობა იმხანად საქართველოში მას ნივთიერად ვერ უზრუნველყოფდა, ამასთანავე უეჭველია, რომ

---

[1] ილია ჭავჭავაძემ „ოთარაანთ ქვრივში" გამოიყვანა და აახა თავისი თავი. ეს ცხადად სჩანს ილიას ხასიათის, იმ აღწერიდან, რომელიც აქვს იაკობ მანსვეტაშვილს თავის მოგონებაში. ამასთანავე ილიამ თავისი პოლიტიკური და საზოგადოებრივი შეხედულება გამოთქვა და აღნიშნა, როცა არჩილს ათქმევინებს, შემდეგს: „ბოდიშს იმით მოვიხდი, რომ მე მაგას შეგირდად მივებარები. დიაღ, შეგირდად, ჩვენ რანი ვართ მაგასთან, დეე, გვასწავლოს, გაგვწვრთნოს." (იხილეთ აგრეთვე ამ მოთხრობაში თავი 14, „განა თვითონ კი იცოდა"? თავი 19, „ჩატეხილი ხიდი". თავი 20, „დასაწყისი განთიადისა."

მას ნათლად შეგნებული ჰქონდა თავისი ნიჭისა და ცოდნის სიღრმე სიგრძე-სიგანე. დარწმუნებულიც იქნებოდა, რომ იმ ხანად იმ პირობებში ილიას მხოლოდ მგოსნობის ნიჭითა და მწერლობის მისთვის საჭირო პირობები არ შეექმნებოდა. მას კი, აშკარაა, არც უნდოდა და არც სურდა სიღარიბეში ყოფნა. სწორედ ამიტომაც ილიამ აირჩია ბანკში სამსახური და ამ ბანკს თავი შეაფარა, მით უფრო მხნედ და თამამად რომ ეს მას დაავალა, დაავალდებულა ახალმა თაობამ, ილიას კანდიდატურა ბანკის გამგეობის თავმჯდომარედ ახალთაობამ წამოაყენა.

ილიამ ამითი თავისი ნივთიერი მდგომარეობა ძალზე გაიმაგრა და განამტკიცა, ხოლო ამავე მდგომარეობისა გამო თავისი საზოგადოებრივი მნიშვნელობა გააფართოვა, გააძლიერა.

ილიამ ბანკში მოღვაწეობით საზოგადოებაში დიდი და თვალსაჩინო ადგილი დაიჭირა. მაშინ ჩვენ ქართულ საზოგადოებაში ქართველი მოღვაწისათვის ამაზე უფრო დიდი ან უფრო საპატიო ადგილი სხვა არ იშოვებოდა და არც მოიპოვებოდა. ამავე ბანკის მეშვეობით ილიამ ამა თუ იმ დახმარების აღმოჩენით ბევრი პატივისმცემელი მოიპოვა, რომელნიც ილიას მადლიერი და მადლობელი შეიქმნენ.

ამავე ბანკის მეოხებით ილიამ შეიძლო საკუთარი გაზეთის დაარსება და შენარჩუნება. ბევრი, ვინც საქმეს ზერელედ შესცქერის, ფიქრობს, რომ „ივერია" თავის ხარჯებს ვითომც ფარავდა. ეს მართალი არ არის. ილია თავის საკუთარ ფულს ახარჯავდა „ივერიას", გარდა იმისა, რომ თვითონაც ბევრს სწერდა გაზეთში, ჰონორარს კი არ იღებდა. ეს კი ილიას როდი შეეძლო, თუ რომ ბანკის გამგეობის თავმჯდომარე არ ყოფილიყო და იქ კარგი ჯამაგირი არ ჰქონოდა. გაზეთმა კი ილიას შეუქმნა მეორე გვარი ჯგუფი. მწერლების წრეში, ისეთი ჯგუფი, რომელიც ილიას აღმერთებდა.

გარდა ამისა, რადგან ილია ჭავჭავაძე იყო ბანკის გამგეობის თავმჯდომარე, მან შეძლო, ჰქონოდა კარგი, მიმზიდველი და სტუმართმოყვარე ოჯახი. მან დიდი მემამულე ქალი ცოლად შეირთო. ეს მამული არათუ არ დააგირავა და თავის საჭიროებისათვის არ გაიხარჯა, არამედ ამ მამულს უვლიდა, აუმჯობესებდა და აფართოებდა, ამ ოჯახში ილია იწვევდა 20

ივლისს, ილიაობას ან ელიობას, როგორც ეკლესია და ხალხიც ხმარობს, თავის თაყვანისმცემელთ. აქ თავს იყრიდნენ ამის პატივისმცემელნი, რომელნიც მისას ხალისით მიდიოდნენ, ამას ერთგულებას უმტკიცებდნენ და უდასტურებდნენ და აქვე საერთო საზოგადოებრივსა და პოლიტიკურ საკითხებს აკრიტიკებდნენ, არკვევდნენ და შეთანხმებით გამოჰქონდათ ერთი ზოგადი დასკვნა, რასაკვირველია, ილიას განმარტებისა და გარკვევის მიხედვით.

ამ მოსაზრებათა საფუძველზე შეიძლება ასეთი დასკვნა მივიღოთ: იმიტომ, რომ ილია იყო თავმჯდომარე ისეთი დიდი ფინანსიური ორგანიზაციისა, როგორიც მაშინ იყო ჩვენს პირობებში თბილისის საადგილმამულო ბანკი, ამიტომ ილიას ხელში იყო სამი დიდი ორგანიზაცია—ბანკი, გაზეთი და სტუმართმოყვარე ოჯახი.

ამ სამმა ორგანიზაციამ ილიას ნიადაგი განუმტკიცა და ილიას გავლენა და სახელი მთელ ქართველ საზოგადოებაში გავრცელდა. ამ სამი ორგანიზაციის მეშვეობით ილია უძლეველი შეიქმნა. ახლა ყველამ ბეჯითად ვიცით, რომ, თუ მტკიცე, ერთგული და, ერთსული ორგანიზაცია არა ჰყავს დამხმარე და მშველელი, თავგამოდებული და საჭიროების დროს შემტევიც კი, — ისე მოღვაწის მოქმედობა, საქმიანობა და გავლენა ძალიანაც ცვალებადია და მერყეევი. ეს ჭეშმარიტება ილიას კარგად ჰქონდა შეგნებული და გათვალისწინებული და სწორედ ამიტომაც ისე მოაწყო საქმე, რომ სამი დიდი და მნიშვნელოვანი ორგანიზაცია თავის სასარგებლოდ შექმნა, გამოიყენა და შეინარჩუნა კიდევაც. სამაგიეროდ, ამ ორგანიზაციებმა ილიას სამსახური გაუწია. მანვე ილიას ხელში მოაქცია მთელი მაშინდელი ქართველი საზოგადოების აზროვნება, შეხედულება, მისწრაფება და საქმიანობა. ილიას დაუკითხავად, მასთან შეუთანხმებლად ქართველ საზოგადოებაში თითქმის არაფრის გაკეთება არ შეიძლებოდა, ვეღარაფერი თავს ვერ იჩენდა და ვერც იბოგინებდა. მთელი საზოგადოებრივობა ილიას ხელში იყო მოქცეული. ამიტომ ილია შეიქნა მთელი ამ საზოგადოებრივობის სული და გული. ილია ამ საზოგადოების ცენტრალური ფიგურა იყო. ვოლტერზე ამბობენ, იგი საფრანგეთის მთელი მეთვრამეტე საუკუნეაო. თუ ეს

მართალი და სწორი აზრია ვოლტერის შესახებ, მაშინ მართალი იქნება ვთქვათ, რომ ილია ქართველების მეცხრამეტე საუკუნის ოთხმოციანი და ოთხმოცდაათიანი წლები იყო-თქო, ეს კი სრულებით სწორი აზრი იქნება იმის მიუხედავად, თუ რა აზრისა და შეხედულებისა ვართ თითოეული ჩვენთაგანი ილიას საზოგადოებრივი საქმიანობისა და მოღვაწეობის შესახებ.

აქ მოყვანილი მოსაზრებიდან ჩანს, რომ თუ მოღვაწეს უნარი არ ექნება ორგანიზაციაზე დაეყრდნოს, ეს ორგანიზაციები გამოიყენოს და ამავე დროს ამ ორგანიზაციებს გამოადგეს, დაეხმაროს და ხელი შეუწყოს, მაშინ ამას მოღვაწეობა არ შეეძლება და ის, როგორც ნაფოტი, რომელიც წყლის ზედაპირზედ ყანყალობს, ცხოვრებაშიც ასევე იყანყალებს, და ბოლოს ნაფოტივითვე სანაგვეზე იქნება მიგდებული, როგორც უსარგებლო რამ და როგორც უმნიშვნელო რამე. ეს კი არც ერთი კეთილსინდისიერი მოღვაწის სურვილს არ უნდა შეადგენდეს.

ილიას რომ ეს გულისთქმა გულის ფიცარზედ ღრმად აღბეჭდილი ჰქონდა, იქიდან სჩანს, თუ რა სთქვა ამან თავის თავის შესახებ. ილია ღრმა და ბეჯითი რწმენით ამბობს:

> ყველას გავუძლებ, როგორც კლდე ქვისა,
> ბედთანა ბრძოლა ვით მეშინება, —
> ხოლო ჩემ თავის არაფრობისა
> არ ძალმიძს, ძმანო, ვერრით გაძლება!

სიტყვა ილია ჭავჭავაძის ცხედართან

აქ, ამ ადგილს დრო არ არის, ჩვენი უკვდავი ილიას მოღვაწეობაზე ვრცლად ვილაპარაკოთ. ილიას ნიჭი ისე დიდია და მრავალმხრივი, მისი მოღვაწეობა ისე ღრმა და ხანგრძლივი, რომ იმის სამშობლოსათვის ზრუნვა და ღვაწლი მომავალ თაობათათვის კვლევისა და ძიების საგანი იქნება.

მივაქცევ ყურადღებას ჩვენი პოეტის პოეზიის მხოლოდ ერთ მხარეს, რომელიც, რამდენადაც მე ვიცნობ ჩვენს მწერლობას, ჯერ აღნიშნული არა ყოფილა. ამ პოეზიის საგანი არა-

თუ ერი და სამშობლოა, არათუ დაბეჩავებულ გლეხკაცობაზე ზრუნვაა, არათუ ერთა და პირადობათა თავისუფლება და დამოკიდებულებაა, არამედ, რაიც ფრიად საგულისხმოა, ამ პოეზიის ერთ უმთავრეს საგანს შეადგენს „შრომა“, „შრომისა შვილის“ სვებედი და „შრომის სუფევის“ დამყარება. ჩვენში ილიამ პირველმა და ჯერჯერობით უკანასკნელმაც ამ „შრომისა შვილის“ სვე-ბედს უძღვნა სამი შესანიშნავი თავი დიადი პოემის „აჩრდილისა“ (13, 14, 15). იცით კი როდის არის ეს პოემა დაწერილი?—1860 წელს. აი, ამ ორმოცდაჩვიდმეტი წლის წინათ ილიამ გადაჭრით აღიარა:

შრომისა ახსნა — ეგ არის ტვირთი
ძლევამოსილის ამ საუკუნის
და ამ ზვიადმა საუკუნემა
უნდა შვას იგი შრომის სუფევა.

აქ ილია ამასვე აღიარებს, რაიც დღემდე ღრმად სწამდა ყოველ სოციალისტს, რომ „შრომის სუფევის“ დამყარება მეცხრამეტე საუკუნეს უნდა მოეხდინა. შორს რომ არ წავიდეთ, აღსანიშნავად საკმაოა, რომ ოთხმოცდაათიან წლებში ლიბკნეხტმა და ენგელსმა „შრომის სუფევის“ დამყარების წლად 1898 წელიწადი დანიშნეს. ჩვენ კი მეოცე საუკუნეში გადავედით და ჯერაც ძალიან შორს არის „შრომის სუფევის“ დასამყარებლად საჭირო ნიადაგი... ილიამვე, თანახმად სოციალისტური მოძღვრების ძირითადი მოთხოვნილებისა, აღიარა, რომ „შრომის ახსნისათვის“ ატეხილ ბრძოლაში „შრომისა შვილს“ დახმარებას არ გაუწევს არც ერთი სხვა წოდება, არც მღვდელი და ვაჭარი, არც დიდკაცობა, რადგან, —

ის რათ ინდომებს ქვეყნისა ბედსა,
როს მასა შველის მის ბედკრულება?
რათ ებრძვის ის სიბოროტესა,
როს მეოხებით მისით თვით რჩება?

მაშასადამე, „შრომის შვილს“ მხოლოდ თავისი თავის იმედი უნდა ჰქონდეს ამ დიად ბრძოლაში, რათა ძველი ქვეყანა დაანგრიოს და შრომა კი ახსნას. ეს იმედი გულში მტკიცედ უნდა ჰქონდეს „შრომის შვილს“ რადგან, —

შრომა, აწ ქვეყნად, ტყვედა პყრობილი,
მძარცველობის ქვეშ ჩაგრულ-ვნებულა,
ხოლო რღვეულა მისი ბორკილი
და დასამსხვრევად გამზადებულა.

ასე მომზადებულ ნიადაგზე აღმართულ „კაცთა ღელვისა დიად ზვირთს „ვეღარ გაუძლებს ქვეყნის მძარცველი“ და „შრომის სუფევა მოვა მაშინა“, რომელიც დამყარებისთანავე თვალცხადლივ შემდეგში გამოიხატება:

მაშინ, მაშვრალო, შენც განკაცდები,
წართმეულ ნიკთა კვლავ მოიპოვებ,
სხვას ძირს არ დასწევ, თვით ამაღლდები,
არც ვის ემონვი და არც იმონებ.

როგორც ვხედავთ, აქ ყველა მოტივი სოციალიზმის მოძღვრებისაა და ეს „კაცთა სიკეთის მხურვალე რწმენა“, რომელიც ილიას „ჭირში და ლხინში წინ მიუძღოდა“, შემთხვევითი და ზერელე რწმენა კი არ იყო, არამედ ღრმა და მუდმივი. ამას კი მოწმობს „აჩრდილის“ თერთმეტი წლის შემდეგ დაწერილი ლექსი „პარიზი“, სადაც დიადი თავგანწირული ბრძოლა კომუნისა 1871 წ. „შრომის ახსნისათვის“ და „შრომის სუფევის“ დასამყარებლად ატეხილი, „ქვეყნისა მჩაგრავ ძალამ დასცა დამბლა“ და ამიტომ:

კვლავ შეფერხდა ისტორია,
ბანახლების შესდგნენ ძალნი
და კვლავ დღესასწაულობენ
გამარჯვებულნი მტარვალნი.

ამით ვათავებთ, რადგან ჩვენ არ შეგვიძლია ილიას მოღვაწეობას დღეს სრული ფასი დავდოთ, ის ისე ახლო იყო დღეშდე ჩვენთან, რომ კარგად არა სჩანდა ჩვენთვის მისი სიდიადე, მისი მადლიანი სიკეთე. საგანი, თუ გინდა იგი კარგად დაინახო და მისი თვისებანი გარკვევით ყოველ ხრიკ შეამჩნიო, თვალთახედვის შესაფერ მანძილზე უნდა მოათავსო. მორალურ და იდეურ ფაქტთა დასაფასებლად კი ეს მანძილი უდრის შესაფერ დროს, შესაფერ ხანს. შეგვიძლია კი არა, ნებაც არა გვაქვს, მსჯავრი დავდოთ იმ კაცის, იმ მადლიანი ადამიანის ღვაწლს, რომელსაც ამ მადლისათვის მადლობის

მაგიერ გულში ტყვია დავეცით, შუბლი გავუხვრიტეთ და ამ ნახვრეტიდან ერის დიდება-ტვინი ვადინეთ, ეს ტვინი, რომელიც ორმოცდაათი წლის განმავლობაში ერისათვის მადლს ჰფენდა, უგვანთა მიერ გათელილ მტვერში ვანთხიეთ და ამ მტვერში გავთქირეთ. ჩვენ დღეს მხოლოდ ისღა უნდა მივიჩნიოთ სავალალოდ, რომ ჩვენს შორის „ქართვლის დედას", რომელსაც პოეტი ემუდარებოდა, ჭეშმარიტი სული აღუზარდე შვილსაო, აღუზრდია ჰეროსტრატე, რომელმაც ეს ისტორიული ფაქტი ჩაიდინა და ამით მთელი ჩვენი თაობა, მთელი ჩვენი ერი სამარცხვინო ბოძს მიაკრა ისტორიაში, და, აბა, მითხარით, სთქვით, განა ასეთ თაობას, დღეს არსებულ ჩვენს ქართველობას უფლება ექნება, ნამუსი მისცემს ნებას, რომ ილიას მოღვაწეობაზე, სიტყვა დაბეროს!.. ვაი ჩვენ!.. კრულვის სათქმელად მობჯენილი, ყელში ჩავიხჩოთ.

ილია ჭავჭავაძის სახსოვრად

წარსულმა საუკუნემ წარმოშვა და შეჰქმნა „დარღვეული ქართველობა", ილ. ჭავჭავაძის მოსწრებული გამოთქმით. მაგრამ ამ „დარღვეული ქართველობის" გამთელება და „ურთიერთთანა კავშირობით ამაღლება" თავს იდო წარსული საუკუნის მესამოცე წლების მოღვაწეებმა, პირველი ადგილი კი ამ მოღვაწეთა შორის ილ. ჭავჭავაძეს ეკუთვნის.

ილ. ჭავჭავაძე ბუნებით გულკეთილი და მოსიყვარულე ადამიანია. ამიტომ იგი სრულებით გულწრფელად აღიარებს:

> კაცთა სიკეთის მხურვალე რწმენა
> ჭირში თუ ლხინში წინ მიმიძღოდა.

ამავე ნიადაგზე აღმოცენდა და შეიმუშავა ის ღრმა რწმენაც, რომ „საქმე ის არის, კაცს ის უყვარდეს, ვინც ბედისაგან დაჩაგრულია". ამ რწმენის კაცს რაღა დიდი დაკვირვება სჭიროდა, რომ ცხადად ეღიარებინა თავისი ცხოვრების საგნად ამ დაჩაგრულთადმი სიყვარული. ცხადი იყო, რომ მისი ერი სწორედ ყველაზე უფრო დაჩაგრული და ლეჩაქახდილი იყო. ამიტომ ამ დაჩაგრული ერის სიყვარული უნდა ხატებად ჩაესახა გულს. ილ. ჭავჭავაძეც ასე მოიქცა და თავისი ხანგრძლივი

ცხოვრებისა და მოღვაწეობის განმავლობაში არც ერთხელ არ გადასცდენია ამ გზას, ერის საკეთილდღეოდ მოქმედებისას; მაგრამ ცხადი იყო ისიც, რომ საკმარისი არ იყო ამ მოქმედების საჭიროების აღიარება. უეჭველი იყო, რომ ამ სამსახურს, ამ მოღვაწეობას, ბევრი დაბრკოლება გადაეღობებოდა წინ. იმიტომ ამ დაბრკოლებათა დასაძლევად შეუპოვრობა და უშიშრობა იყო საჭირო. მართლაც ილ. ჭავჭავაძეს ეს ცხადად შეგნებული ჰქონდა, რაც მანვე აღნიშნა:

ყველას გაკუძლებ, როგორც კლდე ქვისა,
ბედთანა ბრძოლა ვით შემეშინება.

იგივე თერგს ეუბნება: „შენი განიერი ნაწილი შენს ვიწრო საწოლში ვერ მოთავსებულა. ბევრი რამ, საგულისყურო შენში, ჩვენო დაუმონაო თერგო, შენს ძლევამოსილსა და შეუპოვარ დენაშია“. და მგოსანს სწორედ ეს თვისება მოსწონს თერგისა. სხვაგან იგი აღნიშნავს, რომ „ქვეყნის დრტვინვა დაუძინარია! სწორედ ეს „დაუძინარი დრტვინვაა“, რომ აღძრავს ხოლმე სურვილს უკმარობისას და ცხოვრების ცვალებადობას იწვევს. ამ შეგნებით ილ. ჭავჭავაძე სრულ სიმართლეს აღიარებს შემდეგი სიტყვებით: „მე კი დავჩუმებულვარ და გამიფიქრია: კმაყოფილება კაცის მომაკვდინებელი სენია. ბედნიერია ახალი თაობა, თუ მართლა მას კმაყოფილება არა აქვს. იმედი თუ სადმე, ამაში უნდა იყოს“. აი, ეს დრტვინვა დაუძინარი და ეს გრძნობა უკმაყოფილებისა იწვევს და ასაზრდოებს მოუსვენრობა, რაიც სიცოცხლისა და ცხოვრების მადლია და რაც ცვალებადობას აწარმოებს. ამიტომ ილიას წარმოდგენით მოუსვენრობა უნარია ყოველი ცოცხალი ერებისათვის. „ნეტავი შენ, თერგო! იმითი ხარ კარგი, რომ მოუსვენარი ხარ. აბა, პატარა ხანს დადექ, თუ მყრალ გუბედ არ გადაიქცევი? მაგრამ საქმე ის არის, რომ ყოველი მოუსვენრობა და აბობოქრება, ყოველი შეუპოვრობა და უშიშრობა როდი მოგიტანს სასურველ შედეგს. ეს შედეგი რომ გამოიღოს ამ ცხოვრების მადლმა და უნარმა, საჭიროა და მიუცილებელიც, რომ ეს მოძრაობა ძირიდან არ ამოვიდეს, მოძრაობა ძირიდან დაიწყოს. აი, ამ შეგნებული მსოფლმხედველობის მთელი ნათელი გამომჟღავნებულია შემდეგი სიტყვებით: „ქვეყნი-

ერების ბედნიერების ქვაკუთხედი კი ყოველთვის ძირიდან დაწყებულა, ყოველი შენობა ძირიდან ამაღლებულა, მაღლიდან კი შენობა არსად არ დაწყებულა“, აი, ასე ძირიდან დაწყებული მოძრაობა უეჭველად ნაყოფს მოიტანს, რადგან იგი ძალებს აერთებს და ამ ძალებს თავის ადგილს მიუჩენს. გამოუსადეგარი და უმნიშვნელო არა ძალა აღმა რჩება; „ტაბიკი ხომ არ არის, უბრალო ჩხირია, იმ ვეება ურემში არც კი სჩანს, უმისოდ კი ურემს ვერ შეაბამ“. ეს კი მით უფრო საჭიროა, რომ ყოველი ადამიანი, ყოველი პირადობა ერთნაირი ღირებულებისაა, ერთნაირიეე ფასისა. „ყველას გულში, — ბატონია, თუ ყმა, მე ვარ თუ შენა, — ღვთისაგან ანთებული ცეცხლი ანთია“! ან კიდევ: „კაცმა რომ მოინდომოს, კლდეს გაარღვევსო, ხომ გაგიგონია? კლდის გამრღვევ კაცს სხვა ფერი აძევს, შენი ჭირიმე! — იმ ფერისა იქნება შენც გაცხია: ყველას ღვთის სული გვიდგია, ჩემო ძმაო“!

აი, ასეთი საღი შეხედულება ჰქონდა შემუშავებული და შეთვისებული ილ. ჭავჭავაძეს. ამ შეხედულობისა და ამ მადლიანი ბუნების მეოხებით ილ. ჭავჭავაძემ ღრმა კვალი აღბეჭდა ჩვენი ერის ცხოვრებაში და „დარღვეული ქართველობა“ ურთიერთთან შეაკავშირა“ და ამ შეკავშირებამ კი აღამაღლა. ამიტომ ჩვენც შეგვიძლია, ამჟამად, ეს მცირე, შენიშვნა ილ. ჭავჭავაძის შემდეგი სამართლიანი სიტყვებით გავათაოთ: „კაცს რაკი ღვთის მადლი ჩაესახება გულში, მდიდარია, თუ ღარიბი, მაინც მადლის გზაზე წავა“.

და ამ მადლის გზაზე სვლამ შექმნა ილია მოუსვენარი და შეუპოვარი, უშიშარი, რაიც მან პირველადვე გლეხების განთავისუფლების საკითხის დროს გამოააშკარავა, როცა მოითხოვა, რომ გლეხები მიწიანად უნდა განთავისუფლდნენ. ისევე შეუპოვრობა გამოიჩინა მაშინ, როცა გაბატონებული წოდების ჩვენი მაღალი ბიუროკრატების სურათები და ნაკვთები დახატა უკვდავ და მოსწრებულ გამოცანებში და ამ ვაჟბატონებს უშიშრად შესძახა, — რომ მათ „ქვეყანა და მისი საქმე ყველა ფეხებზე ჰკიდიათ“.

ამ მადლის გზაზე სვლამ ილ. ჭავჭავაძეც უკვდავჰყო და მთელი მისი ერიც მისი მადლიერია და იქნება, სანამ იგი დედამიწიდან არ აღიფხვრება.

აკაკი

(აკაკის ძეგლის დადგმის გამო)

აკაკის ქნარისა შინაარსისა და ღირსების შესახებ ჩემი შეხედულება გამოთქმული მაქვს ორ სტატიაში: ერთი მოთავსებული იყო ჟურნალ „ფასკუნჯში“ 1908 წ. დეკემბრის შვიდს №-5, ხოლო მეორე—აკაკის „საიუბილეო კრებულში“, 1908 წ.

ამ ხანად მსურს შევეხო. აკაკის ქნარის განსაკუთრებულ თვისებას, რომელიც იმ სტატიებში არ არის აღნიშნული და რომლის აღნიშვნა არ შეიძლებოდა მაშინდელი პირობების გამო.

აკაკი სოციალისტი არ იყო და არც სოციალისტობდა. სწორედ ამიტომ თავდაპირველად მას ინტელიგენციის წრეებში პატივი და ღირსება არ ჰქონდა მოხვეჭილი. მაშინდელი ინტელიგენცია განიცდიდა სრულ გავლენას ნიჟიერისა და გაალმასებული გულისთქმის პუბლიცისტისა პისარევისას. ამიტომ პოეტსა და მგოსანს აფასებდა ინტელიგენცია მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ეს მგოსანი კარგსა და პროგრესულ აზრებს ავრცელებდა თავისი კალმის ნაწარმოებით. ამიტომ იმხანად აკაკის სახელი მიჩქმალული იყო პატივაურილიც. იმის „ტკბილ-ზევსური“ ჰანგები მოსაწონი აღარ იყო. მას ინტელიგენციის მიერ მხოლოდ მეფანდურის სახელი ჰქონდა მითვისებული. თვით აკაკი ადასტურებს, რომ მაშინ მსუბუქი ლექსი და „ტკბილ-ზევსური“, რომელიც ზედმიწევნით ახასიათებს აკაკის ქნარს და რომელიც ამ ქნარის ნიშნობლივ თვისებას შეადგენს, მისაღები აღარ შეიქნა მაშინდელი ინტელიგენციის მიერ. აკაკი მორცხვი ენით ამბობს, რომ მათ, —

> რათ იამებათ, ამა, მითხარით,
> ლექსი ტკბილი და ტკბილი ჩანგური!
> და ვის რათ უნდა ტკბილი მგოსნობა!

მაგრამ ამის მიუხედავად, აკაკის მგრძნობიარე ქნარი მაშინ და შემდეგაც აღგზნებული იყო და ძლიერადაც ატოკებდა

გულს ყველა იმისას, ვინც კი მას წინათ განზრახულ აზრს არ მიუდგებოდა. ასეთი კი იყო ახალგაზრდობა და თვით ხალხის უმრავლესობა. ეს გარემოება გამოეპარა ინტელიგენციას და ამას გულისყური არ ათხოვა გვიანობამდე. სწორედ ეს მგრძნობიარე და ტკბილი ქნარი იყო მიზეზი, რომ აკაკის მახვილი, მჭრელი, მაგრამ ამავე დროს მსუბუქი ჰანგი უკანასკნელ წუთამდე არც დამცხრალა, არც მოდუნებულა. იგი ქნარი მარადის გასალკლდევებული და გაალმასებული იყო და ყიჟინას სცემდა, რომელიც მკითხველს აღაგზნებდა ხოლმე ბრძოლისა და თაეგანწირული მოქმედებისათვის. აკაკი ბუნებით მოუსვენარი და რევოლუციური სულისკვეთების, რევოლუციური ტემპერამენტის პატრონი იყო. რევოლუციონერის შეუდრეკლობასა და სიმტკიცეს ნათელყოფს შემდეგი ლექსები:

მაგრამ დავიმტვრე, არ მოვიღუნვი,
მსურს, მატყუებდეს მისთვის იმედი!

ან კიდევ:

მოვსტყუვდე, მაინც არ მოვიღუნვი,
და ჩავალ სწორი სწორსა საფლავსა!

ამასვე ცხადად ადასტურებს აკაკის ლექსი „მერცხალი“, რომელიც დაწერილია იმის გამო, ნაროდნოვოლცებმა ალექნდრე მეორე მოკლეს. აი, ეს ლექსიც:

დღეს მერცხალი შემოფრინდა,
ჭიკჭიკითა გადმომძახა:
გაზაფხული, გაზაფხული!
გულს იმედი დამესახა.
მივდექ სარკმელს, გადვიხედე:

არემარე მესხვაფერა,
სასოებამ ფრთა გაშალა,
გულსა მკრა და ამიძგერა!

სუნი მეცა გაზაფხულის,
უცნაური ვიგრძენ ძალი...
ვსთქვი, თუ გულსა რაღათ ვიტეხ:
— ახლოს არის მომაგალი!

მოვესწრები, რაც მინდოდა
ზამთრისაგან დაჩაგრულსა:

ვნახავ ქორწილს ბუნებისას,
გავიგონებ მის მაყრულსა.

ამ ლექსით აშკარად მტკიცდება, რომ აკაკის მიერ მოწონებული და მისაღები შეიქნა ნაროდნოვოლცების მოქმედება და საქციელი. აკაკის მერცხალმა, ე. ი. დეპეშამ ხალხს მიუტანა ახალი ამბავი ალექსანდრე მეორის მოკვლის შესახებ. ამ ამბავმა მას სასოების ფრთა გაუშალა და გული სიამით აუძგერა. ამით მან, დანაღვლიანებულმა და დასევდიანებულმა, უიმედობით შეპყრობილმა უცნაური იგრძნო ძალი, ე. ი. მას კვლავ იმედი მიეცა და დაიჯერა, რომ ახლოს არის სანუკვარი მომავალი. ეს სანატრელი მომავალი კი, ხომ ვიცით, გულისხმობს იმის ერის სრულუფლებიანობასა და ამ ერის ცხოვრების ნორმალურ პირობებში ჩაყენებას, ისეთ პირობებში, როცა თვით ერი თავისი მოქმედებითა და შემოქმედებით, ნიჭითა და სულიერი მადლით შეუდგება თავისი ცხოვრების კეთილმოწყობას. ამ ამბავმა დააჯერა, რომ იგი მომავალი არც ისე შორს ყოფილა, როგორც აქამდის ფიქრობდა. იგი ამ მომავლის განაღდებას თვით მოესწრება და თავისი თვალით იხილავს ქორწილს ბუნებისას და თავისი ყურით ისმენს სამხიარულო მაყრულს, ე. ი. თვით ერი მხიარული იქნება, როგორც საქორწინოდ წამდგარი ნეფე-დედოფალი, და სამხიარულო ყიჟინა იქნება ირგვლივ, როგორც ქორწილის დროს მხიარულებს იქ შეკრებილი საზოგადოება და მაყრულის გამამხნევებელი ხმა გაისმის საზოგადოებაში. აი, ასე გარდაქმნა მგოსანი ამ ამბავმა.

თუ ზერელედ შეხედავთ ამ გარემოებას, გვეჩვენება, რომ ეს ერთგვარი ულოგიკობაა აკაკის მიერ ჩადენილი. ჩვენ ხომ ვიცით, რომ აკაკი უკიდურესი ეროვნული მგოსანია და იგი ეროვნულ გრძნობათ აღვივებდა ხოლმე ხალხში. ამიტომ გაუგებარია პირველი შეხედულებით, თუ რატომ მოიწონა მან ნაროდოვოლცების ეს საქციელი, წმინდა ეროვნული თვალსაზრისით ვითომ რა სარგებლობას მოუტანდა ეს ისტორიული ფაქტი ქართველობას?! საქმე ის არის, რომ აკაკი სოციალისტი არ იყო, მაგრამ ამავე დროს ისიც ცხადია, რომ აკაკი არ იყო წმინდა წყლის შოვინისტი და ეროვნული თავისუფლების მოპოვებისათვის იგი არ იყო ავანტურების მომხრე და გარეშე ძალთა მაძიებელი. იგი მთელი თვისი არსებით და იმის ქნარის

შინაარსიც იქით არის მიმართული, რომ თვით ქართველი ერი ამოქმედდეს, საკუთარი ძალი და ღონე მოიკრიბოს, ყოველ დარგში გამოიჩინოს ნიჭი და შემოქმედების უნარი და მხოლოდ ამ გზით მიენიჭება მას თავისი სანუკვარი მისწრაფების განხორციელება და განაღდება. აკაკი აქებს და ადიდებს შრომას და იმით მონაბერ სიამოვნებას.

თურმე ტყუილი ყოფილა ყველა
ჭრელაჭრულები ქვეყნიერათ
და ადამიანს თუ გსურს იცხოვრო
აქ მოსვენებით და ბედნიერათ,
უნდა იშრომო და შრომის ოფლით
გაბანო შენი დაღალულობა.

რადგან მოსვენებასა და ბედნიერად ცხოვრებას შრომა ანიჭებს ადამიანს, ამიტომ აკაკი შემდეგ რჩევას აძლევს თავის ერს:

ახლა დაგიდგა სულ სხვა ღრო,
ამაღლებული შრომითო,
და სისხლი ოფლით შესცვალე,
ვერრას გახდები ომითო!

რაკი შრომითა და მადლიანი ღვაწლით ამაღლდება იმის ერი, აკაკი დარწმუნებულია, რომ ამ შემთხვევაში ეს ერი —

არც ისურვებს ბატონობას
და არც ვისმეს მონობასა.

ასეთ პირობებში კი იგი მოელის, რომ მისი იდეალი განხორციელდება, ისეთი დრო დადგება, —

სადაც ყველა თანასწორია,
ერთს მეორის არ აქვს შიში!

სწორედ ამიტომ იგი ასეთ ქებათა ქებას მიუძღვნის ამ თანასწორობას, მადლიანი შრომით აღმოცენებულს და ასეთ შრომაზე დაბჯენილს:

ისევ თაფლია ცხოვრებისათვის
ძმობა, ერთობა და სიყვარული!

არ ღირს, დალიოს იმის ძებნაში
ადამიანმა სული და გული.

დაე, სუყველამ იბედნიეროს
თვის საშშობლოში, თავის მხარეში,
რომ მოძმე იყონ ერთი მეორის
და არა მონა, ყმა და ფარეში!

ამ მოსაზრებათა გამო აკაკი სრულებით არავითარ იმედს არ ამყარებდა გარეშე ძალებზე. ამიტომ იგი სრულებით არავითარ მონაწილეობას არ იღებს იმ შეთქმულებაში, რომელიც წარმოებდა რუსეთ-სათათრეთის ომის დროს 1877-1878 წ. წ. გიორგი წერეთლისა და გ. ყაზბეგის მეთაურობით. აკაკი და მისი ქნარი მხოლოდ საქართველოს ნიადაგზე და ქართველი ერის წიაღში დაეძებდა და უყიოდა გმირებს, რომელნიც უკვდავების წყაროს წყალს მომაკვდავის გამოსაფხიზლებლად გამოსტაცებდნენ დევებს და ნესტანს კი ქაჯთა ხელთაგან დაიხსნიდნენ. იგი მოითხოვს მადლიან შრომასა და თანასწორობას, სწორუფლებიანობასა და ცხოვრების ისეთ პირობას, რომ ერის შემოქმედების უნარს გზა ფართო და თავისუფალი მიეცეს. ამ პირობაში კი იგი დარწმუნებული იყო, იცნობდა რა თავისი ერის ნიჭსა და სულიერ მადლს, ქართველი ერი ცხოვრებასაც გაიუმჯობესებდა და შვებასაც მოიპოვებდა.

აი, რაკი ამ ნიადაგზე იდგა აკაკი, მაშინ სრულებით ადვილად გასაგებია მისი შვება და იმედი, რომ რუსეთის ჯალათი იმპერატორების სახით ტახტიდან ჩამოვარდებოდა, რუსეთი იშვებდა და მოიპოვებდა მოქალაქის უფლებას. ამ პირობაში აკაკის იმედი ჰქონდა, რომ ეს გარემოება საქართველოსაც შვებასა და უფლებას მიანიჭებდა. აკაკი, რასაკვირველია, მხოლოდ მოქალაქის უფლების მოპოვებით ვერ დაიცხრობდა თავის აღგზნებულს ეროვნულ გრძნობას, როგორც ეს ზევით მოთხრობიდან ჩანს. ამიტომ უნდა დანამდვილებით ვიფიქროთ და დავიჯეროთ, რომ აკაკის ღრმად და უცვლელად სწამდა, რომ რუსეთის განთავისუფლება ბიუროკრატიისა და იმპერატორის კლანჭებიდან ქართველ ერსაც მიანიჭებდა, გარდა მოქალაქის უფლებისა, ეროვნულ უფლებასაც. სწორედ ამი-

ტომ ალექსანდრე მეორე ნაროდოვოლცების მიერ იქნა გაცამტვერებული და მან თავისი ხმა გამამხნევებელი და მომწოდებელი მიაწვდინა მათ.

მაგრამ ეს იმედი იმხანად არ გამართლდა. ტახტი არ შეირყა, ბიუროკრატია კი უფრო სასტიკი, მკაცრი და დაუნდობელი შეიქნა. დამყარდა საშინელი რეჟიმი ალექსანდრე მესამისა. რა მოხდა ამ დროს ჩვენში? მოხდა ის, რომ ჩვენმა მოსოციალისტე მოღვაწეებმა სოციალიზმს ზურგი უჩვენეს და შეურიგდნენ ბიუროკრატიას, აღიარეს რა იგი გარდაუვალ და უძლეველ რეჟიმად. ამიტომ მოინდომეს ამ რეჟიმის გამოყენება და მასთან შეგუება დაიწყეს. აკაკის მგრძნობიარე ქნარი და დაუცხრომელი, აღგზნებული სული, რევოლუციური ტემპერამენტი კი ამას არ შეურიგდა და ბრძოლა გამოუცხადა ალექსანდრე მესამის რეჟიმს. ამას ადასტურებს მისი შესანიშნავი ლექსი — ხანჯალი. აკაკი გაბედულად და თამამად ეუბნება ხანჯალს:

მიმოციქულე მტრის გულთან,
მიუძღვენ ჩემი სალამი:
ის ვითომ საწერელია,
ჩაერკვე, როგორც კალამი.

აკაკი თავისი ქნარის საშუალებით არ აცხრობდა ერში სულს მედგარისა, გაბედულისა და დაუდგრომელის მოქმედებისას. იგი უყიოდა გმირებს, რომელნიც ხალხის წიაღიდან უნდა გამოსულიყვნენ, მოუწოდებდა ერს თვითმოქმედებისა და მადლიანი შრომისაკენ და სჯეროდა, ღრმად სწამდა, რომ ასეთ მოქმედებასა და ამუშავებას უეჭველად მოყვებოდა სანუკვარი და სანატრელი შედეგი. იგი გვასწავლიდა:

მაგრამ ღაღადი და ამბოხება
განურჩეველად ქვეყნად არ რჩება:
მართალი მხოლოდ ფეხსა იკიდებს
და სიზმარივით ტყუილი ქრება.

მადლიერმა და გამოფხიზლებულმა ერმა დღეს მას, დიდებულ ქართველთაგანს, ძეგლი დაუდგა საპატიო და თვალსაჩინო ადგილზე. ჯერჯერობით ეს მივიჩნიოთ საკმაო ჯილდოდ აკაკის ნამოქმედარისა და ნაღვაწისათვის, მისი გარდაცვალების 8 წლის თავზე.

მე სხვა ადგილსა და სხვა დროს აღვნიშნე (იხ. ალ. ჭავ-ჭავაძის ლექსთა განხილვა), რომ წარსული საუკუნის ქართულ-ული პოეზიის ძირითადსა და ნიშნობლივ თვისებას ნაღვლიანობა წარმოადგენს. ამ „ნაღვლიანი მდუღარების“ ერთი საუკეთესო წარმომადგენელი არის აკაკი. აკაკიმ ეს ნაღვლიანობა თავისი ჩანგის მარადის სასიმღერო კილოდ გაიხადა. მას თითქმის ერთი სიტყვა, ერთი ლექსიც არ წაცდენია, ერთი პოემაც არ მოეპოვება, სადაც ეს კილო ნაღვლიანობისა არ იყოს შიგ ჩართული, ჩაგვირისტებული. „ჩემო ჩანგო, ტკბილად არ გიჟღერია“, სევდანაკრავი წამოიძახებს მგოსანი. მან კარგად იცის, რომ ეს „ნაღვლიანობა ხარკია დღევანდელი ჩვენი ბედის“. ეს ბედი მას ანიჭებს საშინელ „ჩუმად ტანჯვას“, რომლის გასაქარვებლად უჯობს ცრემლი ღვაროს, თუმცა იცის, რომ ცრემლი მამაკაცს შეარცხვენს. არ შეშვენის. მგოსნის ნაღვლიანობის წარმომშობელი და მასაზრდოებელი დღევანდელი ბედისწერა შხამავს მის ჩანგს, მის სიმღერას. „ჩემი ჩანგი“,—იტყვის საშინელი გულისტკენით მგოსანი,— „სამარის კარზე ჟღერს და ეს ჯღერა არის მოთქმა და ზარი“. გულს ის უფრო უსერავს, რომ მას კარგად აქვს ნაგრძნობი და შეგნებული მთელი მშვენიერება „ტკბილზევსური“ ხმისა. ის კი არა, ეს უკანასკნელი ხმა სწორედ მისი სფეროა, მისდამი კუთვნილი და ზეგარდმო ჰანგია. მაგრამ ეს ჰანგი უკვე დაიმონა „ნაღვლიანმა მდუღარებამ“, ღა სვე მარადის ცრემლებს აფრქვევინებს. „ტკბილზევსური“ დიადი ჰანგი კი მხოლოდ „ხანდახან, ათასში ერთხელ წაცდება“. მაგრამ ეს ისეთი დიდებული ჰანგია, იგი მგოსანსაც და მსმენელსაც მოჰგვრის ხოლმე დიდ სიამეს, თუმცა წამით და ხანმოკლეს! ამ ტკბილზევსურთან ერთად მგოსანმა შეიმუშავა და შეითვისა „მწარე ზარის“ ხმაც, რომელიც მას, ვით მარადის ჭირისუფლად მყოფს, უფრო შეშვენის.

ამ ორგვარმა კილომ ჟღერისამ წარმოშვა აკაკის ორხმოვანი ჩანგური. მართლაც, მგოსანი ბუნებასა და ზეცას ტკბილზევსური ხმების საჟღერად დაუნიშნავს, ეს მადლი მისთვის ზენაარსს უხვად შთაუბერავს. ამ დროს კი „დღევანდელი ჩვე-

ნი ბედი“ მას იძულებელ ჰყოფს, უაღრესადვე განავითაროს „მწარე ზარის“ ხმა, რადგან მხოლოდ ეს ხმა შეშვენის ჭირისუფალს. ასე ორ ცეცხლს შუაა მომწყვდეული ჩვენი მგოსანი, რომლის ხელთ არის „საიდუმლოება ყღერისა“. იგი „ხან ლხენის; ხან მწუხარების“ ჰანგზე აყღერებს თვის ჩანგურს. ამ ჩანგურის „ზეციური ხმა“ „ორ-ხმოვნად გამოისმის“, რადგან ორგვარია მგოსნის გრძნობაც:

ნაღვლიანობა ხარკია
ღღეგანდელ ჩვენი ბედისა
და სიტკბოება, ოცნება —
შორეულ, სხვა იმედისა.

ამ ჩონგურს ორი მიზანიც აქვს:

რომ დაჩაგრულს იმ სიმღერით
თვალთ ცრემლები ეშრობოდეს
და მჩაგვრელს კი გულში ძგერით
ჩარიგით ესობოდეს.

„გულის პასუხში“ აკაკი უკვე დაწვრილებით აგვიწერს, თუ რარიგად შეზავებულ-შემზადებული აქვს მას „საიდუმლოება ყღერისა“:

ცრემლში მიღებავს ნაღველი
და მელნად ის მიხმარია:
შიგ თაფლი არის ნარევი
და ზოგან ცხარი ძმარია.

ჩვენ ვხედავთ, რომ აკაკის ძალზე ეხერხება „ტკბილზევსური“ ხმა. იმასაც ვამჩნევთ, მან ძალზე განავითარა და გაამშვენიერა „მწარე ზარის“ ხმა, მაგრამ იგი, სხვა მდგომარეობასა და პირობებში რომ ყოფილიყო, შეიძლება სრულიადაც არ იმღერებდა: მისი ამღერება სატრფოს მიერ არის გამოწვეული, მისი მღერის მიზეზიც სწორედ ეს სატრფოა.

თუ მე გიმღერ, მშვენიერო,
ეს სულ შენი ბრალია.

ეს სატრფოა მიზეზი, რომ მგოსნის ჰანგი ორხმოვანია: ტკბილზევსური“ და „მწარე ზარის“ ხმის გამომცემი. რადგან ასე ბედითი და გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს აკაკის ჩან-

გურის ეღერის კილოსათვის მის სატრფოს, ამიტომ ჩვენთვის საეალდებულოა ვიცოდეთ, ვინ არის, ან რა თვისების მქონეა ეს სატრფო.

აკაკი თვით დაგვასწრებს ამ კითხვით:

მაგრამ იცით, ჩემი სატრფო ვინ არი?

და ჩვენ მგოსნის ორმოცდაათი წლის ნაღვლიანი მდუღარებიდან ცხადად გავიგებთ, რომ ეს სატრფო, მგოსნის მუდმივი საზრუნველი და საფიქრებელი საგანი, სხვანაირი სატრფოა. ეს არ არის პირადი გრძნობათა დასაკმაყოფილებელი სახიერება. მაგრამ არც გამშრალი განყენებულობაა, რომლისადმი ტრფობა აგზნებულ მგოსანს გრძნობის ძლიერებასა და სიღრმეს არ ანიჭებდეს ან ხელს უშლიდეს.

ეს სატრფო საკვირველი და, თუ გნებავთ, ახირებული სატრფოა. ეს სატრფო „ცოცხალ-მკვდარი", „ძველი ტურფა", „დღეს მკვდარივით მძინარი" არსებაა. მგოსანი კი ამ სატრფოს „ჭირისუფალია". იგი ტურფა მიჯაჭვულია, მას ყვავ-ყორანი ეხვევა და ამ ყვავ-ყორანთაგან გული დაფლეთილი აქვს. ამ სატრფოს სადიდებლად მგოსანი აღმართ-აღმართ ავიდა და მაღლობზე შესდგა, ე. ი. მგოსანი ყოველნაირ ღირსებას შესწვდა, იგი თვით უკვდავი გადიქცა. მაგრამ მაინც ნეტარება ვერ იგრძნო და პირადი სიამოვნება მოეშხამა, რადგან ამ მაღლობიდან გადაიხედა და ნახა, რომ მისი სატრფო „სხვას მონებდა". ამით დაისერა გული და სული მგოსნისა და მას ვეღარაფერი ჰკურნებს ლოდების მეტი. აგზნებულ მგოსანს ეს ტურფა „ეგულება ციხეში, ცხრა კლიტულში მჯდომარე და შეთვისებას უპირებს გაიძვერა მოყვარე". თანდათან მგოსანი ფარდას ხდის და გვამცნობს, რომ ეს მისი სატრფო მხოლოდ მისი საკუთარი სატრფო როდია. მგოსნის ეს ტურფა სხვების, მთელი ერის სატრფიალოცაა. ამიტომ მგოსნის ნაღვლიანობა საერთო კვნესაა, რომელიც მას ცრემლს აფრქვევინებს. მაგრამ, —

ნუ ვინ ცდილობს იმ ცრემლებში
ნახოს კერძო სიყვარული.

ალმოკიდებული მგოსანი მაყურებელს შესძახებს: „რას შიქვია პირადი მწუხარება"?

მართალია, ეს სატრფო მთელი ერის სატრფიალო საგანია, მაგრამ ეს ხელს როდი უშლის, მგოსანი თვით მთლად, ერთიანად აღეგზნოს მისდამი სიყვარულით და ტრფიალებით.

მშვენიერო, შენ გეტრფი,
შენი მონა, ერთგული.
შენთვის სულდგმულს, შენგანვე,
შენთვის მიძგერს ეს გული.

მგოსანი ამ სატრფოზე ფიქრით არის გატაცებული, მის მეტი აღარც რა ახსოვს, არც რა აგონდება და ვერც ვერაფერს ხედავს. ყოველი და ყოველიფერიც ამ სატრფოს მოაგონებს. მგოსანი ისე შებოჭილა სატრფოზე ფიქრით, რომ მთვარესაც კი სატრფოს ამსგავსებს და ამ დროს „უკვდავსა და სრულს ვგრძნობდი სიყვარულს". მგოსანს ეშინია, ეს სატრფო არავინ მიიბიროს და მას ხელიდან არ გამოუსხლტეს. ამიტომ ტკბილად არწმუნებს სატრფოს, რომ —

სიყვარული ისა სჯობს, რაც ძველია,
საუკუნო მეგობრობის მცველია.

მგოსანი აღტაცებით წარმოიდგენს, რომ მისი სატრფო უკვე თავისუფალია და მუდმივი მისი ზრუნვაც ეს არის:

მინდა, რომ ჩემსა სატრფოსა
ვხედავდე თავისუფალსა.

მაგრამ ეს სატრფო თავისუფალი არ არის, იგი სხვას მონებს, ამიტომ მისი საქციელი გაუბედავია. ეს გაუბედაობა სატრფოსი კი მგოსანს ათასგვარ უსიამოვნო ფიქრს აუშლის. ხან იმ შეგნებით ნუგეშობს, რომ დარწმუნებით ჰგონია: „ორთავ ვიცით, ფიცით მტკიცეთ გრძნობა ჩვენი შეგვიტყვია", თუმც „ორივეს გვსურს და ვერ გვითქვამს აღსარება". ხანაც მგოსანს ეპვი შეეპარება სატრფოს მისდამი გრძნობაში, ამიტომ ზიზღსა ჰგვრის სატრფოს საქციელი. ამიტომ შეახსენებს მას, ეტყვის რა: „ფურთხის ღირსი" და „სანაგველას ბინა" ხარო. ხან კი სასოებს სატრფოს სიყვარულით და ამ დროს გასალკლდეებული მგოსანი მედგრად შესძახებს: „ტურფავ, შინი გულისათვის ქვეყანას გადავიმტერებ".

მგოსანი რწმუნდება, რომ სატრფოს მხოლოდ თავისუფლების შემდეგ შეეძლება გულახდილი აღსარება და ნამდვილი

გრძნობის გამოაშკარავება. ამიტომ მგოსანი ათას ხერხსა და საშუალებას მიმართავს, რათა ეს სატრფო გაათავისუფლოს. ამ მიზნის მისაღწევად მგოსანი მშვიდი და მუყაითი მუშაკი ფუტკარია, რომელიც მთელ მიდამოს დაუზარებლად მიმოფრენს ხოლმე და ამ მიდამოს ყვავილებიდან კრებს, აგროვებს ძვირფას საზრდოს, თაფლსა და სანთელს თვისი სატრფოსათვის. ეს მიდამო მთელი ქვეყანა და კაცობრიობაა. და, აი, აქ იძენს მგოსანი, ფუტკრად წარმოდგენილი, ყოველ ცოდნას, ყოველგვარ ხერხს, რომ თაფლი ყვავილებიდან აგროვოს, ამით სატრფოს საზრდო არ გამოაკლოს და სანთელიც იქონიოს ხატის წინ მარადის, უწყვეტლივ საპარპალებლად. საგულისხმოა, რომ აკაკი ასე ხშირად აღწერს ფუტკარს და მის კეთილ მოქმედებას. ხშირადვე თვის მნიშვნელობას ფუტკრისას ადარებს. მაგრამ ხედავთ ცხოვრების ულმობელობასა და საშინელებას?! ამ უწყინარ მუშაკსაც კი კეთილ შრომაში ხელს უშლიან. ამიტომ ეს სუსტი და უწყინარი არსება იძულებულია ამ შრომის უზრუნველსაყოფად მარადის იქონიოს გაშვერილი წვეტიანი ისარი. აქვე აღვნიშნავთ, რომ იქიდანაც ცხადად სჩანს, რომ ცხად სიყალბეს ჩადიან და საზიზღარ ცილს სწამებენ მგოსანს და მის ერს ის ბრიყვები, რომელნიც ქადაგებენ, რომ აკაკის სატრფოსადმი სიყვარული შოვინისტურიაო. როცა ხედავს მგოსანი, რომ წვეტიანი ისარი არ კმარა ცოცხალ-მკვდარი სატრფოს მოსაგერიებლად და მოსაბრუნებლად, ახლა იგი სხვა საშუალებას გამოძებნის. მას ჰგონია, რომ საჭიროა, მოიძებნოს გმირი, რომელმაც უნდა გადალახოს მთა და ბარი და უკვდავების წყაროს წყალი იშოვოს სატრფოს საპკურებლად. მგოსანი იტყვის:

ჩვენც გმირი გვინდა დღეს, ძმაო,
უკვდავებისა მძებნელი:
ხელში ჩაიგდებს წყაროსა,
მოაქვს და საწყალს ასხურებს,
რომ ადგეს... გაიხაროსა.

ხან კი ლოდინით მოდუნებული მგოსანი იმ იმედითღა იბრუნებს სულს, რომ დრო თვისას იზამს და სატრფო გაუნთავისუფლდება:

მოვა დრო და თავს აიშვებს,
იმ ჯაჭვს გასწყვეტს გმირთაგმირი.

მაგრამ ეს ლოდინი გადამეტებულ დროს თხოულობს, რომლის განმავლობაში „გაიძვერა მოყვარემ“ შეიძლება გადაიბიროს სატრფო და მაშინ მეტიღა იქნება ამ სატრფოს განთავისუფლებაზე ფიქრი. ამიტომ მგოსანი მოუთმენლობას განიცდის. „გაიღვიძე, გვეჩქარება“, ეტყვის მგოსანი. და საბედისწერო კითხვის გადაწყვეტა სურს გაჩაღებული ომით: ამ დროს გალომკაცებული მგოსანი ნესტანისათვის ხელობს, შიშველ ხმალს ხელსა სტაცებს და მტრის სისხლით იღებავს ჭაღარას. მგოსანი ბეჯითი რწმენით არის აღტყინებული, რომ სატრფო, ასე იქნება თუ ისე, ბოლოს მაინც მისი იქნება, თავისუფალი და პირახდილი გამომეტყველი თვის უფსკრულ გრძნობათა. ამიტომ ამ დროს მგოსნის შეჭმუხვნილ შუბლსასოების შუქი ეფინება და იგი მხნე და გაბედულია:

მაგრამ დავიმტვრე, ან მოვიღუნვი,
მსურს, მატყუებდეს მისთვის იმედი.

ან კიდევ:

გულს ვერ გავიტეხ ქართველი,
ვერ დავიჩლუნგებ ძველ ხმალსა.

ხომ ვნახეთ, რომ მგოსანი ამდენ გზით და ამდენ ნაირად აგვიწერს სატრფოს, რომელიც მას მიუწვდომელი, უკვდავი სიყვარულით უყვარს, და ეს სიყვარული არ გვაგონებს ქვეყნიურობას. მაგრამ ბოლოს მგოსანი მაინც აშკარად გვეტყვის, რომ ეს საკვირველი მისი სატრფო სრულებით უდრის, ეთანხმება მის სამშობლოს. ეს სამშობლო სწორედ იმნაირათვე აქვს დახასიათებული, იმგვარი თვისების მქონეა და ისეთსავე ზემოქმედებას ახდენს მგოსანზე, როგორსაც სატრფო. ამიტომაც აკაკის სატრფო და სამშობლო ერთი და იგივეა: არც ერთი განმასხვავებელი თვისება არ მოიპოვება მათ შორის. სამშობლო სნეული მგოსნის მკურნალია და იგი მისი ხატია. თვით მგოსანი კი ამ ხატის წინ ანთებული სანთელია; და იწვის, დნება მგოსანი როგორც ხატის წინ, ისე თვის სატრფოს წინაშე. ამ მდგომარეობით იგი ნეტარობს. —

ჩემი ხატია სამშობლო,
სახატე მთელი ქვეყანა;

ღა რომ ვიწვოდე, ვდნებოდე,
საკვირველია ეს განა?

ამის შემდეგ ჩვენთვის სრულიად ცხადია, თუ ვისზე ამ-ბობს აკაკი შემდეგ სიტყვებს:

შენ გეტრფოდი, შენვე გეტრფი,
საიმედო ჩემ საფიცარს!
და შენ მხოლოდ ახატიხარ
ამ ჩემ წმინდა გულის ფიცარს!

როგორც ხედავთ, აკაკის პოეზიის საგანი მხოლოდ და მა-რტო სამშობლოა, რომელიც მისთვის ხან სატრფოა, ხან ტურ-ფა და ხან ნესტანი, ცხრაკლიტულში მჯდომარი. სადაც უნდა იყოს და რა დროსაც, მგოსანი ყოველგან და ყოველთვის მხო-ლოდ სამშობლოზე მღერის. ეს სამშობლო მისი სამლოცვე-ლოა, ხატია, ნუგეშის მცემელი და იმედის მომგვრელი. ეს სა-მშობლო მისი მკურნალია და მისივე ნეშტთა მიმ-ბარებელი. სამშობლო ტკბილი დედაა, რომელიც მას სიკვდილის შემდეგ კალთას გადააფარებს. აი, ამ ერთ-გვარ გრძნობათა სფეროში ტრიალებს აკაკის მთელი გრძნო-ბიერება, აზრი და ფიქრი. იგი ამ წრეშია მომწყვდეული. ამის გარეშე მას არაფერი აინტერესებს ანუ უკეთ ვსთქვათ, ყოვე-ლივე და ყოლიფერი მისი ფაქიზი გრძნობის მომწამელელია. სულის ასეთი ვითარება ნამდვილი წამებულის, წმინდანის ან, მდაბიურად რომ ვსთქვათ, სულის, ადამიანის სულის ვითარე-ბაა. და აკაკიც სწორედ ამ ერთგვარ და მუდმივ ფიქრზეა გა-დამკვდარი, გადაყოლილი. იგი მუდამ „საერო კვნესით მარად გულმოკლულია". ამიტომ საგანიც აკაკის პოეზიისა, მუდამ საეროა — ერი, სამშობლო და სხვა არაფერი. იგი არ არის ერ-თი რომელიმე წრის ან წოდების მღერალი: იგი მგოსანია ერის.

ამ საშინელს საერო კაეშანს სხვა ჩვენი მგოსნები ასე მუ-დამ და შეუწყვეტლივ როდი ემონებიან, როდი ემორჩილე-ბიან. პირიქით, ისინი ამ სიმწვავეს თითქოს გაურბიან, თით-ქოს ამის ეშინიათ. ამიტომ ზოგი მათგანი ამ სახმილს იმით ინ-ელებს, რომ წარმოიდგენს განვლილი ისტორიის დიდებულ ხანად და ამ ისტორიის გმირთ ეთაყვანება. ზოგიც ცდილობს,

გაეტაცვინოს მგრძნობელობასა და უტყვი ბუნების დიად, თვალის წარმტაც სანახაობად და ამით გულში ჩაიკლავს ხოლმე საერო კვნესას. ზოგიც ამ ნაღვლიანობას მით იყუჩებს, რომ დასტირის „ბედისაგან დაჩაგრულის“ „შრომის შვილის“ აუტანელ ბედშავობას...

ჩვენი მგოსანი ხატად ქცეულ სატრფოს მარადის გუნდრუკს უკმევს და მარადის იმ ზრუნვაშია, რომ ეს მსახურება, ეს თაყვანისცემა შესაფერი სილამაზითა და მშვენიერებით იყოს წარმოებული. აქედან, რასაკვირველია, აშკარაა, რომ აკაკის პოეზიის გარეგანი მოკაზმულობა სრულ მშვენიერებას წარმოადგენს: არსად ერთი გადამეტი სიტყვა, არსად ზომას გადასული წამცდარი გრძნობა. მისი ჩანგური ხმატკბილია და ამ ჩანგურის „კრიმანჭი წკრიალი ხელახლად მოეწყურვება“ ხოლმე მსმენელს, იმდენად იგი სასიამოვნო სასმენია. გარეგანი სამოსელი შეფერებული აქვს შინაგან დიად გრძნობას. მგოსანიც ხომ იმის ცდაშია, რომ ეს თვისი მღერა ისეთი ძლიერი მშვენიერებით იყოს შემოსილი, —

> რომ ჩემი მღერით აღგზნილი
> რაყიფი ტარიელობდეს:
> ქაჯთა ებრძოდეს ლომკაცი,
> ნესტანისათვის ხელობდეს.

აკაკი წერეთელი შოთას თხოვს: მასწავლე საიდუმლო ყღერისა, რათა მგოსანი ვიქნე ერისაო. მართლაც, აკაკიმ ზედმიწევნით შეისრულა ეს წადილი: იგი მისწვდა ყღერის საიდუმლოებას და ამით შეიქნა მგოსანი ერისა. აკაკის ლექსი ყველასათვის, ვინც უნდა იყოს იგი, — განათლებული, გინდ სრულიად უბრალოც, — ადვილი გასაგებია, იგი ყველას სულში ჩასაწდომი და ამაძგერებელია. აკაკი დიადი და შეუდარებელი ხელოვანია ლექსთა მარგალიტის მძივებად ჩამოსხმაში· მისი ლექსი მსუბუქი და ნარნარია, ადვილგასაგები და მკვირცხლი. ამ ხელოვნებით აკაკიმ ქართული ენა გააფაქიზა. ნარნარჰყო სასმენად და გაამდიდრა, გაამრავალფეროვნა ნამდვილ ქართულ სიტყვა აგებულებით, მოკაზმულობით. ამ თვისებისა გამო კი ქართული ენა მისაწვდომი და გასაგები შეიქნა მთელი ხალხისათვის: ეს ენა გაეროვანდა, ე. ი. ქართველი ხალხის

ყველა წრისა და მდგომარეობის კაცისათვის ადვილად გასაგები და სასიამოვნოდ სასმენი შეიქნა. ამ მხრივ აკაკიმ უკვე მთელი სკოლა შექმნა და სამუდამოდ განდევნა მძიმე და უშნოდ აწყობილ ლექსთა თხზვა. დღეს მგოსნობას ვეღარავინ დაიჩემებს ისე, თუ რომ მისი ლექსი გარეგანი ფორმით აკაკისებურად არ არის აწყობილი.

ასე ხელოვანად აწყობილ ლექსს აკაკიმ საერო შინაარსი მისცა. აკაკის ლირიკა თავიდან ბოლომდე ერთი გაუთავებელი მოთქმაა, „საერო კვნესით“ ავსილი. აკაკის ჩანგური მუდამ კვნესით ჟღერს და ეს საერო კვნესა კი სრულებით ადვილად, ძალდაუტანებლად ვრცელდება ხალხში ამ ენის წყალობით. საერო მისწრაფებათა ასე ვერ გაავრცელებდა ხალხში რამდენიმე ასი პროპაგანდისტიც კი, რადგან აკაკის ჩანგურის „კრიმანჭი“ წკრიალის სმენა ხალხს განუწყვეტლივ ენატრებოდა და ამ ენას იგი ეტანება. ამ ჩანგურის სიმი „ბულბულის ენაა“, ფრთები კი „არწივისა ასხია“, ამიტომ დიახაც შეშვენის აღმაფრენა. ეს აღმაფრენა კი არის დიადი „საერო კვნესა“, რომლით მგოსანი მარად გულმოკლულია. რაღა გასაკვირველია, რომ ამ სიმაღლემდე ასული აკაკის ჩანგური პირდაპირია და მართლის მქადაგებელი. ეს ჩანგური სიმრუდით სიმთ არ აჟღერებს და არც ვისმე მიეფერება, რადგან ეს ჩანგური სრულ პასუხისმგებლობას იღებს მთელი ხალხის, მთელი ერის წინაშე. ამიტომ ეს ჩანგური სრული უშიშროებითა და მიუფერებლობით აშკარად იტყვის: „აღარ ვნატრობ აღარასა, რომ სამშობლოს მტრის სისხლითა ვიღებავდე ჭაღარასა“. ეს პირდაპირობა და მიუფერებლობა, ეს სიმართლის გულახდილად თქმა ხომ ყოველი დიდბუნოვანი ადამიანისა და დიადი მგოსნის ნიშნობლივი თვისებაა. აკაკიც სწორედ ასეთია.

სიტყვა გიორგი წერეთელზე

გიორგი ექვთიმეს ძე წერეთელი იყო შვილი ღარიბი აზნაურიშვილისა და მისი ბოლო ისეთივე უნდა ყოფილიყო,

რა ბოლოც მოელის ხოლმე უმეტეს ნაწილს ჩვენი განებივრებული წოდებისას, მაგრამ ბუნებამ ისურვა, იგი გამოერჩია დანარჩენთაგან და მას შთაბერა სული უკვდავი, ე. ი. მოჰმადლა ნიჭი ბეჯითი შრომისა და შემოქმედებისა. ეს ორი პირობა კი უტყუარი საბუთია, რომ მას ნაყოფი გამოეღო, და ხომ მოგეხსენებათ, რომ „ნაყოფისაგან ხე იგი საცნაურ არს". დიაღ, გიორგი წერეთელი მის მიერ გამოღებულმა ნაყოფმა, საქართველოსა და ქართველებისათვის კეთილის შომგვრელმა. დღეს საცნაური გახადა ყველა ქართველისათვის და იმ დრომდეც, ვიდრე ქართველი ერი აღიგვება პირისაგან დედამიწისა.

გიორგი ექვთიმეს ძე წერეთელი ეკუთვნის სამოციანი წლების მოღვაწეთა გუნდს. ეს ის გუნდი იყო, რომელმაც სამშობლოს წინაშე ჰანიბალისებური ფიცი დასდო, რომ იგი ან საერო ლიტერატურას შექმნიდა და ხალხს ეროვნულად გააცნობიერებდა ან გაცამტვერდებოდა. მერმე იცით კი, რა მძიმე და სათუო იყო ამის განხორციელება მაშინ? ეს ის დრო იყო, როცა უმეტესი ნაწილი ჩვენი ერისა მონობის უღელქვეშ უსიხარულოდ ჰლევდა დღეთ. ეს ის დრო იყო, როცა ღათიკოებისანა ვეჟბატონები ამ ხალხის უმეტესობას საქონელზე ნაკლებად აფასებდნენ და მისდა მიმართ არავითარ პატივისცემასა და მოვალეობას არა გრძნობდნენ. მეორე მხრით, ეს ის დრო იყო, როცა მეორე ნაწილი ერისა, რასაკვირველია, უმცირესი, „მარილი ქვეყნისა" და „ნათელი სოფლისა", სამშობლოზე ზრუნვას გულაცრუებული იყო (რადგან იმ დროს საქართველოს ბჭენი აყრილნი იყვნენ) და დაუსრულებელ ლხინსა და ქეიფს ეძლეოდა, ამაზე წაქეზებული. ერთმანეთს ეცილებოდნენ არა სამშობლოსათვის ზრუნვით, არამედ იმითი, ვინ ვისზე მეტ ვალს აიღებდა და მაშინდელ სასახლეს ქეიფითა და უზომო ხარჯით ტოლობას გაუწევდა. ეს ის დრო იყო, როცა სამშობლოს არემარეზე მარტოოდენ საბრალო „ცისკარის" გულსაკლავი, გლოვის ზარზე მომართული ხმა სევდიანი გაისმოდა. ეს ის დრო იყო, როცა, პოეტის სიტყვით, სამშობლოს მიდამოზე სრული მყუდროება ჰსუფევდა, რასაკვირველია, მყუდროება საზოგადოებრივი უმოქმედობისა გამო:

არსაიდან ხმა, არსით ძახილი!
ᲨᲝᲜᲔᲚᲘ ᲨᲝᲜᲘᲚᲡ ᲐᲠᲐᲡ ᲛᲔᲢᲧᲝᲓᲐ.
ᲮᲝᲒᲯᲔᲠ ᲙᲘ ᲢᲐᲜᲯᲕᲘᲗ ᲐᲛᲝᲫᲐᲮᲘᲚᲘ
ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘᲡ ᲫᲘᲚᲨᲘᲐᲪ ᲙᲕᲜᲔᲡᲐ ᲘᲡᲛᲝᲓᲐ.

უეჭველია, ამ გაფიცულთა მცირე გუნდს ეს კვნესა ღრმად გულში ჩაწვდენოდა; რომ ასე მედგრად და ასე მხნედ შეებრძოლენ ისინი მიზეზთ ამ კვნესისასა. საქმე ფრიად საძნელო იყო, მუშაკთა გუნდი კი ფრიად მცირე, ისე მცირე, რომ ერთი მაშინდელი მესვეურთაგანი ასე ჰგოდებს:

მაგრამ, მამულო, შენი ტანჯვა მხოლოდ ის არის,
ის არის მხოლოდ სავალალო და სამწუხარო,
რომ შენს მიწაზე ამდენ ხალხში კაცი არ არის,
რომ ფიქრი ვანდო, გრძნობა ჩემი გავუზიარო.

აი, ასეთ მდგომარეობაში ამ მცირე გუნდს გვერდში ამოუდგა გიორგი წერეთელი, ბუნების მიერ მდიდარი აღმაფრენით უხვად დაჯილდოებული. ეს იყო 1862 წელი, როცა გიორგი წერეთელმა, ჯერ კიდევ კურსდაუმთავრებელმა სტუდენტმა, „ცისკარში“ პირველი თავისი ნაწარმოები დასტამბა, რომელშიც წარმტაცი გრძნობიერებით მკითხველს ალს უკიდებს, საუბრობს რა ჩვენი საერო ჭირ-ვარამისა გამო. ჩვენ ახლა არც კი შეგვიძლია სისრულით და ღრმად ვიგრძნოთ ის, თუ რა გრძნობა დაუტრიალდათ გულში იმ ორიოდე მოღვაწეთ, როცა ეს ნიჭიერი მუშაკი გვერდში ამოუდგათ. მას აქეთ დღეში გიორგი წერეთელი ჩვენს ლიტერატურასა და სამშობლოს საერო საქმეთ აღარ განშორებია.

მრავალგვარია მოღვაწეობა გიორგი წერეთლისა სალიტერატურო ასპარეზზე. ლიტერატურის თითქმის ყველა დარგს მოსჭიდა მან ხელი, თუმცა ბუნებას იგი მხოლოდ და ოდენ ბელეტრისტად დაუბადა. ამ სარბიელზე გ. წერეთელს ჩვენში ტოლი არ ჰყავს. მისი მოთხრობანი: „ჩვენი ცხოვრების ყვავილი“, „კუდაბზიკა, კიკოლიკი და ჩიკოლიკი“ (მგზავრის წერილები), „მამიდა ასმათი“, „რუხი მგელი“ და ორი რომანიც: „პირველი ნაბიჯი“ და „გულქანი“ და თუ ჩვენს ღარიბ ლიტერატურას ამშვენებენ, ჩვენზე უფრო ბედნიერ ერთა ლიტერატურაშიც სასიქადულო ნაწარმოებად ჩაითვლებოდნენ. ყველა ამ ნაწარმოებში გ. წერეთელს ეტ-

ყობა ღრმა დაკვირვებითი ნიჭი, ოდნავ დამცინავი, შემპარავი კილო, დიდი ცოდნა ჩვენი ერის ყოველდღიური ცხოვრებისა, მისი ზნე-ჩვეულებისა და ცრუმორწმუნეობისა. მაგრამ უს კიდევ არაფერი. მისი მკვირცხლი ნიჭი ისე ღრმად სწვდება ცხოვრებას, რომ ჩვენში ერთადერთი გ. წერეთელია, რომელიც ნამდვილ ცხოვრებაში ახალ ტიპებს აღმოაჩენს ხოლმე და ხასიათებს ჰქმნის.

პირველი მოთხრობის გმირი — დიტო — თვითონ გ. წერეთელია. იმის მიუხედავად, რომ დიტო აუტანელ გარემოებათა შორის იზრდება და უზნეო ამხანაგთა და უმეცარ მასწავლებელთა გავლენას ოდნავ განიცდის, იგი მაინც კეთილისადმი სიყვარულით არის გატაცებული; მას იტაცებს სურვილი ვრცელი ცოდნის შეძენისა; მას უკვე შესწავლილი აქვს ჩვენი ძველი მწერლობა; უკვე ძვალ-რბილში გასჯდომია ეროვნული თავმოყვარეობა და იგი, გ. წერეთელსავით გატაცებულია ბუნების შედარებით: მისი სურვილია ქვეყანა და მსოფლიო შეისწავლოს, ბუნების ხატებას მისწვდეს, რათა ამით ვინძლო, ბინა და ადგილი მოუძებნოს თავის ხატს, სამშობლოს, თავის საყვარელ ერს. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ჩვენში გ. წერეთელი პირველია, რომელიც ხარბად და ლაღად დაეწაფა ვრცელსა და ღრმა ნაკადულს — მაშინ ახლად ფეხადგმულ ბუნების მეცნიერებას. ამ გარემოებას უმნიშვნელოდ როდი ჩაუვლია. გ. წერეთელმა ცოტად თუ ბევრად გვარიანი და მომარჯვებული ტერმინები შეადგინა ბუნების მეცნიერებაში (იხ. „საუკეთესო ცოდნა"). პირველსავე მოთხრობაში გ. წერეთელს ეტყობა ძლიერი დაკვირვებითი ნიჭი (მოიგონეთ თასმასავით დაქნილი დიტოს ლალა — თონიკე). შემდეგ მოთხრობაში კი გ. წერეთლის საბელეტრისტო ნიჭი უფრო იშლება, ფართოვდება და უკვე ტიპებს ატანს ხელს. მისი კუდაბზიკა, თავისი ჯორითურთ, უკვდავი ტიპია. გ. წერეთელმა ჩვენში პირველი რომანი დასწერა — პირველი ნაბიჯი და იქ დაგვიხატა სვეტედი ბახვა ფულავასი, რომელიც პირველი შვილია ახალ დროთა ვითარებისა. ყველა ამ ნაწარმოებში გ. წერეთელი სიყვარულითა და ცოცხლად იკვლევს თავის საგანს. ყველგან

გამოსჭვივის გონიერი კაცის მსხეპავი, დამცინავი, თუმცა შოსიყვარულე ნიჭი. არსად მოთხრობაში ძალდატანება არა სჩანს, მიმდინარეობა ბუნებრივია. არსად მკითხველი დაღლილობას არა გრძნობს, ისე ნებიერად და ლაღად ატარებს თავისთან და თავის გმირებთან მას გ. წერეთელი: ყოველგან შემოქმედებითი ნიჭის მადლი სჩანს და მეტად მდიდარი აღმაფრენა. ენა გ. წერეთლისა მკვირცხლია, მსხეპავი, ადვილგასაგები. მოკლე სიტყვა ხიბლავს მკითხველს, რადგან, შექსპირისა არ იყოს, „მოკლე სიტყვა სულია ჭკვისა, გრძელი სიტყვა კი მხოლოდ ჭკუის სამოსელია“. ამ მხრივ ბელეტრისტიკაში გ. წერეთელმა ღრმა კვალი გაავლო და ვერავინლა და ვერც ვერაფერი ველარ წაშლის ამ კვალს. მის კვალს ბევრი ჩაუდგა, მაგრამ მისი საქმის შესაფერი განმაგრძელებელი ჯერ არა სჩანს. ამის მეტიც რომ არ გაეკეთებია რა გ. წერეთელს, ესეც საკმაო იყო, რომ იგი ყოველი ქართველისათვის, ვიდრე ქართველი ქართველობს, საცნაურ იყოს.

მაგრამ ამით როდი განიმარტება გ. წერეთლის მოღვაწეობა, ქართველი ერის გასაცნობიერებლად მიმართული. მან კარგად შეიგნო, რომ ქართველთა ეროვნული აზრით გასაცნობიერებლად ნაცნობთა მცირე გუნდი არ კმაროდა. საჭირო იყო, მას თავისი აზრი და მისწრაფება განეფანტა ვრცლად, მთელ საშობლოს არემარეზე. ამის მისაღწევად კი ერთადერთი უტყუარი საშუალება ყოველდღიური გაზეთია. აი, ამიტომაც 1866 წ. გ. წერეთლის რედაქტორობით თბილისში არსდება გაზეთი „დროება“. ეს ხომ მაშინ პირველი საქმე იყო. ეს საქმე კი, არათუ მაშინ, ახლაც კი სიყვარულის გარდა დიდ ხარჯსა და აუტანელ ჯაფას მოითხოვდა. აკაკი ამბობს, რომ ჩვენში ლიტერატორობა ქეულმოქმედებაა. და ეს თუ ასეა ახლა, მაშინ არათუ ქეულმოქმედება, პირდაპირ თავგანწირულება და მსხვერპლი იყო საჭირო, ვინც ამ საქმეს შეუდგებოდა. და მართლაც, რუსეთიდან ახლად დაბრუნებული გ. წერეთელი არ იზოგავს თავს, ისე გამუდმებით მუშაობს: რეალურ სასწავლებელში მასწავლებლობს, გარეშე გაკვეთილებსაც იღებს, ამით საკმაო ფულებს შოულობს და ყოველივე ამას თავის გაზეთს ანდო-

მებს, თვითონ კი ერთ პატარა ოთახში, გაციებულსა და გამურულში სცხოვრობს. ეს უტყუარი ფაქტია. ეს ფაქტი კი იმის მომასწავებელია, რომ გიორგი წერეთელს ღრმად უგრძვნია სამშობლოს სიყვარული და მის სასამსახუროდ თავი თვისი განუმზადებია, ზვარაკად გადაუდვია. ამას ახლანდელი გაბურჟუებული ახალგაზრდობა არც იზამს და არც სხვას უწონებს ასეთ საქციელს. მაგრამ მოუთმენელმა სულმა გ. წერეთლისამ აუდიტორიად არც ის წრე იკმარა, რომელშიც „დროება“ ვრცელდებოდა. იმან მოინდომა აუდიტორიის გაფართოვება, მსმენელთა გამრავლება და, ამის მიხედვით, თავის აზრთა და მისწრაფებათა სარბიელის გადიდება. გარდა ამისა, მისი სურვილი იყო, რომ კუთილი ცოდნა და ეროვნული ცნობიერება თვით ხალხის უმეტესობას გულში ჰოხვედროდა პირდაპირ, უშუალაცოდ. ამ მოსაზრებით, გ. წერეთელმა დააარსა „სასოფლო გაზეთი“, სადაც ხალხის უმეტესობას გამოსადეგ სამეურნეო ცოდნასთან ერთად ასწავლიდა და გულში ულვივებდა სამშობლოს სიყვარულს და უკანასკნელის საკეთილდღეოდ მოქმედებას აქეზებდა. აქ იხატება გ. წერეთლის ვრცელი, იდუმალი და შორეული მისწრაფება, რომელიც მაშინაც და ახლაც სახიფათო საქმეს წარმოადგენს, და მართლაც, ამ მისწრაფებამ იგი ერთხელ კინაღამ დიდ ხიფათს გადაჰკიდა.

არასოდეს ისეთი შარავანდედი არა ჰქონია მოფენილი გ. წერეთლის სახელს, როგორც მაშინ, როცა ის გვერდში ედგა ნ. ნიკოლაძეს, ამ ჩინებულ კრიტიკოსსა და პუბლიცისტს, ვრცელი საეკონომიო ცოდნით ღრმად აღჭურვილს, და მასთან ერთად „კრებულს“ სტამბავდა. სწორედ ამ დროს ამუშავდა ნაყოფიერად, შინაარსით მდიდარი გ. წერეთლის ნიჭი და აღმაფრენა. სწორედ ამ დროს მან ნ. ნიკოლაძის მეთაურობით ისეთ ნიადაგზე დააყენა პერიოდულ გამოცემათა საქმე, რომ ჟურნალ-გაზეთობას ხალხი შეეჩვია, მკითხველი გაუჩნდა, აი, სწორედ იმ დღიდან დაიბადა ჟურნალ-გაზეთობა და იმ დღიდანვე გაჩნდა ქართველი მკითხველი. ეს გარემოება კი ჩვენი ერის ცნობიერების საქმეში არათუ ეპოქა, ერაა. მაგრამ ეს ხანა დიდხანს არ გაგრძელებულა. მოუსვენარი და მოუთმენელი გ. წერეთელი საზღვარგარეთ მიდის: „კრებული“

ისპობა, მას აქეთ მადლიანი მეთაურობაც ნ. ნიკოლაძისა აღარ განუცდია მას, და სწორედ ამ დღიდანვე „მკრთალი ნათელი" მოეფინა გ. წერეთლის სახელსაც. მაგრამ ხომ მოგეხსენებათ, რომ ამგვარი კანონი ორგანიული განვითარებისაა: ეს განვითარება რიტმული, ზვირთებისებურია.

უკიდურესი ნაციონალისტის მოუთმენელმა სულმა არ მოასვენა გ. წერეთელი, აქ შეჩერებულიყო. საქმე ის არის, რომ მან მოინდომა თავისი თანამემამულენი გამოეღვიძებია. ამისათვის კი საუკეთესო მასალას წარმოადგენს ისტორია და ამ ისტორიიდან ამოღებული წასაბაძი გმირების ყოფაცხოვრების აღწერილობა. აი, ამ ხანებში სწორედ ამ გზას დაადგა გ. წერეთელი. მან უკუაგდო ბელეტრისტიკა და ისტორიას მოჰკიდა ხელი, იქიდან ამოიღო მოთხრობანი საუკეთესო მოღვაწეთა შესახებ, რათა ამით ჩვენი მამა-პაპის სული და მხნეობა შთაენერგა თანამედროვე მემამულეთა გულში. მაგრამ ამ ბუნების მიერ ბელეტრისტათ დაბადებული და მდიდარი ალმაფრენით დაჯილდოვებული გ. წერეთელი ისტორიას, სინამდვილეს არ უჯერებს და ოცნებას გაეტაცვინება ხოლმე. გარდა ამისა, მან ხომ წინათ განზრახული აზრით მოჰკიდა ხელი ისტორიას. რაღა გასაკვირველია, რომ მის საისტორიო გამოკვლევას დიდი ნაკლი ამჩნევია.. ამ გამოკ-. ვლევის მნიშვნელობა ის არის, რომ დაწერილია ადვილად გასაგებისა და ცოცხალი ენით. ამიტომ მისი მეოხებით ჩვენში ვრცელდებოდა სხვადასხვა მოთხრობა ჩვენს მამა-პაპათა ცხოვრების შესახებ, ამ მოთხრობათ მავნებლობაც შეეძლოთ მოეტანათ, რადგან ეს საისტორიო მოთხრობანი უფრო ოცნებისა და ფანტაზიის ნაყოფნი არიან. ისტორია კი პირუთვნელი, პირდაპირი და მართალი უნდა იყოს. მაგრამ გ. წერეთელს არ გაემტყუნება. ჩვენი ისტორია ჯერ არ დაწერილა. ამას თავისი გასამართლებელი საბუთიც აქვს. ისტორიის კვლევასა და ძიებას მუყაითი, დამჯდარი და გამუდმებული, მშვიდი კაბინეტური შრომა უნდა. ასეთი შრომისათვის კი ჩვენი ცხოვრება როდია მოწყობილი. ამისათვის არც გარემოება და არც ნივთიერი მდგომარეობა ხელს არ გვიწყობს. ჩვენ გვმართებს მხოლოდ იმ იმედით ვისულდგმულოთ, იმიტომ ვიშრომოთ და ვიჯაფოთ, რომ პირუთვ-

ნელი ისტორიის შემდგენელს ნიადაგი დაუმზადოთ და განვიცადოთ აუცილებელი კანონი ბუნებისა:

რაც ცოცხალია, ყველა კვდება და მიწას სტოვებს საუკუნოითს...

აი, ამიტომ გ. წერეთელსაც შეენდობა, რა ნაკლიც უნდა ჰქონდეთ მის საისტორიო მოთხრობად და გამოკვლევად. ჩვენ მისდამი პატივისცემა და მარადის ხსოვნა მაინც გვმართებს, რადგან ამ მის კვლევათ სარჩულად მუდამ კეთილი სურვილი და ღრმა სიყვარული ედო. ამ კეთილისა და სიყვარულისათვის კი მან ვალად დაგვდო, მოვიხსენიებდეთ მას მონასა უფლისას და ვეევედრებოდეთ უფალსა განსვენებას მისი დამაშვრალი სულისას, და ღრმად მარადის გვწამდეს, რომ მხოლოდ სამშობლოსათვის მოღვაწეთა ხსოვნა აცოცხლებს ერს.

სიტყვა გიორგი ქოჩაკიძეზე
(ბალადიდელზე)

მარადის დაუვიწყარო საყვარელო მგოსანო! ერთ თვეზე მეტი იქნება, რაც დეპეშამ მთელი ქართველობისათვის ფრიად შემაძრწუნებელი და დამასევდიანებელი ამბავი მოგვიტანა: ბ. მინსკში გიორგი ქოჩაკიძე გარდაიცვალაო. ამ მოკლე ამბავმა მთელი ქართველობა დაამგლოვიარა და ძაძაში გახვია. ვინ იცის, რამდენი ვინ კვდება დღე-მუდამ და მარად ჟამს... ხშირად ჩვენი, ფრიად დაახლოებული ნაცნობისა და ნათესავის სიკვდილსა და გარდაცვალებასაც კი გავიგებთ ხოლმე, მაგრამ ეს ისე როდი დაგვაღონებს, როდი დაგვასევდიანებს ხოლმე. ასეთ შემთხვევაში თავს მალე ვინუგეშებთ იმით, რომ ვიტყვით, ყველა სიკვდილის შვილნი ვართო. და ეს სრულებით საკმაოა, რომ გული დავიამოთ. სრულებით სხვა შთაბეჭდილება მოახდინა მინსკიდან მოსულმა ამბავმა. ამ უკანასკნელმა ყოველი ჩვენგანი ღრმად შეაშფოთა და ყოველმა ჩვენთაგანმა დაჰგმო და შეაჩვენა გულგრილობა და დაუნდობელი ძლევამოსილება ბუნების ძალთა, მხოლოდ იმიტომ, რომ სიკვდილმა, სრულებით ჩვეულებრივმა და

აუცილებელმა ბოლომ ყოველივე იმისამ, რაც კი სულდგმულებს და სცოცხლობს, რაც კი აზროვნებს და ფიქრობს, რასაც უი უყვარს და სძულს, — წარგვტაცა გიორგი ქოჩაკიძე. და ეს ვიგრძენით მხოლოდ იმიტომ კი არა, რომ სიკვდილმა გიორგი ქოჩაკიძე წარგვტაცა, არა. ეს ვიგრძენით უმთავრესად იმიტომ, რომ სიკვდილმა თავისი შავი ხელები მძლავრად შემოხვია და თავის ცივ გულ-მკერდზე სამარადისოდ მიისვენა გრძნობით აღსავსე მგოსანი ჭალადიდელი, ის ჭალადიდელი, რომელიც ამ ოცდაათი წლის წინათ ჩვენს საზოგადო ცხოვრებაში ჩაერია და, თუმცა მოკლე ხნით, მაგრამ მაინც ღრმა კვალი აღბეჭდა ყოველი ქართველის გულში გრძნობითა და მხურვალე რწმენით სავსე, მარგალიტებად ჩამოსხმული ლექსებით. და ხომ მოგეხსენებათ, რომ,—

. რაც ერთხელ ცხოვლად სულს დააჩნდების,
საშვილიშვილოდ გარდაეცემის.

ეს შენი ღვაწლი, საშვილიშვილოდ გადმოცემული, იყო მიზეზი, რომ მადლიერი ერი შენი შეშფოთდა და მას გული ჩაუვარდა, როცა გაიგო შენი სიკვდილი, შენი გარდაცვალება. შენ სწორედ იმ დროს იწყე მოღვაწეობა სალიტერატურო ასპარეზზე, როცა ცხოვრებამ ჯაჭვი მონოსისა სამარადისოდ გასწყვიტა და ახალ გზას შეუდგა ახალი სასოებითა და ახალი რწმენით. ახალ გზაზე შემდგარ ახალ ცხოვრებას, უეჭველია, ახალი რწმენის მეთაურნი და მოქმედნი დასჭირდებოდა. ერთი ასეთი მოქმედთაგანი იყავი შენც და შენ სწორედ მხარი დაუმშვენე იმ პირთ, რომელნიც შენთან ერთად ამ „დიდი საქმის“ სამსახურს შეუდგნენ. ბუნების მიერ შენდამი მონიჭებულმა მადლმა ხომ ჩინებული და საუკეთესო საშუალება აგარჩევია, რათა თვისი მიზნისათვის მიგეღწია და სამშობლოს სასარგებლოდ გეღვაწნა. მე ვგულისხმობ შენს მსუბუქსა და ხმატკბილ ჩანგს, რომელიც მხოლოდ სიწმინდესა და სიყვარულს ავრცელებდა და ამით შენ უპირატესობა მიეცი სიტყვითა და ენით მოქმედებას, რადგან კარგად იცოდი, რომ, —

ხმალზე უფრო ძლიერად სჭრის
პატარა და რბილი ენა.

კარგად გრძნობდი, რომ ცხოვრების სანატრელი გზით წასამართავად და საყვარელი სამშობლოს სასიქადულოდ ორი რამ აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენდა: ღობა და საფუძვლიანი სწავლა-მეცნიერება და მედგარი გულგატეხილობა. საფუძვლიანი ცოდნა საჭირო იყო იმიტომ, რომ უმეცრება და უგუნურება მოსპობილიყო, რაც ცხოვრების განვითარებას და ადამიანობის შეგნებას ძალზე ხელს უშლიდა. მედგარი გულგატეხილობა კი იმიტომ იყო აუცილებლად საჭირო, რომ ახალ კალაპოტში სადენად ჩამდგარ ახალ ცხოვრებას ბევრი მოწინააღმდეგე აღმოუჩნდებოდა, ბევრი მავნე ძალი წინ აღუდგებოდა. აქ, მაშასადამე, შებრძოლება აუცილებელი შეიქნებოდა. ამ შებრძოლებაში კი მოსალოდნელი როდი იყო, ყოველთვის სიმართლესა და ჭეშმარიტებას დაეძლია; საფიქრებელი იყო, რომ დროებით მავნე ძალს გაემარჯვებია, და თუარ სიმტკიცე და მედგრობა ხასიათისა, შესაძლებელი შეიქნებოდა, ამ დროებით მარცხს მოლვაწე, ახალი ცხოვრების სულისჩამდგმელი, გაელაჩრებია და მისთვის გული გაეტეხა. ეს კი ხომ ღალატი იქნებოდა საყვარელი სამშობლოსა და ახალი ცხოვრებისა.

და, აი, სწორედ ამ ჰანგზე ააღერე ჩანგი შენი. შენი ჩანგის ნაშნობლივი თვისება ის არის, რომ მას სამშობლო თავდავიწყებამდე უყვარს და ყოველივე და ყველაფერი მხოლოდ მისდა სადიდებლად და სასამსახუროდ უნდა. თვით მთვარეს კი იმას ემუდარებოდა, რომ მას, ამ ციცვა და მრგვალ ბურთს, ცაში კანდელად ჩამოკიდებულს, სამშობლო შეეყვარებია, ე. ი. სამშობლოსათვის მეტი სინათლე და სხივი მოეფინა და „მტრის გულისა საკლავად საქართველო“ გაეხარებია. სამშობლოს სასიქადულოდ და სადიდებლად მოქმედებაში მოღვაწეს არ უნდა ჰქონდეს რისამე შიში და რიდი, იგი ყველაფერში დაუზარებელი უნდა იყოს. მთელმა საქართველომ ზეპირად იცის, სასოებით იმღერის შენს ლექსს „დედასთან გამოთხოვებას“ დიდი გრძნობითა და ძლიერებით ხატავ იმ მომენტს, როცა ბავშვი, ნორჩი ყრმა, თვალცრემლიანი ეთხოვება დედას, რადგან იგი სასწავლებელში წასაყვანად მომზადებულია და შორს გზასაა გასამგზავრებელი. ყველას გამოცდილი გვაქვს და ამიტომ ყველამ კარგად

ვიცით, თუ რა ძნელია ბავშვისათვის ეს გამოთხოვება, დედის დაშორება.

მაგრამ ასევე გამოთხოვება დედისათვის უფროა ძნელი. მაგრამ ამის მიუხედავად, ეს დედა, ეს სუსტი არსება, რომელიც გრძნობისა და აფექტის სრული მონა და მორჩილი უნდა ყოფილიყო, სულის იმოდენა ძლიერებას იჩენს, იმდენად მედგარი ხასიათისა და მაგარი გულისაა, რომ გრძნობა გონიერებას დაუმორჩილა, შვილისადმი სიყვარული — სამშობლოსადმი სიყვარულს და შვილი ამ სიტყვებით ანუგეშა:

> გიყვარდეს სწავლა, გულმოდგინება,
> შრომა და გარჯა ნუ გეზარება,
> თუ შენი შრომა და შენი სწავლა
> სამშობლოს რათმე გამოადგება.

თვით შენ ისეთი ძლიერებით გიყვარდა სამშობლო, რომ დარწმუნებით ამბობდი, სამშობლოზე ფიქრსა და ზრუნვას საფლავშიც კი უეჭველად განვიცდიო და ამ გრძნობასაც იქაც არ გავშორდებიო. საფლავშიც რომ ვდნებოდეო, მაშინაც დარწმუნებული ვარ, საფლავს ამოვარღვევ და ქართლოსის შვილთა საზოგადო ფერხულში მეც მონაწილეობას მივიღებო, თუკი აყვავებულ სამშობლოს მოვესწრებიო. შენ გულის სიღრმიდან ბეჯითად ამბობდი, რომ, —

> ვამაცოცხლე, მანეტარე, თუნდ საფლავშიც ვდნებოდე,
> აყვავებულ სამშობლოს თუკი მოვესწრებოდე.

ასე დიდი და ღრმა იყო შენში, მარადის სახსოვარო მგოსანო, სამშობლოს სიყვარული. მაგრამ ეს სიყვარული, ეს წრფელი და გულითადი გრძნობა როდი გიბრმავებდა თვალებს და როდი გიჩრდილავდა ნამდვილ ნაკლულევანებას შენი სამშობლოსას, კარგად იცოდი და დარწმუნებულიც იყავი, რომ მრავალი საუკუნეებით მრუდე გზით მავალ სამშობლოს ბევრგან ეტყობოდა უსწორმასწორობა, მისი ზედაპირი ხორკლიანი შექმნილიყო. ბეჯითადვე იცოდი, რომ მრუდე გზით სვლას შენი საყვარელი სამშობლო ბევრგან გაუმრუდებია. ამიტომ შენთვის ნათელსავით ცხადი იყო, რომ ხორკლების მოსაკვეთად და გამრუდებულის გასასწორებლად ცხოვრებისა და სამშობლოს გაშალაშინება აუცილებელ

საჭიროებას წარმოადგენდა. ეს კი დურგალს, ე. ი. შენა და შენს მეგობართა და ამხანაგთა მტკიცე წრეს უნდა ეკისრა და ცხოვრების ხორკლებსა და სიმრუდეებზე თვისი შალაშინი შეუპოვრად გაესვა და გამოესვა. ცხადია, შენ სამშობლოს ურმა და გულითადი სიყვარული გასულდგმულებდა. ამ საყვარელი არსების სადიდებლად კი ერთადერთ იარაღად და საიმედო საშუალებად მიგაჩნდა მისთვის ერთგული და მუყაითი შრომა დურგლისა.

მაგრამ ხანგრძლივი არ იყო შენი სამშობლოსათვის სამსახური, დროთა ვითარებამ და იმ გარემოებამ, რომ შენ სრულებით განსაკუთრებული სწავლა გქონდა მიღებული, რომელიც შენი სამშობლოსათვის ისეთ საჭიროებას აღარ წარმოადგენდა, რადგან იგი „მშვიდობისა და მოქალაქეობის" გზას დაადგა, გაიძულა სამშობლო არემარე დაგეტოვებინა და უცხოეთში გადახვეწილად გეცხოვრა. უეჭველია, ეს გარემოება ფრიად დიდი მნიშვნელობისა იყო შენს ცხოვრებაში. საფიქრებელია, ეს გარემოება იყო მიზეზი, რომ ხმატკბილი ყღერა შენი ჩანგისა ასე მალე შეწყდა, ახლა კი ეს წუთისოფელიც ასე უდროოდ განუტევე. აქ თუ ვისმე სავალალო აქვს, ისევ იმ შენმიერ თავდავიწყებამდე შეყვარებულს, დღეს შენ ცივ გვამს თავზე დამტირებელ შენს სამშობლოს, რადგან მისი აწეწილი და მოუწყობელი ცხოვრება უმთავრესი მიზეზია, რომ იძულებულია შენისთანა ერთგული და მოსიყვარულე შვილი ძუძუზე მოიგლიჯოს, სხვა ვინმე მოსული და გადამთიელი კი ტკბილად გულ-მკერდზე მიიკრას და მას ულალაოს. მაგრამ შენდა სანუგეშებლად იმსოფლად ის იმედიღა შეგვიძლია გაგატანოთ, რომ ეს შეუფერებელი და უმსგავსი მდგომარეობა მალე გასწორდება შენებრ მოსიყვარულე შვილთ მიერ, და სამშობლო თავის ნორმალურ კალაპოტში ჩადგება, რათა თავის ძუძუ შენებრ შვილთ აწოვოს და მით თვითონ გაიხაროს და თვისი შვილნიც გაახაროს... და ეს დღესა თუ ხვალე, ადრე თუ მალე რომ არ იქნება, ამის უეჭველი თავდებია ეს ამოდენა საზოგადოება, შენს გარშემო შემოკრებილი და ამ საზოგადოების გულითადი, წრფელი და ღრმა მგლოვიარობა იმის გამო, რომ შენს გვამს ეთხოვება.

მშვიდობით, მარადის სახსოვარო საყვარელო მგოსანო! განისვენე ნეტარებით, რადგან ამსოფლად მოვალეობა შენი პირნათლად და უმწიკვლოდ შეასრულე კაცთა და სამშობლოს წინაშე. მშვიდობით!

ჩემი თავგადასავალი

I

ჩვენი ოჯახი

სადაც ვშობილვარ, გაზრდილვარ
და მისროლია ისარი,
სად მამა-პაპა მეგულვის,
იმათი კუბოს ფიცარი,
ჩემი სამშობლოც ის არი.
რ. ერისთავი

ქ. ქუთაისში, ბაგრატის ტაძრის ეზოში, დასავლეთის მხრით მამაჩემსა და მის სიძეს სპირიდონ ძოწენიძეს შეეძინათ მცირე სივრცის ადგილი და ზედ კრამიტით გადახურული ორთვალი წაბლის ხის როკის სახლი დაედგათ. ერთი თვალი დიდი და ფართო იყო, მეორე თვალი კი მცირე, სახლის სიგანით მიდგმული. პირველი მაღალკედლებიანი იყო, ხოლო უკანა თვალი დაბალკედლებიანი.

სპირიდონ ძოწენიძე გახლდათ სოფ. ზარათის მღვდელი და ამავე დროს მაზრის მოწესრიგე (благочинный). სხვათა შორის, ამის შვილი იყო ვასილ ძოწენიძე, რომელმაც ქალაქ თბილისში დაასრულა სასულიერო სემინარიის ოთხი კლასი, მეხუთეში აღარ გადავიდა, რადგან მეხუთესა და მეექვსე კლასში ასწავლიდნენ განსაკუთრებით ღვთისმეტყველებას და ამასთან უშუალოდ დაკავშირებულ საგნებს: ვასილი სწორედ ამიტომ გამოვიდა ოთხი კლასის დასრულების შემდეგ და პეტერბურგს გაემგზავრა. იქ ტექნოლოგიურ ინსტიტუტში ექსტერნად გამოცდა დაიჭირა და მიღებულ იქნა კიდეც. ეს მაშინდელ დროს და ისიც სემინარიელისათვის მიუწვდომელი რამ იყო. ინსტიტუტი მან კარგად დაამთავრა.

იგი ცნობილია იმით, რომ პირველმა აღმოაჩინა ქვანახშირის ტყვარჩელის საბადოები და მანვე ამ მადნით ფართო საზოგადოება დააინტერესა. შემდეგ იმისავე თაოსნობით შედგა ამხანაგობა, რომელიც ერთ ინგლისელს პირობით შეეკრა. სიკვდილამდე ვასილ ძოწენიძე ამ კონტრაგენტისაგან ყოველწლიურად ერთ განსაზღვრულ თანხას იღებდა, როგორც ერთ-ერთი წევრი ამხანაგობისა.

მამაჩემსა და მის სიძეს სპირიდონ ძოწენიძეს (მას მეუღლედ ჰყავდა მამაჩემის უფროსი და, ჩემი მამიდა) ეს სახლი თავიანთი შვილებისათვის სასულიერო სასწავლებლის ახლოს აეგოთ. სასწავლებელი კი მოთავსებული იყო ბაგრატის ტაძრისავე ეზოში.

აი, ამ სახლში ცხოვრობდნენ ძოწენიძეებიცა და ჩემი ორი უფროსი ძმა, რომანოზი (ხომლელი) და ევსეონი. სოფლიდან ამათ მამაჩემი ახ დედაჩემი ყოველ კვირა დღეს მოჯამაგირეს უგზავნიდა ხოლმე, რომელსაც ყოველნაირ სანოვაგეს ატანდნენ, ხოლო დროგამოშვებით ურმით შეშას უგზავნიდნენ. ერთხელ, როცა მოჯამაგირემ (მაშინ გვყავდა მოჯამაგირედ სოფრომ ფანცხავა, ვაჟკაცი, ცოლშვილიანი, ჩვენი მეზობელი, უაღრესად პატიოსანი, ენამახვილი და მოსწრებული) ურმით შეშა გაამზადა და იმავე ღამეს ქუთაისში უნდა წაეღო ჩემი ძმებისთვის; სოფრომს შევეხვეწე მეც თან წავეყვანე, ისე ჯი, რომ დედ-მამას არა გაეგოთ რა, თორემ ესენი როდი გამიშვებდნენ. უზომოდ მსურდა, ქუთაისი მენახა, ჩემი ძმებიც, გამეგო, როგორ ცხოვრობდნენ. მაგრამ, სოფრომი შეშას ნავახშმევს, თითქმის ნაშუაღამევს წაიღებდა, მე კი, აბა, როგორ გამეძლო მანამდე ისე, რომ არ დამძინებოდა, მთელი დღის განმავლობაში ნარბენსა და ნაცელქარს. მაინც გადავწყვიტე თვალი არ მომეხუჭა. ამის თქმა ადვილია, შესრულება კი ძნელი. გამოსავალი ისევ სოფრომმა გამონახა. მან, დედაჩემს რომ არ გაეგო, საიდუმლოდ მითხრა: სანამ ქალბატონი, ე. ი. დედაჩემი ვახშამს დაამზადებდეს, მე შენ ზღაპრებს მოგიყვები და გაგართობო. სოფრომმა ზღაპრების კარგი მოყოლა იცოდა, ხოლო ეს ზღაპრები შიშის მომგვრელი იყო, რადგან სულ დევებსა, ოჩოკოჩებსა და ამისთანებს შეეხებოდა.. ამიტომ ასეთი ზღაპ-

რების მოსმენის დროს ძილი გაიპარებოდა, ტანში შიშის ჟრუანტელი მიელიდა და თმა მებურძგნებოდა.

ასე გავატარე, სანამ სოფრომი საურმე გზას გაუდგებოდა. მეც დედ-მამას გამოვეპარე და სოფრომს გავყევი. გზად, ძილს რომ არ დავეძლიე, სოფრომი ზღაპრების მოყოლას განაგრძობდა. ეს ზღაპრები ისეთ შიშსა მგვრიდა, რომ ურემს ფეხდაფეხ მივდევდი, ურჩხულებზე (ზიგოებზე) მაგრად ხელჩაჭიდებული. ჩემს შიშს კიდევ მეორე გასაკვირველი ფაქტიც ზედ დაერთო. იმ წელს დიდი კუდიანი ვარსკვლავი გამოჩნდა. ისეთი დიდი, რომ თითქმის ნახევარი ცა დაიჭირა. კუდიანი ვარსკვლავი სამხრეთით იყო მოთავსებული, ცის ტატნობთან ძალიან ახლოს, ხოლო კუდი გაშხლართული ჰქონდა შუა ცამდი, ზენიტამდე გაჟღრიალებული, მარაოსავით გაფართოებული. ამავე დროს აქა-იქ ცაში ვარსკვლავები წყდებოდა, გაიკიაფებდა და წყვდიად უფსკრულში ინთქმებოდა. ამის მეტად კუდიანი ვარსკვლავი არ მიხახავს. არც ვარსკვლავთცვენა. ამიტომ მთელი ჩემი არსება შეიპყრო ამ საოცარმა ორმა სანახაობამ და საიდუმლო საკვირველებამ. რამდენი არ შევეკითხე სოფრომს ამ კუდიანი ვარსკვლავის შესახებ, იგი ვერაფერ პასუხს მაძლევდა. ეს კი ძალიან მაკვირვებდა, რადგან, ვერ მივმხვდარიყავი, რომ იმ კაცმა, რომელმაც ამდენი რამ იცოდა ქაჯებისა, ალებისა, ოჩოკოჩებისა და დევების შესახებ, კუდიან ვარსკვლავზე არაფერი იცოდა. ეს მე მაღიზიანებდა. ასე რომ ფიქრითა და აზრით ვიყავი შებოჭილი, ნუთუ ვერასოდეს გავიგებმეთქი რას წარმოადგენდა ეს კუდიანი ვარსკვლავი.

გამთენიისას ქუთაისში ჩავედით. ეზოდან რომ გადავიხედე და ამდენი შეჯგუფული სახლები ერთად დავინახე, გაბიკვირდა. სოფელში ცალ-ცალკე ცხოვრობენ, სახლები და სხვა შენობები თითქმის არ სჩანს, რადგან ესენი ცალკე ეზოებშია დადგმული. ეზოებში კი დიდი ხეებია, ხეხილი და სხვა. ამიტომ ერთი ოჯახიდან მეორე კომლის შენობებს თითქმის ვერ დაინახავ. აქ კი პირველად დავინახე ერთად თავმოყრილი ამდენი შენობა და თითქმის ყველა გადაწითლებული, რადგან შენობების უმეტესი ნაწილი იმხანად კრამიტით იყო გადახურული, ზოგი კი წითლად შეღებილი რკინის ფურცლებით,

თუნუქებიო. შეეედით თვით ქუთაისში: ქუჩები, აქეთ-იქით შენობები, ზოგი ერთსართულიანი, ზოგიც ორსართულიანი. შენობებში დუქნები, რომლებიც ჯერ გაღებული არ იყო. გაღებული იყო მხოლოდ ნალბანდების დუქნები. მათ გაეჩაღებინათ ქურები და გავარვარებულ რკინას, გრდემლზე დადებულს, დიდ ეროებს უბრახუნებდნენ. ატყორცნილი ნაპერწკლები სივრცეში იბნეოდა და ვარსკვლავივით კიაფობდა. ამანაც ძალიან გამაკვირვა, რადგან ამისთანა რამე არ მენახა. აქით-იქით ეტლები მიდი-მოდიოდა. ხალხი ქუჩებში ირეოდა, რადგან ჯერ დუქნები გაღებული არ იყო. ასეთი სხვადასხვა და ახალი სანახაობა მაოცებდა. გარინდული ვუცქეროდი ყოველივეს. ასეთ მდგომარეობაში ვიყავი, არქელის გორას რომ შევუდექით, და მალე იმ ეზოში შეეედით, რომელშიც იდგა ის სახლი, სადაც ბინა ჰქონდათ ჩემს ძმებს. ესენი ჯერ წასული არ იყვნენ სკოლაში, ისე ადრე მიეედით. ამათაც და სხვებსაც ვინც ამ სახლში ცხოვრობდა, ძალიან გაეხარდათ ჩვენი მისვლა, მით უფრო, რომ სოფრომმა შეშის გარდა სხვა რამეებიც ჩამოიტანა, დედაჩემის მიერ გამოტანებული. ყველას ძალზე აკვირვებდა ჩემი მისვლა, სოფრომმა ურმიდან შეშა გადმოყარა. ცოტა ხანს დავისვენეთ, ხარებიც მოვასვენეთ და მალე გამოვეშურეთ, რომ სოფრომს არ დაგვიანებოდა, შინ დროზე მისულიყო. იმ დღეს სოფრომი ვერაფერს გააკეთებდა, ბაგრამ ოჯახის წვრილმან საქმეს მაინც მიხედავდა და საქონელს საძოვრიდან ჩამორეკავდა. გზაში ცარიელ ურემს დავაჯექი, ცოტა ხნის მერმე, ქუთაისს რომ გამოვცილდით, კიდევაც გავწექი და ამდენი სანახაობით გაოგნებულს და მთელი ღამის უძინარს, მალე ჩამეძინა. ეზოში შესვლამდის არაფერი გამიგია. დედაჩემმა ძალზე დამტუქსა, როგორ გაბედე გაპარვაო. სოფრომსაც საყვედური უთხრა: როგორ წაიყვანეთ ბავშვი, დაიღლებოდა, და ავად გახდებაო. მაგრამ მალე დაწყნარდა, როცა შემატყო, რომ დაქანცული არ ვიყავი. დიდ კმაყოფილებას ვგრძნობდი. ამის შემდეგ ჩემი ოცნება იყო, რომ მეც მალე წავსულიყავ ქუთაისში სასწავლებლად. მართლაც ერთი წლის შემდეგ ქუთაისისკენ გავემგზავრე.

თუმცა პატარა ვიყავი, ექვსი წლისა ვიქნებოდი, მაგრამ

ოჯახში მეც ჩემი შესაფერი მოვალეობა მქონდა დაკისრებული. ჩემი მოვალეობა იყო ჯორის მონახვა, როცა იგი მინდორში იყო გაშვებული, და იმის ჩამოყვანა. ეს ადვილად ითქმის, თორემ ჩემთვის ეს ძნელი საქმე იყო. საქმე ის არის, რომ მამაჩემს იმ ხანად ძალზე ახირებული ზნის ჯორი ჰყავდა. ჩემსავით პატარა, აბუჩად ვყავდი აგდებული. არასგზით ზურგზე არ შემიჯენდა. დაძახებაზე კი უეჭველად მოვიდოდა. მას მარილს მივთავაზებდი. დაუწყებდა სვლეპას, მაგრამ ყურები კი აცქვეტილი და წინ წამოწეული ჰქონდა: ცდილობდა, მარილი შეესვლიპა და მაშინვე გაკუნტრუშებულიყო. მაგრამ ამაევ დროს მეც გაწაფული ვიყავი: ძარცხენა ხელში ჯამი მქონდა, რომლითაც ჯორი მარილს ჭამდა, მარჯვენა ხელით კი სასროლს მოვიმარჯვებდი, ბაწარს სასწრაფოდ თავზე გადავაცვამდი, და კისერში წავუჭერდი. ეს ჩემი სურვილი მან, უეჭველად, იცოდა, ამიტომ, როცა მარილს სვლეპავდა, კისერს წამოიგრძელებდა, ყურებს აცქვეტდა და თვალი ჩემზე ჰქონდა მოჩერებული, თუ მომენტს ვერ დავიჭერდი და სასროლით ბაწარს ვერ გადავაცვამდი, მაშინ იგი მარილს გამოლევდა, ჯამს მოსვლეპდა და კუნტრუშით გაჭენდებოდა. მეც სწორედ ამიტომ დაოსტატებული ვიყავი. მომენტს ვიხელთებდი თუ არა, სასროლით ბაწარს გადავაცვამდი. მერმე ბაწარს სასწრაფოდ დავიგრძელებდი, ჯორს ვითომ ნებაზე მივუშვებდი, ხესთან მივიყვანდი. მე ხეზე ავიდოდი და ხიდან ლაგამს ან აღვირს ამოვდებდი. ხიდანვე ზურგზე დავახტებოდი. ამის შემდეგ თვინიერი იყო და მეც, დიდად კმაყოფილი, შინ მოვაჩინდრიკებდი. ხანდახან კი რასაკვირველია, ჯორიც მატყუილებდა, მარილს ამოსლიქავდა და გაკუნტრუშდებოდა. მაგრამ ასეთი შემთხვევისათვის სათადარიგოდ წამოღებული მქონდა ერთი მუჭა სიმინდი. სიმინდს რომ ჯამზე ავახმაურებდი, ჯორს გული მოულბებოდა და სიმინდის შესახრამუნებლად მომიბრუნდებოდა, ახლა კი ვეღარ დამისხლტებოდა. ჯორის მონახვა და დროზე ჩამოყვანა კი საჭირო იყო, რადგან მამაჩემი უკვე ჩაცმულ-გამზადებული მელოდა, მრევლში უნდა წასულიყო. უფრო ხშირად მამას იწვევდნენ ან ავადმყოფის საზიარებლად ან ახალშობილის მოსანათლავად ან კიდევ სახ-

ლის საკურთხებლად, როცა დიასახლისი ფეხმძიმობისაგან განთავისუფლდებოდა.

გარდა ამისა, ჩემს მოვალეობას შეადგენდა ჯორისათვის ღამის საყოფი თივის მომზადება. თივა ვენახის ბოლოში იყო. იქ ნამგლით უნდა მომეჭრა და ამომეზიდა. თივა სულ მწყერფებისა და ბურჩხასაგან შედგებოდა. ჩემ მოვალეობაში შედიოდა ჯორისათვის წყალი დამელევინებინა. დიდი სიამოვნებით ვასრულებდი, რადგან ჯორზე გადამჯდარს თავი დიდი მეგონა და ღედამიწა ქალამხად, ცა კი ქუდად არ მიმაჩნდა. მეორე მქონდა დაკისრებული, ჭურიდან ღვინოს ამოღება საღილად და ვახშმად. ყოველდღიურად ცალკე პატარა ჭური, ყუბარი მქონდა მიჩენილი. როცა ამ პატარა ჭურში ღვინო ამოიღეოდა, მამაჩემი დიდ ჭურს დაცლიდა და პატარა ჭურებში, ყუბარებში დაანაწილებდა. ეს ერთ-ერთი ყუბარი იქნებოდა მიჩენილი საყოველდღიუროდ. მამაჩემი ღვინის ამოღებას მანდობდა. რადგან დარწმუნებული იყო, რომ ღვინოს სუფთად ამოიღებდი, ჭურში ძიწა არ ჩამეყრებოდა, და ჭურს კარგად, საიმედოდ თავს მოვუკრავდი. დიდი თქეშიც რომ მოსულიყო, შიგ ერთი წვეთიც არ ჩაატანდა, მეორე მამაჩემ სათვის საღილ-ვახშმად თხილობაზე ახალი თხილი, ერთი დიდი ღრმა საინი საღილად, ერთიც ვახშმად უნდა დამემტვრია, ნიგვზობაზე კი ახალი ნიგოზი ამავე რაოდენობით. საღამოს საქონელი და ქათამი უნდა მომენახა, ჩამომერეკა. სხვაგვარი მუშაობის შესრულების ნებას მამაჩემი არ მაძლევდა: შენს მოთხოვნილ სივრცეზე მეორე დღესვე ბალახბულახი გაიღვიძებსო. დედაჩემისთვის ფიჩხი უნდა მომეგროვებია, საღილისათვის კი კეცსა და ჭადს შუა ამოსაფენად წაბლის ფოთოლი, ნეშო. ზაფხულში, როცა ძალიან დაცხებოდა, ციხის წყალიდან ან ჭუხარიდან დოქით ან თუნგით საჩქაროდ ცივი წყალი უნდა მომეტანა. დანარჩენი დრო თავისუფალი მქონდა; ან ვთამაშობდი ან ვცელქობდი, ბიძაშვილებთან, ან მეზობლის ბავშვებთან ვთამაშობდი.

ჩვენი სოფელი ხომული მდებარეობს ქუთაისიდან ცხრა კილომეტრის დაშორებით. მის ჩრდილო-აღმოსავლეთით. ქუთაისს უშუალოდ ეკვრის სოფ. ბანოჯა, რომელიც ოლასკურას გაღმა იწყება. ამ სოფლის შემდეგ კი ხომული. წყა-

ლტუბოსკენ მიმავალი მგზავრი ბანოჯის შემდეგ უეჭველად ხომულზე გაიელის. ამ სოფელს რომ გადაჭრის, ხომულს უძევს დასავლეთით წყალტუბო; ჩრდილოეთით ქვილიშორი, აღმოსავლეთით გუმათი და ჭყოიში, ხოლო სამხრეთით ბანოჯა. ჩვენს სოფელში სხვადასხვა ადგილების სახელწოდება წმინდა მეგრულია, ასე მაგალითად: ჭყოიში, მუხნარი, წინათ აქ დიდი ტყე მუხნარი ყოფილა, მაგრამ იგი მცხოვრებლებმა გაკაფეს და ეს ადგილები ყანებად აქციეს. ახლა იგი ფერდობ ადგილს წარმოადგენს და ბარზეა გაშენებული ჭყოიში, ოფეთი — ოფეთალი — საჩეჩელი; ლეკერნა-ყლარტი. ეს ლეკერნა ნახსენები აქვს აკაკი წერეთელს თავის წიგნაკში — იმერეთის მეფე სოლომონ დიდი. აქ ყოველწლიურად, თხუთმეტ მაისს ფიცის ყაცნი იკრიბებიან და მთელი ორი კვირის განმავლობაში სამოახლიოს ვარჯიშობენ. ეს ლეკერნა მდებარეობს სოფ. ხომულსა, ქუთაისსა და წყალტუბოს შორის. სოფელ ხომულს აღმოსავლეთით აკრავს სოფ. ოფურჩხეთი — საფიჩხია. სამხრეთით კი არის სოფ. ბანოჯა და გუმრა. ამ გუმრაში ითხრება გუმბრისი (თავსაბანი მიწა), თვით სიტყვა „ბანოჯა“ მეგრული უნდა იყოს და უნდა ნიშნავდეს საბატონო ტყეს. ჩანს, ბანოჯის მთელი მიდამო დიდი ტყით ყოფილა მოცული და ის ტყე საბატონო, საუფლისწულო ყოფილა. აქ წინათ იცოდა შველი, დათვი, ტახი და სხვა. მეფეს, უეჭველია, ეს ადგილი სანადიროდ ჰქონია მიჩენილი. თვით სიტყვა „მოჭოყნა“ (ქუთაისის ერთ-ერთი უბანია) იქიდან უნდა იყოს წარმომდგარი, რომ იქ, ოლასკურაში, ველური დედა ღორები სიცხეში ბანაობდნენ, ხოლო ამ დროს მათი გოჭები იქვე ბალახობდნენ. შუა ბანოჯაში არის მცირე ღელე, რომელსაც ოღო ჰქვია. „ოღო“ მეგრული სიტყვაა და ნიშნავს ღელეს. სიტყვა — ალისი — რომელიც იმ მდინარის სახელია, რომელიც მცირე აზიაში, აჭარაში, ქსენოფონტმა ნახა და რომელზეც მან თავისი ჯარი გამოიყვანა, გადმოასხა, უნდა ნიშნავდეს სწორედ ღელეს. მაშასადამე, ბერძნებს ქართული სიტყვა ღელე-ღალისად გამოუთქვამთ. ასევე მოექცნენ ისინი ცხენის წყალსაც, რომელსაც ღიპპოტამის (ღიპოს პოტამის) — ცხენის მდინარე, ცხენის წყალი დაარქვეს. არც ერთი ეს სახელწოდება

მართალი და სწორი არ არის: ცხენის წყალი კი არ უნდა ითქვას, არამედ ცენის წყალი. სვანეთში სოფელია ცენი. სწორედ ამ სოფლიდან იწყება ცენის წყალი მცირე ნაკადად, პატარა რუდ. ამ მდინარის სახელწოდებაც ამ სოფლის სახელისაგან არის წარმომდგარი. ამიტომ ჩვენი ქვეყნის გეოგრაფიაში უნდა სამუდამოდ ამოიშალოს მდინარე ცხენის წყლის სახელწოდება და უნდა დაიწეროს და ვიხმაროთ კიდევაც სწორი და მართებული სახელწოდება ცენის წყალი. ბანოჯასა და ქუთაისს შორის, როგორც აღვნიშნეთ, ჩამოდის მცირე ღელე — ოლასკურა, რომელიც წმინდა მეგრული სიტყვაა და ნიშნავს ოლას შვილს, თვით წყალტუბო მეგრული სიტყვაა და ნიშნავს— თბილ წყალს. ყოველივე ეს მოწმობს, რომ ეს ადგილები წინათ ნამდვილად კოლხიდის ნაწილები ყოფილა დასახლებულიც მეგრელების მიერ. ამას ადასტურებს ივანე ჯავახიშვილი საქართველოს ისტორიაში. სადაც ამბობს, რომ მეგრელები ცხოვრობდნენ ქრისტეს შობის აქით მეშვიდე საუკუნემდიც...

დედაჩემი დილიდან ვახშმობამდე საოჯახო საქმეებით იყო გართული. დამხმარე არავინ ჰყოლია, მარტოდმარტო უვლიდა ოჯახს, მთელი მოვალეობა მას ჰქონდა დაკისრებული. ყოველსავე ამას კი კარგად და წესიერად აწარმოებდა და არც ერთხელ გულგატეხილობა არ უგრძვნია, არც დამადლება განუცხადებია, ყოველთვის მხიარული და მხნე იყო, ყოველთვის მზად იყო მეზობლის დასახმარებლად. დედაჩემის მიერ გამოზრდილი მოზვერი ყველა ახლომახლო სოფლებში გამოზრდილ მოზვერზე ძვირად ფასობდა, რადგან ყველამ იცოდა, რომ ეს მოზვერი საუკეთესო ხარი დადგებოდა. ჩანს, დედაჩემი არ ძუნწობდა და ხბოს კარგად ასაზრდოებდა რძით, რადგან ძროხას ჯიქანში, ცურში რძეს ბლომად უტოვებდა ხბოს გამოსაწოვად. დედაჩემმა უამრავი ზმა, ლექსი და ანდაზა იცოდა და საუბარში ყოველთვის შესაფერ დროსა და მომენტში იტყოდა. ბოსტანს მოჯამაგირე დაუთოხნავდა, დაუბარავდა და დაუთესდა. მერმე კი ბოსტნის მოვლა, ბალახბულახისაგან გაწმენდა დედაჩემს ჰქონდა დაკისრებული. უნდა ვთქვა, რომ მთელ სოფელში დედაჩემისთანა ბოსტანი არავის ჰქონდა. სტუმართან მხი-

არული და ლაღი იყო. დიდად მორწმუნე ადამიანი იყო. ამიტომ სარწმუნოების ყოველგვარ ადათს ზედმიწევნით ასრულებდა. ასევე სარწმუნოება აცისკროვნებდა და აბალისებდა მთელ მის არსებას. დედაჩემი თვინიერი და სათნო ადამიანი იყო. კაპასობა და ჭირვეულობა მის ხასიათში არ იყო. ათასში ერთხელ თუ რასმე საყვედურს ეტყოდა მოჯამაგირეს, თორემ ისე არავისთან ცხარე ,ამათი და წაკინკლავება არ ჰქონია. საციქვლობა დაუზარებელი იცოდა.

ბაბაჩეჩიც თავის მხრით მთელი დღე გართული იყო. თითქძის ყყალტუბოში იყო: ან წირვა-ლოცვაზე, ან, როგორც ზევით აღვნიშნე, სოფელში დადიოდა, თუ ბავშვების სანახაყად, თუ სახელის საკურთხებლად, თუ საზიარებლად ავადყოფისა. თავისუფალ დროს საეკლესიო აწარმოებდა დაბადებულთა, გარდაცვალებულთა, განათლულთა და დაქორწინებულთა სიას და აგრეთვე, სოფლის მცხოვრებთა მთელი ოჯახის აღრიცხვას სულადობით. ყოველსავე ამას მამაიეძი- უსასყიდლოდ ასრულებდა, ხოლო ბოლო ხანებში ქორწინებისას თუ მისცემდნენ სამს, უფრო იშვიათად ხუთ მანეთს. სხვა დრო მიჩენილი ჰქონია ვენახის მოვლისათვის. ვაზს არავის გაასხვლევინებდა. ყანაში იშვიათად ადიოდა, მაგრამ, ოცა კი ავიდოდა, უეჭველად მთხოვნელს გვერდით ამოუდგებოდა და ისიც თოხნიდა. მას ამ შემთხვევისათვის ცალკე უფრო მჩატე თოხი ჰქონდა. სამოცდაათიან წლებიდან კი მამაჩემი სამღვდელოების დეპუტატი იყო. მერმე მას მოწესრიგეობა თხოვეს, მაგრამ უარი თქვა, დრო და მოცალება არა მაქვსო. არ დაუჯერეს, ძალა დაატანეს და თანაშემწეობა მაინც დააკისრეს. დასთანხმდა, რადგან ეგონა ეს თანამდებობა უფრო ნაკლებად დატვირთავდა, მაგრამ სინამდვილეში ეს ასე არ მოხდა. ამან ბევრი ახალი მოვალეობა დააკისრა. მამაჩემს განსაკუთრებული ყურადღებით ეპყროზოდა სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველი მიხ. ასათიანი. როცა მამაჩემი ქუთაისში ჩამოვიდოდა, ასათიანს ინახულებდა. ასათიანი კლასში გაკვეთილებს დაასწრებდა და ამა თუ იმ მასწავლებლის ნიჭისა და უნარიანობის შესახებ აზრს ჰკითხავდა. გაბრიელ ეპისკოპოსიც დიდ პატივს სცემდა მამაჩემს, როგორც ჭკვიანსა, საზრიანსა და ყოვლად პატიოსან პიროვნებას. ერთხელ წყალტუბოს აბანოებზე საბანაოდ გაბ-

რიელ ეპისკოპოსიც ჩამოვიდა. ეს მამაჩემმა წინდაწინვე იცოდა. განკარგულება გასცა ოთახის მომზადების შესახებ. იმ დღეს, როცა გაბრიელი უნდა მოსულიყო, დილაადრიან მამაჩემი წავიდა მის შესახვედრად. მაგრამ, სანამ გაბრიელი ჩამოვიდოდა, ერთ ოჯახში მიიწვიეს: ავადმყოფი უნდა აზიარო. მამაჩემიც გაჰყვა. ამ დროს კი გაბრიელი მოსულიყო. მხოლოდ მედავითნე დახვდა. ადგილობრივი მღვდელი ე. ი. მამაჩემი კი არსად ჩანდა. ეს გაბრიელს სწყენოდა და წარბები შეეჭუხნა. მამაჩემს კი ასეთი საქმე შეემთხვა: ერთი გაუთხოვარი ქალი საღათას ძილს შეეპყრო. თითქმის ორი კვირის განმავლობაში უძრავად იყო. ჭირისუფლებს მკვდარი ეგონათ. ამ დროს სუსტი სუნთქვა შეემჩნიათ. საჩქაროდ აცნობეს მამაჩემს, იგი ეზიარებია, რათა უზიარებელი არ გარდაცვლილიყო. მამაჩემი მივიდა, აზიარა, ასხურა აიაზმა .საღათას ძილშეპყრობილი უფრო მძლავრად შეიშმუშნა, თანდათან ცნობიერება მოუვიდა. სანამ ეს გამორკვევა დამთავრდებოდა, კარგა ხანმა განვლო. მამაჩემი ბოლომდე არ მოშორებია. როცა ქალი საესებით გამოფხიზლდა, მამაჩემი გაბრიელისაკენ გამოექანა. ძალზე დაგვიანებოდა. გაბრიელმა უსაყვედურა. მამაჩემმა მყისვე მიუგო: დამაგვიანდა, ბოდიშს ვიხდი, მაგრამ შენდობასაც მოვითხოვ. რადგან დღეს ჩემს მრევლში სასწაული მოხდა, — მკვდარი გამიცოცხლდაო. როცა გაბრიელს მამაჩემმა ყოველივე დაწვრილებით უამბო, მადლობაც კი მოახსენა მამაჩემს და შეუნდო კიდეეაც.

მამაჩემი მაშინდელ პირობებში და სოფლის წრეში ნამდვილი საზოგადო მოღვაწე იყო. ყოველნაირ ქაღალდს მას აწერინებდნენ ხობულისა და წყალტუბოს მცხოვრებლები. ქაღალდს მამაჩემი მკაფიოდ და მოკლედ დასწერდა, მაგრამ სრულებით ამოსწურავდა საკითხს. ამას ყველაფერს უსასყიდლოდ აკეთებდა, თუმცა ეს მისი მოვალება არ იყო. მთელ სამოწესრიგოში, ტაძრის აშენების შესახებ საკითხი იქნებოდა ან სამღვდელოებაში და მღვდელთა შორის რაიმეს მოწესრიგება — მამაჩემს ჰქონდა დაკისრებული და ამას ძალიან ბევრ დროს ანდომებდა. დედაჩემი ბევრჯერ უსაყვედურებდა: დაანებე თავი ამდენ უსარგებლო საქმეს და ოჯახს მოხედეო,

მაგრამ მამაჩემი ოჯახსაც კარგად ხედავდა. მთელი სამუშაო როგორც თავისი, ისე მოჯამაგირისა, განსაზღვრული და განაწილებული ჰქონდა ვალებზე. ვენახი საუცხოოდ ჰქონდა მოვლილი. მამაჩემის მიერ დაყენებული ღვინო საუკეთესო იყო. როცა ზაფხულობით მეზობლების ღვინო გადაბრუნდებოდა, ე. ი. გაშავდებოდა, ფერს დაკარგავდა და აიმღვრეოდა, მამაჩემის მიერ დაყენებული ღვინო მოლაღურის ფრად ან ლალისფრად ლივლივებდა ჭურში.

მამაჩემმა ითავა და წყალტუბოში ორკლასიანი სამონასტრო სკოლა გაახსნევინა მართებლობას. მანვე პირველმა 1900 წ. აკურთხა ბაზრად წყალტუბოს აბანოების ის ადგილი, სადაც ახლა სწარმოებს ბაზრობა. მამაჩემისავე თაოსნობით და გასჯით არის წყალტუბოს ტაძარი სამოციან წლებში, გორის თავზე.

მამაჩემი ენამახვილი კაცი იყო. ხუმრობა ძალიან უყვარდა. ყოველ ოჯახში სიამოვნებისა და სიხარულის შეტანა იცოდა, იმედს განუმტკიცებდა ყოველ ჭირისუფალს. არავის არაფერს დააძალებდა, საქმეს გაუკეთებდა, თუკი გაკეთება შეეძლო, თუ არა, უარს ეტყოდა. მიუღებელ საქმეს ხელს არ მოკიდებდა. არ მახსოვს, რომ მამაჩემი ოჯახში ან მოჯამაგირეს ან გარეშეს გაწყრომოდეს, დაეტუქსოს და დაეყვიროს. ყოლიფერს დახათრებითა, სულდათქმითა და დაყვავებით აკეთებდა. მამაჩემი მაშინდელი დროის მიხედვით მის წრეში ნასწავლი ადამიანი იყო. მას დამთავრებული ჰქონდა სასულიერო სასწავლებელი წარსული საუკუნის ორმოციან წლებში. სწავლა ისე კარგად დაესრულებია, რომ პედაგოგიურ საბჭოს სასულიერო სემინარიაში წასასვლელად აერჩია, თბილისში გასაგზავნად, აქ სწავლის გაგრძელების მიზნით. მაგრამ მამაჩემი სემინარიაში ვეღარ წავიდა ოჯახური პირობების გამო. ეს უნდა გაძღოლოდა ოჯახს და ამისათვის ეზრუნა, რადგან ბაბუაჩემი ორმოც წლებში გარდაცვლილიყო. ბებიაჩემი დაქვრივებულიყო და მას მოსავალი და საზრუნავი ჰყავდა მამაჩემის ორი უმცროსი ძმა და სამი და. მამაჩემიც, მართლაც, დამორჩილდა ბებიაჩემის ამ სამართლიან მოთხოვნას და მან თავისი პატივმოყვარეობა და სწავლის გაგრძელების დიდი წყურვილი შესწირა ოჯახის ინტერესებ-

სა და დედის სიყვარულს. მამაჩემმა კიდევაც შეუსრულა ბებიაჩემს იმედები. ერთი ძმა მღვდლად მოამზადა და იგი ჩვენი სოფლის ხობულის მღვდელი შეიქნა, მეორე ძმა მედავითნედ ჰყავდა მამაჩემს სულ სიბერემდე, დები კი, მაშინდელი პირობებისა და მდგომარეობის მიხედვით, უარგად და შესაფერისად გაათხოვა.

ჩვენი ოჯახის წინაპრებში პირველი მარკოზ დეკანოზი ყოფილა. ამას ადასტურებს სიგელი №-1, ბოძებული 1797 წ. 17 აპრილს. ამ მარკოზის ძე გახლდათ სვიმონ დეკანოზი, რომელსაც ეს ღირსება ბოძებული აქვს ქუთათელი მიტროპოლიტის დოსითეოზის მიერ 1803 წ. (იხ. სიგელი № 4). ამ სიგელიდან ჩანს, რომ სვიმონის წინაპრები დეკანოზები ყოფილან, რადგან ქაღალდში პირდაპირ ნათქვამია, რომ „შენ, სვიმონს, გიბოძე დეკანოზმა ასე რომე პირველობითაც მამაპაპით შენი ოჯახი ყოფილა დეკანოსობა და უფროსობა". ეს სვიმონი ყოფილა სოლომონ მეორეს კარის მღვდელი — სიგელში №-2-ში ასე სწერია: „გიბოძეთ შენ, ჩვენს ერთგულს კარის მღვდელს ფანცხავას სვიმონსო". ამიტომ დაახლოებული ყოფილა მსხვილი ხელისუფლების პირებთან. ამით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ სვიმონის შვილის ნიკოლოზის ნათლია ყოფილა გრიგოლ წერეთელი. ეს ნიკოლოზი, ბაბუაჩემი, იყო წყალტუბოს წმ. გიორგის სახელობის ეკლესიის მღვდელი. ამის შვილი, მამაჩემი სპირიდონ, იყო ამავე ეკლესიის მღვდელი და ბოლოს დეკანოზიც. ამან დაიმსახურა ვლადიმირის ორდენი. ბებიაჩემი იყო ჭყოიშელი ავალიანის ქალი ტასია (ანასტასია), დედაჩემი კი წყალტუბოელი ოტია იოსელიანის ასული მაკრინე. ავალიანები და იოსელიანები იყვნენ ფიცის კაცები.

ჩვენ სოფელში საპირბოროტო საკითხი წყლის უქონლობა იყო. მთელ სოფელში მხოლოდ ორი წყაროა: ერთი ჭოვნარა, სოფლის სულ ზედა თავში, დასაწყისში, ხოლო მეორე სოფლის შუა ადგილზე ციხის წყალი. აქიდან წყალი რომ ამოიღო, უნდა ოცი საჟენის სიღრმეზე ხაროში ჩახვიდე. ამ ხაროს აქეთ-იქით საცალფეხო წვრილი ციცაბო ბილიკი, საფეხურებით დაკიდებული აქვს. ეს ძალიან ძნელია, მით უფრო, რომ მთელი ეს საქმე — წყლის ზიდვა დედაკაცებს

აქვთ დაკისრებული, რადგან მამაკაცები ვერ მოიცლიან ხოლმე წყლის საზიდავად. საცოდაობაა ქალების მდგომარეობა! ამიტომ თითქმის ყოველ ზაფხულს წყლის, უფრო სწორედ უწყლობის შესახებ იყო ბჭობა მამაჩემთან ჩვენს ეზოში. ბევრჯერ ურჩია მამაჩემმა, ციხის წყალი ამოვიყვანოთო, მაგრამ ეს ვერ მოხერხდა, ერთი იმიტომ, რომ დამხმარე ტექნიკური ძალა ქუთაისში არ მოიპოვებოდა, მეორეც იმიტომ, რომ მცხოვრებლებმა ვერ გაბედეს ხარჯის თავზე მიღება. სწორედ ამ საჭირბოროტო საკითხით მეც იმ დროიდან დავინტერესდი. მაგრამ, ვინაიდან, ტექნიკური ძალა ახლაც არ იშოვებოდა, ვერაფერს გავდიოდი. მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ 1928 წელში წყალთა სამმართველოს ვსთხოვეთ. მან დახმარება გამიწია, გეოლოგი ს. აკენტიევი გამატანა ხობულში. მას მეც გავყევი. მერე ამ გეოლოგის მოხსენების თანახმად ჩემი განმარტების მიხედვით შექმნილ იქნა ხარჯთაღრიცხვა. ეს ხარჯთაღრიცხვა გადავეცი ქუთაისის აღმასკომის თავმჯდომარეს ერასტი ღვამიჩავას, რათა აღმასკომს ეთავებია წყალსადენის გამოყვანა სოფ. ხობულში და მცხოვრებელთა შორის თვით დაბეგვრა მოეწყო. დამპირდა, ვუცადე 1929 წლის ზაფხულამდე. ჩავედი ქუთაისში, მოვიკითხე ჩემი ხარჯთაღრიცხვა. ღვამიჩავამ მითხრა, საალმშენებლო განყოფილებას გადავეცით, აწი შენ და მან იცოდეთო. ვნახე განყოფილების გამგე. დამპირდა ხობულში მოვალ და იქ ადგილობრივ მოვაწყოთ საქმეო. დაპირებულ დღეს მცხოვრებლებმა თავი მოიყარეს. ვუცადეთ არ მოვიდა. მეორედაც ასე მოიქცა. მესამედ კი დაპირების თანახმად მოვიდა. დაათვალიერა ციხის წყალი, საგრილოც, განაცხადა, უფრო იოლი იქნება და ნაკლები ხარჯებიც დასჭირდება, საგრილოდან წყალი რომ ამოვიყვანოთო. ამას ჩვენი საალმშენებლო განყოფილება ითავებსო. მცხოვრებლებს გაეხარდათ, ნაკლები ხარჯი იქნებაო. მე კი განვაცხადე, რომ ამას ახალი დავიდარაბა დასჭირდება, საქმე კვლავ გაჭიანურდება და დაბრკოლდება-თქო. მტკიცედ მიპასუხა: რადგან ჩვენს ხელშია ამ საკითხის საბოლოო მოგვარება, პასუხისმგებელიც ჩვენვე ვიქნებითო. რაღას ვიზამდი! წავიდა, წაიღო ხარჯთაღრიცხვა.

ბევრჯერ მივწერე. პასუხი გავიგე, რომ ის ხარჯთაღრიცხვა ახლა კომუნალური განყოფილებისათვის გადაეცათ. შევეკითხე ამ განყოფილების გამგეს. მიპასუხა, ასეთ რასმე ჩვენ არ ვთავობთო. მაშინ ხარჯთაღრიცხვა გამოვითხოვე საკურორტო სამმართველოს სახელზე. ამას გადმოეცა და ახლაც მას აქვს. საკურორტო სამმართველოს კი იმიტომ გადავეცი, რომ 1930 წელში იგი ფიქრობდა, წყალსადენი გაეყვანა წყალტუბოს აბანოების საჭიროებისათვის ფაცისთავიდან. ავუხსენი ჯანსახკომის მოადგილეს მამალაძეს, საკურორტო სამმართველოს გამგეს, რომ უფრო იოლიც და ადვილიც იქნება, თუ ციხის წყალს გამოვიყვანთ, აბანოებსაც ეყოფა და ხობულსაც დახმარებას გაუწევთ-თქო. ფაცისთავის წყალი ხომ იგივე ციხის წყალია-თქო. თუ ამ საქმეს ზედმეტი ხარჯი დასჭირდება, ხობულელები მიიღებენ თავის თავზე-თქო. დამპირდა. ინჟინერს ბუხოღლის ჯიანდო. მაგრამ ამანაც ჩაილურის წყალი დალია: ის ხარჯთაღრიცხვა ახლაც იქა დევს უძრავად. 1929 წელს ზაფხულში ხობულის მცხოვრებლებს ხარჯთაღრიცხვა ვაჩვენე, ავუხსენი და გახეუმარტე. მოეწონათ, მაგრამ მაინც არ ითავეს ამის მოყვანა სისრულეში. ამ ხარჯთაღრიცხვის მიხედვით წყლის ამოყვანა ჯდებოდა 20000 მან. აქედან მცხოვრებლების ნაღდი ფული არის საჭირო 5500 მან. დანარჩენი კი სამუშაოებია, რომლის შესრულება თვით მცხოვრებლებს ადვილად შეეძლებათ. არ მოისურვეს ასე მცირე ხარჯის გაწევაც კი. მომთხოვეს, ითავე, მმართველობამ გამოგვიყვანოს წყალიო. ავუხსენი, თუ თქვენვე არ ითავებთ, თუ თქვენვე თვით დაბეგვრით არ შეუდგებით ამ საქმეს, ისე მართებლობა მთელ ხარჯებს არ იკისრებს-თქო. მართლაც, წინდაწინ მოლაპარაკება მქონდა ქუთაისის აღმასკომის თავმჯდომარესთან, ღვამიჩავასთან. დამპირდა, აღმასკომი უეჭველად ხუთას მანეთს შეგეწევათო. ასევე დამპირდა საკურორტო სამმართველოს გამგე მამალაძე, ხუთასი მანეთის ნაკლებს არ შეგეწევითო. იმედი მქონდა, სახკომსაბჭოც დაგეხმარებოდა ათას მანეთამდის, რადგან ამის შესახებ სხვადასხვა კომისრებთან მქონდა მოლაპარაკება. სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილე სვიმონ ჯუ-

ღელიც მტკიცედ აღმითქვამდა დახმარებას. მაგრამ ყოველივე ამის სურვილი მომისპო სოფლის გულგრილობამ და უინიციატივობამ. მეც ამ საქმეს ამ დღიდან თავი დავანებე.

სოფ. წყალტუბოსა და ქუთაისს შორის გზა მიდის. ეს გზა საერთოა სოფ. ხობულისათვისაც. წინათ ეს გზა გადიოდა ბარბარწმინდაზე, მიმინოს წყაროს თავზე. აქედან მიდიოდა პირდაპირ ოღოზე, მექოთნეებს აუვლიდა და ქუთაისისკენ დაეშვებოდა. ეს გზის ნაწილი ბარბარწმინდიდან მექოთნეებამდი სულ უმოსახლო ადგილზე გადიოდა. აქეთ-იქით თორთქლაძეების დიდი ტყე იყო. ეკრა მინდორი. ეს ადგილი საშიში ადგილი. იყო, რადგან ტყეში ჩასაფრებული იყვნენ ყაჩაღები და ხშირად, ზაფხულში თავსხმა და ძარცვა-გლეჯა ხდებოდა. ამიტომ 1905 წლიდან მელიტონ ჩოგოვაძემ ითავა — ეს ბანოჯელია). ამ გზის გადმოტანა და ეს გზა პირდაპირ შუა ბანოჯაზე გაიყვანა. სწორედ ამ მიმართულებით გადის ახალი გზატკეცილიც. ეს გზა წინათ სამამაცო რამ იყო იმიტომ, რომ ზამთარში და წვიმიან ამინდებში ურემი ვერ ამოდიოდა ტალახიდან, ისეთი დიდი და მლესავი ტალახი იცოდა. დარში კი ფეხით სასიარულო ძნელი იყო, რადგან მიწა დამსკდარა-დახეთქილი იყო და კოლბოხებით მოცული, რომლებიც ფეხისგულებს ბრასივით სჭრიდა. გარდა ამისა, ეს ერთადერთი გზაა, რომელიც აერთებს ქუთაისსა და წყალტუბოს. ამ გზის გზატკეცილად გაკეთება ჩემი დიდი ხნის ოცნება იყო. მაგრამ მე, აბა, რას გავხდებოდი? 1909—1910 წ. ქუთაისის ქალაქის თვითმმართველობის წევრი და ქალაქის თავის მოადგილე ვიყავი. იმხანად საგუბერნიო სამმართველოს სააღმშენებლო განყოფილება ხარჯთაღრიცხვებს ადგენდა სხვადასხვა სამუშაოებისათვის საერობო გადასახადის ანგარიშზე. ეს ხარჯთაღრიცხვა განიხილებოდა და მოიწონებოდა ან უარყოფილი იქნებოდა ქუთაისის საგუბერნიო სამმართველოს საბჭოს მიერ და მერმე გუბერნატორი ამას წარუდგენდა მეფისნაცვლის საბჭოს საბოლოო დასამტკიცებლად. ამ გარემოებით ვისარგებლე. ვთხოვე, გუბერნატორს სლავორინსკის, რომ წყალტუბოს გზის ხარჯებიც შეეტანა საერთო ხარჯთაღრიცხვაში. ნება დამრთო. გა-

ვიქეცი საალმშენებლო განყოფილებაში. იქ მთავარმა ინჟინერმა განმიცხადა, რომ ჩვენ უკვე დავასრულეთ ყველა სამუშაოების გამოკვლევა, და ახალს ვეღარ შევუდგებით. რაც გამოვიკვლიეთ, ის უნდა დავამუშავოთო, თუკი ვისმეს შეადგენინებ წყალტუბოს გზის ხარჯთაღრიცხვას. შევიტანთ უცვლელად საერთო ხარჯთაღრიცხვაშიო. კვლავ გუბერნატორთან. თანახმა შეიქნა. მაშინ მივანდეთ ქალაქის ინჟინერს მიხაელოვსკის, რომ მას ეს საქმე სასწრაფოდ შეესრულებინა. მან ხარჯთაღრიცხვა შეადგინა, რასაკვირველია, ჩემი მითითებითა და ახსნა-განმარტების მიხედვით. ხარჯი დაახლოებით 45 000 მანეთს უდრიდა. საგუბერნიო საბჭომ მეფისნაცვლის საბჭოს წარუდგინა. ამ უკანასკნელმა განიხილა 1916 წელს, როცა მე უკვე ქალაქის თვითმმართველობაში აღარ ვიყავი, და ამოშალა იმ მოტივით, რომ ეს გზა პირველი რიგის სამუშაოს არ წარმოადგენსო, ახლა ამოიშალოს და შემდეგ სამი წლის ხარჯთაღრიცხვებში იქნება შეტანილიო. შემდეგი სამი წლის ხარჯთაღრიცხვა კი აღარ შემდგარა, რადგან 1914 წელს იმპერიალისტური ომი დაიწყო და წყალტუბოს გზაზე ფიქრისათვის ვისღა ეცალა! ამასთან დაკავშირებით, როცა წყალტუბოს გზა შევატანინე ხარჯთაღრიცხვაში, მაშინ ქალაქის თვითმმართველობის სახელით შუამდგომლობა აღვძარი, რომ ხობულის ძველი შარაგზა ე. ი. ის ნაწილი გზისა, რომელიც ორპირის ქუჩიდან იწყება, გადის ოლასკურაზე და ემართება აღმართით იმ ადგილამდე, სადაც ეს გზა გადაუხვევს სოფ. ბანოჯაზე, მართებლობას უნდა ეკისრებია, როგორც მისასვლელი გზის გაკეთება. მაგრამ მე ქალაქის თვითმმართველობა დამატოვებინეს და ერთი წლის შემდეგ ილ. ჩიქოვანმა გზის ამ ნაწილის გაკეთება ქალაქის ხარჯით შეასრულა. ეს კი დაუდევრობის და შეუგნებლობის შედეგი იყო: ქალაქს ზედმეტი ხარჯი გააწევია, დააკისრა. წყალტუბოს გზის გაკეთების საქმე შემდეგ, 1919 წელში ქუთაისის ერთობამ თავს იდვა. ხოლო ეს ერთობა ახირებულად მიუდგა ამ საქმეს. ერთობის თავმჯდომარე იყო ეოწია სულაქველიძე. მე, როგორც ერთობის ხმოსანი, თათბირზე მიწვეული ვიყავი. წარმოადგინეს პროექტი ვიწროლიანდაგიანი რკინისგზისა.

გზა გადიოდა სოფ. ქვიტირისა და მაღლაკის განაპირას, იქ. სადაც მოსახლეობა არ არის, მერმე აუხვევდა წყალტუბოს აბანოებისაკენ. გზის სიგრძე ამით ხდებოდა ჩვიდმეტ კილომეტრამდე. გავიკვირვე. რატომ შვრებით ასე? ჯერ ერთი ან უმთავრესი ის არის, რომ მოსახლეობას გზატკეცილი სჭირდება. ამიტომ ჯერ გზა გააკეთეთ და მერე რკინისგზა-თქო. მეორე ის არის, რომ რათ ვსურთ, ეს რკინისგზა გაატაროთ დაუსახლებელ ადგილებზე და არ გაგყავთ იმ მიმართულებით, რომელიც ჰქონდა წინათ წყალტუბოს გზას-თქო. ე. ი. მექოთნეებზე, ოღოზე, თორთქლაძის ტყეზე ან ბარ-ბარწმინდაზე-თქო, მით უმეტეს, სასურველია, რომ ამით გზა ხუთი-შვიდი კილომეტრით დამოკლდება და მაშასადამე. ხარჯიც შესამჩნევად შემცირდება-თქო. ვიღაც ინჟინერმა თუ ტექნიკოსმა, რომელსაც ამ გზის პროექტი შეედგინა და რომელიც იძლეოდა განმარტებას ყოველგვარ შეკითხვაზე, მიპასუხა, რომ ამ მიმართულებით გზის კეთება არ შეიძლება, რადგან აღმართიაო. ვუპასუხე: როგორ თუ აღმართი? აქ აღმართი კი არა, მხოლოდ ერთ ადგილას არის სულ მცირე სერი, ოღასკურას გაღმა, ერთი ხიდის გაკეთება იქნება საჭირო ოღოზე და შემდეგ თითქმის სულ სწორ ვაკეზე გაივლის-თქო. ასეთი სერი, აბა, რა დიდ სიძნელეს და დაბრკოლებას უნდა წარმოადგენდეს-თქო; თქვენ უეჭველად გენახვებათ ბაკურიანის რკინისგზა და გეცოდინებათ, თუ რა სიმაღლეზე მიდის-თქო. მიპასუხა: მე ბაკურიანის რკინისგზა არ მინახავსო. გავიკვირვე და ამის ნიშნად მხრებიღა ავიჩეჩე. მივხვდი კი, რომ წყალტუბოს რკინისგზის პროექტის შედგენა მინდობილი ჰქონდა ვიღაც უვიცს. მენშევიკებმა ვერც ეს რკინისგზა გააკეთეს, თუმცა უამრავი ფული კი მიახარჯეს. შემდეგ, საბჭოთა ხელისუფლების დროს, ქუთაისის აღმასკომმა მოინდომა ამ გზატკეცილის გაყვანა. ეს იყო 1922 წელს. მაშინ აღმასკომის პრეზიდიუმის წევრი ვიყავი. და სასტიკი წინააღმდეგი გახლდით ამ საქმის.ა. ლორთქიფანიძეს, აღმასკომის თავმჯდომარეს გახვუცხადე, ამ მიმართულებით გზის გაყვანა ყოვლად შეუძლებელია-თქო. ბოლოს საქმე ითავა საკურორტო სამმართველომ 1926 წელს.

მაშინ მთხოვეს, როგორც ფინსახკომის მოადგილეს, სესხის შოვნაში დავხმარებოდი, ვინაიდან საკურორტო სამმართველოს ნაღდი ფული არ ჰქონდა. მართლაც, ჩემი დახმარებით საკურორტო სამმართველოს გაუხსნეს კრედიტი და სესხიც მისცეს... გზა მშვენიერია, თანდათან ფართოვდება და იმ მიმართულებით მიდის, რომელიც მე მსურდა. მთელი გზა გადის ბანოჯასა და ხობულზე შუაგულ მოსახლეობაში. დღე და ღამე ამ გზაზე მარტოხელა კაცსაც უშიშრად შეუძლია იაროს. ეს ამ გზის დიდი ღირსება ის არის, რომ მოკლე მანძილზე (სულ თორმეტი კილომეტრია) ქუთაისსა და წყალტუბოს შორის, გზაში, გზის პირად, არის ოთხი მშვენიერი ანკარა წყარო. ახლა დასმულია საკითხი, რომ წყალტუბოს გზის ძველი მიმართულებით გაყვანილ იქნეს ელექტრონის რკინისგზა, ვინაიდან ამას მოითხოვს უმთავრესად გუმბრინის გამოზიდვა. ესეც, უეჭველია, მოკლე ხანში განხორციელდება.

ხობულელებისათვის ჩემი საკუთარი ფულით გამოვიწერე სიმინდის საფქვავი წისქვილი. დავდგი კალისტრატეს ეზოს კუთხეში, სასოფლო გზის პირად. მაგრამ წისქვილს არ მოუარეს, დაეანგეს და იგი სატრიალებლად ძნელი შეიქნა. ამიტომ მასზე გული აიცრუეს. იძულებული ვიყავი ამეღო და ჩემ მარანში დამედგა. სიმინდს ვღერღავდი ხოლმე. კარგად რომ მოევლოთ წისქვილისათვის, ეს დიდად საპრიანო საქმე იქნებოდა. მცხოვრებნი არ მოსცდებოდნენ, წასვლა არ დასჭირდებოდათ წყალტუბოში წისქვილზე და მინდს არ გადაიხდიდნენ, რადგან ჩემ წისქვილზე დაფქვა უფასო, უმინდო იყო.

სიტყვამ მოიტანა და აქვე მინდა აღვნიშნო, სოფელი ხობული სასამართლოსა და საბოქაულოს მხრით მიწერილი იყო ხონ'ზე. ჩვენი სოფლიდან ხონამდე ოცდახუთი კილომეტრია, ქუთაისამდე კი რვა. გარდა ამისა, ხონის გზაზე გუბის წყალია, რომელმაც წვიმების დროს ძალიან ადიდება იცის. ხიდი კი არა აქვს. ამიტომ 1905 წელს თხოვნა დავწერე და მცხოვრებლებს ვთხოვე ხელი მოეწერათ, რომ ჩვენი სურვილია, ხონს მოეშორდეთ და ქუთაისს მივეწეროთო, მაგრამ ხელი არ მომიწერეს. ხელი რომ მოეწერათ, გუბერნატორს

სტაროსელსკის ამაზე დავითანხმებდი. ამის განხორციელება მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მოხდა.

ჩვენი სოფლის საზღვარზე მშვენიერი ვარდისფერზოლებიანი და სახიანი მარმარილო ითხრება, იგი გამოსადეგია შენობების, ქანდაკების და საფლავის ქვებისათვის

დაბადებისას თურმე თან დამყვა ქუდბედი. ამის გამო დედაჩემი ხშირად მანუგეშებდა: რაკი ქუდბედი დაგყვა, ცხოვრებაში არა გიშავს რაო. მამაჩემს ძალიან სწყენოდა ჩემი დაბადება: რა ოხრათ მინდოდა მესამე ვაჟიო. საქმე ის არის, რომ მაშინ ვაჟი უეჭველად უნდა სასწავლებელში შეგეყვანა, ქალიშვილს კი მაშინ არავინ ასწავლიდა სასწავლებელში. გარდა ქალაქის მცხოვრებლებისა. აი, ამიტომ სწყენოდა მამაჩემს, რადგან მას მოუხდებოდა სამი ვაჟის თითქმის ერთსა და იმავე დროს სასწავლებელში შეყვანა. ეს კი ცოტა ხარჯს როდი გამოიწვევდა! დედაჩემს განსაკუთრებით უყვარდა ჩემი საშუალო ძმა ევსელინი, მას ელალებოდა და მასვე აკოხტავებდა. მამაჩემს კი განსაკუთრებით უყვარდა ჩემი უფროსი ძმა რომანოზი (ხომლელი) და ეს სიყვარული მისადმი მამაჩემს არ შენელებია შემდეგაც, როცა რომანოზმა მას თავისი გულითადი წადილი არ შეუსრულა: არ ეკურთხა მღვდლად. ცოლის შერთვაზე უარს არ ამბობდა რომანოზი. ამიტომ მამაჩემმა რამდენიმე საცოლე მოუძებნა, ერთი მეორეზე უკეთესი. რომანოზი თითქოს ყაბულდებოდა, მაგრამ საქმეს აჭიანურებდა და ბოლოს უარს ამბობდა. ამაზე მამაჩემი ბრაზობდა და გული მოსდიოდა. რამდენჯერ ეპისკოპოსთანაც კი მივიდა მამაჩემი, რომ რომანოზი მღვდლად ეკურთხებინა, მაგრამ რომანოზი აღარ თანხმდებოდა. თუმცა ხანდახან კი თანახმა იყო და სწორედ ამიტომაც ეახლა მამაჩემი ეპისკოპოზს. მამაჩემს რომანოზმა გაუქარწყლა და გაუცრუა იმედები: სურდა ამის მღვდლობა, რომ ოჯახის გამგებელი ყოფილიყო რომანოზი და მამაჩემს ამით დახმარებოდა პირველ ხანებში. — მე, ჩვენს ოჯახში თითქმის ზედმეტი ბარგი ვიყავი: რომანოზისა და ევსელინის გამონაცვალ ტანისამოსს გადამიკეთებდა ხოლმე დედაჩემი და ამით იოლად გავდიოდი. ბოლოს კი, როცა ჩემი ძმებიდან შევისყიდე ეზო

და ნაგებობა და აქ ვენახისა და ბაღის გაშენებას შევუდექი, — ეს მამაჩემს ძალიან ესიამოვნა და თქვა ისე, რომ აშკარად გამაგონა: ის ურჩევნია მამულსა, რომ შვილი სჯობდეს მამასაო. ამით თითქოს მოინანია თავისი წინანდელი დამოკიდებულება, რომელიც ჩემ მიმართ ჰქონდა.

სასულიერო სასწავლებელი

გიყვარდეს სწავლა, გულმოდგინება,
შრომა და გარჯა ნუ გეზარება;
კარგია, შვილო, სწავლის შეძენა.

დავიბადე 1867 წელს პირველ მაისს, დილით, გათენებისას. მაგრამ ამის მიუხედავად ვითვლები, რომ დაბადებული ვარ 30-ს აპრილს, რადგან დროის ქართული ანგარიშით დღე იწყება დილიდან, მზის ამოსვლიდან, და თავდება მეორე დილას, მზისავე ამოსვლიდან. სწორედ ამიტომ დამარქვეს იაკობი, ვინაიდან მართლმადიდებელი ეკლესიის წესით 30 აპრილი არის დღე იაკობისა, ძმისა იოანე ღვთისმეტყველისა. დავთარში აღნიშნულია, რომ მე ვითომც დავიბადე 1868 წლის იანვარში. ეს ცნობა მართალი არ არის. მართალია მხოლოდ ის, რომ ამ წელს მოვინათლე, მიღებული იყო, რომ ბავშვი მეათე დღეს უნდა მონათლულიყო და მხოლოდ მას შემდეგ ჩაითვლებოდა დაბადებულად. ვინც ნათვლას დააგვიანებდა, მას ნათვლის თარიღს სწორად ჩაუწერდა მომნათვლელი მღვდელი, ხოლო დაბადების თარიღად ჩანიშნავდა ათ-თხუთმეტ დღეს ადრე, განათვლის დღიდან უკანა რიცხვების ვარაუდით.

რვა წლისა რომ შევიქენი, ქუთაისში გამგზავნეს, ჩემ ძმებთან საცხოვრებლად. წერა-კითხვა ექვსი წლისამ შევისწავლე. პირველ გაკვეთილებს ჩემი ძმა, რომანოზი მაძლევდა, როცა იგი ზაფხულში სოფლად იყო, ზამთარში კი დროგამოშვებით დედაჩემი მომიჯდებოდა და მასწავლიდა, ასე რომ ამჟამად მთავარი დაძლეული მქონდა და კარგადაც და გაწა-

ფვით ვკითხულობდი ყოველნაირ ქართულ ნაწერს და ამ ნაწერის შინაარსის მოყოლაც მეხერხებოდა. ქუთაისში ერთ წელიწადს ისე ვიყავი, სასწავლებელში არ შევუყვანივართ, რათა ამ ხნის განმავლობაში უნდა კარგად გავწაფულიყავი ჩემი ძმების ხელმძღვანელობით რუსულისა და ქართულის წერა-კითხვაში. არითმეტიკის ანგარიშიც ასამდე შემეთვისებია. ამავე დროს ძმებისათვის დახმარება და მომსახურება გაგეწია: მჭადი უნდა ფამეცხო, ლობიო შემეკმაზა და რიონიდან წყალი ამომეტანა. როცა წვიმები ატყდებოდა, რიონი ადიდდებოდა და იმის წყალი ყვითელ ტალახად იქცეოდა. ასეთ შემთხვევაში წყალი გვირაბიდან უნდა ამომეტანა. ამ მოვალეობას ვასრულებდი და სწავლასაც მთელი გულისყურით და დიდი გულმოდგინებით დაწაფებული ვიყავი. უქმ დღეებში კი ჩემი ძმები მე და ჩემ ბიძაშვილ კალისტრატეს, რომელიც მამამისისგან ამავე მიზნით იყო გამოგზავნილი, თავს გვიკრავდნენ სოფლისკენ, რომ მეორე დღეს დავბრუნებულიყავით და თან ესა თუ ის ჩასაკოკლოზინებელი და სანოვაგე ჩამოგვეტანა. ჩვენც ამას დიდი სიამოვნებით ვასრულებდით, რადგან სოფელში წასვლა უაღრესად გვახარებდა და გვახალისებდა.

გათავდა ერთი წელიწადი და 1876 წელს პირველ ენკენისთვიდან შემიყვანეს სასულიერო სასწავლებელში პირველ მოსამზადებელ კლასში. აქ დავასრულე სწავლა 1883 წლის მაისში. გავათავე პირველი სამი მოსამზადებელი და ოთხი კლასიც, ბოლო შვიდი კლასიც. სწავლაში ბეჯითი ვიყავი. ყოველ საგანს კარგად გავდიოდი და სრულებითაც არ მიძნელდებოდა. არ შემიძლია, აქ არ მოვიგონო სასულიერო სასწავლებლის მაშინდელი ზედამხედველი მიხეილ ასათიანი. იგი ყოვლად განათლებული პიროვნება იყო (დასრულებული ჰქონდა სასულიერო აკადემია) და მაღალზრდილობიანიც. როგორც ვიცით, იგი იყო ერთ-ერთი დამაარსებელთაგანი ჟურნალის „იმედისა“.

იგი ისე ზრდილობიანი და თავმდაბალი ადამიანი იყო, რომ ყოველ მოწაფეს მშობელ მამასავით გამოეგაასებოდა ხოლმე. არ დამავიწყდება, რომ ერთხელ, როცა საშობაოდ დაგვითხოვეს, მე და ჩემი ბიძაშვილი კალისტრატე თავის კაბინეტში

ძიგვიწვია და გადმოგვცა მოწმობა ნიშნებით. მაშინ ჩვენ მესაძე მოსამზადებელ კლასში ვიყავით. ასეთ პატარებს, ასეთ ღლაპებს ყურადღება მოგვაქცია, მამაშვილურად დაგვარიგა და მოგვიწოდა მეტი ბეჯითობისაკენ. ასათიანი მოკლა მასწავლებელმა ღვინიაშვილმა, ხანჯლით, ამაღე სასწავლებელში. რის ნიადაგზე მოხდა ეს მკვლელობა, ახლაც არ ვიცი. მეორედ უნდა მოვიგონო ნიკო მაღრაძე. იგი არითმეტიკას გვასწავლიდა. დიდი ცოდნის კაცი არ იყო, მაგრამ ბეჯითი მასწავლებელი კი იყო. მის მიერ ახსნილი და განმარტებული გაკვეთილი ტვინში მტკიცედ ჩამეჭედებოდა ხოლმე, კარგა გასაგებად და მკაფიოდ იცოდა ახსნა: ამის სწავლების მეთოდი საუკეთესო იყო, რადგან, არითმეტიკის ერთ რომელსამე წესს რომ აგვიხსნიდა, მერმე ამ წესის დასადასტურებლად უამრავ ამოცანას, ამის შესაფერისსა და მასთან შეხამებულს, მოიშველიებდა. ამიტომ ყოველ წესს თითქმის პრაქტიკულად ვსწავლობდით. ის წესი შემდეგ თავიდან არასოდეს აღარ ამოვიდოდა. სხვა მასწავლებლები, ერთმანეთის მსგავსნი იყვნენ. გამონაკლისს შეადგენდა ივანე გაფრინდაშვილი, რომელიც მამა იყო აწ გარდაცვლილის ჩვენი ნიჭიერი და მგრძნობიარე მგოსნის.

როგორც ჩვენ გვქონდა ჩვენი საკუთარი სახლი და ეზო, ისე ბევრ სხვასაც, განსაკუთრებით კი რაჭა-ლეჩხუმისა და ოკრიბის სამღვდელო პირებს. ამათი შვილებიც ცხოვრობდნენ ისე, როგორც ჩვენ. ერთი სიტყვით, არქიელის გორაზე მასწავლებლების მთელი კოლონია იყო[1].

---

[1] სხვათა შორის ჩვენ, ე. ი. მე და ჩემი ბიძაშვილი კალისტრატე (შემდეგში მღვდელი) ჩვენს ულუფა მჭადს ვცვლიდით დილ-დილაობით პურზე. სასულიერო სასწავლებელში იყო მოთავსებული ბურსა, პანსიონი, სამღვდელო პირთა შვილებისათვის, რომლებიც ან ობლები იყვნენ, ან დახმარებას საჭიროებდნენ. აი, ამ პანსიონერებს ვუცვლიდით მჭაღს პურზე, თანაბარი ზომით. პური იყო თონისა და თეთრი. იმერელ ბავშვებს არ მოსწონდათ ყოველდღე პური, ამათ ეს მოყირჭებული ჰქონდათ. ამატომ სიამოვნებით გვიცვლიდნენ. ჩვენს მეტი არავინ ცვლიდა პურზე ჭადს, რადგან ჩვენ იქვე კარისყურეში ვიყავით, სასულიერო სასწავლებელში.

ზაფხულში ჩვენი, ჩემი და ჩემი ძმის ევსელინის გასართობი იყო წყალტუბოს აბანოები. თითქმის ყოველ შაბათს საღამოს იქ ჩავდიოდით ორივენი. იქ ნაშუაღამემდი ვისხედით. ჯერ აბანოში ვიბანდით და მერე სიმღერის მოსმენით ვერთობოდით. იმ ხანად სამი ძმა იოსელიანები ძალიან განთქმული იყვნენ სიმღერის ტკბილი ჰანგებით, სამივე უცოლშვილო იყო. ამიტომ შაბათობით თითქმის ყოველთვის აბანოებზე ჩამოდიოდნენ, მოიფრთხვნიდნენ ფეხებს, ჩაჯდებოდნენ მინდვრის მოლში და ნარ-ნარი სიმღერით არემარეს ატკბობდნენ. უფროს ძმას სოლომონი ერქვა. იგი შესანიშნავი იყო იმით, რომ მთელი „ვეფხისტყაოსანი“ ზეპირად იცოდა. იგი მხოლოდ ამ ტექსტს მღეროდა. სხვა უბრალო ლექსების სიტყვებს სიმღერაში არ გაურევდა. ყოველი შემთხვევისათვის, მას მხოლოდ „ვეფხისტყაოსანის“ ესა თუ ის ადგილი ამოქონდა და იტყოდა. იგი პატარა, მცირე ტანისა იყო, თხელი ნაზი აგებულების, მაგრამ ამავე დროს დიდად სიმპათიური სახე და მოხდენილი მიხრა-მოხრა ჰქონდა. ყოველთვის სუფთად და მოხდენილად, თუმცა სულ უბრალოდ იყო ჩაცმული. ამ პატარა კაცს უყვარდა მაღალი და გრძელი ცხენი. სწორედ ასეთიც ჰყავდა ყოველთვის. ამ სიმაღლესა და ამ სიგრძის ცხენზე იგი შემჯდარი კიდევ უფრო პატარა ჩირრად მოსჩანდა.

მოქმედი აბანო იმ დროს მხოლოდ ორი იყო. ერთი, ძველი აბანო (გაღმა აბანო), რომელიც ახლა აღნიშნულია №-1-ით; მეორე, ბუჭას აბანო, ან გამოღმა აბანო, რომელიც ახლა აღნიშნულია №-2-ით. ახლანდელი №-6 კი იყო კოდის წყარო, რადგან იმ ადგილას გამობურღული მორი იყო ჩადგმული და იქიდან მოჩუხჩუხებდა მთელი წყარო. მას მხოლოდ საჩაიე წყლად ხმარობდნენ. ბუჭას სახელი იმიტომ დაერქვა, რომ ბუჭა იოსელიანმა, რომლის წინაპრებს აბანოებში წინათ არავითარი წილი არა ჰქონდათ, ნასყიდობით შეიძინა მთელი ორი მესამედი აბანოებისა. ამრიგად, ამ აბანოების ფაქტიური ბატონ-პატრონი იგი შეიქნა. სწორედ ამან ამოათხრევინა ეს თავის სახელობის აბანო და ამიტომ „ბუჭას აბანო“ დაერქვა. ეს ბუჭა კი გამდიდრდა მევახშეობით, რადგან ფულებს სოფლად კი არ ასესხებდა, არამედ ქალაქში აძლევდა ვაჭრებს

და სხვა მედუქნეებს, რომლებიც მეტ სარგებელს აძლევ-
დნენ, ვიდრე სოფლელები, რომლებისთვის ,ანონიერი სარ-
გებელი იყო მხოლოდ და მხოლოდ ვახტანგის სარგებელი,
ე ი. თუმანი თვეში აბაზად, წლიური 24 პროცენტად. ბუჭას
ამ ოდენობის სარგებელი როდი აკმაყოფილებდა, რადგან ქა-
ლაქში 50 და 100 პროცენტად ასესხებდა. პირველად კი
ფული იმით შეიძინა, რომ მოიჯარადრედ იყო კირის მოწო-
დების საქმეში ქუთაისის შენობებისათვის. კირს კი ჩვენში
ჩვენს მეზობლებს აწვევინებდა, რადგან ჩვენში იმხანად კარ-
გი მუხნარი ტევრი იყო, კირისათვის კი ჩვენი სოფლის ქვა
საუცხოოა, ბლომადაა და თითქმის მიწას ზევით არის, ამო-
თხრა კი არ სჭირდება ქვას, არამედ თავის წატეხა. გადახუ-
რული ბუჭას აბანო იყო მხოლოდ და ამიტომ ამაში უმე-
ტესად მხოლოდ საპატიო პირები ბანაობდნენ. ხალხის უმრავ-
ლესობა კი ძველ აბანოში ბანაობდა. იგი სრულებით თავლია
იყო, გადახურული არ იყო. ეს აბანო ერთიან აუზს წარმო-
ადგენდა. ამ აუზს ქვის ,ედლები ჰქონდა ნიადაგის გასწვრივ
ამოშენებული, იატაკად ჩაყრილი იყო ქვები, ხოლო ისაც
მხოლოდ ნახევარ აუზში. მეორე ნახევარი კი ტალახიანი,
საფლობი იყო. ქვემოთ მოყრილ ნახევარში ერთ კუთხეში
დედაკაცები და ქალები ბანაობდნენ ერთად შეჯგუფულები,
ხოლო მეორე კუთხეში მამაკაცები. აქ ბანაობისას სიმღერი-
სა და ოხუნჯობის, მოსწრებული სიტყვებისა და სხარტი გა-
მოთქმებით ნამდვილი შეჯიბრი იყო გამართული. ხანდახან
კი ესა თუ ის ყმაწვილი დაყვინთავდა მამაკაცების ნაწილში
და ცოტა ხნის შემდეგ დედაკაცების ნაწილში ამოყოფდა
თავს. ეს კი იწვევდა დიდ მხიარულებასა და სიცილ-ხარხარს
მამაკაცებში, დედაკაცების მხრით კი ქაქანსა და საყვედურს.
იმ ყმაწვილს ხელებით, პეშვით წყალს ცხვირ-პირსა და თვა-
ლებში მიასხავდა თითქმის ყველა ქალი ყოველი მხრდიან
და ასეთი კინწის კვრით და ჩოჩქოლით გამოდევნიდნენ თა-
ვისი ნაწილიდან. უიატაკოსა და ტალახიან ნაწილში კი ამ
დროს ზანტადა და თვალების ბრიალით ტალახში და თბილ
წყალში ჩაწოლილი ზანტადვე და სიამოვნებით იცოხნებოდნენ.

აბანოების პატრონი კი ჩემი ბიძაშვილები და მათი ოჯა-
ხის შვილები იყვნენ. ამათგან ნაწილ-ნაწილ შეიძინა ბუჭამ

თავისი წილი. იყო კიდევ აბანოს მესამე აუზი, ძველისძველი აბანო, ის, რომელშიც ახლა მოწყობილია ტალახის აბაზანები. ეს აუზი კი არა, ნამდვილი ტბა იყო, ვეებერთელა დაღრმა. იმაში თითო-ოროლა თუ ვინმე გაბედავდა ბანაობას, ისიც ისეთი, თუ კარგი ცურვა ეცოდინებოდა. ეს აბანო კი ეკუთვნოდა გვიშტიბის იოსელიანებს. ამიტომ ეს აბანო შემოსავლიანი არ იყო. აქ ბანაობა და ცურვა მამაჩემს განსაკუთრებით უყვარდა. გადასახადი იმ ხანად გარეშეებისათვის, ე. ი. ისეთებისათვის, რომლებიც ახლობელი სოფლების მცხოვრებლები არ იყვნენ ან იოსელიანების ნათესავ-ნაცნობები, სამი კაპეიკი იყო, შაურს კი არ აღემატებოდა. ამკრეფი გახლდათ ანდრია იოსელიანი, ხელებთანთალა, რადგან ხელები უძიგძიგებდა. რამდენი ხანიც გსურდა, შეგეძლო აბანოში ყოფილიყავი. ბუჟას გარდაცვალების შემდეგ იმის შვილებისაგან აბანოების ორი წილი ხელთ იგდო გიორგი იოსელიანმა, რომელსაც მეტსახელად გიორგი მაღალს ეძახდნენ. გიორგის აბანოები რევოლუციამ ჩამოართვა. გიორგი იოსელიანიც მევახშეობით გამდიდრდა. იგი ქუთაისში მსახურობდა ნოტარიუსთან მწერლად და თვიური ჯამაგირი ოცდახუთი მანეთი ჰქონდა. ისიც ამ ფულს უკლებლივ ქვრივ დედას უგზავნიდა სოფელში გასასესხებლად. მერმე, ფული რომ დაუგროვდა, გიორგიმ დაიწყო შეძენა და შესყიდვა სულ მცირე ფასებში აბანოებისა, საუკეთესო სახნავ-სათესი მიწებისა და კარგი მოვლილი ტყეებისა. 1916 წელს წყალტუბოს აბანოებით დაინტერესდა საერთაშორისო კაპიტალი: საქმე ის არის, რომ იმპერიალისტურმა ომმა უამრავი პირი დაასახიჩრა და დაასნეულა: ამიტომ წყალტუბოს აბანოებს ყურადღება მიექცა. რადგან მას დიდი დებეტი აქვს და ერთბაშად ბევრის ბანაობა შეიძლება. ქუთაისს ეწვივნენ ფრანგი კაპიტალისტები და გიორგი იოსელიანთან მოლაპარაკება გამართეს. აძლევდნენ სრულ სამ მილიონს ნაღდად. გიორგი შემეკითხა. ვურჩიე, გაეყიდა, რადგან იგი აბანოებს კარგად ვერ უვლიდა სანიტარულ ჰიგიენური მხრით. თანაც გავაფრთხილე: — ისარგებლე, ჩემო გიორგი. ამ შემთხვევით, თორემ ეს ომი რით გათავდება, კაცმა არ იცის. მოსალოდნელი კია, რომ რევოლუციამ იფეთქოს და მაშინ აბანოებს სახელმწიფო საკუთრე-

ბად გამოაცხადებენ, შენ კი კაპეიკსაც ვერ მიიღებ-თქო. ჩემი ინტერესები იყო, რომ აბანოები კაპიტალისტების ხელში გადასულიყო, რადგან, ისინი კარგად მოაწყობდნენ და ქუთაისიდან საავტომობილო გზატკეცილს გამოიყვანდნენ. გიორგიმ არ დაშიჯერა. ამ საქმეში ჩაერიენ ნ. ნიკოლაძე და დიმიტრი ნაზაროვი, ორივე ისეთი პიროვნება, რომელნიც ყოველთვის იქ ამოყოფდნენ თავს, სადაც საკენკის სუნი ავარდებოდა, ისე, როგორც ყორნები ლეშის სუნისთვის საიდან არ მოფრინდებიან. ესენი გიორგის თურმე ეუბნებოდნენ, ჩვენ უფრო ძვირად გაგაყიდვიხებთ, რაც შეეხება იმას, ვითომც ვინმე ჩამოგართმევს აბანოებს, — ნ. ნიკოლაძეს ეთქვა,—ეს ტყუილია და მხოლოდ ბალღებს შეუძლიათ ამით თავი გაირთონ და ამის იმედი იქონიონო, განა არ იცი, რომ ჯორს არც ჩოჩორი და არც კვიცი არ ებადება, შვილს არ შობს, რადგან სამარადისო ბერწობით არის დასნეულებული, შეპყრობილიო, სწორედ ამრიგადვე შეუძლებელია და დაუჯერებელიც, კერძო საკუთრება მოისპოსო. ეს მსხვილი კენჭი ჩემს მიმართ იყო გადმოსროლილი, რადგან გიორგის, ჩემი აზრი, მათთვის გადაეცა და მეც ამიტომ დავესახელებიე. ამათმა ამყოლმა გიორგიმ მყიდველებს თექვსმეტი მილიონი მოსთხოვა. მყიდველები მყისვე გაშორდნენ გიორგის. შემდეგ კი, რაც მოხდა, ყველამ ვიცით. ამის შემდეგ გიორგის შევხვდებოდი ხოლმე, ყოველთვის ვეკითხებოდი, ჯორია შობა თუ არა ჩოჩორი-თქო. გიორგი თავჩაქინდრული, დამწუხრებული კილოთი მიპასუხებდა: რა ვიცოდი, ჭკვიანები მეგონენ, სხვებიც ასეთად თვლიდნენ, მე კი ასე მომატყუეს.

გიმნაზია

სიჭაბუკეს და სიყვარულს,
რაცა უნდათ, იმას ჰყოფენ.

ალ. ჭაეჭავაძე.

სემინარიაში მილების წესი ასეთი იყო. ვინც სასულიერო სასწავლებელს დაამთავრებდა, იმავე წელს ე. ი. არა უგვი-

ანეს ივნისის შუა რიცხვებისა მოწმობებით უნდა წასულიყო თბილისში და სასულიერო სემინარიაში მისაღები გამოცდები ჩაებარებია. ვინც ამ მისაღებ გამოცდებში ჩაიჭრებოდა, იგი სემინარიაში ვეღარ მოხვდებოდა და იძულებულ იყო ცხოვრების სხვა დარგი აერჩია. ჩემი ამხანაგები ყველა უკლებლივ თბილისს წავიდნენ, გამოცდები ჩააბარეს და თითქმის ყველა მიღებული იქნა. მაგრამ ათი თუ თხუთმეტი ჩემი ამხანაგი, თბილისიდან დაბრუნების შემდეგ ქუთაისში დარჩა მთელი ზაფხული და მომზადებას შეუდგა, რომ აგვისტოში ქუთაისის გიმნაზიაში მისაღები გამოცდა ჩაებარებინათ. თუ აქ მიიღებდნენ, მაშინ სემინარიას თავს დაანებებდნენ. მე პირადათ სრულებითაც არ წავსულვარ თბილისს, მხოლოდ ამიერ-კავკასიის სამოსწავლებლო მზრუნველთან თხოვნა გავაგზავნე, რომელიც ჩემმა ძმამ რომანოზმა დამიწერა, რომ ნება მოეცა, გიმნაზიაში დაშვებული ვყოფილ[illegible]ყავი. ეს კი საჭირო იყო იმიტომ, რომ პირდაპირ მესამე კლასში ჩამებარებია გამოცდები. მესამე კლასისათვის კი ასაკგადაცილებული ვიყავი. ასე დამაგვიანა სასულიერო სასწავლებლის სამმა მოსამზადებელმა და ოთხმა კლასმა. ნებართვა ივლისის დამლევს მივიღე. მე კი საზაფხულოდ სოფელში ვიყავი. ორ კვირასაც არ გაუვლია, ციებ-ცხელებით ავად გავხდი და ლოგინს ვსრესდი. მეცადინეობისა და საგნების განმეორების გუნება და შეძლება, აბა, სად იყო! ნებართვა რომ მივიღე, სული ალმიშფოთდა და ლოგინში ვეღარ ვჩერდებოდი. გამოცდების ვადის წინადღეს დედაჩემს დაჟინებით მოეთხოვე, მაბანავე-მეთქი. გამოცდაზე უეჭველად უნდა გამოვცხადებულიყავი, რადგან უამისოდ ჩემი მომავალი ბედი, სწავლის განვრძობის მხრით, სამუდამოდ დაიხურებოდა და გადაწყდებოდა. დედამ თხოვნა შემისრულა. დილით ადრე ავიჭერი ლოგინიდან. ქუთაისში გამოსასვლელად მამაჩემი წინააღმდეგი იყო: — არ მინდა შენი სწავლა! ჩემი სურვილია, შინ მეყოლო და ადგილ-მამულს მოუაროო. მამის სურვილი იყო, რომ რომანოზი, ჩემი უფროსი ძმა, მღვდელი ყოფილიყო. მაგრამ ეს იმხანად უკვე გაცრუებული იმედიღა იყო, რადგან რომანოზი სრულებით სხვა გზას ადგა. მეორე ჩემი უფროსი ძმა, პირველის მომდევნო ევსელინი პროგიმნაზიაში სწავ-

ლობდა და იქიდან პირდაპირ გიმნაზიის მეხუთე კლასში ჩარიცხავდნენ. კიდევ გიმნაზიელი შვილი მამაჩემს აღარ უნდოდა. ამიტომ მე უნდა ამენალჭაურებია ჩემი ძმების დანაკლისი, ოჯახის პატრონობას შევდგომოდი და მამაჩემს დავხმარებოდი, მაგრამ ეს განზრახვა ჩემს გონებასა და გრძნობას თოფის სროლაზედაც არ ეკარებოდა, აინუნშიაც არ მომდიოდა. მამაჩემთან ბევრი თხოვნითაც არაფერი გამომიეიდა. და იგი თავის აზრსა და გადაწყვეტილებაზე მტკიცეულ იდგა. ამიტომ მე თავისი ნებით ქუთაისისაკენ ვამოეწიე. გზაზე დამდგარს დედაჩემმა დამიძახა, გამაჩერა და ორადორი აბაზი მომცა. მეტი არა ჰქონდა. რომ ჰქონოდა, დარწმუნებული ვარ, არ დაინანებდა. სწორედ ამ ორი აბაზით დავადექი ახალ გზას. მაგრამ ჩანს, ეს ორი აბაზი ისეთი მადლითა და გულმხურვალებით იყო გაიმოცემული, რომ საწადელს ოდნავ უდავიდარაბოდ მიმალწევია და ცხოვრების ახალ გზაზე დამაყენა... გამოვცხადდი გიმნაზიაში. კანცელარიის გამგემ მითხრა: დღეს ბევრი შენი ნაამხანაგარი საგამოცდოდ არის დამდგარიო, შენი დაშვება კი გამოცდაზე არ შეიძლება, რადგან მეტრიკა და სხვა საჭირო საბუთები ჯერაც არ წარმოგიდგენიაო. ძალიან მეწყინა და გული ჩამწყდა. გამოვბრუნდი. დავტრიალდი ქუთაისის ბაზარსა და ქუჩაში, რომ ვინმე ჩვენი სოფლელი მენახა და იმისთვის წერილობით დაძებარებია, რომ მამაჩემს ყველა საჭირო საბუთი და მეტრიკა მეორე დღესვე დილა ადრიანად მოეწვდინა. თუ ვერავის ვნახავდი, მაშინ მეტი რა ჯანი იყო, ისევ მე უნდა დავბრუნებულიყავი. ჩემ ბედზე ჩემი სოფრომი შემხვდა. იქვე ბარათი გადავეცი. სიტყვიერადაც ვთხოვე, რომ მამაჩემს უეჭველად, ყოველ მიზეზს გარეშე, მოეწვდინა ეს მოწმობები, თორემ სამუდამოდ დავიღუპებოდი. დავწყნარდი. ღამის გასათევად ერთ დუქანში, ორპირის ქუჩაზე (ახლა ზდანოვიჩის სახელობისაა) გავჩერდი. ის დუქანი ჰქონდა ერთ წყალტუბელს, რომელიც მამაჩემსა და მეც კარგად გვიცნობდა. ძალზე ვღელავდი. დასვენება აღარ შემეძლო. სწორედ ამ დროს მომისწრო ციებამ. იგი კვლავ განმიმეორდა, რადგან მხოლოდ მეორე დღე იყო, რაც ლოგინიდან წამოვდექი. ამან ძალზე შემაშინა, ვაითუ დამძალოს და ხვალ გამოცდაზე

ვეღარ გამოვცხადდე-მეთქი. მაჯისცემა ამიჩქარდა, ძარღვეპი დამეჭიმა, ამომებურცა, და გული ძალზე მიცემდა, სულ ბავაბუგი გაჰქონდა. აღარ ვიცოდი, რა მექნა, მედუქნეს მივუბრუნდი და ვთხოვე, არაყი ჩამოესხა ჩემთვის. ორი ღვინის ჭიქა არაყი გადავხუხე, პური არ დამიყოლებია, ისე. არათუ მანამდე. არც მერე არაყი არასოდეს არ დამილევია. ორმა ჭიქა არაყმა იმოქმედა და გამაბრუა. მეც იმწამსვე დუქნიდან გამოვიქერი და ფერმისაკენ გავეშურე. ცას ბინდი გადაჰკროდა, დუქანში როცა დავბრუნდი. მანამდი სულ დავხეტიალობდი. მუხლი არსად ჩამიკეცია. იმ ღამეს მეძინა ღრმა ძილით, დილას, გაღვიძებულიც არ ვიყავი, რომ მოწმობები მივიღე. გახარებულმა გიმნაზიისაკენ გავწიე. კანცელარიაში შემისრულეს ყოველივე ფორმალური მხარე და გამომიცხადეს, დღეს თორმეტ საათიდან დაშვებული იქნები გამოცდებზეო. გამიხარდა. პირველად რუსულში გამომცადეს. მასწავლებელმა ჩერნიკოვმა მიკარნახა რაღაც უმნიშვნელო წინადადება, სულ სამი პწკარი. მაგრამ, შენი მტერი, ამ სამ პწკარში ცხრა შეცდომა დავუშვი, რასაკვირველია, სულ უბრალო: სიტყვებში ასოები მქონდა გამოშეებული, რადგან წერაში როდი ვიყავი გაწაფული. სხვანაირი შეცდომების დაშვება კი არც შეიძლებოდა, .რადგან სიტყვები სულ მარტივი, გასაგები და უბრალო იყო. ჩერნიკოვს არ მოეწონა. აბა, ვნახოთ, ზეპირ გამოცდაში როგორ მიპასუხებო. რაც არ მკითხა, ყველაფერი წარჩინებით ვუპასუხე. ისე მოეწონა, რომ ბევრი რამ მკითხა. კმაყოფილმა განმიცხადა: სიტყვიერ პასუხში ხუთი უნდა დაგიწერო, ხელნაწერში ,ი ორიო, მაგრამ ვინაიდან შენ ეს ზიანს მოგიტანს, ამიტომ სიტყვიერსა და წერილობითში ნიშანს სამს დაგიწერო. მენანები, რომ შენ, ასე მომზადებული ყმაწვილი, მიღებული არ იქნეო. ამან გადაწყვიტა მთელი ჩემი მომავალი. შემდეგ დღეებში სხვა საგნებში გამომცადეს. ყოველ საგანში წარჩინებით გავედი. თავისუფლად და ლაღად ამოვისუნთქე. მეორესა თუ მესამე დღეს გავიგე, რომ წინა დღეს გამოცდაზე დაშვებული ჩემი ნაამხანაგარნი პირველად

რუსულ წერაში გამოეცადათ. ამათ თურმე უკარნახა კრილოვის რომელიღაც იგავ-არაკი რუსულის მეორე მასწავლებელმა კლაპოვმა. ეს თურმე გადაპრეხილად კითხულობდა. საგანგებოდ. ამას კიდევ უფრო დაებნია ჩემი ნაამხანაგარები. ეს ყოველივე იმით გათავდა, რომ ჩემი ნაამხანაგარები ყველა ჩაიჭრა, არც ერთი არ გადარჩა, ისე. ამიტომ ესენი სხვა გამოცდაზე აღარ დაუშვეს, ისე გაისტუმრეს გიმნაზიიდან. მხოლოდ ამ ამბის შემდეგ მივხვდი, თუ რა დიდი რისკი გავწიე. ხომ შეიძლებოდა მეც ისევე მომსვლოდა. რაც ჩემ ნაამხანაგარებს, მით უფრო, რომ ესენი მთელი ზაფხულის განმავლობაში ემზადებოდნენ, მე კი არა. სწორედ ამ ფიქრის დროს შიშის ჟრუანტელმა დამირბინა მთელ ტანში. მაგრამ ეს ესიამოვნო ჟრუანტელი მალე დამიცხრა და შიშმაც გაიარა. მესამე დღეს გამომიცხადეს, მიღებული ხარო. შიში სიხარულმა შემიცვალა. ჩემი ნაამხანაგარები კი ყველანი სექტემბრიდან თბილისის სასულიერო სემინარიაში მოკალათდნენ. ლავშორდი ამხანაგებს და ახალ წრეში ამოვყავი თავი.

მიმიღეს გიმნაზიის მესამე კლასში. შეველი საკლასო ოთახში. ავათვალიერ-ჩავათვალიერე ახალი ამხანაგები. თითქოს ყველას, ორიოდე რუსის გარდა ემჩნეოდა, რომ არც ერთი ჩემზე ნაკლები წლისა არ იქნებოდა. ხუთიოდე კი ძალიან ზორბა იყო და წვერ-ულვაშიც კარგად ემჩნეოდათ. ეს მე მიამა. ამათ შორის იყო ერთი გ. ა. იგი უკვე მეგრულ ენაზე ლექსებს სწერდა და ამით ძალიან კმაყოფილი იყო. ცხადია, რომ იგი იყო წინამორბედი აშორდიასი, რომელმაც ამ მხრივ თავისი მოქმედებით, ე. ი. ქართულიდან მეგრული ენის კილოკავის გამოყოფის საქმეში სამარცხვინოდ თავი ისახელა ოთხმოციან წლებში. მას იყენებდა მაშინდელი ამიერ-კავკასიის სამოსწავლებლო უწყების მზრუნველი იანოვსკი თავის ასეთი მიზნისათვის შემდეგ კი ვოსტორგოვი, ეს მოსკოვის იმპერიის აგენტი, როგორც ამას გვიდასტურებს ვიტე თავის მემუარებში, ხოლო ხალხის დასანახად და მოსატყუებლად მღვდლის ანაფორაში გადაცმული, ცდილობდა მეგრული ენა, მეგრული კილოკავი საეკლესიო სკოლებშიც გაეშეფებია, ხოლო ქართული გამოედევნა და სრულებითაც მოესპო. ახლა მეგრულ ენაზე ცალკე გაზეთიც კი გამოდის. მაშა-

სადამე, სინამდვილეში გაიმარჯვა და მოგვერია აშორდია, ეოსტორგოვი და იანოვსკი. ეს ყოველივე კი იმის მაჩვენებელია, რომ თვით მეგრელები გაჟღენთილი ყოფილან ამ წადილით, ამ უგბილი სხვებისათვის გასახარებელი სურვილით. მეორე იყო ნიკო შენგელია. მან ჩემთან ერთად დაასრულა გიმნაზიის რვა კლასი. თავიდანვე კარგად სწავლობდა. მაგრამ გათავებისას დირექტორი ატესტატს აღარ აძლევდა იმ მიზეზით, ძალიან ხნიერი ყოფილხარო, გიმნაზიაში ცრუ, ყალბი მეტრიკული მოწმობა წარმოგიდგენიაო. მართლაც, იმ-ჟამად აღმოჩნდა ოცდათორმეტი წლისა, მაშინ, როდესაც არც ერთი ჩვენთაგანი ოცსა და ოცდაერთს არ აღემატებოდა. სწავლითაც კარგადაცა და ადვილად ვსწავლობდი, რადგან ის, რასაც აქ გვასწავლიდნენ, ჩემთვის თითქმის გამეორება იყო. გიმნაზიის მეხუთე კლასიდან რეპეტიტორობა დავიწყე, რადგან მამაჩემს აღარ შეეძლო ყოველივე ჩემი მოთხოვნილების დაკმაყოფილება. ვრეპეტიტორობდი გიმნაზიაში კურსის დამთავრებამდე. უნივერსიტეტშიც რომ შევედი, იქაც სამი თვის შემდეგ ვიშოვე მოწაფე გიმნაზიელი ვინმე გონზალი და ვრეპეტიტორობდი, სანამ უნივერსიტეტი არ გავათავე.

ბეექვსე კლასში რომ ვიყავი, ჩემი ძმა ევსელინი ავად გახდა ხურვებით, თბილისში. იგი ასწავლიდა გიორგი იოსელიანის პანსიონში. ეს გიორგი იოსელიანი წყალტუბოელი იყო. მას მამაჩემმა თურმე ასწავლა წერა-კითხვა და საგნები თვით წყალტუბოშივე, სადაც მამაჩემს მღვდლის სკოლა ჰქონდა გახსნილი და ბავშვებს უფასოდ ასწავლიდა წერა-კითხვასა და სხვა საგნებს. ეს გიორგი იოსელიანი პედაგოგი იყო საკმაოდ ცნობილი და აკადემიაში კურსდამთავრებული. იგი ჩვენს ლიტერატურაში ცნობილია წყალტუბოელის ფსევდონიმით. ჩემი ძმა ევსელინი ავადმყოფი თბილისიდან ჩამოიყვანა ჩემმა ბიძაშვილმა კალისტრატემ, რომელიც მამაჩემმა საგანგებოდ გაგზავნა. იქიდან პირდაპირ სოფელში წავიყვანეთ, მივიღეთ რა სათანადო დარიგება ექიმ სეჩინოვისაგან. ჩემი ძმა დიდხანს ავადმყოფობდა და ძალიან სერიოზულადაც. შემდეგ მოკეთდა. შემოდგომაზე მისმა ნაამხანაგრებმა ალექსანდრე აბაშიძემ (ხონელი იყო, შემდეგ ოფი-

ცერი) და დავით ლორთქიფანიძემ (ახლა ექიმი) მითხრეს, წაგვიყვანე ევსელინის სანახავად. სოფელშიო. ისინი ამ დროს მეშვიდე კლასში იყვნენ, მე კი მეხუთეში. ერთ შაბათ საღამოს, წავედით ქვევითად. კვირა საღამოს ქუთაისშივე დავბრუნდით. საქმე ის არის, რომ სწორედ იმ შაბათ საღამოს, როცა სოფელში ვიყავით, გიმნაზიაში თურმე პედაგოგიური საბჭოს სხდომა მოუწვევიათ. სხდომა გვიან გათავებულიყო, და გვიანვე დაშლილიყვნენ. მეთვალყურე გუსევი ჭიშკრიდან გამოსულიყო, მას ვიღაც გიმნაზიელი ჭიშკართანვე დახვედროდა და გალახვას დამუქრებოდა. გუსევს ეს გიმნაზიელი ალექსანდრე აბაშიძე ჰგონებოდა. აი, სწორედ ამას მოჰყვა ინციდენტი, რადგან გუსევს ეს დირექტორ სტოიანოვსკისთვის ეთქვა. სტოიანოვმა იმავე დღეს მიიბმო აბაშიძე და გამოჰკითხა. აბაშიძეს ის კი არ ეთქვა, რაც ნამდვილი იყო, არამედ განეცხადებია, რომ შაბათ საღამოს სახლის პატრონს, ლექვინაძეს, სახლის სახურავის შეკეთებაში ვეხმარებოდიო, სახურავიდან ჩამოსვლისას ლურსმანს ფეხი დავკარი, გავიჭერი და ავადმყოფი ვიწექიო, ეს ყველაფერი იცის ჩემმა ამხანაგმა დავით ლორთქიფანიძემ, რომელიც ჩემთან ერთად დგასო, და იაკობ ფანცხავამ, რომელიც იმ საღამოს ჩვენსა შემთხვევით შემოვიდაო. დირექტორმა ლორთქიფანიძე დაიბარა. ამან ალალმართალი უთხრა. დირექტორი დაიბნა, აღარ იცოდა, რომლისთვის დაეჯერებია. ახლა მე გამომიძახა. მეც სიმართლე ვუთხარი. მესამე დღეს სამივე გიმნაზიიდან გამორიცხულად გამოგვაცხადეს. ვაცნობე მამაჩემს. გიმნაზიის მღვდლის გიორგის დახმარებით მოახერხა, დაეჯერებია დირექტორი, ჩვენს სიმართლეში. მხოლოდ ამის შემდეგ ერთი კვირა გავიდა და დირექტორმა სამივე ერთად გამოგვიძახა. აბაშიძეს უთხრა: შენ ცხადად მატყუილებ, ამიტომ შენი აღარაფერი მჯერა და შენ გიმნაზიის ატესტატს ვერ ეღირსებიო. მართლაც, არ გაათავებია გიმნაზია. აბაშიძე შემდეგ კლასიდანვე გამოვიდა, რადგან ამ ინციდენტის შემდეგ მასწავლებლები ჩაჯინებული იყვნენ მასზე, და პირდაპირ შევიდა სამხედრო სამსახურში. მე და ლორთქიფანიძეს გვითხრა: ნებადაურთველად სოფელში რატომ წახვედითო. კარცერში ჩაგვსვა ორ-ორი დღით და ხმელ პურზე დაგვტოვა. მაგრამ ნამდვილად ჩვენ იმ ორ

დღეს (კარცერში ცალ-ცალკე ვიჯექით, სხვადასხვა დროს, რადგან საკარცერო ერთადერთი იყო) ნამდვილ ნადიმობაში ვიყავით, რადგან ჩვენს ამხანაგებს პანსიონერებს ჩვენთვის რა გინდა არ მოჰქონდათ.

მეხუთე კლასში რომ ვიყავი, მოსამზადებელი კლასის მასწავლებელმა პეტროვმა ბიბლიოთეკა გახსნა გიმნაზიის შენობის პირდაპირ, გიმნაზიისავე ქუჩაზე. ამ ბიბლიოთეკამ ორ წელიწადს იარსება. ამ ხნის განმავლობაში იქიდან გამომქონდა წიგნები, რადგან სხვაგან ან სხვისგან არ იშოვებოდა. გიმნაზიას კარგი და ძვირფასი ბიბლიოთეკა ჰქონდა. მაგრამ იქედან წიგნებს არჩევით იძლეოდნენ. უნდა გეთხოვა კლასის დამრიგებლისათვის და შუამდგომლობას აღძრავდა, ვისთანაც ჯერ იყო, მერმე უკანასკნელი რუსულის იმ კლასის მასწავლებელს მიანდობდა, რომელშიც მოთხოვნილი იყო, რომ წიგნები არჩევით გაეცა მოთხოვნაზე. მეც ვითხოვე. ჩემმა რუსულის მასწავლებელმა ჩერნიკოვმა წიგნი მომცა, მომცა კი, მაგრამ მხოლოდ მაინ რიდი. ასეთი წიგნის წაკითხვა მე აღარ მაინტერესებდა. ერთხელ გამოვიტანე წიგნი, მერმე არც მიმიკითხავს. პეტროვის ბიბლიოთეკის მეშვეობით შევიძელი, გადამეკითხა მაშინდელი თითქმის მთელი რუსული სიტყვაკაზმული ლიტერატურა. ყველაზე უფრო დიდ სიამოვნებას მგვრიდა პუშკინი. მას გიმნაზიაშიც მასწავლიდნენ. ლერმონტოვის მხოლოდ ორიოდე ლექსი მასწავლეს. სჩანს, გიმნაზიისთვის იგი იმხანად საეჭვოდ იყო მიჩნეული. ტურგენევი კი ჩვენთვის აკრძალული სული იყო. არც ერთი ავტორი არ დამრჩენია წაუკითხავი. დოსტოევსკი, გონჩაროვი, ლევ ტოლსტოი, ალექსეი ტოლსტოი და სხვა. ჩემი მოსაწონი მწერლებია პუშკინი, ლერმონტოვი, ტურგენევი და ნეკრასოვი, ეს უკანასკნელი როგორც პოლიტიკური შინაარსის ლექსების მგოსანი. ახალ მწერალთა შორის კი მომწონს ჩეხოვი. ქართული ლიტერატურაც გადავიკითხე, რაც კი იმხანად იშოვებოდა ქუთაისში ან პეტროვის ბიბლიოთეკაში ან სანათხოვროდ კერძო პირისაგან. ძალიან მიტაცებდა ილია ჭავჭავაძის ლექსები და პოემები. უნდა ვაღიარო, რომ ხვალინდელი მოზარდი თაობა აზროვნებას შეაჩვია ილია ჭავჭავაძემ და მანვე აღუძრა საკაცობრიო და ეროვნული კეთილშობილური აზრები და ზრახვებიც. აკაკის ნაწერები იმხა-

ნად ცალკე გამოცემად არც კი მოიპოვებოდა. ამიტომ მას არ ვიცნობდი. გიმნაზიაში ყოფნის დროს უკანასკნელ წელს გამოვიდა აკაკის „თამარ ცბიერი“, რომელიც ისე მომეწონა, თავიდან ბოლომდი გავიზეპირე, ახლაც ზეპირად მახსოვს ვრცელი ადგილები.

შემდეგ, როცა „კვალის“ რედაქციაში ვმუშაობდი და იქ, ერთხელ აკაკის შევეკითხე, როგორ ფიქრობთ, „თამარ ცბიერი“ თქვენი სტილის, ერთი საუკეთესოგანია, თუ არათქო. აკაკიმ ეს დამიდასტურა და ამით ძალიან ნასიამოვნები დავრჩი, რადგან მეც ეს აზრი დიდი ხნიდან აკვიატებული მქონდა. თითქმის ამავე დროს გამოვიდა „თორნიკეც“. მახსოვს ერთი ჩემი ამხანაგი, გვარად იასონ ბაქრაძე, უარყოფითად უყურებდა ამ დიდებულ პოემას მხოლოდ იმ მოსაზრებით, რომ ცისკრის ვარსკვლავს ეთერს ადარებსო; ეს ხომ სისულელეაო! ეთერი მას ЭФІІР-ი ეგონა და არა ზღაპრის ქალი ეთერი. გიმნაზიას რომ ვათავებდი, სწორედ მაშინ გამოვიდა აკაკის რჩეული ლექსთა კრებული, კირილე ლორთქიფანიძის მიერ გამოცემული. ამ ლექსებს გავეცანი მხოლოდ უნივერსიტეტში პირველ კურსზე. გავიზეპირე, ისე მომთაფლა და მომაჯადოვა მისმა სინარნარემ და სიამტკბილობამ. სწორედ მას აქით მივიჩნიე აკაკი წერეთელი პოეზიის უალრეს მნათობად.

გიმნაზიის მეექვსე კლასში ცალკე წრე შევადგინეთ — მე, კოლია ნაკაშიძემ (ილიკო ნაკაშიძის უმცროსი ძმა), სერგო წერეთელმა (ვასილ წერეთლის ძმა) და სხვ. კოლია ნაკაშიძე იყო შვილი პეტრე ნაკაშიძისა, რომელსაც ილია ჭავჭავაძემ მიუძღვნა პოემა „დედა და შვილი“. პეტრე ნაკაშიძე სამოციანი წლების მოღვაწეებს ეკუთვნოდა. ქუთაისში მხოლოდ მიხა და კირილე ლორთქიფანიძეს ჰქონდათ მდიდარი ბიბლიოთეკა. კირილე ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკა ჩემთვის მიუწვდომელი იყო, რადგან არ ვიცნობდი და თან გაგონილი მქონდა, წიგნების მთხოვნელს სათოფედ არ მიუშვებდა. ამ ხასიათის შედეგია, რომ მან დიდად ძვირფასი ბიბლიოთეკა შემოინახა, უკლებლივ შეინარჩუნა და დაუტოვა ქუთაისის ეთნოგრაფიულ მუზეუმს. კოლია ნაკაშიძის მეშვეობით ხარბად ვსარგებლობდი მამამისის ბიბლიოთეკით. კო-

ლიას მოქონდა ჩემთვის ყოველთვიური რუსული ჟურნალი «Отечественные записки». ამ ბიბლიოთეკიდან გადავიკითხე ბელინსკი, დობროლიუბოვი, პისარევი, ჩერნიშევსკი. ვკითხულობდი მიხაილოვსკის სტატიებს. შემდეგ, იმავე ხანებში, ამის ნაწერები ცალკე ტომებადაც გამოვიდა (მგონია სულ ოთხი ტომი). ეს ტომები ვიყიდე და ვკითხულობდი. ამავე ბიბლიოთეკიდან წავიკითხე ბოკლი და დრეპერი. ავრიგად, პეტროვის ბიბლიოთეკის საშუალებითა და პეტრე ნაკაშიძის ბიბლიოთეკიდან გადავიკითხე მთელი რუსული სიტყვაკაზმული მწერლობა და უცხოური (დანტე, სერვანტესი, მილტონი, შილერი, ბალზაკი, ფირდოუსი („ათას ერთი ღამე") და გავეცანი მაშინდელ (მოწინავე პუბლიცისტებს), კრიტიკოსებსა და მოაზროვნეთ. ამავე ბიბლიოთეკიდან წავიკითხე ლუი ბლანის თხზულება — საფრანგეთის დიდი რევოლუციის ისტორიის ორი ტომი. მგონია, მაშინ ამის მეტი ტომი არ იყო გადმოთარგმნილი. აგრეთვე გერცენის ნაწერები. პეტროვის ბიბლიოთეკაში იმხანად მოიპოვებოდა სოციალიზმის შესახებ ერთადერთი წიგნი ლ. ვალეს თხზულება — Современный социализм-ი, რომელიც წავიკითხე. მახსოვს, რომ აქ შეტანილი იყო ნაპოლეონის სხარტული, მაგრამ ტლანქი. უხეში გამოთქმა კი — «Брюхо делает роволюцию» ამის მეტი ამ წიგნიდან არაფერიღა მახსოვს. გარდა ამისა, ცოდნას ვიძენდი იმ წიგნებიდანაც, რომელნიც ჩემ ძმას, რომანოზს, თბილისიდან ჩამოეტანა სოფელში. ზევით აღნიშნულ ავტორებს გიმნაზიის შემდეგ ხელმეორე წასაკითხად აღარ მოვბრუნებივარ. რაც მახსოვდა და მახსოვს. ის არის და ის.

1887—1888 წელს, შემოდგომაზე, გიმნაზიის მასწავლებელმა ლევონდოვსკიმ ბუნების მეცნიერების კურსები მოაწყო. ეს საგანი გიმნაზიაში მაშინ არ ისწავლებოდა. ამიტომ ამ კურსებზე, ვისაც სურდა, ის ესწრებოდა, ხოლო ლექტორის სასარგებლოდ განსაზღვრული სასწავლო ფული უნდა გადაეხადა. მეც ჩავეწერე და, სანამ ლექციები მიდიოდა, უკლებლივ დავდიოდი. გვიკითხავდა ბოტანიკას. პირველად ბევრი მსმენელი ჰყავდა, მაგრამ მერმე თანდათან შემცირდა. ბოლოს, როცა მსმენელთა რიცხვი ხუთამდე დავიდა,

ლექტორმა კურსები დახურა. ძალიან მეწყინა.

კოტე მესხმა ქუთაისში მოაწყო დრამატული დასი. ყოველ ორ კვირაში ერთხელ დრამასა და სხვა პიესას დგამდა. გიმნაზიელებს განსაკუთრებული ნებართვა უნდა მიგვეღო, რომ თეატრში შევსულიყავით. ჩემთვის როცა კი მსურდა არასოდეს უარი არ უთქვამთ, რადგან კარგად ესწავლობდი. აღტაცებული და გატაცებული ვიყავი კოტე მესხისა და მისი დის ეფემიას თამაშობით. როცა გამოვიწვევედით, სკამებს ვაბრაგუნებდით, და რაც ძალი და ღონე გვქონდა, ეყვიროდით. მე ასეთ უხიაგ საქციელში მონაწილეობას არ ვიღებდი. გამოწვევით კი გამოვიწვევდი ხოლმე თითქმის ყოველ აქტის შემდეგ. ამ მხრით ნიკო თავდვირიძე იყო მეტად ზომას გადასული. თავშეკავება არ იცოდა. პიესის დამთავრების შემდეგ კი ჩვენს გამოძახებას დასასრული არ ჰქონდა. იმხანად ცალკე წიგნად გამოვიდა აკაკის „თამარ ცბიერი". კოტე მესხმა იგი დადგა. გოჩას როლს თვითონ კოტე თამაშობდა. ძალიან მომწონდა კოტეს თამაში. მაგრამ იმავე დროს ქუთაისში ჩამოვიდა რუსული დასი. დადგეს რამდენიმე, ძალიან კარგი შინაარსის პიესა. ამ დასში მონაწილეობას იღებდა ლადო მესხიშვილიც. ჩემს აღტაცებას საზღვარი არა ჰქონდა, ისე ნარნარი და მშვენიერი იყო ყოველი მის მიერ შესრულებული როლი. ჩემთვის ამ პირობებში (ლადო რუსულ პიესებში გამოდიოდა, კოტე მესხი კი ქართულში) შეუძლებელი იყო შემედარებინა მისი და კოტეს თამაში, თუმცა ლადოს მიერ რუსულ ენაზე ჩატარებული ჰამლეტი და კოტეს მიერ შესრულებული ქართულ ენაზე ჰამლეტი სრულებით განსხვავებული იყო, ერთი მეორეს არა ჰგავდა. მაგრამ, როცა ლადომ ითამაშა გოჩას როლი, მაშინ ჩემთვის ნათელი შეიქნა ლადოს დიდი ნიჭი. იმ დღიდან კოტე მესხის თამაშს ველარ ვიტანდი, აღარ მომწონდა, გარდა ნაპოლეონის როლისა. იმხანად ამბობდნენ, რომ ლადომ ქართული ენა არ იცისო და „თამარ ცბიერის" ტექსტი რუსული ასოებით ჰქონდა დაწერილიო. იმ დღიდან შემძულდა კოტე, ლადო კი შემიყვარდა. მე დღესაც ასე მგონია და ვფიქრობ, რომ ჩვენს თეატრს ჰყავდა მხოლოდ სამი თვალსაჩინო და წარჩინებული არტისტი: ლადო მესხიშვილი, ვასო აბაშიძე და ნი-

ნო ჩხეიძე-ქორიძისა. საფაროვის შესახებ ვერაფერს ვერ ვიტყვი, რადგან სანამ იგი ჯანსაღი იყო, მე არ მომისმენია. ძალიან შეწუხებული ვარ, რომ ლადოს უკანასკნელი თხოვნა ვერ შევუსრულე. აი, რა: ერთ ზაფხულს თბილისში, მიხეილის (ახლა პლეხანოვის) გამზირზე საზაფხულო სასადილო ბაღში ვსადილობდით მე, გიორგი ლასხიშვილი და მეჭი ფაღავა. ამ დროს ჩვენს გვერდით მაგიდა დაიჭირა ლადომ და მისმა მეუღლემ. ცოტა ხნის შემდეგ თვალცრემლიანი ლადო მოგვიბრუნდა მე და გიორგი ლასხიშვილს და გვითხრა: ჩემს საყვარელ საშშობლოს ვტოვებ ლუკმაპურისთვის, მივდივარ მოსკოვში, მიზეზი ის არის, რომ აქ ქართული დრამატული საზოგადოების ვერც ერთ გამგეობას ვერ შევუთანხმდი, რადგან ძალიან მცირეს იძლევიან და იმასაც ფრიად დამამცირებელი პირობით; ამიტომ ორივეს ვთხოვთ, დამავალეთ, გაეცანით იმ პირობას, რომელსაც მე მიწერს ქუთაისის დრამატული საზოგადოების გამგეობა, და იმ პირობას, რომელსაც მას ვაძლევ; თუ დაინახავთ, რომ ჩემი პირობა საზოგადოებისათვის სამძიმოა და გამამტყუნებთ, მე ჯერს ვიქნები და თქვენს გადაწყვეტილებას დავემორჩილები: თუ გამგეობა იქნება გასამტყუნარი და მას ჩემ პირობაზე დააჯერებთ, დაიყაბულებთ, გარწმუნებთ, ფიცხლავ გადმოვფრინდები. თქვენი გამოძახილი და ვეღარავითარი ძალა მოსკოვში ვერ დამტოვებსო. ლადოს ეს დავალება ვერ შეესრულე. გიორგი ლასხიშვილს, როცა კი ქუთაისში ჩამოვიდოდა და იმჟამად მართლაც ხშირად ჩამოდიოდა, რამდენჯერმე მოვაგონე ლადოს დავალება. გიორგი ლასხიშვილმა არ მოისურვა, მე კი მარტო ვერ ვიკისრე.

მეშვიდე კლასში ვიყავი. მოწაფეთა ერთმა ჯგუფმა გამოსცა ხელნაწერი ჟურნალი „განთიადი". სულ, მგონია, ოთხი ნომერი გამოვიდა. დღესაც ნამდვილი არ ვიცი, თუ ვინ იღებდა მონაწილეობას ამ ჟურნალში. მგონია კი, რომ სხვებთან ერთად მონაწილეობდა კიტა აბაშიძე. კიტა პანსიონერი იყო, სხვებიც, რადგან ჟურნალი პანსიონერთა ინიციატივით გამოიცა. ამ ჟურნალის ოთხივე ნომერი გავარჩიე და ცალკე რვეული გამოვუშვი მოწაფეთა შორის გასავრცელებლად. ეს იყო ჩემი მეორე ნაწერი. რამდენადაც მახსოვს, ბევრს მოე-

წონა. ამ მოწონების შედეგი იყო, მე ასე მეგონა და ვგრძნობდი იმ დროს, რომ სწორედ ამის შემდეგ კიტა დამიახლოვდა. აქამდე ლექსებს ვწერდი, ასეთი ლექსების მთელი დიდი რვეულიც კი მქონდა. მაგრამ ის რვეული დავწვი, რადგან შემდეგ ძალიან უვარგისად მეჩვენა. ამ ლექსებიდან ახლა მხოლოდ ერთი ლექსის ერთი ტაეპიღა მახსოვს:

ყველა ამბობს, კარგი ვარ,
მშვენიერი, ზორბა ვარ...
ტანად კანტო მოსული,
ბეკებში სქელი ვარ
და, რად უნდა ამას თქმა,
საჰელმწიფო კაცი ვარ!

ეს ლექსი მათქმევინა ალექსანდრე მესამის სურათმა. რომელიც მაშინ გავრცელებული იყო. ამ სურათზე აღბეჭდილი იყო ახმახი, უზარმაზარი კაცი, რომელიც საღებავებით ძალზე შეზავებული და შელამაზებული იყო, მაგრამ რომლის თვალებში სრულებით არა სჩანდა, არ გამოკიაფებდა ადამიანის ჭკუის სიმახვილე და გამჭრიახობა. ეს იყო მხოლოდ დიდი ლეში...

1888 წლიდან შემოდგომაზე ქუთაისში დაბინავდა ვასილ წერეთელი. იგი ოდესის' უნივერსიტეტში ბუნებისმეტყველების ფაკულტეტზე სწავლობდა. იგი დაახლოებული იყო ჩემ ძმასთან რომანოზთან, რომელიც ამავე ხანებში ოდესაში იყო, მსახურობდა ჯორჯაძის ღვინის სარდაფში და თან უნივერსიტეტის სალიტერატურო ფაკულტეტის თავისუფალ მსმენელად ითვლებოდა. ეს მოუხერხა ვასილ პეტრიაშვილმა და მის დაუხმარებლად ჩემ ძმას, რასაკვირველია, თავისუფალ მსმენელად არ დაუშვებდნენ. რადგან სემინარიიდან მგლის ბილეთით გამოისტუმრეს და ყოფაქცევაშიც სამიანი ჰქონდა. ვასილ წერეთელი მესამე კურსიდან დაითხოვეს და საქართველოში გადმოასახლეს, ვინაიდან მას მხურვალე მონაწილეობა მიეღო სტუდენტთა მაშინდელ მანიფესტაციაში და ამასთანავე თურმე ჰორტის მუშებს უკითხავდა ლექციებს პოლიტიკური ეკონომიიდან, აცნობდა მუშებს მარქსისა და ლასალის მოძღვრებას, ამათ შორის ავრცელებდა იმ ლითოგრაფიულ ფურცლებს, რომელთაც მას აწვდიდა ის წრე, რო-

მელიც საზღვარგარეთიდან უშუალოდ იღებდა ამ არალეგალურ ლიტერატურას. ეს ყოველივე გადმომცა ჩემმა ძმამ რომანოზმა. ვასილ წერეთელი ჩემი თხოვნით გვიკითხავდა ლექციებს პოლიტიკური ეკონომიიდან ჩემ ბინაზე, თბილისის ქუჩის პირველ შესახვევში, ფირალოვის თამბაქოს ფაბრიკის უკან. ჩვენს ჯგუფს შეადგენდა — მე, ვალოდია ლორთქიფანიძე, ეპიფანე შენგელია (ექიმი), რომელიც იმავე სახლში ჩემ გვერდით ოთახში ცხოვრობდა, და ლუზინი. ლორთქიფანიძე და ლუზინი გიმნაზიის მეოთხე კლასში იყვნენ, შენგელია კი მეხუთეში. ლუზინი ძალიან ცოცხალი, მკვირცხლი და ნიჭიერი ყმაწვილი იყო. გიმნაზიაში კურსის დამთავრების შემდეგ თვალთაგან დამეკარგა, არ ვიცი, რა ბედი ეწია. ვიცოდი კი, რომ იგი იყო თბილისის მუშათა ორგანიზაციის წევრი. ვალოდია ლორთქიფანიძე ნიჭიერი და წარმტაცი გრძნობის ადამიანი იყო. მან დაასრულა ოდესის უნივერსიტეტის ისტორიულ-ფილოლოგიური ფაკულტეტი. შემდეგ წავიდა გერმანიაში და გერმანული ენა შეისწავლა. გერმანულიდან გადმოთარგმნილი აქვს რომისა და საბერძნეთის ძველი ისტორია და უნდა ვთქვა, მშვენიერი ენით აქვს ნათარგმნი. იგი მასწავლებლობდა თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიაში. ამავე დროს მხურვალე მონაწილეობას იღებდა „ცნობის ფურცელში“. იგი უდროოდ გარდაიცვალა 1909 წ. აბასთუმანში, ჭლექით.

ვასილ წერეთელი ლექციებს გვიკითხავდა შაბათობით, საღამოს. თუ ლექცია გვიან გაგვითავდებოდა, მაშინ ლორთქიფანიძე და ლუზინი ჩემსას რჩებოდნენ, რადგან ესენი პანსიონერები იყვნენ და პანსიონში გვიან შესვლა არ შეიძლებოდა. ერთ შაბათ საღამოს, ნაშუალამევის ორ საათზე. ჩემთან შემოვიდნენ კლასის დამრიგებელი კინშინი და მეთვალყურე გუსევი. ლექცია გვიან დამთავრდა. ლექციამ გამიტაცა და ძილი აღარ მომეკარა. ამიტომ ფიზიკას მივუჯექი. ბედზე, ლორთქიფანიძე და ლუზინი იმ ღამეს ჩემთან არ დარჩენილან. კინშინისა და გუსევის ამ დროს შემოსვლა იმის ცხადი მანიშნებელი იყო, რომ ვიღაცა გვითვალთვალებდა, გვზვერავდა, და ეიდევაც დაგვაბეზღა. ბედზე სრულებით, წესიერ მდგომარეობაში დამინახეს და სახტად დარჩნენ. ხოლო გუსევმა

თაროზე ჩემი წიგნები დაათვალიერა ვითომ ისე, სხვათა შორის. ცხადი იყო, რომ რაღაცას ეძებდა. წიგნებს შორის შეამჩნია მიხაელოვსკის თხზულებანი. აიღო და მთხოვა: მაიხოვე ეს წიგნები, წავიკითხავ და დაგიბრუნებო; მიხაელოვსკი ჩემი ნაამხანაგარია; ძალიან სასიამოვნოა, რომ მწერალი ყოფილა. მაინტერესებს გავიგო, რასა სწერსო. ჩემთვის იმავე წუთში აშკარა იყო, რომ ცხად ტყუილს მეუბნებოდა. მაგრამ ასეთ პირობებში უარს ხომ ვერ ვეტყოდი? მეორე, მესამე დღეს ეს წიგნები პედაგოგიური საბჭოსთვის წარედგინათ და ორივე თურმე დაჟინებით მოითხოვდა, რომ საბჭოს ჩემ წინააღმდეგ გადამწყვეტი ზომები მიეღო, ე. ი. გიმნაზიიდგან გამოვერიცხე. მაგრამ დირექტორმა სტოიანოვმა ბრძანების კილოთი თურმე განაცხადა: სისულელე იქნება, მხოლოდ ამისათვის რაიმე ზიანი მივაყენოთ ფანცხავასო; წიგნი აკრძალული არ არის, ცენზორის მიერ ნებადართულიაო. ეს ყოველივე მე გადმომცა სიმონ ღოღობერიძემ, რომელიც ჩვენი მასწავლებელი იყო და მეექვსე კლასიდან მსოფლიო ისტორიას გვასწავლიდა. ეს რომ გადმომცა, თან გამაფრთხილა — წინდახედულად იყავიო. რამდენიმე კვირის შემდეგ გუსევმა წიგნები დამიბრუნა. ამ მოთხრობიდან ცხადია, რომ იმხანად უკვე ვიცნობდი მარქსის მოძღვრების ძირითად დებულებებს, ვიცოდი, რომ გერმანიის რაიხსტაგში იყვნენ სოციალ-დემოკრატი დეპუტატები. ჩემმა ძმამ ოდესიდან ბევრი ლითოგრაფიული ფურცელი ჩამოიტანა, სადაც განმარტებული იყო მარქსის დებულებანი, გამოცემული შრომის განთავისუფლების ჯგუფის მიერ. ფილიპე მახარაძე კი თავის მოგონებაში აღნიშნავს, რომ ამან პირველად ახოლოდ 1893 წლის შემოდგომაზე გაიგო, როცა თბილისიდან ვარშავაში მივიდა საბეითლო ინსტიტუტში, რომ გერმანიაში არსებობდა სოციალ-დემოკრატიული პარტია, რომლის დეპუტატები რაიხსტაგში იყვნენ და ისიც, რომ მარქსი ეკონომისტი იყოო.

კლასის დამრიგებლისა და მეთვალყურის უდროო დროს მოსვლამ, როგორც აღვნიშნე, ზიანი ვერ მომიტანა, მაგრამ უსიამოვნება კი. ამ გარემოებით ისარგებლა ინსპექტორმა ჩეიბიმმა, მან დაიჯერა ჩემი ურწმუნობა და ამი-

ხირდა. მაიძულა გიმნაზიის ტაძარში ყოველ შაბათს საღამოს ლოცვას, ხოლო კვირაობით წირვას დავსწრებოდი და თავიდან ბოლომდე მომესმინა ეს აბდაუბდა. ეს ჩემთვის წამება იყო, რადგან ლოცვა-წირვის არაფერი მწამდა. ამიტომ ყურს არც ვუგდებდი. ფიქრებში გართული, ფეხებზე მდგომი ვატარებდი ამ ტანჯვის დროს და თან ნელი ხმით ვლიღინებდი, რომ ჩემი თავი ჩემდა თავად გამერთო. ერთხელ ასეთ მდგომარეობაში მომეპარა ჩეიბიმი და მითხრა, უთხარი წინ მდგომებს, ნუ ღიღინებენო. კარგად მიეხვდი, ვის ბალშიც კენჭებს ისროდა, სწორედ ამიტომაც ადგილიდან ფეხიც არ დამიძრავს. ლოცვასა და წირვაზე თუ არ გამოცხადდებოდი, მეორე დღეს გამომიძახებდა, დამტუქსავდა და გამაფრთხილებდა.

1889 წ. ივნისში გიმნაზია გავათავე და იმავე წლის სექტემბერში შევედი ნოეოროსიისკის (ოდესის) უნივერსიტეტში ფიზიკისა და მათემატიკის ფაკულტეტის ბუნებისმეტყველების განყოფილებაზე.

მინდა, გავიხსენო ერთი ინციდენტი, რომელიც გამოსაშვებ გამოცდებზე მოხდა. რუსულ წერაში თემად მოგვცეს მდინარე ვოლგის ეკონომიური, გეოგრაფიული და ისტორიული მნიშვნელობა. ვინც როგორ შევიძელით, დავწერეთ. გ. ბადრიძესა და გ. გველესიანს მოეხერხებიათ და მიეღოთ ეს თემა წინდაწინ დაწერილი. ჯერ გრ. გველესიანს გადაეწერა პირწმინდად, მერმე კი გ. ბადრიძეს (ექიმი) პირწმინდადვე. უნდა აღვნიშნო, რომ გრ. გველესიანის უფროსი ძმა, ზურაბი, ასეთი თემების ერთგული შემნახველი იყო. მას მთელი ტომარა ჰქონდა ასეთი თემებით სავსე. იგი ტომარა თავმოკრული, დაცული და შენახული ჰქონდა. ამ ტომარაში ჩაყრილი იყო ყოველი თემა, რომელიც კი ათადან-ბაბადან იწერებოდა გიმნაზიაში კურსის დამთავრების დროს. ინახავდა, რასაკვირველია, საუკეთესოდ დაწერილ თემას. აი, ამ ზურაბს მოუხერხებია, რომ ძმისთვის ეს თემა შეეგზავნა. ამას რომ გადმოეწერა, მერმე ბადრიძისათვის გადაეცა, რადგან ეს უკანასკნელი თვალებით საწყლად ეკვედრებოდა — მიშველე, ჯერ ერთი პწკარიც არ დამიწერია. ვიღუპებიო. ბადრიძესაც თემა პირწმინდად გადაეწერა. წერტილი რა არის, ისიც კი ისე

აღენიშნათ. როგორც ხელნაწერში ყოფილა. შეუტყვეს. გამოიძახეს. დაკითხეს. თავი იმართლეს: ჩვენ გიმნაზიის მეხუთე კლასიდან ერთად მოვდივართ, გაკვეთილებს ერთად ვსწავლობთ, ამიტომაც, უეჭველია, ერთნაირადვე დავსჯერდითო, ვამოუცხადეს — შემდეგ საგნებში, თუნდაც ერთმანეთს თუ ჩაიჭერით, ატესტატს ვეღარ მიიღებთო. გადარჩნენ.

გიმნაზიაში. პირველიდან მეექვსემდე ორ-ორი კლასი იყო, მეექვსე და მეშვიდე კი თითო-თითო. ამიტომ მეექვსე კლასში ჩვენ ვიყავით 40 მოწაფემდე. და ამდენი მოწაფიდან რვა კლასი გავთავეთ, მგონია, სულ თვრამეტამდე ყმაწვილმა. სხვა დანარჩენი კი ან გაირიცხა და გიმნაზიას მოშორდა ან ჩამორჩა და შემდეგ წლებში დაამთავრა. ჩემთან ერთად გიმნაზიის რვა კლასი დაასრულეს: კიტა (ივანე) აბაშიძე, იასონ ბაკრაძე, გრ. გველესიანი, გიორგი თუმანიშვილი (ინჟინერი, რომელიც მუშაობდა ხაშურ-ბორჯომის რკინიგზის შტოს გაყვანაზე), გ. ბადრიძე (ექიმი), ნიკო შენგელია (ექიმი), ვლასა გაბუნია (ექიმი), ალ. მიქაბერიძე (მასწავლებელი, ტროადის მთარგმნელი), სამი სომეხი — ალავერდოვი, ყაითმაზოვი და სუბაზოვი და ხუთი რუსი — იანოვსკი, პუგარევი, სევერინი და სხვა.

ბერძნული ენის სწავლება გიმნაზიის მესამე კლასიდან იწყებოდა. გვასწავლიდა თვითონ დირექტორი სტოიანოვი. შემდეგ, მეხუთე კლასში სტოიანოვივე გვასწავლიდა მსოფლიო ისტორიას — საბერძნეთისა და რომისას. სახელმძღვანელოდ მაშინ მიჩენილი იყო ილოვაისკის უბადრუკი წიგნაკი. მე კი შემოხვევით ვიშოვე და შევიძინე შულგინის ისტორია ძველი და ახალი დროისა. მე მხოლოდ ამ წიგნით გავდიოდი, ვსწავლობდი გაკვეთილებს, ილოვაისკის კი ისე ზეპირად გადავათვალიერებდი, რომ მცოდნოდა მის ბიჭი ნაჩუენები ქრონოლოგია (სტოიანოვი უმთავრეს ყურადღებას აქცევდა კულტურულ ყოფა-ცხოვრებას საზოგადოებრივობისას, და მოსწავლისაგანაც ამასვე მოითხოვდა). ილოვაისკის წიგნში კი ესე ყოველი ან სრულებით ნახსენები არ იყო, ან ისე, კანტიკუნტად, გაკვრით იხსენიებოდა. ამ ორსავე საგანს, რომელსაც სტოიანოვი გვასწავლიდა, რომ კარგადა და შეგნებულად ვსწავლობდი, სწორედ ამიტომაც სტოიანო-

ვი პატივისცემით მეპყრობოდა, და მგონია, ამის ბრალია, რომ ორჯერ გარიცხვისაგან მიხსნა, როგორც ეს ზევით მაქვს აღნიშნული. თვით სტოიანოვი დიდად განვითარებული პიროვნება იყო. იგი ნამდვილი წმინდა წყლის ლიბერალი იყო.

მახსოვს ასეთი შემთხვევა. ბევრი გიმნაზიელი შემჩნეული იქნა, რომ უწესოდ იქცეოდა ქუჩაში ნაშუალამემდე დაკიალობდა და უსნეო ცხოვრებას ეწეოდა. ამის ამოსაფხვრელად დირექტორმა სტოიანოვმა მოიწვია მშობელთა წრის თათბირი. ამ თათბირზე სხვათა შორის დაესწრო პავლე თუნანიშვილი. იგი იმჟამად ქუთაისის საურთიერთო ნდობის ბანკის გამგეობის თავმჯდომარე იყო და თავი დიდ საზოგადო მოღვაწედ მიაჩნდა. თათბირზე თურმე განაცხადა: — ჩვენ, მშობლებს, არ შეგვიძლია, გავასწოროთ ჩვენი შვილები, რადგან გიმნაზია ავსებული გყავთ მეეტლეებისა, ნალბანდებისა, თერძებისა, მენალეებისა და მეჩექმეების, წვრილვაჭრებისა, შინამრეწველებისა და სხვათა დაბალი წოდების შვილებითო. ეს უკანასკნელნი გაუთლელი, ზრდილობას მოკლებულნი და ყოველგვარ უზნეობას შეჩვეულნი, ჩვენს შვილებსაც რყვნიან და ათასგვარ უზნეობას ასწავლიანო. აბატომ უნდა ვითხოვოთ, რომ გიმნაზიაში მიღებული იქნეს მხოლოდ თავად-აზნაურთა და დიდი ხელისუფლების პირთა შვილები. დაბალი წოდების შვილებისთვის კი სრულებით საკმარისი იქნება არასრული ორკლასიანი საქალაქო და სამონასტრო სკოლებიო... ასეთი გავლენიანი პირის ამგვარ განცხადებას სტოიანოვი გაებრაზებია და მას მთელი თავისი სისასტიკით და მოურიდებლობით დაეტუქსა თუმანოვი: სამოციანი წლების მონაპოვარი მხოლოდ ესღა არის, რომ სწავლას არ უშლიან დაბალი წოდების შვილებს, თუკი მოახერხებენ და ნიჭსაც გამოიჩენენ; თქვენ კი გსურთ ეს მოსპოთ და უარჰყოთ?! ასე მკვახედ მიახალა თ. თუმანოვს, რომლის რეაქციონურმა, არათუ რეაქციონურმა, არამედ ცხადად და აშკარად კონტრრევოლუციონურმა განცხადებამ შეურაცხჰყო სტოიანოვში ღრმად გამჯდარი ნამდვილი ლიბერალური სულისკვეთება. ამის შემდეგ სტოიანოვს მშობელთა წრე არც კი მოუწვევია.

ბერძნულსა და ლათინურს მეხუთე კლასიდან კვირაში

თითოეულს ცხრა-ცხრა გაკვეთილი ჰქონდა განკუთვნილი. ამას ჩვენი მეცადინეობის თითქმის მთელი დრო უნდებოდა. შედეგი ის იყო, რომ ჰეროდოტეს ისტორიას და იულიუს კეისრისა და სალიუსტის ისტორიას დედანში ისე ვკითხულობდით, როგორც რუსულ წიგნებს. შეიძლება მთელ კაპიტალონზე ერთი უცნობი ან გაუგებარი სიტყვა შეხვედროდა. აი, ასე გვიჩლუნგავდნენ გონებას! ეს კი გაუგებარი იყო თვით იმ პოლიტიკის მიხედვით, რომელსაც თვითმპყრობელობა იმჟამად აწარმოებდა იმპერიის განაპირა ქვეყნებში. ჩვენ ინოროდცები ვიყავით, მართებლობას ჩვენი გარუსება უნდოდა და ამავე დროს რუსული ენის გაკვეთილზე კვირაში მხოლოდ ოთხსა თუ სამ საათს უთმობდა, ქართული ენის ჭაჭანება კი, სწორედ ამ მიზნით. არც ერთ კლასში არ იყო. თუ მაინცდამაინც რუსეთში შეიძლებოდა კლასიციზმის ასეთი გატარება, მაშინ ყოველად გაუგებარი იყო მართებლობის ასეთი სიმხეცე და ბოროტება!..

მეორე მასწავლებელი, რომელიც უნდა გავიხსენო, იყო იურკევსკი. ეს უკანასკნელი უკრაინელი მალოროსი იყო. უკრაინელი აქცენტი ძალზე ემჩნეოდა. ეს კი ჩვენთვის სასიამოვნო იყო, რადგან აქცენტის გასწორებას, აბა, როგორღა გაგვიბედავდა. რუსულს გვასწავლიდა მეხუთე კლასიდან. მოუმზადებელი იყო. როცა რომელიმე ავტორს გვიხსნიდა, სიტყვიერების რომელიმე თეორიას განგვიმარტავდა, მას ამ დროს ხუთი ან უფრო მეტი სახელმძღვანელო ჰქონდა კათედრაზე გაშლილი. კათედრაზე ინდაურივით გადაფაფრული ყოველი სასელმძღვანელოდან პწკარ-პწკარად აკოწიწებდა ფრაზას. ამიტომ მის მიერ რაიმეს ახსნა ახსნა კი არ იყო, არამედ გამოფიტული ფრაზების რახარუჩი. მან თითქმის მთელი დრო მოანდომა ძველი სიტყვიერების გავლას. როგორც იყო, მერვე კლასში გოგოლამდე მიგვაწევია. თემად მოგვცა პლუშკინი და კარობოჩკა. ჩვენც მოვამზადეთ ისე, რომ ამ ტიპების მთელი ნიშანდობლივი თვისების გადმოცემა შევეძლო და ჩვენი სიტყვებით მოყოლა. ეს მას როდი მოეწონა. იმ დღეს თითქმის ყველა გამოგვიძახა და ყველას, გარდა ერთისა, ერთი ნიშანი ერთი ჩაგვიწერა დავთარში, ამ მოწაფეს კი მოუწონა და ნიშანი ხუთი ჩაუწერა.

მესამე მასწავლებელი იყო ნარბუტი. იგი ფრანგულს გვასწავლიდა, ნამდვილად კი ლინგვისტიკას. მისი გაკვეთილი ყოველთვის მეხუთე ე. ი. სულ უკანასკნელი იყო. ვინაიდან ფრანგულს გიმნაზიაში ზერელე ყურადღება ექცეოდა. ძალიან უყვარდა ცოდნით თავის გამოჩენა თუ ამას მისი ბუნება მოითხოვდა, სხვადასხვა უცხოურ სიტყვების შესახებ მთელსა და ვრცელ ლექციას წაგვიკითხავდა. ამ მხრით იგი, მართლაც დაუზარებელი იყო და პატივსაცემი. ეს სუსტი მხარე შეეუტყვეთ. ამიტომ მოწაფეებს როლი განაწილებული გექონდა. შემოვიდოდა თუ არა და დააპირებდა თუ არა ფრანგული ენის სწავლებას ან გაკვეთილის წაკითხვას, ერთი რომელიმე მოწაფე თავჩაქინდრული, ძალზედ დაღონებული წამოდგებოდა და განუცხადებდა: ბატონო მასწავლებელო! ესა და ეს სიტყვა შემხვდა ამა და ამ წიგნში და ამ სიტყვის ანრი და მნიშვნელობა ვერ გავიგეო. ასეთი განცხადება სრულებით საკმარისი იყო, რომ ნარბუტს, ჩვენ ანკეტზე მთელი ლაყუჩით ჩამოკიდებულს, საღერღელი აშლოდა და მოყვებოდა... სიტყვას სულ ღდინამდე ჩაყვებოდა, ჩაუკირკიტებდა. თუ ეს ერთი სიტყვა არ იკმარებდა გაკვეთილის გასაცდენად, მეორე სიტყვაც მყისვე წამოიჭრებოდა. წლიური სწავლის მთელი დროის თითქმის სამი მეოთხედი ამას უნდებოდა. მხოლოდ მაშინ მოაგონდებოდა, რომ ფრანგული ენის მასწავლებელი იყო. ამიტომ დაკარგული დროის ასანაზღაურებლად, იგი ფრანგულ ფრაზებს დაფაზე დასწერდა, ჩვენ კი ეს ჩვენ-ჩვენს რვეულებში უნდა ჩაგვეწერა სისწორითა და უცვლელად. არც მეტი, არც ნაკლები. ეს იყო და ეს ფრანგული ენის სწავლება ნარბუტის მიერ!.. მერვესა და მეოთხე კლასში ფრანგულს გვასწავლიდა ტიმოჩენკოს ქალი. იგი ნარბუტს არ ჰგავდა. ამ ხნის განმავლობაში ისე გაგვწვრთნა, რომ, მე, რომელმაც მესამე კლასში ფრანგულის ორიოდე სიტყვის მეტი არაფერი ვიცოდი, მეოთხე კლასში უკვე ისე შევისწავლე, რომ თვითონ ტიმოჩენკოს ქალი მაძლევდა სხვადასხვა წიგნებს წასაკითხად, უმთავრესად მითოლოგიისას. მეხუთე კლასიდან კი ნარბუტმა ეს ხალისი მომისპო. შემდეგ ეს დანაკლისი უნივერსიტეტში შევივსე, მაგრამ დიდი ჯაფა კი დამჭირდა. იძულებული ვიყავი ფრანგული შემესწავლა.

ჩვენ ვიყავით უცხო ხეარეს
ოავმოყრილი ერთად, სრულ-ად,
ვამზადებდით ქვეყნისათვის
თავს მოწამედ, მოკიკულად.

ა ვ ა ვ ი.

როგორც ზევით აღვნიშნე, გიმხაზია დავასრულე 1889 წ. ივნისში. მამაჩემმა ზაფხულში ღვინო გაყიდა, თხუთმეტი თუმანი შემოგროვა. ამ ფულით უნდა შემეკერა ფორმის ტანსაცმელი, მაშინ უამისობა არ შეიძლებოდა. ამ ფულითვე უნდა დამეფარა სამგზავრო ხარჯი და საში თვე ოდესაში მეცხოვრა. საზამთრო პალტოს ფული აღარ იყო. ეს ფული ჩემ ძმას რომანოზს უნდა გამოეგზავნა ოქტომბერში. მანაჩუქა რვა თუმანი ისესხა ჩემთვის გადმოსაცემად. მაგრამ ეს ფული რომანოზმა წაიღო თავისი საჭიროებისათვის და განაცხადა, რომ ამ ფულს მე გადვუგზავნი იაკობსო. რომანოზმა ეს ფული და კიდევ სხვა ფული თბილისში წაიღო და იქ ჩარკვიანს შეუამხანაგდა წიგნის მაღაზიაში. ეგონა, ეს ბარაქასა და დიდ მოგებას მისცემდა. ნამდვილად კი წასაგები საქმე შეიქნა. მერმე გაზ. „თეატრის“ გამოცემა დაიწყო, მაგრამ არც ამან მისცა ხეირი. ამიტომ 1891 წლიდან საფილოქსერო პარტიას თავი შეაფარა.

აგვისტოს ბოლო რიცხვებში სოფლიდან ოდესისაკენ გავემგზავრე. აქამდე ქუთაისის მეტი არც ერთი ქალაქი არ მენახა. რასაკვირველია, ჩემი უკიდურესი ხელმოკლეობის გამო, თორემ, იცოცხლე, დიდი სურვილი მქონდა. ბათუმი პირველად ვნახე. მისმა ბუნებრივმა მშვენიერებამ და საუცხოო ბულვარმა გამაოცა. ჩემი ყურადღება მიიქცია აგრეთვე მისმა სწორმა; პირდაპირმა, მოკირწყლულმა ქუჩებმა. მაგრამ უსაზღვროდ გამაოცა ლურჯმა უკიდეგანო ზღვამ. ნავსადგურში რამდენიმე დიდი თბომავალი იდგა. აქეთ-იქით ზღვის პირზე იალქნიანი ბარკასები დასრიალობდენ. ერთი იალქნიანი ბარკასი კი შორს ტატნობის კიდურზე ჩანდა. ამ ახალი სანახაობებით გაოგნებული შევიქენი, იმავე დღეს

თბომავალში ჩავჯექი და ოდესისკენ გავემგზავრე. გემი ზღვაში მსრიალებდა. უკან, დიდ მანძილზე, მთელ გზას, ფართო შარას სტოვებდა. თბომავალის ორსავე მხარეზე ზღვის ღორები დაედევნენ ჩვენს თბომავალს, თითქოს ყაჩაღები იყვნენ და სურთ ჩვენი მგზავრების გაცარცვა. ხანდახან აქა-იქ ამოყვინთავდნენ და ცხვირიდან მაღალ შადრევანს ამოასხამდნენ. ზღვის პირს ზოლად მშვენიერი, უღრანი და უტეხი ტყეებია და ფერდობებად დაკიდებული, იმ ფერდობებით, რომელიც თითქოს ვეებერთელა უცხო ქსოვილის ნოხიაო, მაზე გამოფენილიყო. ზევით კი, ჩანდა თავზე ქობად გაყოლებული თოვლიან-ყინულიანი მთებზე შემდგარი ცისა და ქვეყნის შუა დაკიდული, ცაში ატყორცნილი, მარადის გაბრწყინებული და გაკიაფებული ორთავიანი იალბუზი, რომელიც ნამდვილ უნაგირს ჰგავდა. ამიტომ ამ მთას ადგილობრივი მცხოვრებლები უნაგირას უწოდებენ. გავშორდით კოლხიდას, ნოვოროსიისკის შემდეგ ნაპირი ზღვას გასდევდა, რაც მე ძალიან მაკვირვებდა... ერთხელ, ჩვენსას, ჩემ პატარაობისას, მოვიდა ასე წოდებული მოძღვართ მოძღვარი მღვდელი, ე. ი ამის მოვალეობას შეადგენდა ეზიარებია მხოლოდ მღვდლები... აი ამ მოძღვართ მოძღვარმა დედაჩემს უთხრა, თუ მართლაც გსურს ღვთაება ბეჯითად იწამო, უნდა ფოთში ჩახვიდე და ნახო, ზღვა ნაპირთან არის გათანასწორებული და გასაკვირველია, რომ ზღვა, რომელიც მუდამ დაუწყნარებელი და აბობოქრებულია, ნაპირზე არ გადმოდის და იმ არემარეს არ წალეკავსო. სწორედ ეს მომაგონდა, როცა ყამირის ნაპირების გასწვრივ მივდიოდით. ნოვოროსიისკამდე შავი ზღვა ჰგავს უფრო დიდ ტბას, რომელსაც სამი მხრიდან მაღალი კედელი და ნაპირი აქვს. აქ კი ნაპირი და წყლის ზედაპირი სიფრიფანა ერთს ჰორიზონტალურ სიბრტყეშია მოთავსებული. ამიტომ ზღვისა და ამის მიდამო ნაპირს, გარდა იალტისა და ლივადიისა, ის სიკეკლუცე, ფერადფერადი მოკაზმულობა აღარ აქვს, ერთიანობა არის გამეფებული... გავიარეთ სევასტოპოლი და მივედით ოდესაში.

ოდესა დიდი ქალაქია. ნავსადგური ფართო და დიდი აქვს. აუარება, უთვალავი გემი და ბარკასი, ნავი ზოგი გადის, ზოგი შემოდის, ზოგი სრიალებს, ზოგი კი დგას, ყველგან, მთელ ნავსადგურზე ხალხი ფუსფუსებს. თბომავალს კივილი

გააქვს. თვითონ ქალაქი მაღალ ნაპირზეა გაშენებული. ეს ოდესას ძალიან ალამაზებს, აკეკლუცებს. სახლები ჩამწკრივებული, ქუჩები სწორი, თვალუწვდენელი, და ფართო, ითქმის ყველა მოკუბიკებული. ოდესაში მაშინ ტრამვაი არ იყო. ნაპირიდან ქალაქში აყავხართ ფართოსა და მაღალ მარმარილოს კიბეს. ახვალთ და პირველადვე, ოდესის ბულვარში ამოყოფთ თავს. ბულვარში დგას ძეგლი. ბულვარიდან ზღვის საუცხოო და თვალწარმატაცი სურათი იშლება. იქეეა ქალაქის თვითმმართველობის დიდი სახლი, გვერდით კი საოჯახო ბიბლიოთეკა და მთელი ოდესის თვალმარგალიტი დიდი, მაღალი, ვრცელი და მშვენიერი ნაგებობა — თეატრი...

მეორე თუ მესამე დღეს ბინის შოვნა მოვახერხე, რასაკვირველია, ძველი სტუდენტების დახმარებით. უნივერსიტეტში სიარული დავიწყე. ოქტომბრის ბოლო რიცხვებში გარდაიცვალა ნ. გ. ჩერნიშევსკი. ეს გაზეთებიდან იმ საღამოვე გავიგეთ. მეორე საღამოს მთელი სტუდენტობა უნივერსიტეტის შენობაში შეიკრიბა. სტუდენტობას სურდა დემონსტრაცია გაემართა, შესაფერისი სიტყვები წარმოეთქვა. ეზოდან გამოვედით, ქუჩაში მწყობრად დავეწყვეთ და სობორისაკენ გავსწიეთ. მღვდელს შეუთანხმდა ჩვენი ორი დელეგატი, რათა მას პანაშვიდი გადაეხადა აზნაურის ნიკოლოზ გაბრიელის ძისათვის. მაგრამ მალე მიგვიხვდა და უარი გვეტყიცა. იმ საღამოს აღარაფერი მოხერხდა. მეორე და მესამე დღეს კი თვით უნივერსიტეტში პაპიროსის მოსაწევ დარბაზში დიდი კრება მოეწყო. წარმტაცი და გაბედული სიტყვები წარმოითქვა. ბოლოს, ყოველივე იმით დამთავრდა, რომ ორმოცდაათამდე საუკეთესო სტუდენტი, ისიც მეოთხე კურსიდან, დათხოვნილ იქნენ და ღამით სადღაც გააქრეს. ეს იყო ჩემი პირველი ზიარება.

ოქტომბერში მოჭირებული სიცივეები დაიწყო. პალტო არ მქონდა. რომანოზი დაპირებისამებრ ფულს არ მიგზავნიდა. ვწერდი, პასუხი არ იყო. ნოემბრის ბოლო რიცხვებში სიცივემ ძალზე მოუჭირა... მთელი ნავსადგური გაიყინა. ძველი სტუდენტები ამბობდნენ, ძალიან დიდი ხანია, აქაური პორტი არ გაყინულაო. ამის მომსწრები ახლა არც კი ცოცხლობსო. ასეთი სიცივე უპალტოომ (უგვაბანაკომ) ველარ

ავიტანე. გავცივდი, ექიმი ბარლახი, ტომით ებრაელი, მკურნალობდა, მთელი ორი თვე ლოგინს ვსრესდი. ბარლახი ბაქტეროლოგი—დიდი სპეციალისტი იყო. მას კი, როგორც ებრაელს, პროფესორობას როდი აძლევდნენ. პროფესორობა მან მხოლოდ 1905 წ: შემდეგ მიიღო. სნეულების შემდეგ ქრონქები ძალზე დამიზიანდა. მას აქეთ ქრონიკული ბრონ-ქიტით ვარ დასნეულებული. ფული მაინც არ მომდიოდა. არაფერ მე, არც სხვებს, რადგან დიდი ზამთრისა და ყინვების გამამ გზა შეიკრა. მხოლოდ მაშინ გავიგე ქუთაისში აღზრდილმა, თუ რა იყო ჭირხლი.

ვიდექით ვინმე მარკო მზარეულთან, რომელმაც მთელი ბინა გააქირავა. ერთი ოთახი აიღო ბარათაშვილმა, რომლის ფანჯრიანი კარები დარბაზში გამოდიოდა, მეორე ასეთივე დაიჭირა პეტ. კიზირიამ. მესამეში მოვთავსდი მე და ჩემი ამხანაგი ვლ. გაბუნია. ჩვენი ოთახი ძალიან პატარა იყო. დარბაზში კი სასადილო იყო გამართული. აქ სადილობდა ოცამდე ქართველი სტუდენტი, რადგან სადილები საუცხოო იყო და იაფიც. მათგან აღებული ფულით მარკო საქმეს უძღვებოდა. დიდ მოგებას არ ეძებდა. მე ფული აღარ მქონდა. მარკო ნისიად ორი კვირა მარჩენდა. მერმე მეც შემრცხვა. სადილის ჭამა მოვსპე, აღვკვეთე, ერთი კვირის განმავლობაში მხოლოდ უმ რძეს და ისიც ოდნავ შეფერადებულს, ვსვამდი. ასეთ მდგომარეობაში მყოფმა გადავწყვიტე ოდესას გამოვთხოვებოდი, უნივერსიტეტი დამეტოვებია, სამშობლოში დავბრუნებულიყავი და იქ მცირე სამსახური მეშოვნა. ამ დროს სტუდენტმა დიმიტრი ახვლედიანმა (ექიმია) მოწაფე მიშოვა. დიდი სიამოვნებით ავიყვანე. გასამრჯელოს მხოლოდ სადილს ვიღებდი... ყმაწვილს, პავ პეტ. გონზალს ვრეპეტიტორობდი ამ დღიდან უნივერსიტეტის დამთავრებამდე. მაგრამ მაგარი ის იყო, რომ თბილი პალტო არა მქონდა. აქ დიდი დახმარება გამიწია ძველმა სტუდენტმა იოსებ მდივნიშვილმა, რაჭველმა, რომელმაც თავისი პალტო მათხოვა, ჩემი საზაფხულო კი მან წაიღო. პალტო კარგად იყო დაბამბული, ამიტომ ძალიან თბილი იყო. ამ ორმა გარემოებამ ჩემი ბედი საბოლოოდ გადაწყვიტა.

საზაფხულოდ სოფელში ჩამოვედი, თან წამოვიღე მიკ-

როსკოპი, რომელიც ჩვენი უნივერსიტეტიდან მათხოვეს. ეს ჰიკროსკოპი შეირდებოდა განსაკუთრებული გამოცდების ჩასაბარებლად. ენკენისთვეში, 1890 წ. ბოტანიკაში ეს გამოცდა ძალიან კარგად დავიჭირე. ამიტომ ამ თვიდან სტიპენდია დამინიშნეს, თვიურად ოცი მანეთი. ამ სტიპენდიასთან ერთად სტიპენდიანტი განთავისუფლებული იყო სწავლის ქირიდან, რომელიც 150—200 მან. შეადგენდა წლიურად. აწის შემდეგ თავისუფლად ამოვისუნთქე. სწორედ ამ დროიდან დავიწყე ნამდვილი მუყაითი მეცადინეობა.

ქართველი სტუდენტობა იმჟამად ოცამდე ვიყავით. მას თავისი სათვისტომო ჰქონდა. ყოველი სტუდენტი საწევროს თვიურად ერთ აბაზის რაოდენობით იხდიდა. ამ თანხიდან ეღარიბესი სტუდენტი დახმარებას იღებდა, მხოლოდ იმ პირობით, რომ იგი სწავლის დამთავრების შემდეგ სამსახურში შეავიდოდა და ამ ვალს სათვისტომოს გადაუხდიდა. მე ამ თანხიდან ერთი კაპიკიც არ მისესხებია. ჩემზე მეტ გაჭირვებას იტანდა ჩემი ამხანაგი ვლ. გაბუნია, რადგან მას რეპეტიტორობის თავი არ ჰქონდა. მან თავისი ხვედრი სათვისტომოდან უკვე ისესხა. მეტის აღება კი აღარ შეეძლო. ამიტომ მისთვის მე ვისესხე და მას გადავეცი. ეს ჩემი დავალიანება კი, რასაკვირველია, მას უნდა გადაეხადა. ფოთში ვიყავი. სათვისტომომ ვალი მომთხოვა და მეც გადავუხადე.

ჩვენი წრის სტუდენტები ორ კვირაში ერთხელ, შაბათ საღამოს პროფესორ ვასილ პეტრიაშვილისას ვიკრიბებოდით. იგი იყო აგრონომიული ქიმიის პროფესორი. ის არ იყო მხოლოდ ვიწრო სპეციალისტი. მას ყოვლის საზოგადოებრივი მოვლენის შესახებ შემუშავებული ჰქონდა თავისი გადაჭრილი, მარჯვედ გამოკვეთილი აზრი. ეს აზრი პროგრესიული იყო. იგი წინათ ხალხოსანთა მომართულების მიმდევარი ყოფილიყო. ამ თვალსაზრისის შესაფერი რამდენიმე მოთხრობა დაებეჭდა გაზ. „დროებაში“, მაგრამ ეს მიმართულება დაეტოვებია და ახლა ნამდვილი ლიბერალური აზროვნებისა იყო. დიდი ტრფიალი იყო სამშობლო ქვეყნისა. სულ იმას ოცნებობდა, რომ რაიმე შესაფერი სამუშაო, რაც გინდა მცირე ყოფილიყო, ეშოვა და საქართველოში დაბრუნებულიყო. მაგრამ უმეტესი იმის ღირსება ის იყო, რომ იგი ჩვენს

შორის ატეხილ დავაში მხურვალე მონაწილეობას იღებდა. ეს მონაწილეობა კი ისეთი იყო, რომ მხოლოდ უფროსი და გამოცდილი ამხანაგების შთაბეჭდილებას ახდენდა. არასოდეს იგი ჩვენი გატაცებული აზრებისა და შეხედულების წინააღმდეგ არაფერს იტყოდა ისეთს, რომელიც ჩვენს გრძნობას შელახავდა ან აგდებით, დაცინვით შეეხებოდა. იგი დაყვავებით, დინჯად და მოფიქრებით, თავაზიანად გავვისწორებდა შეხედულებას, თუკი ჩვენი შეხედულება შემცდარი ეჩვენებოდა. სწორი და მართებულია აკაკის მიერ პეტრიაშვილის დახასიათება:

ჩუმი მოღვწე, ნამდვილი ქართველი!..
სიკვდილით ქართველთა გულის მომწველი.

სრულებით სხვა ხასიათისა იყო მეორე ქართველი პროფესორი პეტრე გრიგოლის ძე მელიქიშვილი. იგი ძალზე ზაფრიანი ადამიანი იყო... სხვათა შორის, უნდა აღვნიშნო, რომ ანეკდოტების საუცხოო მოყოლა იცოდა. ეს ანეკდოტები სულ ისტორიულ პირებსა და მეცნიერებს შეეხებოდა. როცა ანეკდოტს ამბობდა, მსმენელს სიცილით მუცელზე კანი არ შერჩებოდა. ერთხელ, ახალი წლის წინა ღამეს, სადაც ჩვენი წრის ქართველი სტუდენტობა ერთად ვხვდებოდით, მელიქიშვილმა გვიამბო: ვასოს მძიმე მოვალეობა დააკისრეს, პროფესორობა; ამის წინააღმდეგი იყო ფიზიოლოგი სეჩენოვიო; იგი ამბობდა: როგორ შეიძლება ქართველ კაცს ქიმიის კათედრის პროფესორობა მიეცესო. ამ საქმეში ჩაერია პროფესორი ივ. თარხნიშვილი, რომელიც აგრეთვე სეჩენოვის უნიჭიერესი მოწაფე იყო და რომელმაც სეჩენოვის შემდეგ ფიზიოლოგიის კათედრა დაიკირა პეტერბურგში. თარხანოვის ჩარევამ იმოქმედა და ვასომ ქიმიის კათედრა დაიკირაო. მელიქიშვილი კი იმიტომ მოვიწვიეთ, რომ იმ წელს ვ. პეტრიაშვილი ოდესაში არ იყო. იგი პარიზში იყო, სადაც ლაბორატორიაში რაღაც საპასუხისმგებლო საკითხს ამუშავებდა. წინა წლისა და შემდეგი ახალი წლის წინა ღამეს ნოპატიჟებული გვყავდა ხოლმე ვასილ პეტრიაშვილი მეუღლითურთ. ამისი მეუღლე, ეკატირინე ყარამანის ასული თავდგირიძე, იყო დისწული ჯაბა და მამია გურიელებისა. არ ვიცი, ოდესაში გაქცეულიყო თუ ვინ-

შეს წაეყვანა ოდესაში, იქ ჭრა-კერვა ესწავლა და ამ ხელობით ცხოვრობდა. შემდეგ ვასილ პეტრიაშვილს დახლოებოდა და ცოლად გაჰყოლოდა. პეტრიაშვილს ამ გაუნათლებელი ასულისათვის სხვადასხვა დარგის მასწავლებლები მოეწვია რვა კლასის კურსის შესათვისებლად, მერმე კი კატოს თვითგანვითარებისათვის ეზრუნა და ჩვენ დროს იგი კარგ განათლებულ პიროვნებად ითვლებოდა. სადღეისო საჭიროროტო საკითხებით ყოველთვის ღრმად იყო დაინტერესებული და კარგადაც ერკვეოდა. ვასილ პეტრიაშვილთან ხშირად თავს იყრიდნენ რუსი პროფესორები. აი, ამათ კატო სადღეისო კითხვებით ართობდა. ჩვენც ხშირად ვყოფილვართ პეტრიაშვილისას, როცა ეს პროფესორებიც ყოფილან, ამიტომ ამათთან დიდი ხალისით ვერთობოდით ლაპარაკითა და ბაასით. უმთავრესი საგანი ჩვენი სჯა-ბაასისა იყო საქართველოს მაშინდელი მდგომარეობა. ამ საკითხით ისინიც ძალიან დაინტერესებულნი იყვნენ. იმ ახალწლის ღამეს, როცა ვასილ პეტრიაშვილი მეუღლითურთ დაპატიჟებული გვყავდა, ჩემს ამხანაგებს, ამათი თანდასწრებით წავუკითხე ჩემი სტატია-მოხსენება — „ფიქრი მოცლილისა“.

ერთ შაბათ საღამოს, პეტრიაშვილისას რომ ვიკრიბებოდით, მეორე შაბათს ივანე ივანეს ძის სვედენცოვისას ვიყრიდით თავს. იგი იყო კაცი ყოვლად ჰუმანიური და გულგაუტეხელი. ერთ საღამოს, შობის წინა ღამეს, მისას ვიყავით. დავრჩით ღამის თითქმის სამ საათამდე. დილით კი გავიგეთ, რომ ჩვენი სიმპათიური ივან ივანიჩი იმ ღამით გადაუსახლებიათ. მხოლოდ დიდი ხნის შემდეგ გავიგეთ, რომ ვოლოგდაში ეკრათ თავი. ეს, თუ არ ვცდები, მისი მეათე გადასახლება იყო. შემდეგ იგი თბილისში დაბინავდა და გ. თუმანოვის გაზ. „Новое обозрение-ში“ თანამშრომლობდა.

პირველ წელსვე ჩვენი წრის რამდენიმე სტუდენტმა ცალკე ჯგუფი შეადგინა. ეს ჯგუფი ყვირაში ერთხელ იკრიბებოდა. და ერთად სწავლობდა სოციოლოგიასა და პოლიტიკურ ეკონომიას. ამ ჯგუფმა ერთ წელიწადს გასტანა. ამ ხნის განმავლობაში დიდი გულდასმით გადავიკითხეთ სპენსერის მთელი სოციოლოგია და პოლიტიკური ეკონომიის ისეთი თვალსაჩინო მწერლები, როგორიც არიან ადამ სმიტი, ჯ. სტ.

მილი (ჩერნიშევსკის შენიშვნებით) და რიკარდო. შემდეგ ეს ჯგუფი დაიშალა. სწორედ ამ დროს მე და სიმონ ყორ-ყოლაძე ერთ ბინაზე ვცხოვრობდით, ხოლო თითოეულს ცალ-ცალკე ოთახი გვქონდა. ჩვენთან დადიოდა ვინმე ებრაელი სტუდენტი კოგანი, რომელსაც ჩვენთან მოჰქონდა თითქმის ყოველი ლითოგრაფიული ხელნაწერი ან დაბეჭდილი ესა თუ ის ბროშურა. ამ ბროშურებს გატაცებით ვეწაფებოდით. ამავე დროს შევუდექი მარქსის კაპიტალის პირველი ტომის შესწავლას.

პოლიტიკური ეკონომიის სახელმძღვანელოდ მქონდა მოსკოველი პროფესორის ივანიუკოვის წიგნი. ივანიუკოვი იმ-ხანად რუსეთში ერთადერთი იყო, რომელიც პოლიტიკური ეკონომიის საკითხებს უდგებოდა მარქსისა და ჩერნიშევსკის თვალსაზრისით. იყო მეორე წიგნიც, ზიბერისა — წმინდა მარქსისტული. მაგრამ ეს წიგნი ძალიან ძნელი წასაკითხავია, მძიმე და ტლანქი ენით არის გადმოცემული მარქსის მოძღ-ვრება. ამასთან, სიტყვაკაზმულ ლიტერატურასაც ვსწავლობ-დი. და იმ დროს წავიკითხე შექსპირი, რასაკვირველია, უმ-თავრესი ტრაგედიები, ბაირონი, გოეთეს „ფაუსტი“ და „ვე-რტერი“, ფლობერი და სხვ. შექსპირის ჰამლეტის ადგილები ზეპირად ვიცოდი და ახლაც მახსოვს ბევრი ამ ადგილებიდან. ბაირონის „დონ ჟუანი“ ყველაზე უფრო, გარდა შექსპირისა, მიტაცებდა და მომწონდა. გატაცებით ვკითხულობდი მოპა-სანს.

როგორც აღვნიშნე, 1890 წლის სექტემბრიდან სტიპენდია დამინიშნეს. ამ წლიდან ორი წლის განმავლობაში საქართვე-ლოში არ წამოვსულვარ. ზაფხულის თვეებში ოდესაში დავ-რჩი და აგარაკზე ვცხოვრობდი, იქვე, ვალტუხის აგარაკზე. იმ წელს ოდესის ციხეში იჯდა ჯიხაიშელი იაგორ ლორთქი-ფანიძე, რომელიც სასჯელს იხდიდა 1887 წ. სტუდენტო-ბის დემონსტრაციისა და მანიფესტაციებში მონაწილეობისა-თვის. ეს იაგორ ლორთქიფანიძე ღარიბი იყო. ჰყავდა მხო-ლოდ ქვრივი დედა. ამიტომ საპყრობილეში უპატრონოდ იყო მიგდებული. შემეცოდა. იმას არ უთქვია და არც შეუ-ტყობინებია, რომ ციხეში იჯდა, თხოვნა შევიტანე ქალაქის უფროსის სახელზე, ნება მოეცა, ლორთქიფანიძის ნახვისა.

ჩემი ახლო ნათესავია-თქო. რაღაც სასწაულით ნება დამრთო, დავდიოდი ყოველ კვირას. ამას გარდა ჩვენს მარკოს შეევეხვეწე, რომ ყოველ დღე ლორთქიფანიძისათვის სადილი მიეტანა ჩემი თავდებობისა და პასუხისმგებლობის ქვეშ. თხოვნა შემისრულა. ეს მარკო გვიკლიდა აგარაკზე. მან ორი ოთახი პატარა სამზარეულოთი დაიქირავა. ორივე ოთახი ჩვენვე ავიღეთ: ერთში იაკობ დულაძე თავისი უმცროსი ძმით დათიკოთი მოთავსდა, ხოლო მეორეში მე და სვიმონ ჟორჟოლაძე. ამიტომ იაგორ ლორთქიფანიძე საპყრობილეში ყოველდღე ძალიან კარგ სადილს მიირთმევდა. იაგორისვე ხელით წიგნებს ვაწვდიდი. წიგნების შეგზავნას სჭირდებოდა ქალაქის უფროსის ნებართვა. ქალაქის უფროსი იყო ზეღენოი, კაცი მკაცრი, უხეში და თავხედი მოთხოვნების მიმართ. წარვუღგინე ტოკვილის თხზულება — Североамериканская демократия, რადგან იმ ხანად სხვა წასაკითხი წიგნი არა მქონდა. განცხადებითა და წიგნით მივიღო. გადახედა და ფიცხლად მკითხა: Значит, вы демократию хотите? პასუხი არ გამიცია. ნება მაინც დამრთო და ეს წიგნები იაგორს შევუტანე. შემდეგ სხვადასხვა წიგნებს ვაწვდიდი, რასაც კი ვიშოვიდი. ჩემი პირადი განცხადება აღარ იყო საჭირო: წიგნებს განცხადებითურთ ქალაქის უფროსს წარვუდგენდი და ის იაგორს გადუგზავნიდა.

მგონია, 1891 წლის ბოლოს, თუ 1892 წლის დასაწყისში ოდესის ქალაქის თვითმმართველობამ მოსახლეობის აღწერა მოახდინა. ამ აღწერაში მონაწილეობა მიიღო ინტელიგენციამ და უმთავრესად, სტუდენტობამ, მეც ამწერთა შორის ჩავეწერე და საგანგებოდ ავირჩიე ოდესის გარეუბანი. იქ უმთავრესად ღარიბი და ძალიან შეუძლო, გაჭირვებული ხალხი ცხოვრობდა. მსურდა მათ ცხოვრებას გავცნობოდი. მართლაც საშინელი სურათი ვნახე: შევიწროება, შემჭიდროება, ოჯახში თითქმის არავითარი ავეჯი. ერთსა და იმავე ოთახში, რომლის ფართობი დაახლოებით თხუთმეტი-ოცი მეტრი იქნებოდა, არათუ მდგმურებს ჰქონდათ ბინა, საჭმელსაც იქვე ამზადებდნენ გავარვარებულ ქერაზე. ნამთარი იყო, გარეთ სიცივე და თოვლი, ოთახში კი ჰაერი შეხუთული, მეავე, შეგუბებული და ბოლით ავსილი. ასეთი სურა-

თიც ბევრი მინახავს. ერთ მცირე ოთახში, ოცისა ან ოცდა-ხუთი მეტრიანში, სხვადასხვა მობინადრე იყო. ასაწერად რომ მივედი, ასეთი მდგომარეობა დამხვდა; ერთი ოჯახი იმავე ოთახში სადილს ამზადებდა, ამიტომ რკინის ღუმელიდან ბუღი და ოხშივარი გამოდიოდა და მთელ ოთახში ვრცელ-დებოდა. მეორე ოჯახის წევრებს ეძინათ და ხვრინავდნენ. მესამე ოჯახის დიასახლისი კი, მშობიარობის ტკივილებით შეწუხებული, ჭინთვითა და კივილით შვილსა შობდა.. დიდი და ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე ასეთი უმწეო სუ-რათის დანახვამ.

1892 წლის მაისიდან სამშობლოში ჩამოვედი. ოდესიდან გამოვედი პირდაპირისა და აჩქარებული სისწრაფის თბომა-ვალით. აჩქარებული თბომავალი ორნაირი იყო: ერთი გზა-ში შევიდოდა მხოლოდ ოთხსა თუ ხუთ ნავსადგურში. მეორე კი, გარდა ამისა, რომ აჩქარებული რეისისა იყო, აგრეთვე პირდაპირიც და შევიდოდა მხოლოდ ერთადერთ ნავსად-გურში — სევასტოპოლში და იქიდან პირდაპირ გადასჭრიდა შავ ზღვას ბათუმზე. ამას ეს თბომავალი ორი დღე-ღამე უნ-დებოდა. ამ მგზავრობაში პირველად განვიცადე სივრცის უსაზღვროებისა და ზღვის უკიდეგანობის მიუწვდომლობა. ჩვენი თბომავალი მისრიალებდა უფსკრულის ზედაპირზე, სი-ფრიფანაზე. ამინდი მშვენიერი იყო, ნაზი და წყნარი, ლურ-ჯი ცა. თაღად დაბჯენილი უკიდეგანო ზღვის სივრცეზე. ზღვა სარკესავით გაკრიალებული, სწორი, გაკამკამებული და ელვარე ღამ-ღამით. ნაპირი არსაიდან ჩანდა. ისმოდა მხოლოდ თბომავლის ჭახრაკის გუგუნი და მგზავრების ლა-პარაკი, სიცილი ან სიმღერა. ირგვლივ კი მყუდროება, ერთ-გვარობა სუფევდა. თბომავალი დიდ შარაგზას სტოვებდა შორის მანძილზე. ეს გზა კი მთვარის შუქზე ათასფერად იყო აჭრელებული. მთვარეც იმ დროს საკვირველი იყო. სავსე მთვარე მოქცეული იყო ღრუბლების ისეთ ნაჭრებში და ისეთ-ნაირად, თითქოს მთვარე დიდი კანდელი იყო, ღრუბლები კი ვეებერთელა თაფაქი. მაგრამ ასეთი სანახაობა მხოლოდ ცოტა ხნით ყოფილა წარმტაცი და შვების მომგვრელი, ორი დღე-ღამის განმავლობაში სივრცის უსაზღვროებამ და მიუწვდომ-ლობამ, უფსკრულ ზღვის კი თვალუწვდენელმა გართხმულო-

ბამ და საერთოდ კი მთელი ამ სანახაობის ერთფეროვნებამ დამღალა. განცდა და სიამოვნება დიდი იყო. მაგრამ არა ხანგრძლივი, ამიტომ ასეთმა სურათმა მალე მომქანცა, რადგან ნაპირის ხმელეთის ფერად-ფერადობა, სხვადასხვანაირობა არსად ჩანდა. მაგრამ ამავე შავმა ზღვამ მეორედ, 1896 წელს დიდი საშინელება განმაცდევინა. ოდესიდან ნოკოლაევში მივდიოდი. მარტის თვე იყო. გავშორდი თუ არა ოდესის ნავსადგურს, თბომავალმა ნაფოტივით ქანაობა დაიწყო. ქანაობა თანდათან მატულობდა. შუაგზაზე არ ვიქნებოდით, თბომავალი ერთი მხრიდან მეორე გვერდს გაეკვროდა ზღვის ზედაპირს, სიფრიფანას. აფრები თავისი წვერით ზღვაში ყვინთაედა. ღელვამ თითქმის ყველა მგზავრზე იმოქმედა. კაიუტებში საშინელი სურათი იყო: ყოველი მხრიდან ტირილი, კივილი, ლოცვა, ვედრება, და პირის ღებინება. ჩემზე ღელვამ არ იმოქმედა. ამ საშინელ სურათს ველარ გავუძელი და ერდოზე ავიჭერი. ცოტა ხანიც არ გასულა, თბომავალი დაქანდა და ერთი მხრიდან მეორე გვერდზე გადაეკრა და მთელმა ვეება მდინარემ ერთბაშად ზევიდან გადმოურბინა და ჩემი თვალის წინ ზღვის ზედაპირს საშინელი ხრიალით დაეცა. ახლა კი ვიკადრე, ერდოს ფიცხლად მოვშორდი და იქვე, კაიუტაში, შევძვერი. რაღა მექნა? ვიტანდი საშინლად შეხუთული ჰაერით სუნთქვასა და სიმჟავის სუნს. თბომავალი დაწყნარდა და მგზავრებიც დაშოშმინდნენ მხოლოდ მაშინ, როცა მდინარე ბუღის ფართო ყურეში შევცურეთ.

სოფელში ჩამოსვლის შემდეგ ერთ კვირასაც არ გაუვლია, რომ ჩემი ძმის რომანოზის ბარათი მივიღე თბილისიდან, საფილოქსერო პარტიაში გიშოვე ადგილი მთელი ამ ზაფხულის განმავლობაში და საჩქაროდ ჩამოდიო. მეც მეორე დღესვე თბილისს მივაშურე. ამ საფილოქსერო პარტიის გამგე იყო ივანე ზაქარიას ძე ანდრონიკაშვილი. მომცა ფილოქსერის მაძიებლის ადგილი. ეს ადგილი ჩემთვის იმდენად ძალიან სასარგებლო საპრიანო შეიქნა, რადგან ამის წყალობით იმ ზაფხულში შემოვიარე შორისა და დუშეთის მაზრების ბევრი სოფელი. ეს კი ჩემთვის ძალიან საინტერესო, საგულისხმიერო იყო, რადგან ქართლელის ზნე-ჩვეულებასა,

სიტყვა-პასუხსა და ცხოვრების დონეს ვაკვირდებოდი და ვეცნობოდი. ქართლელს ახასიათებს დინჯი, მკაფიო და სულდამღგარი წარმოთქმული სიტყვა-პასუხი, რითაც ძალიან განირჩევა, განსხვავდება იმერლისაგან, რომელიც ნამეტურ გურული, სხაპასხუპით ლაპარაკობს, თითქოს ვინმე მოსდევდეს და სურს, სასწრაფოდ გაცნობოს ყველაფერიო. ქართლელის დინჯ ლაპარაკს იმერელთაგან მხოლოდ ოდნავ რაჭველის ლაპარაკი წააგავს. ქართლელის ლაპარაკის კილო, ტემბრი საუცხოო, მომხიბვლელი და ნარნარია, ტკბილია. მაგრამ ყოფა-ცხოვრების მხრით ბევრი წუნის დადება შეიძლება: მიწურებში პირუტყვთან საქონელთან ერთად ცხოვრება, ბინა ნოტიო, ბნელი, ხასიათი დაბეჩავებული. მთელი სოფლის მოსახლეობა რამდენისამე კვ. საჟენ ფართობზე ცხოვრობს, ამიტომ იგი შეჯგუფულია, რომ იტყვიან, ცხვირში უძვრებაო, ისე ახლო-ახლო არიან ერთმანეთთან ოჯახები. მთელი სოფლის სიბინძურე, ნაგავი, საქონლის ნეხვი, განავალი აქ არის შენახული და თავმოყრილი. ეს კი მიდაწოს ჰაერს სწამლავს, შხამავს და ადგილმდებარეობას აბინძურებს. ბინაში კი, უნდა გამოტეხილი ვთქვა, გვარიანად სუფთად ცხოვრობს. სოფ. სამთავისში (ქვემო ქართლშია) ვიყავით. სამთავისის ტაძრის მინდორში რაღაც დღეობა იყო. სიმღერა, ცეკვა და ამ დღესასწაულის შესაფერი ყოველწაირი გართობა სწარმოებდა და ტარდებოდა. ამ დროს ამილახვარმა გაწკეპლა ერთი გლეხი. შეხედულებით გლეხი ვაჟკაცი იყო, ღონიერი, ძარღვებიანი და ზორბა, ამილახვარი კი ახალგაზრდა ყმაწვილი იყო, თხელ-თხელი და საშუალო ტანისა. გალახულმა გლეხმა ტირილი და ღრიალი დაიწყო და ცრემლებს ღვრიდა. ამან ჩემზე ძალიან ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა. გამაკვირვა ჯერ ამისმა საქციელმა, ამისმა სეემა მოთმინებამ, სრულმა პასიურობამ და მერმე იმან, რომ ამას არავინ გამოესარჩლა, არ დაეხმარა და შესატყვისად არ წააქეზა და არ გააძხნევა, იმერეთში ასეთი ამბავი შეუძლებელი რამ არის, რადგან აქ გლეხიც კი პატივმოყვარე და ამპარტავანია, ვინაიდან საზოგადოებასა, თავის ტოლებში გალანძღვასა და დამცირებას ვერ აიტანს, ვერ მოითმენს. ერთხელ, ჩემი პატარაობისას, სოფელში ამაღლების დღე-

სასწაულზე (ასეთი დღესასწაული ვიცოდით) ტაძრის გალავანში მხიარული თავგადასავალი იყო. ერთი გლეხი, ალექსია ფანცხავა, საკმაოდ მოხდენილად ცეკვავდა, ქალიშვილებს ქათინაურებს ეუბნებოდა და მათთან მალმალ, ხან ერთთან, ხან მეორესთან ცეკვავდა. გარმონკაპელიც ლასათიანი დაკვრა იცოდა და ამიტომ უკრავდა და თან ამღერებდა. ეტყობოდა, რომ ქალიშვილები მას სიმპატიით ეპყრობოდნენ. მაგრამ ეს არ მოეწონა იქ მყოფ ოვიჩხეთის აკალიანებს, ორ ძმას, რომელნიც დღეობაზე სტუმრად იყვნენ მოსული. ამიტომ ამ გლეხს აესხრდნენ, სურდათ ქალიშვილების თვალში დაემცირებიათ. შეურაცხყოფა დაუწყეს ჯერ სიტყვით, მერმე კი სატევრებიც იძიშვლეს მის წინააღმდეგ. გლეხმა თავი გამოიდო. მაგრამ ერთი ორის წინააღმდეგ ვერაფერს გადიოდა, ისიც ისეთი ორის წინააღმდეგ, რომლებიც ჩხუბსა და აყალ-მაყალში დიდად დახელოვნებული იყვნენ. მათი სატევრები ყოველთვის, ყოველ დროს და ყოველ მდგომარეობაში დაურიდებლად და თამამად მოქმედობდა. ამიტომ სრულებით დაჩაგრეს გლეხი, მაგრამ იგი მაინც არ ცხრებოდა. იგი კიდევაც დასჭრეს. ამისმა მეგვარეებმა რომ შეატყვეს, გლეხი იჩაგრებოდა, ვეღარ მოითმინეს, გლეხს გამოესარჩლნენ და ავალიანებს კვლიდ ქვა ასროლინეს. სხვადასხვაა ხასიათი იმერელი და ქართველის, ეს ჩემი აზრი და ეს ამბავი მაშინვე განვუცხადე ივანე ახალშენიშვილს, რომელიც ჩემს პარტიაში მუშაობდა. მას ჩემი შენიშვნა არ მოეწონა. მას ეს იმერლის მკვეხარობად და კეტდაბზიკობად მოეჩვენა. და მე დამწამა. „სამაზრო პატრიოტიზმობა".

ჩემი საფილოქსერო ჯგუფი სოფ. ხიდისთავში იყო. ეს სოფელი იქვე, გორთან არის. ამას დასავლეთით რუ ჩამოუდის, რომელსაც ტანა ჰქვია. ამ ტანას ხეობას ატენის ხეობა ეწოდება. ბე ასე მგონია. ამ ხეობის ერისთავი იყო გიორგი ერისთავი, ჩვენი დრამატურგი. ამისი შვილი დავითი აგრეთვე განთქმულია თავისი პიესით „სამშობლოთი". ოთხმოციან წლებში, ჩემი ვიმნაზიელობის დროს, დრამა ქუთაისში რამდენჯერმე დადგეს. მერმე კი, მოხსნეს, აკრძალეს, რადგან საზოგადოება გატაცებული იყო ამ პიესის დადგმით.

ამ ხეობაში ძველისძველი ტაძარია დაცული. ისტორიკოსები ამტკიცებენ (ივ. ჯავახიშვილი), ეს ტაძარი მეხუთე საუკუნის არისო, ამ ხეობაში ხე-ტყის ექსპლოატაციას ეწეოდა ვიღაც ზეზემანი, გერმანელი. მას გორის სადგურიდან ვიწრო ლიანდაგიანი რკინისგზა ჰქონდა გაყვანილი ხეობაში, სამოცდაათ ვერსამდი. ამ ხეობის დასათვალიერებლად რამდენჯერმე ვიყავით. თვალწინ საშინელი სურათი გადაგვეშალა: ზეზემანი ხე-ტყის ექსპლოატაციას ნამდვილის მტაცებლური წესით ეწეოდა. ხეები დიდიან-პატარიანად სულ ძირში მოეჭრა, მოეკვეთა, ძირებიც კი ამოეძრო, ამოეგდო. ამიტომ ამის ნამეშევარზე დარჩენილი იყო მხოლოდ აჩეჩილი აყალო მიწა და ნიადაგის გაშიშვლებული ფენები. ასეთი ნიადაგი წვიმების დროს ირეცხება და ხრამები რჩება. აქ შემდეგ მცენარე ვეღარ იბოგინებს, ვეღარ აღმოცენდება. ამ სანახაობამ მწარე ფიქრები აღმიძრა და სწორედ მაშინ შევაჩვენე ჩემს გუნებაში უცხო ქვეყნის კაპიტალისტები, რომელნიც ჩამორჩენილ ქვეყნებში საექსპლუატაციოდ შემოჩენილან. ეს კაპიტალისტი მტაცებლური წესით აწარმოებს ექსპლოატაციას და წარჩინებულ ქვეყანას უსპობს არსებობის ყოველგვარ სახსარს.

1893 წლის ივნისში ჩავაბარე სახელმწიფო გამოცდა. მივიღე პირველი ხარისხის დიპლომი. როცა საბუნებისმეტყველო განყოფილებაზე შევდიოდი, განზრახვა მქონდა: ბუნებისმეტყველების სრულ კურსს კარგად გავივლიდი და შევისწავლიდი, მაგრამ ეს სურვილი ვერ შევისრულე, მიზეზი სხვადასხვა იყო: უნივერსიტეტში ყოფნა შეძძულდა. ეს საშინელება და ზიზღი გამოწვეული იყო პედელების ინსტიტუტით. პედელი სტუდენტის ყოველი ნაბიჯის გადადგმას თვალყურს ადევნებდა. გარდა ამისა იმჟამად ოდესაში საექიმო ფაკულტეტი არ იყო. სტიპენდიას მაძლევდნენ, ვრეპეტიტორობდი და ამაში კარგი სადილიც მქონდა. ახალ ქალაქში არც სტიპენდია, არც გაკვეთილი მექნებოდა. ან როდის ვიშოვიდი გაკვეთილს, ვინ იცის. მამაჩემს კი კაპიტის გამოგზავნა არ შეეძლო, რადგან დიდძალი ვალი ჰქონდა. გაათხოვა ჩემი მომდევნო ქალიშვილი და გიორგი იოსელიანისგან ისესხა ექვსასი მანეთი, ამავე საჭიროებისათვის

მამულები ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკში დააგირავა და იქიდან ისესხა სამასი მანეთი. ამ ორსავე სესხს საარგებლად ყოველ წლიურად უნდებოდა არა ნაკლებ ასი მანეთისა. მთელი ვენახის მოსავალი მაჭრად უნდა გაეყიდა და შემოდგომაზე გიორგი იოსელიანისთვის მიეცა სარგებელი. გარდა ამისა, ჩემი ძმა ევსელინი ჯერ მოუწყობელი იყო. იგი მსახურობდა საგუბერნიო სამმართველოში უჯამაგიროდ. ამიტომ მამაჩემს კესერზე აწვა მისი ჩაცმა-დახურვა და რჩენა. ჩემი უფროსი ძმა, რომახოზიც მოუწყობელი იყო. ბარკვანთან ბიბლიოთეკის საქმეში შემანგდა, მაგრამ აქიდან არაფერი გამოვიდა. გამოვიდოდა კი ალბ. მთელი ის თანხა, რომელიც ამაში დააბანდა რომანოზმა, დაკარგა. ამიტომ მან, სამადლოდ, თავი საფილოქსერო პარტიას შეაფარა, რომელიც მის იღბლად იმხანად დაარსდა და ამოქმედდა. ის რვა თუმანი, რომელიც მამაჩემმა ისესხა, ნეიმოვის პალტოს საყიდლად და რომელიც რომანოზმა წაიღო ვითომ დროებით, დაეკარგა ამ ბიბლიოთეკის საქმეში და ეს რვა თუმანი მამაჩემს აწვა კესერზე და სარგებელს იხდიდა.

ჩვენი წრის სტუდენტებისგან უნდა პირველად დავასახელო სიმონ ყორჟოლაძე. იგი ცოცხალი და მკვირცხლი პიროვნება იყო. მე რომ ოდესაში ჩავედი, ის მეორე კურსზე იყო. ერთ ბინაში ვცხოვრობდით, ხოლო ოთახები ცალ-ცალკე გვქონდა. როგორც ამხანაგი, ყველაფერში დაუზარებელი იყო. იმ ხანად იგი გაიტაცა საზოგადოებრივი ცხოვრების აზრთა და შეხედულებათა გარკვევამ. მთელი სულითა და ჯანლით მიენდო ამ საქმეს. ყოველ დღეს საჯარო ბიბლიოთეკაში დადიოდა და გატაცებით კითხულობდა წიგნებსა და ჟურნალ-გაზეთებს. ამავე დროს ჩაუჯდა კ. მარქსის კაპიტალს. მთელი პირველი ტომი თითქმის გაიზეპირა, გაიზეპირა კი არა, სრული შეგნებით შეისწავლა. ამიტომ იგი იმჟამად არათუ ქართველ სტუდენტთა შორის, არამედ რუს სტუდენტთა შორისაც საუკეთესო მცოდნე იყო კ. მარქსის მოძღვრებისა. ეგონა ჩვენს ლიტერატურას ამ სფეროში კვალს დაამჩნევდა, ეკონომიური კითხვების გარკვევას წინ წასწევდა, ჩვენს ახალ ცხოვრებას კ. მარქსის მოძღვ-

რების თვალსაზრისით მიუდგებოდა, გამოიხმობდა და გამოიკვლევდა. მაგრამ მან ეს მოლოდინი ვერ გაამართლა. იგი კურსზე დარჩა. ფაკულტეტის საგნებს ჩამორჩა, არ სწავლობდა ამ საგნებს ამიტომ მე მასზე ერთი წლით ადრე დავასრულე უნივერსიტეტი, თუმცა იგი ჩემზე ერთი წლით ადრე შევიდა. ამის მერმე იგი აღარ მინახავს და არც არსად შემხვედრია 1907 წლამდე.

კურსი რომ დაამთავრა, პეტერბურგში წასულიყო და იქ სახელმწიფო ბანკში შესულიყო. მეგონა, იქ ცხოვრებით იგი თავის გულითად სურვილს, რომ ღრმა და ყოველმხრივი ცოდნა შეეძინა, უფრო ადვილად განახორციელებდა, ფართოსა და მტკიცე შეხედულებას შეიმუშავებდა, მაგრამ ეს ასე როდი მოხდა. როგორც ვთქვით, 1907 წელს თბილისში ვნახე. პეტერბურგიდან იგი რამდენიმე ხნით ჩამოსულიყო. სადილი ერთად ვჭამეთ ბაღში, მიხეილის (პლეხანოვის) გამხირზე, მივყევ-მოვყევით და სჯა-ბაასში გავერთეთ. მაგრამ ამან ამ დროს ჩემზე სამწუხარო შთაბეჭდილება მოახდინა. იგი დაღლილსა და დაქანცული ადამიანის შთაბეჭდილებას ახდენდა. ყველაფრისადმი გული გაგრილებოდა, სიცოცხლის ხალისი დაჰკარგვოდა, სასიცოცხლო, სამოქმედო და იმედიანი ხმა მისი მკერდიდან აღარ გამოისმოდა. გამოვეთხოვე. მეწყინა, დამაღონა. მისმა ასეთმა ფსიქიკურად შეცვლა-გადასხვაფერებამ. შემდეგ იგი ქუთაისში გადმოიყვანეს საადგილ-მამულო ბანკში მთავარ ბუღალტრად. ამ დროს მე გამგეობის წევრი ვიყავი. იგივე მოდუნებული, უიმედო და სიცოცხლის ნიშანწყალი არ აჩნდა. ასეთივე დარჩა იგი ბოლომდე, როცა თბილისში ფინანსთა კომისარიატში მსახურობდა, სადაც მე კომისრის მოადგილე ვიყავი. რასაკვირველია, ბევრი ნაკითხობა ახლაც ემჩნევა ლაპარაკისა და სჯა-ბაასის დროს, მგრამ ამის ეს ნაკითხობა სიცივეს გვრის მსმენელს, ღლის და ქანცავს, რადგან მისი სიტყვა, მისი ბაასი, სიხალისესა, სილამაზესა და გატაცებას კი არა გვვრის, არამედ გაწუხებს, გადუნებს და გონებასა და გრძნობას ყინავს. ეტყობა, მე ასე მგონია, ნაკითხობამ იგი მხოლოდ დაამძიმა. მისი ტვინი მოადუნა, დაქანცა. ნაკითხობას ვეღარ გაუძლო

მისმა ახროვნებისა და ფიქრის აპარატმა. ვინაიდან ეს აპარატი ძალზე შეუწყობელი და შეუგუებელი აღმოჩნდა მძიმე დანიშნულებისათვის. ახლაც, როცა სიმონ ეორეულაძეს შევხვდები, ყოველთვის მისდამი სიბრალულსა ვგრძნობ, მეცოდება იგი. დიდი და მძლავრი რამ ყოფილა მემკვიდრეობა! მართალია იპ. ტენი, როცა იგი თავის მსმენელებს ეუბნებოდა, როცა სორბონაში ხელოვნების ისტორიის ლექციებს უკითხავდა: მე თქვენ ხელოვნების ყოველ დარს დაწვრილებით, კარგადა, დალაგებითა და ზედმიწევნით აგიხსნით, გაგიშუქებთ და შეგასწავლითო; ესე ყოველი ჩემი მოვალეობაა და ჩემ ხელთ არისო; ხოლო თვით ხელოვნება კი რომ შეიცნოთ, შეიგრძნოთ, შეიყვაროთ, მის უსაზღვრო მშვენიერებას მისწვდეთ და მისი სიტკბოება და უაღრესი სიამოვნება განიცადოთ, რომ შემდეგ თვით თქვენც ხელოვანი შეიქმნეთ, — ეს მე არ ძალმიძს; ეს დამოკიდებულია თქვენს დედ-მამასა და წინაპრებზედაო: თუ ამათ თქვენთვის მემკვიდრეობით არ გადმოუციათ ეს უნარი, ეს მიდრეკილება, გონების ეს სიმტკიცე და შეგრძნების უნარი, მე ვერაფერს გავხდებიო; თქვენ გეცოდინებათ ხელოვნების ისტორია, მაგრამ ხელოვნება შეგრძნობილი, ძვალსა და რბილში გაბჯენილი არ გექნებათ, თქვენ ხელოვანი არ იქნებითო.

მეორე სტუდენტი იყო ანდრია დეკანოზიშვილი. კარგი ნაკითხი, მუდამ ქართული ბაიათების მოლიღინე და სალამურზე დამკვრელი, სალამური ყოველთვის თან ჰქონდა, ჯიბეში. ოდნავ დამცინავი და ოხუნჯი, სიმპატიური ადამიანი იყო. ნიჭიც ემჩნეოდა. ეს ნიჭი მან პატარა მოთხრობების წერაში გამოიჩინა. ორიოდე მოთხრობა „კვალში" დავუბეჭდე. რუსულადაც წერდა მოთხრობებს. ასეთი მოთხრობების მთელი რვეული ჰქონდა. ერთ დღეს ოთახში შევუსწარი, (ერთად ვცხოვრობდით 1895 წ. თბილისში, ოლღას ქუჩაზე, მოსკოვისა და ოლღის ქუჩების კუთხეში). ბუხარში ცეცხლი გიზგიზებდა. ვკითხე ეს რას ნიშნავს ამ ივლისში-თქო? მან პასუხის ნიშნად უკანასკნელი ფურცელი ცეცხლის ალში გადაისროლა... ამრიგად, მთელი თავისი ნაფიქრი და ნაგრძობი, მოთხრობებად ჩამოყალიბებული გამოუმჟღავნებლად ცეცხ-

ლის ალს მისცა! მას აქეთ სრულებით მიყუჩდა და მთელი მისი სიცოცხლე მიიფერფლა.

ანდრო დეკანოზიშვილმა ჩემზე ის გავლენა იქონია, რომ ყურადღება მიმაქცევია ალ. ჭავჭავაძის ლექსებზე. საქმე ის არის, რომ წინათ ალ. ჭავჭავაძეს არ ვიცნობდი. ვიცოდი კი, რომ მისი ლექსების კითხვისათვის დროის დაკარგვა არ ღირდა. ეს კი იქიდან ვიცოდი, რომ ჟურნალ „იმედში" სტ. ჭრელაშვილი აგდებითა და ირონიად იხსენიებდა ალ. ჭავჭავაძესა და გრ. ორბელიანს. ისინი ვარდსა და ბულბულს უმღერიან. შინაარსი არაფერი მოეპოვებათო. სწორედ ამიტომაც 1895 წ. როცა ნ. ბარათაშვილის ლექსები მოკლედ გავარჩიე, აღვნიშნე, რომ საზოგადოების ერთი ნაწილი (იმსანად ნ. ბარათაშვილის დროს) ლოთობას მიეცაო და მამულიშვილის საქმეს ხელი აუქნიესო. ამ სტრიქონებში საზეში მყავდა ალ. ჭავჭავაძე, ანდ. დეკანოზიშვილი კი ხშირად ალ. ჭავჭავაძის ლექსებს აღიღინებდა და ეს ლექსები თანდათან მომეწონა. მეც მაშინ ვიყიდე ალ. ჭავჭავაძის ლექსები და ნიკოლაევში წავიღე. ამ ლექსებს ვუკირკიტებდი და ვუკვირდებოდი 1896 წლიდან 1901 წლამდე. ამ წლის შემოდგომაზე მივუჯექი და დავწერე, ამდენი ხნის ფიქრისა და ჩაკირკიტების შემდეგ, კრიტიკული განხილვა ალ. ჭავჭავაძის ლექსებისა. ეს ჩემი სტატია დაიბეჭდა, გაზ. „ივერიაში" 1902 წ. იანვარში, განახლებული რედაქციის შემადგენლობის დროს. კარგია, თუ ცუდი ეს სტატია, მისაღებია თუ დასაგმობი, — ეს ჩემი საქმე აღარ არის. ვიცი კი, რომ იმ ხანად იგი სტატია საზოგადოებამ მიიღო.

კიტა აბაშიძე გიმნაზიის დამთავრებისთანავე პარიზში წავიდა. პირადად მე ამის წინააღმდეგი ვიყავი. ვურჩიე: — ჯერ უნივერსიტეტი გაათავე, რომელიმე საგანი აირჩიე და შეიყვარე, მერმე პარიზში წადი და ენაც შეისწავლე და ეს საგანიც ზედმიწევნით-თქო. არ დამიჯერა. წავიდა. იმ ხანად ფრანგულ ლიტერატურაში მოდაში იყო ბრუნეტიერი, როგორც კრიტიკოსი. მემკვიდრე სენტბევისა, ტენისა და სხვ. ამ გარემოებამ კიტას მთელ მოქმედებასა და ნიჭს, ცოდნას აღმოუფხვრელი ბეჭედი დაასო. პარიზში ერთ წელიწადს დაჰყო. იქიდან პირდაპირ ოდესაში ჩამოვიდა. ჯერ ბუნე-

პისმერტყველების განყოფილებაზე ჩაეწერა. ვერ შეეგუა. იურიდიულზე გადავიდა. მაგრამ კიტა მაინც სულ ლიტერატურას მისდევდა, ფრანგულ სიტყვაკაზმულ მწერლობას სწავლობდა და კითხულობდა. იგი ბუნებასთანაზიარი ყმაწვილი იყო. უეჭველია, რაც არ უნდა ითქვას მისი ნაწერების შესახებ, როგორადაც არ უნდა შეფასდეს მომავალ თაობათა მიერ, ის კი უეჭველი და ყველასათვის ნათელია, რომ კიტა გულისთქმიანი, აღგზნებული, გრძნობიერებით საკსე მწერალია, ცეცხლმოკიდებული გულისთქმის პატრონია. ჰაინე თავის შემდეგ გამოთქმაში სრულ ჭეშმარიტებას აღნიშნავს, მხოლოდ გულისთქმის, აღგზნების გამოვლინება ამა თუ იმ სახით, ჰქმნის პიროვნებას; ამისათვის საკმარისია ერთადერთი საქციელი, ერთადერთი სიტყვა, მაგრამ ერთსაცა და მეორესაც უნდა აჯდეს გულისთქმის ბეჭედი.

ამავე დროს კიტა დიდი მჭევრმეტყველი იყო, ენაწყლიანი. შნოიანისა და ლამაზი სიტყვა-გამოთქმების მფრქვეველი. 1895 წ. შემოდგომიდან ორივე თბილისში ვცხოვრობდით. იგი გაზეთ „ივერიაში“ მუშაობდა, მე კი „ცვალში“. იგი ილიას მათაყვანებელი იყო...

უნდა დავუმატო, რომ კიტა ლექციების წარმოთქმის წინ კონიაკს სვამდა. ამიტომ მისი ლექციები წარმტაცი, ნარნარი და ენაწყლიანი იყო ყოველთვის. ხოლო კონიაკი მას სწამლავდა, რადგან ბეჯითად ვიცოდი, რომ მას გული სუსტი ჰქონდა, გულისცემა ნელი. მე ეს როდი ვიცოდი, მანამდი. სანამ ღალატის გმირების გასამართლება არ მოაწყვეს. იმხანად თვითონ კიტაც მთხოვა მონაწილეობა მიმეღო და მეკისრა ირაკლის დედოფალ თამარის ვაჟის ბრალდება. კიტას უარი ვერ ვუთხარი, თუმცა ასეთ გამოსვლებში მონაწილეობის მიღება არც მსურდა და არც მიმიღია არც წინათ და არც ამის შემდეგ, აი, სწორედ მაშინ ჩემი თვალებით დავინახე, რომ კიტამ გამოსვლის წინ კონიაკი გადაჰკრა. მივვარდი, დაეუშალე, მაგრამ მომისწრო და მიპასუხა: მე ლექციების წინ ყოველთვის ასე ვშვრები, თუმც, კონიაკი ძალიან მვნებს: მერმე ორი-სამი დღის განმავლობაში მოდუნებული და მოშლილია ჩემი მთელი ორგანიზმი, დაღლილობას ვგრძნობო; ეს მე მალე გამომასალმებს წუთისოფელსო! ამისათვის ძა-

ლიან დავტუქსე: თუ ასეა უკონიაკოდ ლექციებზე გასვლა არ შეგიძლია, მაშინ ლექციების თქმას უნდა სრულებით თავი დაანებო-მეთქი...

1895 წლის ზაფხულში რომ თბილისში ვცხოვრობდი. მაშინ მე და ანდრო დეკანოზიშვილი და იშვიათად ხანდახან გრ. დიასამიძეც საღამოობით ავდიოდით ფუნიკულიორზე. მაშინ ფუნიკულიორი არ იყო. თბილისში ქალაქის რკინის ლიანდაგი იყო გაყვანილი, რომელზეც ცხენებშებმული კონკა ცხენუკა-ცხენის ტრამვაი დადიოდა. ფუნიკულიორის მაგიერ მაშინ მამადავითის აღმართის თავზე პლატოს ეწოდებოდა ვანდეგილი. მაშასადამე, საღამოობით ქალიშვილებით ავდიოდით განდეგილზე, იმ ბილიკით, რომელიც ახლა კარგსა და ფართო შარაგზას წარმოადგენს. იმ ახლო ხანებში ვინმე ვანო ქაჯაიას იქ სწორედ იმ ადგილას, სადაც ახლა ფუნიკულიორის თავზე სადგურია, აეგო ერთი პატარა, ერთსართულიანი ოთახი და იქ ყიდდა ხილსა და მინერალურ წყლებს. ეს ვანო ქაჯაია დაბალი ტანისა იყო, კუზიანი და მარჯვენა ხელი მახინჯი ჰქონდა. იგი ხალხოსანი ყოფილა და ამიტომ ციმბირში დიდი ხნით გადაუსახლებიათ. ციმბირში ბევრი ვაებისა და ტანჯვის დროს სწორედ ეს მარჯვენა დამახინჯებოდა: იქიდან დაბრუნების შემდეგ სოფ. ჯიხაშის ახლოს რომელიღაც სოფელში კომუნა მოეწყო. მაგრამ პოლიციას იქიდანაც აუბარგებია და თავი თბილისში შეუფარებია. ვანო ქაჯაია კეთილი და თავმდაბალი კაცი იყო, სასიამოვნო მოსაუბრე. ამ თავის სავაჭროსთვის მას განდეგილი დაერქმია ილია ჭავჭავაძის „განდეგილის" პატივსაცემად.

ცხოვრების ანბარეზი

ვსთქვი: ცხოვრებავ, მეც ერთ კაცად მიწამე.

ა კ ა კ ი.

უნივერსიტეტი დავასრულე და სამშობლოსაკენ გამოვესწრაფე.

ჩვენ, ადამიანები, ნამდვილი აბრეშუმის ჭია ვართ, აბრეშუმის ჭია თუთის ფოთოლს ხარბადა და შეუწყვეტლივ მეელი დღე სჭამს. ამავე დროს და ამიტომაც მომვლელის თვალწინ, სხვადასხვა კანს იცვლის... ბოლოს ცახზე ავა და იქ პარკს ახვევს. ამ პარკიდან კი საუცხოვო და ძვირფასი ძაფი ამოიხვევა ხოლმე, რომლიდან ადამიანის ხელი ხავერდს ამზადებს. ჭაბუკისათვის. ახალგაზრდებისათვის უნივერსიტეტი, უმაღლესი სწავლის მიღება იგივეა, რაც აბრეშუმის ჭიისათვის თუთის ფოთოლი, ხოლო სწავლას ხარბად და ღრმად დაწაჟებული ჭაბუკი გარეგან კანს კი არ იცვლის, არამედ იგი სულიერად, ფსიქოლოგიურად სხვადასხვაფერდება, იცვლება. მეცნიერება კი ის ძვირფასი ძაფია, რომელიც ახალგაზრდამ უნდა გამოავლინოს სხვებისა და თავის თავისათვის სასარგებლოდ და გამოაჩინოს ცხოვრების ასპარეზზედ მთელი სიცოცხლის განმავლობაში, რამდენადაც მისმა გრძნობამა და გონებამ ეს მეცნიერება შეითვისა, შეისისხლხორცა. ამიტომ სრულებით ბუნებრივია, რომელიც მეცნიერების ცხოველმყოფელ ნაკადულს დაეწაფა, ეს ნაკადული აიაზმასავით გამოიყენოს ხალხისა, თავისი საყვარელი ერისა, მშრომელი ადამიანისათვის სასხურებლად, საპკურებლად...

სოფელში ცოტა ხანს დავრჩი. თბილისისკენ გავწიე. ამიერკავკასიის სამოსწავლებლო უწყების მზრუნველი იანოვსკი უნდა მენახა, იმისთვის მეთხოვა, რაიმე ადგილი მოეცა. იგი თბილისში არ იყო. კანცელარიაში მითხრეს, ბორჯომშია დასასვენებლადო. წავედი, ვნახე. ვთხოვე. მეკითხება: თქვენ მეგრელი უნდა იყოთ, გვარი მეგრული გაქვთ. მივუგე: გვარი მეგრული მაქვს, მაგრამ მეგრელი არა ვარ. იმერელი ვარ. მეგრული, სამწუხაროდ, ერთი სიტყვაც არ ვიცი. იგი თავისას დაჟინებით მიმეორებს. არა, მეგრელი უნდა იყოთ! ამით გათავდა ჩვენი გაბაასება. არც ადგილი მომცა და არც დამპირდა. იმავე წელს კი ჩემი ნაამხანაგარი ჯინორიძე ადგილზე გაამწესა პირდაპირ ქუთაისის გიმნაზიაში. ამასაც არ ჰქონდა პროტექცია, როგორც მე არ მქონდა. მას არც ჩემისთანა კარგი დიპლომი ჰქონდა. ამის შემდეგ ჩემთვის აშკარა შეიქმნა, რომ იანოვსკის უეჭველად ძასთანაც

ისეთივე ლაპარაკი ჰქონდა, როგორიც ჩემთან. ჯინორიძე, რასაკვირველია, დაუდასტურებდა, მეგრელი ვარო, რადგან მართლაც მეგრელი იყო. იმხანად იასოვსკი სამეგრელოს გამოყოფის პოლიტიკას აწარმოებდა, აქ სამინისტრო სკოლებში ქართული ენის კვალს შლიდა, სპობდა, ლევიცკის მეთოდით ასწავლიდა. იმ მეთოდით, რომელსაც ხალხმა მოსწრებულად მუნჯური უწოდა.

მთელი ზაფხული სოფელში დავრჩი. ადგილი ვერაფერი ავიჩინე. ქუთაისის სათავად-აზნაურო სკოლაში შევიტანე თხოვნა. კირილე ლორთქიფანიძე მაშინ აქ თურმე საბჭოს წევრი იყო. მას ჩემ თხოვნაზე აეხედ-დაეხედა და ეთქვა: ხელი არ ვარგებია, ამიტომ ადგილს ვერ მივცემო.

იმ წლის შემოდგომაზე გერასიმე ცაგარეიშვილმა, რომელმაც ოდესის უნივერსიტეტის ფილოლოგიური ფაკულტეტი ერემზე წინ ორი წლით ადრე გაათავა, ბათუმში მოსამზადებელი კლასები გახსნა. მთხოვა კლასების მასწავლებლად გავყოლოდი. დავთანხმდი, რადგან სხვა გამოსავალი არა მქონდა... განსაზღვრულ ჯამაგირს მაძლევდა, სულ მცირეს. მგონია, ორმოც მანეთამდი.

ბათუმი ახლოს გავიცანი. მართალია აკაკი, როცა შემდეგსა ამბობს:

ვით სპილო არ მწამს სპილოდა,
თუ არ ექნება ხორთუმი,
ისე ბოგანი — კავკასად,
თუ არ ექნება ბათუმი.

ბათუმში იმხანად ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას სკოლა ჰქონდა გახსნილი. აქ ორი მასწავლებელი იყო. მათთან ხშირი მისვლა-მოსვლა მქონდა. ერთი მათგანი იყო მიშა შარაშიძე, გურული, კაცი ყოვლად პატიოსანი, ზრდილი, აუჩქარებელი და თავაზიანი. სკოლას თავს ევლებოდა. სკოლაში ორად ორი აპარელი ყმაწვილი სწავლობდა, მაგრამ ამათთვის მოლა მაინც მოწვეული იყო და ყურანს ასწავლიდა. ფიქრობდნენ, ამ მოლას მეშვეობით მოეშორებიათ აპარელები, რომ შვილები ამ სკოლაში არ შემოეყვანათ. ნამდვილად კი ეს ასე არ იყო.

ან რატომღა უნდა ყოფილიყო? მოლა ისე სულელი არ იყო, რომ თავისივე თავის დასაკლავი დანა თვითონვე აელესა. მას ცალკე ჰქონდა სკოლა, ბლომად ჰყავდა მოწაფეები — ქალი და ვაჟი, ასწავლიდა ძველისძველი მეთოდით. ერთხელ თავის სკოლაში წაგვიყვანა. სკოლის შენობა იყო ყოვლად მოუწყობელი, ბნელი და ნოტიო. აქ ერთად სწავლობდნენ ქალიშვილები და ვაჟები. ქალიშვილები უჩადროდ ისხდნენ. გამიკვირდა. მიზეზი ვკითხე. მოლამ მიპასუხა: — ქალიშვილობაში ჩვენი ქალები უჩადროდ დადიან: მერმე, როცა მოიზრდებიან, მოჩიტდებიან და გასათხოვარი შეიქნებიან ან გათხოვდებიან,—უჩადროდ ვეღარ გაივლიან. იქვე სკოლაში სხვადასხვა დასასჯელი ხელსაწყოები ეწყო. ძალიან დამაინტერესა ხუნდებმა. ამის მეტად არ მენახა. ყმაწვილებსა და ქალიშვილებს გამოვკითხე, თუ რა გვარისანი იყვნენ, სულ იმერული და გურული გვარები ჰქონდათ: ნიჟარაძე, მიქელაძე, აბაშიძე, თავდგირიძე.

1894 წლის მარტში ჩემი ძმა რომანოზი მატყობინებდა, რომ აქ, თბილისში, შესდგა საზაფხულო საფილოქსერო პარტიაო და ივ. ზაქ. ანდრონიკოვი თანახმაა მიგიღოსო. მეც მაშინვე თბილისისაკენ გამოვექანე. ცაგარეიშვილი და მისი სკოლა მივატოვე. თავისუფლად ამოვისუნთქე.

შეველი საფილოქსერო პარტიაში. ზაფხულის თვეებში ქართლის სოფლებში ვენახებში ფილოქსერას დავეძებდით. შემოდგომაზე კი, ენკენისთვეში წინდაწინ გაგზავნილ ვიქენი ჩრდილო კავკასიაში გერმანელების ერთ-ერთ სოფელში, სადაც მევენახეობას ეწეოდნენ. წავედი. დარიალის ხეობა გავიარე. საუცხოო და თვალწარმტაცი სურათები ყოველი ნაბიჯის გადადგმაზე! როცა დარიალის ვიწროებში შევედი, იქ, სადაც თერგის აქით-იქით მხარეზე ამართულია თვალუწვდენელი ფრიალო კლდეები, მაშინ მომაგონდა ჩვენი ნიჭიერი მგოსნის ალ. ჭავჭავაძის ლექსის „კავკასის“ შემდეგი სიტყვები:

კავკასი გოლიათი წევს შორის ორთა ზღვათა,
შემოკრებით ბემცელი დიად საკვირველებათა,
მას შინა სჩანს ბუნება საშინელ და მშვენად:

გვერდნი მისნი ძლიერნი, ოფლილნი შეუსვენრად,
ეუხვით გადმომაქანნი მრისხანედ მდინარეთა.

ამ საუცხოო სურათებისა და სანახაობათა აღწერა, აბა, რა ჩემი საქმეა? ეს სანახაობანი აღწერილი აქვთ, როგორც აქვე ვნახავთ, განცდათა გამომხატველებსა, მეევრმეტყველებისა და სტილის გამომქანდაკებლების ისეთ ბუმბერაზებს, როგორნიც არიან ალ. ჭავჭავაძე, გრ. ორბელიანი, ალ. ყაზბეგი და ლერმონტოვი. მათ შემდეგ მე როგორღა გავბედავ ამ სანახაობათა აღწერას? ვიტყვი კი, რომ იმ ქართველს, რომელსაც დაოიალის ხეობა არ უნახავს, დარიალის ხეობაში ერთხელ მაინც არ გაუვლია, მას საქართველოს ბუნების სიდიადეზე წარმოდგენაც არა აქვს, მას შეგრძნობილი არა აქვს აგ ბუნების ბუმბერაზობა. ვლადიკავკაზის რკინისგზით როსტოვისკენ გავწიე. სადგურ Кавказская-ზე ჩაეოვხტი. საღამოს ეამი იყო. ეტლი დავიქირავე. იქეე ახლოს მიმდინარე ბეღზე ბორანით გავედით. მზე უკვე ჩავიდა. ჩვენ კი თვალგაუწვდენელ მინდვრებზე პირდაპირ სოფლისაკენ გავექანეთ. სამოცდაათი ვერსი უნდა გაგვეევლო. ხარბი თვალით დავეცქეროდით მდიდარ ნიადაგს, ნახმირივით შავს, ასეთი ნოყიეოი მიწა და ამდენი სივრცე ჩვენ ხალხს რომ ჰქონდეს. ჭეშმარიტად მდიდარი და ნებიერი იქნებოდა... თანდათან ბნელდებოდა. შორიდან ძაღლების მოძალებული ყეფა და ადამიანეპია ყვირილი ისმოდა: ჩეში მეეტლე აქით-იქით თვალებს აფაციცებდა. მე კი სრულებით უდარდელათა და უშიშრად ვგრძნობდი თავს. ღამის მეთორმეტე საათზე სოფელში შევედით. მხოლოდ მაშინ მითხრა მეეტლემ—ძაღლების ყეფა და ადამიანების ყვირილი ხომ გესმოდა? ჩვენს გზაეროსაში ორი თავდასხმა და მკვლელობაც კი მოხდაო: ჩვენ დიდ განსაცდელს გადავრჩით: სწორედ ამიტომაც აქით-იქით ეაფაციცებით ვიხედებოდი, ვათვალიერებდი, ხომ ეინმე არ გვიახლოვდებაო, ამ გზაზე თითქმის ყოველ ღამეს თავდასხმა და მკვლელობა ხდებაო, ეს ადგილები ახლად დასახლებულია. ამიტომ აქა-იქა, ხშირი არ არის მოსახლეობა: სხვადასხვა ადგილებიდან არის გადმოსული. მეეტლის ამ ნალაპარაკევში ნახეეარი მაინც თუ მართალი იყო,

მაშინაც კი დიდ საშიშროებას გადავურჩით, თურმე. ეე კი ქილეტის ჯიბეში მხოლოდ ჯაყვა ძქოხდა, მეტი არაფერი.

სოფელში დავბინავდი.. ეოთ კვირასაც არ გაუვლია, მოვიდა თვითონ ექსპერტი, ჩვენი საოლიქსერო პარტიის უფროსი, ივანე ზაქარიას ძე ანდრონიკაძეილი. თვე-ნახევარი ეე მეტი დაკრჩით აქ საამუშაოსე. დეკემბრის პირველ რიცხვებში თბილისისაკენ წამოვედით, დარიალის ხეობითვე. ვლადიკავკაზიდან საარაკო სანახაობა და ამინდის საკვირველი ცვალებადობა იყო. სიცხე იყო და დიდი ბტეერი, ყობადან ძლეთამდი თოვლი, ხოლო სავალი გზა თოვლისაგან გასუფთავებული იყო, კლდეები იყო მიყრილი, ამიტომ აქაც ბტეერი ადიოდა, ძლეთნი ლაძე გავათიეთ, რადგან უკვე დაბსლებული იყო, სოფლის ვაბ'ძობის დრო იყო; ჩვენი ძოსვენებისას კარგი, თბილი ამინდი იდგა; დილა ადრიახად ავდექით: ღანით ორი არშინის სიმაღლე თოვლი დაედო, მარხილებით გავავგრძეთ გზა; ფასანაურამდე ასეთივე დიდი თოვლი იდო და ისევ თოვდა, ფასანაურიდან ახალციხამდე თუბცა არ თოვდა, მაგრამ ძალიან ხშირი, წვრილი და ცივი წვიმა დაუსოგველად გვასველებდა. ანანურიდან დუშეთამდე აღარ წვიმდა, ნაწვიმარი იყო და გზაზე დიდი ტალახი იდო; დუშეთიდან თბილისამდე კი ნამდვილი ზაფხულის სიცხე და ბტეერის კორიანტელი იდგა. ასე მცირე მანძილზე ამდენი ამინდი, ამდენი ჰავა?!

თბილისში რომ ჩამოვედით, მეორე თე მესამე დღეს ალ. ყაზბეგის გაპვენება იყო, ცხედარი დაესვენებიათ ქაშვეთის ტაძარში. ულბოავი ხალხი დაესწრო, თითქმის მხოლოდ ინტელიგენცია. ქალი და კაცი. ამ დროს აღმაშფოთებელი ინციდენტი მოხდა. ნ. ნიკოლაძეს ბებურა ბებურიშვილმა მიპარვით სილა გააწნა. ნ. ნიკოლაძე ტაძრიდან გამოვიდა და გალავანში გამოდიოდა იმ ბილიკით, რომელიც ხალხს გასასვლელად დაუტოვებია. ნ. ნიკოლაძე აქამდი მე არსად მინახავს, ბებურა და ამის მცველი ვილაც კოპალეიშვილი აქ, ბილიკის პირად იყვნენ ჩასაფრებული. ნ. ნიკოლაძემ რომ ჩამოიარა, ბებურამ უკანიდან მოქნეული სილა წინიდან გააწნა. ნ. ნიკოლაძე შემოტრიალდა, მკლავი მაღლა ასწია და სამაგიერო სილის გაწნას უპირებდა, მაგრამ ნ. ნიკოლაძეს

ხელი ჰაერში შეუჩერეს სოფ. მგალობლიშვილმა და სხვებმა. ბებურას კი აღშფოთებული საზოგადოება სწრაფად მივარდა, გარს შემოეხვია და გინებითა და ლანძღვით თუ როგორ გაბედა მან ასეთი საქციელის ჩადენა სწორედ ასეთ დროს და ამით მთელი საზოგადოება შეურაცხყო. ეკ. გაბაშვილმა კი თვალებში და პირისახეზე შეაფურთხა. ბებურიშვილის მცველი ყაჩაღი კოპალეიშვილი წახდა, დაიბნა, ვერაფერი გაბედა. ამ საზიზღარი ინციდენტის გამო ნ. ნიკოლაძეს საზოგადოებამ მეორე დღეს წერილობითი სალამი გამოუცხადა, ხოლო ბებურას კი — ზიზღი. დავით მიქელაძე (მეველე) დუელს აწყობდა, მაგრამ დუელი არ შეესდგა. ნ. ნიკოლაძე ბებურას დუელში არ გაჰყვა. რომ გაჰყოლოდა, ნ. ნიკოლაძეს ბებურა ბეღურასავით გაბდღვნიდა, რადგან ნ. ნიკოლაძეს თავის დღეში ფიშტოც კი არ გაუსროლია, ბებურა კი ნაბოქაულარი იყო და კარგი მონადირეც. ბებურამ ნ. ნიკოლაძეზე შური იძია, რადგან ნ. ნიკოლაძემ კალისტრატე ჩიკვაიძის წინააღმდეგ იმ ხანებში სტატია მოათავსა თავის Новое обозрение-ში ამ სათაურით: Коль истратишь, пройдешь აქ ბებურაც გადაკვრით იყო თურმე მოხსენებული, როგორც კალ. ჩიკვაიძის ერთ-ერთი აგენტი.

დეკემბრიდან მომცეს უფროსი расследователь-ობა, რაიონად ფოთი დამინიშნეს. აქ მოვეწყვე და ჩემ მოვალეობას ვასრულებდი. თავისუფალი დრო ბევრი მრჩებოდა. მივუჯექი მეცადინეობას. სხვათა შორის სწორედ აქ დავწერე ჩემი სტატია — „ჩვენი საშინაო საქმეები", რომელიც „კვალში" დაიბეჭდა 1895 წელს აპრილში. ამ წლის თებერვალში დილით ჩემ ოთახში ჟანდარმის ოფიცერი ჟანდარმებით შემოიჭრა. გამჩხრიკეს. წაიღეს კიტა აბაშიძის ჩემდამი მოწერილი ბარათები და ლეტურნოს წიგნი ფრანგულ ენაზე. ეს წიგნი მაშინ რუსულად გადმოთარგმნილი არ იყო. ამიტომ ვკითხულობდი და ვსწავლობდი ფრანგულ ენაზე. ჟანდარმებმა ქუთაისისკენ მიკრეს თავი. ორი დღე-ღამის განმავლობაში აწარმოებდა ჩემს დაკითხვას ჟანდარმი დებილი. ამ ხნის განმავლობაში იქვე, ჟანდარმთა სამმართველოში ვიყავი. იქ მაქმევდნენ, მასმევდნენ, იქვე მეძინა. ამის შემდეგ გამოგიშვეს. ლეტურნოს წიგნი ექვსისა თუ ცხრა თვის შემდეგ

მივიღე ფოსტით პეტერბურგიდან. ჯიტას ბარათები არ დამიბრუნდა. პოლიციის ღია მეთვალყურეობა მომისაჯეს. პოლიციის ღია ან ფარული მეთვალყურეობის ქვეშ ყოფნა თავმოსაბეზრებელია: ერთი ადგილიდან მეორე ადგილას რომ წავიდოდი და ნაცნობთან, მეგობართან ან ექიმთან ვიქნებოდი. მეორე დღეს ამათ დაკითხვას დაწვრილებით აწარმოებდნენ, რატომ ჩამოვიდა, რა საქმისათვის, რა ილაპარაკა, რა მოიმოქმედა, ან საით წავიდაო. თვალის ექიმ ტარსაიძესთან ვექიმობდი. მას მოვარდნოდნენ და დაეკითხათ. ასევე მოექცნენ გრ. დიასამიძესაც. ასევე ჰქნეს ნ. ნიკოლაძისას სოფ. ჯიხაიშში. როცა ნ. ნიკოლაძის ოჯახობა ზაფხულობით ჯიხაიშში იქნებოდა, მეც ავყვებოდი ოჯახობის სანახავად ნ. ნიკოლაძესა და კოწია მიქაბერიძეს. მეორე დღესვე ნ. ნიკოლაძის მოურავს დაკითხავდა პოლიცია. ფოთში სასტუმრო კოლხიდაში ვცხოვრობდი. ცალკე ნომერი თვიურად დაქირავებული მქონდა. წავიდოდი თუ არა ფოთიდან, საშინვე სასტუმროს პატრონს პეტრე ხუმარაძეს მიუვარდებოდა პოლიცია და დაწვრილებით გამოჰკითხავდა ჩემს ამბავს. ეს იწილობიწილო მხოლოდ დასრულდა 1905 წლიდან, ვინაიდან ჩვიდმეტი ოქტომბრის მანიფესტმა ეს საუბიზღრობა მოსპო. ამას უნდა დავუმატოთ შემდეგი ცნობა. 1935 წლის ივლისში ჩავედი სოფ. ხობულში, სადგომად გავჩერდი ჩემი ბიძაშვილისას, კალისტრატესთან. უნდა ჩემი ეზოდან შიმეზომა ჩემი კუთვნილი მიწა, მაგრამ უარი მითხრეს ამ დროს კალისტრატემ მიამბო: ერთ შემოდგომაზე ღამის ათი-თორმეტი საათი იქნებოდა, გამომაღვიძესო. ეზოში იყო ჩვენი სამამასახლისოს მწერალი მელიტონ იოსელიანი. ეს მელიტონი იყო ჩემი სიძე და ამიტომ აქვე წყალტუბოში იყო ჩასიძებული. თვითონ მელიტონი კი ქვემორელი იოსელიანი იყო. ამას თან ახლდნენ წყალტუბოს მამასახლისი და ორი პოლიციელი და ჟანდარმი ქუთაისიდანო. შენ მაშინ სოფელში იყავი ჩამოსული სამუშევარზეო. მკითხეს, იაკობი ხომ აქ არ არისო. მე ვუპასუხე. აქ იყო, მაგრამ ამ დილით წავიდა-თქო. დამიჯერეს. გაბრუნდნენ. მელიტონმა მითხრა, ესენი ქუთაისიდან მოვიდნენ, მე და მამასახლისიც თან მიახლეს და იაკობის ნახვა სურთ, არ ვიცი, რისთვისაო.

განაყენულზე ობილისში გამოვცხადდი საზაფხულო სამუშაოზე. ეხლა წავსულიყავი. მაგრამ ამ დროს მაისში ექსპერტების მოადგილეების თანამდებობა გაიხსნა. ეს თანამდებობა აქამდის არ იყო. ივანე ანდრონიკაშვილმა თანაშემწედ წარმოადგინა. მიწადმოქმედების სამინისტროს რწმუნებულმა მედეედევმა არ დაამტკიცა. ამის თანაშემწეს, გასხვევსკის, ივ. ბაკ. ანდრონიკაშვილისათვის ეთქვა, რომ ფანცხავა იმიტომ არ დაამტკიცა მედვედევმა, ჟანდარმებს გაუჩხრეკიათ, და ეეთილსაიმედო არ არისო. ჩემთვის აშკარა იყო, რომ ჟანდარმებს ეს მღვდლისათვის უცნობებიათ. ამ გარემოებისა გამო საღილოქსერო პარტიაში სამსახურს თავი დავანებე, რადგან სურვილიც აღარ მქონდა, ისევ სოფელ-სოფელ მეხეტიალა ფილოქსერის საძებრად. ეს კი ჩემთვის მით უფრო ადვილი შეიქნა, რომ სწორედ ამ დროს მივიღე პეტერბურგიდან ცნობა, რომ მე სახელმწიფო ბანკის თბილისის კანტორაში დამეწყო მეცადინეობა და საბანკო ოპერაციებს გავცნობოდი. გამიკვირდა, რომ ჩემი თხოვნა ყურად ეღოთ. იმ დღიდან ბანკში ვმეცადინეობდი. ამავე დროს ვრეპეტიტოროობდი და ამით ვირჩენდი თავს. სექტემბერში განკარგულება მივიღე: პერმში ხარ დანიშნული მეორე ხარისხის ბუღალტრადო. ამაზე უარი განვაცხადე და განვმარტე, რომ პერმში ვერ წავალ, რადგან იგი ძალიან ჩრდილოეთით არის, ჩემთვის, როგორც სამხრეთის მცხოვრებისათვის, ეს აუტანელი იქნება-მეთქი. დე, ვთხოვე ასეთი თანამდებობის თანახმა ვიქნები, თუ სადმე სამხრეთ რუსეთში გამაგზავნით-მეთქი. მართლაც 1896 წლის იანვარში დავინიშნე ასეთ ადგილზე ქ. ნიკოლაევში. თებერვალში ნიკოლაევისაკენ გავეშურე. გზად ქუთაისში შევიარე. დავესწარი გაბრიელ ეპისკოპოსის დაკრძალვას გელათში. აუარება ხალხი გაჰყვა განსვენებულს. სიტყვები გელათში წარმოთქვეს ილ. ჭავჭავაძემ, ივ. მაჩაბელმა და სხვა. აქედან სოფელში შევიარე, დედამამას გამოვეთხოვე, და ოდესაზე გავლით ნიკოლაევში ჩავედი. ბანკის საქმეები ბუღალტერსა და მმართველს უზომოდ აებურდათ. ამიტომ ბუღალტერი პასუხისგებაში იყო მიცემული და საპყრობილეში იჯდა. ბუღალტერიაში სულ ახალ-

გაზრდები, ჩემსავით უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები, რამდენიმე გამოგზავნეს ჩემი გამოცხადების მერძე. სულ მალე ძველი მმართველი გადააყენეს, ახალ მმართველად ახალგაზრდა, მაგრამ ჩვენზე ბევრად უფროსი დააყენეს. ამავე დროს სახელმწიფო ბანკის სხვა განყოფილებებიდან სპეციალისტი ბუღალტრები მოავლინეს. სასტიკი რევიზიისა და არეულ-დარეული ვითარების გამორკვევა დაიწყო. ჩვენც, ახლებიც, ამაში მონაწილეობას ვიღებდით. მთელი ზაფხულის თვეებში საღამოს მუშაობა თითქმის ყოველი ღამის პირველ საათამდე გრძელდებოდა. ამ ერთად მუშაობამ ერთმანეთთან ძალიან დაგვაახლოვა. სხვათა შორის, აქ იყო გამწესებული ბუღალტრის პირველი ხარისხის თანამდებობაზე ვინმე შვედოვი. იგი იყო ძმისწული პროფესორის შვედოვისა, რომელიც ოდესის უნივერსიტეტში ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე და ბუნებისმეტყველების განყოფილებაზე ფიზიკიდან ლექციებს გვიკითხავდა. ამ ჩემი სამსახურის ამხანაგ შვედოვს ოდესისავე უნივერსიტეტში დაემთავრებია იურიდიული ფაკულტეტი. იგი უკრაინელი იყო. ამ პირობებში, ამ ერთად საღამოს მუშაობამ და იმანაც, რომ იგი ოდესიდანვე იყო, ძალიან დაგვაახლოვა და დაგვამეგობრა. რევიზია სექტემბერში დამთავრდა, საბოლოოდ გამოირკვა შედეგები. სამუშაო, რომლის შესრულება მე მქონდა დაკისრებული, ძალიან უარგადა და ზუსტად შესრულებული აღმოჩნდა. მმართველმა ნამუშევარი მომიწონა. სხვების ნამუშევარიც კარგი გამოდგა. აქედან მმართველმა ამხანაგებით მოპყრობა დაგვიწყო. დაგვიახლოვა. შემოდგომაზე თავის ოჯახში მიგვიპატიჟა. კვირაში ერთხელ, შაბათ საღამოს მისას ვიყრიდით თავს და ვერთობოდით. განსაკუთრებით მე მაქცევდნენ ყურადღებას ქმარიცა და ცოლიც. არ ვიცი კი რად და ასეთი ამხანაგური და თბილი მოპყრობა ჩემგან სულიერად კარგად მოქმედობდა. რევიზია რომ დასრულდა, საღამოობით მუშაობა აღარ გვჭირდებოდა.

1897 წლის მარტში ჩვენი ბანკის მმართველმა მიიღო განკარგულება, რომ მე დანიშნული ვიყავი სახელმწიფო ბანკის ფეოდოსიის განყოფილებაში, კონტროლის თანაშემწედ, რა-

საკვირველია, მმართველის წარდგენის თანახმად. მანამდი კი ეს მას ან ვინმეს ჩემთვის არ გაუმხელია. ეს ჩემთვის დიდი წარმატება იყო. ერთი წლის ნამსახური არ ვიყავი, ისიც ძალიან მცირე ადგილზე, როგორიც არის ბუღალტრის მეორე ხარისხის ბუღალტრის თანამდებობა, და პირდაპირ კონტროლიორის თანაშემწედ ეი დავენიშნე. ბანკი ეს მეოთხე მთავარი და საპასუხისმგებლო თანამდებობაა ხარისხის მისედვით: პირველია მმართველი, მეორე — კონტროლიორი, მესამე — მთავარი ბუღალტერი და მეოთხე — კონტროლიორის თანაშემწე. მაგრამ მე ამაზე უარი განვაცხადე, ვინაიდან სწორედ იმავე დღეს მივიღე ბარათი სახდრო გუგუშვილისაგან, რომელიც მატყობინებდა: ნ. ნიკოლაძე გიწვევთ ფოთში ქალაქის თვითმმართველობის საბჭოსა და გამგეობის მდივნად: რაც მალე ჩამოხვალ, უმჯობესიაო. ასეთ შემთხვევაში, აბა, ხელიდან როგორღა გავუშვებდი რა წარჩინება. რა სიმდიდრე უნდა მომცემოდა, საშობლოში დაბრუნება ამაში გამეცვალა და აქ ჩემი ძალ-ღონის ამოქმედება და მოღვაწეობა! მეც საქართველოსკენ გამოვეშურე და ნ. ნიკოლაძეს ვამოვეცხადე ქალაქის გამგეობაში 1897 წლის აპრილს.

ნ. ნიკოლაძის შესახებ არაფერს ვიტყვი, რადგან ამის შესახებ ვრცელი მოთხრობა მაქვს დაწერილი ცალკე. ვიტყვი კი, რომ ნ. ნიკოლაძემ თანამშრომლებთან დამოკიდებულება ძალიან კარგი იცოდა. მოუსვენარი და დიდად მშრომელი კაცი იყო. უსაქმოდ ერთ წუთსაც ვერ ნახავდით. ფრიად სიმპათიური ოჯახი ჰქონდა. მისი მეუღლე ოლგა ალექსანდრეს ასული გურამიშვილისა (ავჭალიდან), ჩემი დაკვირვებით, ჭკუიანი და განათლებული ქალი ბრძანდებოდა... დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა ავრეთვე ექიმი კოწია მიქაბერიძე და მისი მეუღლე ანნა ვალენტინის ასული ვოროდეცკისა: არც მეტიჩრობა, არც გადამწეხილობა, სრული გულწრფელობა და დამოკიდებულებაში უბრალოება. კოწია მიქაბერიძე ძალიან ხელგაშლილი ადამიანი იყო. რასაც შოულობდა, სულ ხარჯავდა, შოულობდა კი ბლომად. სულ სტუმრები ჰყავდა. მაგრამ მის ოჯახში ლოთობასა და ღრიანცელს ადგილი არა

ჰქონდა. აქ იყო სრულებით ინტელიგენტური გარეობა. ფოთის მეუშებს შორის დიდი სიყვარული და პატივისცემა ჰქონდა მოპოვებული და დამსახურებული. მათ ეპყრობოდა ეფეროს ძმასავით, ამხანაგურად, ყოველგვარ დახმარებას, ეფასო ექიმობისა გარდა უწევდა. პირადად მე სულის სიმშვიდეს კოწიას ოჯახში ვგრძნობდი. 1898 წელში შემოდგომაზე ხურებით (მუცლის ტიფით) მძიმე ავად გავხდი. ჩემთვის დიდ დავალებად ვთვლი დღესაც იმ მოვლას, იმ ყურადღებას, რომელიც ორივემ, ცოლმაც და ქმარმაც ჩემდამი მაშინ გამოიჩინეს. თუ არ ისინი, მგონია, მე ამ ხურების სიძნელეს ვერ გადავიტანდი, ვერ გავუძლებდი, ვერ გადვურჩებოდი, ისე ღიმასუსტა, დამქანცა ამ გახანგრძლივებულმა ავადმყოფობამ, რომ მთელი წლის განმავლობაში ბგერა რ ლაპარაკში დამეკარგა, ვერ გამოვთქვამდი ხოლმე ამ ბგერას. ჩემი მადლობა მათდამი მარადის დაუვიწყარია.

1907 წლის დასაწყისიდან ქუთაისში ვმოღვაწეობდი 1924 წლის პირველ აპრილამდე, როცა საბოლოოდ თბილისში საცხოვრებლად გადმოვედი: სახკომსაბჭომ თავისი დადგენილებით ამა წლის 19 მარტიდან მიმიწვია ფინსახკომის მოადგილედ.

1910 წელში, ნოემბერში, ქუთაისის ქალაქის თავად რომ ამირჩიეს, ეს გარემოება ჩემთვის არავის ამხანაგთაგანს ვინც ქუთაის გარეთ იყო, არ მოულოცნია. მომილოცეს მხოლოდ გრ. დიასამიძემ და ივანე ზაქარიას ძემ ანდრონიკაშვილმა. რომელიც მაშინ ბათუმის ქალაქის თავი იყო. ამ ორის მილოცვა მესიამოვნა და გამიხარდა, ხოლო სხვებმა რომ არ მომილოცეს, მეწყინა და დამაღონა.

აქვე აღვნიშნავ, რომ გუბერნატორმა სლავინსკიმ ქრთამი მომთხოვა ათასი მანეთი, ქალაქის თავად რომ დავემტკიცებიე. აი, ეს როგორ იყო. სლავინსკის ქუთაისის პოლიცმეისტერად ჰყავდა კარაპეტა ანტონოვი. ამ ადგილზე თვითონ სლავინსკიმ გადმოიყვანა ერევნიდან, ახლო დამოკიდებულება ჰქონდა, როცა სლავინსკი ერევანში მაზრის უფროსად იყო, ანტონოვი კი — ბოქაულად. ამიტომ ანტონოვი სლავინსკის დიდი მესაიდუმლე იყო. ჩემთან, გამგეობის კა-

ბინეტში შემოვიდა ანტონოვი და მითხრა: ასე რომ აგვიანდება შენს დამტკიცებას, ეს კარგი ნიშანი არ არის; საჭიროა, ათასი მანეთი მაინც გადადო, რომ ეს საქმე დაჩქარდეს და საბოლოოდ გამოირკვეს. მე ეს ვითაკილე. ანტონოვი უარით გავისტუმრე. წინათ, როცა სლავინსკისთან ქალაქის საქმეებისა გამო შევდიოდი, ხშირად მეუბნებოდა, ხელმოკლედა ვარ და მატერიალურ გაჭირვებას განვიცდიო. ამ უტიფარს მთელი სასახლე, პრინც პეტრე ოლდენბურგისეული, განათებითა და სახელმწიფო გათბობით სახელმწიფო ხარჯზე ჰქონდა, ჯამაგირს კი თორმეტი ათასის რაოდენობით იღებდა, როგორც გენერალ-გუბერნატორი. იყო თვითონ და მისი ცოლი. შვილები არ ჰყავდა. არშიყობას არ მისდევდა. იმდენი ჯამაგირი ჰქონდა და კიდევ ხელმოკლეობაზე წუწუნობდა. ისიც ჩემთან, რომელიც მასთან დაახლოებული არ ვიყავი. ანტონოვის სიტყვების შემდეგ კი ცხადად მივხვდი ამ ჩუწუნის მიზანს...

ქუთაისში ქალაქის ქირურგიული საავადმყოფო გავხსენით. გამგედ მოვიწვიეთ ქირურგი როდზევიჩი, კაცი თავისი ხელობის ოსტატი და ყოვლად პატიოსანი. მაგრამ იგი ეცემა. მოულოდნელად გაგვეპარა და კიევში ამოყო თავი. იქიდან გვატყობინებდა, დაბრუნება აღარ შემიძლია. მიზეზს არ იწერებოდა. ჩვენი გაოცება დიდი იყო. დეპეშებით არ მოვუსვენე და ბოლოს დაბრუნდა ქუთაისში ქირურგად. მიზეზი ამ გარემოებისა გამოვიკვლიე და აღმოჩნდა, რომ ექიმს ივანე ბოკერიას, რომელიც ვითომც ქირურგობდა, რადგან კურსი ახლად დასრულებული ჰქონდა, და რომელსაც თურმე დიდი სურვილი ჰქონდა როდზევიჩის ადგილი დაეჭირა, მუქარის უსახელო ბარათი მიეწერა, აქიდან გადაიკარგე, თორემ ან ძაღლივით მოგახრჩობთ ან გაგიტაცებთო. როდზევიჩს შეშინებია და გაპარულა.

ასევე მოიქცა ექიმი გრ. ნასარიძე. 1909 წლის ზაფხულში ქუთაისში პარტახტიანი ტიფი მძვინვარებდა. ქალაქის ამბულატორიის ექიმად ვასილ წერეთელი გვყავდა. პარტახტიანი ტიფით ავადმყოფთათვის ავაგეთ ცალკე ბარაკები. რომელსაც ვანაგებდა გადამდებ სნეულებათა გამგე იაშა ჩარექოვი. მაგრამ ამის დამხმარედ მას მეორე ექიმი სჭირდებოდა.

ერთ მშვენიერ დღეს ჩემთან, გამგეობის კაბინეტში, შემოვიდა ბრ. ნასარიძე და ასეთი წინადადება მომცა: — ვასილ წერეთელი ამბულატორიიდან გადაიყვანე პარტახტიანი ტიფით სნეულთათვის აგებულ ბარაკებში, ფარდულებში, ჩარექოვის დამხმარედ, ხოლო ვასილ წერეთლის ადგილი მე მომეცით. უარი ვუთხარი: ვასილ წერეთელი ცოლ-შვილით დატვირთულია. თუ ფარდულებში მუშაობის გეშინია, მით უფრო წერეთლისათვის არის ეს საშიში: თუ გსურს, ფარდულებში ექიმად ახლავე დაგნიშნავ-თქო. არ ინება. წავიდა. ამიტომ სხვა მოვიწვიეთ. ჩემ უარზე ამრეზილმა უსახელო ბარათი მომწერა, რომელშიც სიხარულით მატყობინებდა, აპენდიციტის ოპერაცია ცუდად გაქვს გაკეთებული და სასიამოვნოა, რომ სულ მალე ჩაძაღლდებიო. ბარათში უწნოდ დახატული იყო კუბო...

1916 წელს წ. კ. გამავრცელებელი საზოგადოების ქუთაისის განყოფილების წევრთა საზოგადო კრება იქნა მოწვეული. ეს კრება ისეთნაირად მოწვეული იყო იმის გამო, რომ რამდენიმე დღის შემდეგ ასეთივე საზოგადო კრება იყო მოწვეული თბილისში ცენტრალური გამგეობის მიერ. ამ უკანასკნელ კრებაზე წარდგებოდნენ სხვა განყოფილებათა დელეგატებიც მანდატებით. ქუთაისის განყოფილების კრების თავმჯდომარედ მე ვიყავი არჩეული. განვიხილეთ დღის წესრიგში შეტანილი ყველა საკითხი, დელეგატებიც ავირჩიეთ. კრებამ მოისურვა, დასმულიყო საკითხი საწევრო ფულის რაოდენობის შესახებაც. რადგან ესეთივე საკითხი დასმული იყო თბილისშიც, და ამ საკითხის თაობაზე ჩვენს დელეგატებს გარკვეული პასუხიც უნდა ჰქონოდათ. ბევრი კამათის შემდეგ კენჭის ყრით გადაწყდა საწევრო ფულის რაოდენობა სამი მანეთის მაგიერ ერთი მანეთი. კენჭისყრამდე, მე, როგორც თავმჯდომარემ, კრებას განვუმარტე, რომ ეს ძირითადი პრინციპიალური საკითხი არ არის და სასურველიც არის, რომ ჩვენი საზოგადოების კარები ფართოდ გაეღოს დემოკრატიას, რომ ამით საზოგადოების საქმიანობა გამოცოცხლდეს და ამ საქმიანობას აქტიურობა მიეცეს-თქო. საქმე ის იყო, რომ თბილისში რამდენიმე წლის განმავლობაში მთავარი ბრძოლა წარ-

მოებდა ამ საკითხის გარშემო სოციალ-დემოკრატებსა და ფედერალისტებს შორის. ფედერალისტები ჯიუტობდნენ და საწევრო გადასახადის რაოდენობა იმავე დონეზე რჩებოდა, რომელიც თავიდანვე იყო დაწესებული. ჩვენი გადაწყვეტილება იმავე საღამოს, კრებიდანვე ვაცნობე თბილისს დეპეშით. ამ ჩვენმა დადგენილებამ გადამწყვეტი გავლენა იქონია თურქე და თბილისმაც ასე მიიღო. დავხურე კრება თუ არა, იასონ ბაქრაძე ფიცხლავ ჩემთან მოიჭრა და დიდი საყვედურით მითხრა: ეს საკითხი ასე არ უნდა გადაწყვეტილიყო; ყოველ შემთხვევაში, ეს საკითხი არც კი უნდა დაგესვა, კრება ისე დაგეხურაო. ვუპასუხე: თუ ასე ფიქრობდი და ეს განზრახვა გქონდა, დალოცვილო, რატომ კრებას ეს არ განუმარტე და განუცხადე-თქო? გამშორდა ჩემზე კულმოსული და გაბოროტებული.

აქ განსაკუთრებით კიდევ უნდა აღვნიშნო ექიმი დიმიტრი ალექსანდრეს ძე ნაზაროვი. 1910 წლის მაისში, ნაშუალამევს ჯანდარმერიამ ბინა გამიჩხრიკა. ასევე გაჩხრიკეს ქუთაისში იმ ღამესვე თითქმის ყველა ფედერალისტი. სხვათა შორის, თვითონ დიმიტრი ნაზაროვიც და იოსებ ოცხელი. შესულან და თბილი, ძალიან თბილი მუსაიფი გაუმართავთ. ასე გადმომცეს მეორე დღესვე დიმიტრი ნაზაროვმაცა და იოსებ ოცხელმა. ფედერალისტების ეს მთლიანი და ერთბაში, მოულოდნელი გაჩხრეკა კი მოწყობილი იყო თვითონ დიმიტრი ნაზაროვის მიერ, მისივე კარნახით. ამას ადასტურებს შემდეგი გარემოება. სხვა ადგილას მოთხრობილი მაქვს, თუ რა დაუშვებელ ზომებს ღებულობდა დიმიტრი ნაზაროვი ჩემ წინააღმდეგ, რომ მე ქალაქისთავად არ ავერჩიეთ ან თუ ამირჩევდნენ, გუბერნატორსა და მეფის ნაცვალს არ დავემტკიცებინე. მაგრამ ამას გარდა ნაზაროვის საზრუნავი აგრეთვე იყო, ქალაქისთავად არც სხვა ვინმე ფედერალისტი ყოფილიყო წამოყენებული ან არჩეული. სწორედ ამ დროს, როცა ცნობა მივიღეთ, რომ მეფის ნაცვალს ქალაქისთავად მე არ დავემტკიცებინე, ქუთაისის ოლქის სასამართლომ გრ. გველესიანის წინააღმდეგ საქმე აღძრა და იგი პასუხისგებაში მისცა იმ წიგნაკისათვის, რომელიც სამი წლის წინათ იბეჭდებოდა ფედერალისტების გაზეთში, რომელიც ქუთაისში

გამ ოდიოდა. მაშინვე ცალკე წიგნაკადაც გამოვეცით ეს სტატიები. მაგრამ წიგნაკი მაშინვე ერთიანად უკლებლივ დატაცებულ იქნა და არც ერთი ეგზემპლარი არ გავრცელებულა. მე კი დღესაც მაქვს ამ წიგნაკის ერთი ცალი შენახული. ამ შემთხვევის შემდეგ სამი წელი გავიდა და ამ წიგნაკის შესახებ საკითხი სწორედ ამ დროს წამოიჭრა!.. ბეჯითად მწამს და მჯერა, რომ ეს მოწყობილი იყო ნაზაროვის მიერ, რომ ჩემს შემდეგ ქალაქისთავად გრ. გველესიანის კანდიდატურა არ ყოფილიყო წამოყენებული. ასეც მოხდა და ჩვენ იძულებული შევიქენით, ილია ჩიქოვანი აგვერჩია ქალაქისთავად. 1917 წლის რევოლუციის პირველსავე დღეებში მომქმედმა პარტიებმა გამოყვეს ცალკე კომისია, რომელსაც უნდა ჩაებარებია ჟანდარმერიის ქუთაისის სამმართველოს მთელი არქივი. ამ კომისიაში შედიოდნენ: ფედერალისტები—გრიგოლ ლალიძე, ერმილე ჭარხალეიშვილი; სოციალ-რევოლუციონერი ივანე პავლეს ძე გობეჩია; სოციალ-დემოკრატები — გრიგოლ ურატაძე (კომისიის თავმჯდომარე) და ანტონ გულაზაროვი. კომისია მთელი შემადგენლობით გამოცხადდა ჟანდარმთა სამმართველოში. აქვე, ამ სამმართველოში ჯერ კიდევ ცხოვრობდა ჟანდარმთა პოლკოვნიკის გალიცინსკის ოჯახობა. თვით გალიცინსკი, რასაკვირველია, სახლში არ იყო — ფრონტზე იყო გაგზავნილი, თუ სადმე იყო გაპარული. გალიცინსკის ცოლს კომისიისათვის ეთქვა: — ჩემ ქმარს რატომ კითხულობთ? რა გსურთ მასთან? მას ხომ დამხმარეებად, აგენტებად აქაურები ჰყავდა! ამ აგენტების ცნობას, ემყარებოდა, — აი თვითონ ექიმი დიმიტრი ნაზაროვი. იგი იყო ჩემი ქმრის აგენტი, რომელიც განსაკუთრებით მიჩენილი იყო ფედერალისტებისადმი; ეს კი იმისათვის საადვილო საქმე იყო, რადგან მისი ნაამხანაგები ყოფილა გიორგი ზდანოვიჩი, რომელთან ახლაც კარგი დამოკიდებულება აქვს და რომლის ბინაზე თავს იყრიდნენ და იყრიან ფედერალისტებიო. ეს ამბავი მე გადმომცა ერმილე ჭარხალეიშვილმა. ამიტომ მჯერა, რომ ეს მართალია, რადგან, ერმილე ჭარხალეიშვილს ამის შეთხზვა და გამოგონება მას სიზმარშიაც არ მოელანდებოდა. ნაზაროვი დიდი დაახლოებული და მეგობარი იყო გალიცინსკისა. ეს ყველამ ეი-

ცოდით და ვხედავდით. არც თვითონ ნაზაროვი ფაბრავდა ამას. ნაზაროვის სახლი არის გენერალის (იაკობ გოგებაშვილის) ქუჩაზე იქვე, პირდაპირ იყო ფეიქაროვის სახლი. რომელშიც მოთავსებული იყო ჟანდარმთა სამმართველო და გალიციინსკის ბინაც. გალიციინსკისას ნაზაროვი ძალიან ხშირად დადიოდა, ვითომც მხოლოდ ბანქოს სათამაშოდ. დიმიტრი ნაზაროვმა, ნ. ნიკოლაძის დავალებით, სთხოვა გალიციინსკის და ამ უკანასკნელის მეშვეობით გუბერნატორმა დაამტკიცა ტყემალაძე, რომელიც ნ. ნიკოლაძემ ქ. ფოთის ქალაქისთავის მოადგილედ აარჩევია ხმოსნებს. 1927 წელში ილია ჩიქოვანმა შემდეგი მიამბო: ამ დღეებში საგანგებო კომისიამ (ჩეკამ) დამკითხა; 1917 წელში შენ ქუთაისის საგუბერნიო კომისრის მოადგილე იყავიო, ამიტომ უნდა იცოდე, სად წავიდა, რა მოუვიდა ქუთაისის ჟანდარძთა სამმართველოს არქივსაო; ამ არქივის არც ერთი ქაღალდიც კი არსად სჩანსო. ილია ჩიქოვანს მხრები აეჩეჩა და ეთქვა, რომ ამ არქივისა არა ვიცი რაო, ვიცი მხოლოდ ის, რომ ამის გასარჩევად ცალკე კომისია იყო არჩეულიო და რა ჰქნა ამ კომისიამ, ან რა უყო, ამისი არაფერი ვიცი. ამით გათავებულიყო ეს დაკითხვა. ილია ჩიქოვანის ამ განცხადებამ მომაგონა შემდეგი გარემოება: 1917 წელს გრიგოლ ლაღიძე და მისი მეგობარი, ვიღაც ყაჩაღი, რომლის გვარი ამხანად აღარ მახსოვს და რომელმაც თვითონ ლაღიძე რევოლვერით დასჭრა ბარძაყში. ერთად ცხოვრობდნენ დიმიტრი ნაზაროვის სახლში, ცალკე ფლიგელში. ეს ფლიგელი ორსართულიანი იყო. სართულები მხოლოდ თითო ოთახიდან შესდგებოდა. ამიტომ ეს ფლიგელი კოშკის შთაბეჭდილებას ტოვებდა. იმ წელს, როცა ამ ფლიგელში ლაღიძე და მისი მეგობარი ცხოვრობდნენ, ამ ოთახებში ვითომ დიდი ხანძარი მოხდა. ფლიგელი არ დაზარალებულა. ხანძრის შემდეგ გრიგოლ ლაღიძემა და მისმა მეგობარმა ფლიგელი დასტოვეს. იმ ხანებში, ხანძრის წინათ, გრ. ლაღიძე და მისი მეგობარი სულ გალეშილები იყვნენ, განუწყვეტლივ ქეიფობდნენ. ყველას აკვირვებდა ეს, რადგან ცარგად იცოდნენ, რომ ლაღიძეს ასეთი ხარჯების შეძლება არა ჰქონდა. ამის მეგობარს მით უმეტეს, რადგან ამას თვითონ ლაღიძე ამ-

ჩნევდა. ამ სამ გარემოებას — ილია ჩიქოვანის ნაამბობისა, ლაღიძისა და ამის მეგობრის მართლაც ლაღადა და ხელგაშლილად ცხოვრებასა და ერმილე ჭარხალეიშვილის გადმოცემას — ერთმანეთს ვუკავშირებ და იმ დასკვნამდე მივდივარ, რომ დიმიტრი ნაზაროვის თხოვნით გრ. ლაღიძემა და მისმა მეგობარმა მალულად გადმოიტანეს ჟანდარმთა სამმართველოს მთელი არქივი, მოათავსეს იგი დიმიტრი ნაზაროვის ფლიგელის ქვედა სართულში, ზედა სართულში კი ესენი ცხოვრობდნენ, იძინებდნენ მხოლოდ, ერთ მშვენიერ ღამეს კი ეს არქივი დასწვეს, დაბუგეს და კვალწმინდად გააქრეს. იმხანად თვითონ დიმიტრი ნაზაროვმა მითხრა: — ცეცხლს ოთახებისათვის დიდი ზიანი არ მიუყენებია; ქვედა სართულში, რომელიც, როგორც აღვნიშნე, ერთი ოთახისგან შესდგებოდა, რალაცა ქაღალდები ყოფილიყო და მხოლოდ ეს დაიწვაო. გრიგოლ ლაღიძემ უეჭველია ეს ხანძარი დიმიტრი ნაზაროვის თხოვნით მოაწყო. დიმიტრი ნაზაროვს, რასაკვირველია, ძალიან კარგად ეცოდინებოდა, რომ იმ ქაღალდებში ამის расписк-ებიც, ფულების, ყოველთვიური ჯამაგირის მიღების расписк-ები იყო. ამიტომაც დააწვევინებდა ამ საზიზღარ ქაღალდებს, ქაღალდებს კი არა ჟანდარმერიის სამმართველოს მთელ არქივს. ამით ნაზაროვმა თავიდან აიცდინა საჯაროდ გამოაშკარავება თავისი ვინაობისა და ამიტომაც დიაღაც კარგად დააჯილდოვებდა იგი გრ. ლაღიძესა და ამის მეგობარს და აჯილდოვებდა კიდევაც, რადგან, როგორც ვთქვი, გრ. ლაღიძე და ამისი მეგობარი ყოველ დღეს გალეშილი იყო და ქეიფობდა. მე ესე ყოველი არათუ მჯერა, არამედ ბეჯითად დარწმუნებული ვარ, რომ ყოველივე ეს ლოგიკური მიუცლელობაში ასედაც იყო და უეჭველად ასედაც იქნებოდა. არ ვიცი, მკითხველი ამ ფაქტების მიხედვით მიიღებს თუ არა ჩემს ასეთ დასკვნას...

ორიოდე სიტყვით მინდა აღვნიშნო ჩემი მოღვაწეობა ქუთაისის საადგილმამულო ბანკში. 1902 წელში ბანკის რწმუნებულთა ერთმა ჯგუფმა მითხრა: რა არის, ფოთში ქალაქის თვითმმართველობის საქმეებს თავს აკლავ: ქუთაისში გიდ-

მოდი და აქ საადგილ-მამულო ბანკის გამგეობის წევრად აგირჩევთო. მე ამაზე გადაჭრილი უარი განვუცხადე, რადგან ბანკის საქმიანობა არც მომწონდა და არც მიზიდავდა. ეს საქმიანობა ვიწრო ფარგლებში ტრიალებდა და ძალიან ცალმხრივი იყო. ქალაქის თვითმმართველობის საქმიანობა კი მრავალმხრივია და მრავალნაირი, ამიტომ დიდად საინტერესოც. აქ ცხოვრების თითქმის ყველა დარგია წამოყენებული და იგი მის საზრუნავ საგანს წარმოადგენს. ამიტომ შენც შენ თავს კრიჭაში უნდა ჩაუდგე, ძალზე ამუშავდე, რომ ეს მრავალმხრივი და მრავალგვარი საქმიანობა შეიგნო, აითვისო, დასძლიო და მოსახლეობისათვის საკეთილდღეოდ წარმართო. ასეთი მოქმედება კი გონების გამჭრიახობას გიფხიზლებს, გამახვილებს და გიწვრთვნის. ბანკის მოქმედება კი ცალკერძა, ცალმხრივია. აი, ამიტომაც მაშინ უარი ვთქვი, რადგან ქალაქის თვითმმართველობის ფართოსა და ვრცელ საქმიანობას ვერ გავცვლიდი ბანკის ვიწრო მოღვაწეობაზე. მაგრამ 1908 წელს მოხდა ბანკის რწმუნებულთა ახალი არჩევნები. მე განგებ არ შევიტანე ჩემზე დარჩენილი გადასახადი, რადგან წესდებით ის, ვისზედაც ნარჩენი ირიცხებოდა, რწმუნებულად არჩეული არ შეიძლება ყოფილიყო. კრებაზედაც არ გაშოვცხადებულვარ, ვინაიდან არავითარი სურვილი არა მქონდა, რწმუნებულად ავერჩიე. არ მინდოდა იმიტომაც, რომ ისედაც ძალზე დატვირთული ვიყავი ქუთაისის ქალაქის თვითმმართველობის საქმეებით. მაგრამ ამრჩეველებს დაჟინებითა და ძალად ავერჩიეთ. მეც ამას დავმორჩილდი, რადგან ამ პირობებში უზრდელობა იქნებოდა უარის განცხადება.

1908 წლის მაისში გამოვცხადდი ბანკის რწმუნებულთა კრებაზე. კანტიკუნტად წამოვაყენებდით ხან ერთი, ხან მეორე რწმუნებული ამა თუ იმ საკითხს გამგეობის წლიური ანგარიშის გამო. ამ წელიწადსვე კი მაინც ცხადი შეიქნა, რომ ბანკში ყველაფერი რიგზე არ იყო — ამან დაგვაინტერესა და ავირჩიეთ ცალკე კომისია, რომელიც ბანკის საქმეებს უფრო დაწვრილებით გაეცნობოდა და მომავალი წლის კრებას მოახსენებდა. ამ კომისიაში აგვირჩიეს: ალექსანდრე საყვარელიძე, სერგო ბახტაძე, ევგენი ქუთათელაძე და მე.

ჩვენ ვრცელი წერილობითი მოხსენება წარვუდგინეთ 1909 წლის რწმუნებულთა კრებას. ამ მოხსენების სათაური ასეთია: მოხსენება კომისიისა, რომელიც არჩეულ იქნა 1908 წლის მისეილის სახელობის ქუთაისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის რწმუნებულთა საზოგადო კრების მიერ, ბანკზე დარჩენილი მამულების საქმის ყოველმხრივ გამოსარკვევად და ბალანსის განსახილველად. 1909 წელში ამ მოხსენებით წარვდექი და გაბედული იერიში მივიტანე ბანკის გამგეობასა და მმართველობაზე, რაკი ამ მოხსენებით ხელთ უამრავი საბუთი და ფაქტი მქონდა. ამის შემდეგ ის იყო, რომ ზედამხედველი კომიტეტი განვაახლე. 1910 წელს უფრო სასტიკი ბრძოლა გაჩაღდა. გამგეობის წევრები უნდა გამოგვეცვალა და ახალი თავმჯდომარე გაგვეყვანა. ბევრი დაკინებისა და მოტივების შემდეგ იძულებული ვიყავი თანხმობა მიმეცა, რომ თავმჯდომარის ადგილზე ჩემი კანდიდატურა ყოფილიყო წამოყენებული, თუმცა, როგორც ზემოთ აღვნიშნე, ბანკში მოღვაწეობა სასურველად არ მიმაჩნდა. დაიდგა ყუთი. მექი ფაღავამ მიიღო თეთრი კენჭი 98, მე კი—95. შემდეგ წელს, 1911 წ. კი, როცა ხელისუფლებამ მიქელაძის თვითმმართველობას გამომათხოვა, რადგან არ დამამტკიცა არც ქალაქის თავადა და არც ქალაქის თავის მოადგილედ, იძულებული შევიქენი გამგეობის წევრობაზე კენჭი მეყარა. დიდი ხმის უმეტესობით ამირჩიეს. ბრძოლა 1908—1911 წლებში რწმუნებულთა კრებაზე ჩემი ხელმძღვანელობითა და გამოსვლებით წარმოებდა. მედიდურობითა და მეტიჩრობით არ ვამბობ. ამას ყველა ხედავდა, ისმენდა და იცოდა. მთელი მკაცრი დასაბუთებული იერიშები გამგეობაზე მიმჭონდა. ალ. საყვარელიძე და სოლომონ მიქელაძე მხოლოდ მაშინ გამოდიოდნენ, როცა საჭირო იყო, რომ ესა თუ ის საკამათო საკითხი იურიდიული მხრით ყოფილიყო გაშუქებული. გადამწყვეტი იერიში 1910 წ. იყო მიტანილი. ამ წელს დიდი, ვეებერთელა ოქმი დაიწერა, რამხელა ოქმიც ბანკის ორსებობის განმაელობაში არც ერთხელ არ დაწერილა. მაგრამ ეს ოქმი, რამდენიმე წლის შემდეგ, დაიკარგა. უეჭველია, ვინმემ ჩემმა მოძულემ, მოსპო ეს ოქმი, რადგან უმთავრესი სიტყვები, საქმიანი და დასაბუთებული გამოსვლა მხოლოდ ჩემი იყო. ვიღაცამ აღგავა ეს ოქმები პირისაგან ბანკისა. ეს ოქ-

მები 1915 წლამდე ბანკში იყო დაცული. ბევრი ვეძებეთ, მივიკითხ-მოვიკითხეთ, მაგრამ არსად აღმოჩნდა. ჩანს, მავნებლობა მაშინაც გვარიანად ყოფილა გავრცელებული. მოდი და ნუ გაიმეორებ, აკაკისთან ერთად მისივე ბრძნულ გამოთქმას:

> რაღაა კაცის სიცოცხლე,
> კომლი მტრობა და შურია,
> რომელმა უნდა წაშალოს,
> რაც კაცის ნამსახურია.

აი, ასე წმინდად წაშალა ჩემი ნამსახური ამ დარგში ვიღაცა ბოროტმა სულმა და ჩემმა მოძულემ. ბანკში ჩემი მოღვაწეობის შესახებ აკაკისაც აქვს აღნიშნული თავის ნაწერებში. აკაკი ამბობს: ყველასაგან ხელაღებული ბანკი უფსკრულის კიდემდე მივიდა და პატრონი, ხმის გამცემი არსად იყო შარშანდლამდი. და მაშინ კი ის ჩაიდინა ახლად შემდგარმა ოპოზიციამ, რასაც აღარ მოველოდით... რადგან ოპოზიციაში სერგო ბახტაძემ, იაკობ ფანცხავამ და ალექსანდრე საყვარელიძემ და სხვებმა კრიტიკის ცეცხლში გაატარეს ბანკის მეთაურების მოქმედება. თვალხილული კრება ხედავდა ოპოზიციას საზოგადო საქმის მოსარჩლედ და არა კერძო რაიმე ანგარიშის მიმდევრად. (იხ. აკაკი წერეთელი. ჩემი ნაწერები. პირველი წიგნი. გვ. 58—59. იაკობ მანსვეტაშვილის გამოცემა 1912 წ. აქ ამის მეტს არაფერს ვიტყვი).

აქ მსურს ჩემი აზრი, მოკლედ გამოვთქვა იმ მოღვაწეობის შესახებ, რომელიც გაჩაღდა თბილისის ბანკის რწმუნებულთა შორის ოთხმოცდაათიან წლებში. თბილისის ბანკის თავმჯდომარე იყო ილია ჭავჭავაძე, გამგეობის წევრი კი ივანე მაჩაბელი. ამ უკანასკნელის თაოსნობით შედგა ოპოზიცია, რომელიც საზოგადო კრებაზე კრიჭაში უდგა გამგეობის მთელ საქმიანობას. ზოგი ფიქრობს, და ჩემი აზრით სრულებით შეცდომით, რომ არც ოპოზიციასა და არც გამგეობას არავითარი პრინციპიალური საფუძველი არა ჰქონდა იმ დიდი აურზაურისათვის, რომელიც მათ ასტეხეს ერთმანეთს შორის და რომელმაც გასტანა თითქმის ათ წელიწადს. საკვირველია ზოგი ადამიანის დიადი და ზვიადი გადაპრეხილობა,

როცა იგი ვითომც პრინციპების ოჩაფეხაზე შედგება და ოჩაფეხას სიმაღლიდან მედიდურად დაპყურებს ყოველსავე და ყველას.

საქმე ის არის, რომ აქ, ბანკში, ნეტავ რა პრინციპების განსხვავებას უნდა ჰქონოდა ადგილი. აქ პოზიციაცა და ოპოზიციაც იმ აზრით იყო გამსჭვალული და სავსებით გულწრფელადაც, რომ სარგებლობის ძეტი შეღავათი ჰქონოდა, როდ მათ სურვილი ჰქონოდა ამ ბანკში მამულები დაეგირავებინათ. დაგირავებული კი სხვა ბანკში არ გადაეტანათ, ეს ბით უფრო საჭირო იყო, რომ თბილისში იმჟამად მოქმედებდა თბილისის საკრედიტო ბანკი, რომელსაც უფლება ჰქონდა თბილისის მამულების დაგირავებისა. ქალაქი თბილისი კი იძლეოდა დაგირავებულ მამულთა თითქმის სამ მეოთხედს. იმ მამულების დაგირავება უფრო ხელსაყრელი იყო, რადგან მათი მეთვალყურეობა უფრო ადვილი იყო, მათთვისაც და სარჯიც, ამ მამულების დაგირავებით გამოწვეული ხაკლები იყო. გარდა ამისა, ეს მამულები მსხვილ სესხებს თხოულობდა, რაიც ბანკისათვის სახეირო იყო. ამის გარდა, იმ ხანებში რუსეთის ზოგმა საადგილ-მამულო ბანკმა მოისურვა თავისი მოქმედების გადმოტანა ამ დარგში და ოპერაციების გაშლა თბილისში, რომ არა ვთქვა რა ახელმწიფო საადგილ-მამულო ბანკზე, რომელიც მსხვილსა და კარგ სოფლის მამულებში გაზიადებულ სესხებს იძლეოდა, რასაკვირველია, პოლიტიკური მოსაზრებით, რომ შემდეგში ამ მამულებში ჩაესახლებოდა რუსობა და აქით საქართველოში ქართველების მოსახლეობა აეკრძალებია და ამ მოსახლეობის პროცენტი შეემცირებია. რუსეთის ბანკების მოქმედებისა აქ გადმოტანით და ოპერაციების აქ გაშლა კი იმუქრებოდა თბილისის ბანკის მსესხებლებისა და სესხთა შემცირებას. ეი, სწორედ ამიტომ საჭირო იყო ამ მსესხებლების მდგომარეობის შენახვა-ბუქება. აქ სულ მცირე შეღავათსაც კი, ისიც დროულად გატარებულს, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ბანკის წმინდა მოგების რაოდენობისათვის, რომელიც მოგებას მთლიანად გადასცემდა თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურობას, რომელიც თითქმის მთლიანადაც ამ მოგებას ახარჯებდა სრულიად საქართველოს ყოველგვარ კულტურულ დარგს და

ინახავდა სათავად-აზნაურო სკოლას მაშინ და მერმე სათავად-აზნაურო გიმნაზიას. აქ, მაშასადამე, პრინციპების შესახებ ლაყბობას ადგილი არც უნდა ჰქონოდა და არც ჰქონია, რადგან ეს ყველასათვის ცხადი და ნათელი იყო. საჭირო იყო მხოლოდ მსესხებელთა რიცხვის გამრავლება, დაგირავებულ მამულებზე მეტი სესხის გაცემა, რასაკვირველია, დაკვირვებით და არა გადაჭარბებით, რომ წმინდა მოგება მეტი ყოფილიყო. ბანკის ძირითადი საფუძვლების შეცვლაზე ან ბანკის ხასიათის გარდაქმნაზე კრინტის დაძვრაც კი საშიში იყო იმხანად, რადგან ეს მისცემდა მთავრობას, ფინანსთა სამინისტროს საბაბს, რომ ბანკი ან დაეხურა და ან საზოგადოებისათვის კუდმოკვეცილი რაღაც ბანკისებური მიეჩემებია. ბანკის წმინდა მოგება კი მაშინ ერთადერთი წყარო იყო, რომელიც ასაზრდოებდა მთელ მაშინდელს ქართულ საზოგადოებრივ დაწესებულებათ. სათავად-აზნაურო სკოლას (შემდეგ გიმნაზიას), სკოლას წინამძღვრიანთ კარში, წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოებას, თეატრს, ეთნოგრაფიულ საზოგადოებას და, წარმოიდგინეთ, ჟურნალ-გაზეთებსაც, ვინაიდან ამას ბანკი ორჯერ გასცემდა განცხადების სახით, რომელიც გაზეთისათვის ძალიან ხელსაყრელი იყო. აი, მთელი საქმიანი კამათი, სჯა-ბაასი, გონიერი წინდასედულობა და გამჭრიახობა მხოლოდ იმ ფარგლებში იყო მომწყვდეული. ცხადია, ამ პრინციპების სხვადასხვაობას ადგილი არც ექნებოდა და არც ჰქონდა. მაგრამ თავი და თავი, უმთავრესი ის იყო, რომ ბანკში გაჩაღებულ შეხლა-შემოხლას გარდა ამისა, ფრიად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საზოგადოებრიობის თვალსაზრისით და სწორედ ოპოზიციისა და პოზიციის მთელი ისტორიული მნიშვნელობაც ის არის, რომ აქ, ბანკში, — რადგან სხვა ასპარეზი არსად იყო, — ამ ვიწროსა და სპეციალურ ფარგლებში შესაძლებლობა გამონახა, მოახერხა, რომ საზოგადოება გამოეფხიზლებია, დაეინტერესებია, ამით აღეფრთოვანებია, მაღლა აეწია საზოგადოებრივობა. ილია ჭავჭავაძისა და ივანე მაჩაბლის ზოგი სიტყვა იმით კი არ არის დასაფასებელი, რომელშიც ბანკის ინტერესის ამა თუ იმ მხრით გააშუქებს, შეაფასებს ხოლმე, არამედ უმთავრესად იმით, რომ ეს სიტყვები იყო წარმოთქმული საჯაროდ

ორი მაშინდელი ბუმბერაზის მიერ, იყო მკვერმეტყველური, ენაწყლიანი, მოხდენილი და მრავალი ცოდნითა და ჭკუა-მახვილობით შეზავებული. აი, ეს იტაცებდა მსმენელებს, ეს შეჯიბრი იწვევდა მსმენელებში წაქეზებას, აღმაფრენას, და ბტკიცე სურვილს, რადგან მისთვის, მსმენელისათვის, ცხადი იყო, რომ შემდგომი მისი მოღვაწეობა აღარ შეიძლებოდა კანცელარული ნესით, ფარულად დახურულსა და გამოკეტილ კარებში, მიჩქმალვით, არამედ ეს მოქმედება და მოღვაწეობა უნდა ყოფილიყო საზოგადოებრივი, საჯარო, და აშკარა. ამისათვის საკმაო აღარ იქნებოდა მოლხანოვის ცარული მლიქვნელობა და მიეთ-მოეთობა. აქ საჭირო იქნებოდა ცოდნის შეძენა, ენაწყლიანი სიტყვა, მკაფიო და მკვეთრი, ჭკუა-მახვილობა და გამჭრიახობა. აი, სწორედ ამ მხრით დიდი სამსახური მიუძღვის პოზიციასა და ოპოზიციასაც. ამ კამათმა მაშინ გამოაფხიზლა საზოგადოება. სამოღვაწეოდ წააქეზა და გამოიწვია ის დიდი შეხლა-შემოხლა, რომელიც მოხდა შემდგომ თაობათა შორის! ზოგი კი პრინციპებით არის დამძიმებული და ამ თვალსაზრისით აკრიტიკებს ყველას, რომ იგი დაამციროს, ხოლო თავისი თავი კი გააზვიადოს. რა პრინციპების განძეულობა ჰყრია სოციალ-ფედერალისტების განცხადებაში, რომ, როცა 1915 წელს ვითომ ერთობის შემოღება უნდოდა მეფის ნაცვალს, ფედერალისტებმა თათბირზე უსირცხვილოდ მოითხოვეს, ერთობაში ამრჩევლისა და არჩევის უფლება, ე. ი. პასიურისა და აქტიური არჩევის უფლება უნდა ექნეს მხოლოდ იმასაო, ვისაც ექნება მიწაწყალი, არანაკლები თხუთმეტი დესეტინისა.

არა, პოზიციამ და ოპოზიციამ შესძლო ბანკის ვიწრო დარგში, საზოგადოება გამოეფხიზლებია, ამაშია ამ მოღვაწეობის პრინციპიცა, პრინციპიალობაცა. და დიდი საზოგადოებრივი, ისტორიული დამსახურებაც. ამის აბუჩად აგდება კი შეუძლიათ მხოლოდ ისეთებს, რომელთაც არ შესწევთ შეიგნონ საქმის ძირითადი თვისება და ხასიათი.

იმ შეხუთულსა და შეგუებულ პოლიტიკურსა და საზოგადოებრივი ცხოვრების პირობებში, რომელსაც იმხანად ადგილი ჰქონდათ, ჩვენმა მაშინდელმა ინტელიგენციამ, პო-

ზიციისა და ოპოზიციის სახით, შესძლო დამღუპველისა და დადუმებული სიდუხჭირის გადალახვა და ბანკის ვიწრო ფარგლები გამოიყენა საზოგადოებრივი შეჯიბრის ასპარეზად, შექმნა ერთგვარი პარლამენტი. სადაც თავს იჩენდა ნიჭი, ცოდნა, გამჭრიახობა, ჭკუამახვილობა, ენაწყლიანობა და საზოგადო საქმით დაინტერესება. აქ ამრიგად სწორედ დიდი ნიჭი და დიდი პოლიტიკური მოქნილობა გამოიჩინა ოპოზიციამაც და პოზიციამაც და სწორედ აქ არის ამათი დიდი დამსახურებაც. ეს გარემოება კი ცხადჰყოფს ქართველი კაცის, სულიერი მადლისა და ნიჭის საკვირველ მოხერხებულობასა, მოქნილობას, სწორედ, აი, ამ ნიჭით, ამ სულიერი მიდრეკილებითა და უნარით ქართველი კაცი დღესაც ჭეშმარიტი მემკვიდრეა სულმნათი შოთას უკვდავი გმირისა, ავთანდილისა, რომელიც ცხოვრების ყოველ გამოუვალ სიძნელეშიც კი გამოსასვლელს პოულობს ხოლმე და ამით თვითონ იგი ბატონობს პირობაზე, პირობებს კი როდი აბატონებს თავის თავზე.

აქვე უნდა აღვნიშნო ქ. თბილისის ხმოსნების არჩევის შესახებ 1911 წელს. ამ წელს არჩეულ იქმნენ ხმოსნები ახალი ოთხი წლის ვადით, 1912—1916 წ. ზევით ვთქვი, რომ 1911 წ. მაისში მე არჩეულ ვიქენი ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკის გამგეობის წევრად. აგვისტოს მეორე ნახევარში კი გამვეობამ და ზედამხედველმა კომიტეტმა მე გამგზავნეს ამავე ბანკის თბილისის განყოფილების მმართველად. აქ ბევრი სახლი ბანკზე იყო დარჩენილი. ამათ მოვლა და პატრონობა უნდოდა. ამათი შემოსავლის გადიდება იყო საჭირო და ამავე დროს მათი რეალიზაციაც, ბანკისთვის მისაღებ პირობებში გაყიდვა. ამასთან ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკის მთელი ოპერაციის ნახევარზე მეტი სესხის გაცემის საქმე თბილისზე მოდიოდა. ასეთი საპასუხისმგებელო და რთული საქმე ძე დამაკისრეს, მე, ახლად არჩეულს, ბანკის საქმეებთან და წარმოებასთან გაუცნობელს. რადგან მეტთაგანი ვერც ერთი ვერ ბედავდა ამ საქმეს ჩასჭიდებოდა. საქმე ის არის, რომ, რადგან თბილისში ბანკში დარჩენილი მამულე-

ბის დიდი რაოდენობა იყო, ამიტომ ამ მამულებს, ერთგული მოვლა, თვალყურის გდება და ბინის ქირის აკრეფა სჭირდებოდა. გამგეობის წინაშე შეამდგომლობა აღვიარი, რომ შესაძლებელი მომცემოდა. მართლაც მოიცეს. მაგრამ, სანამ მე ამ გადაწყვეტილებას მაცნობებდნენ, გამგეობას უკვე დაენიშნა ვილაც ლორთქიფანიძე, რომელიც გამგეობის ჭალალდით თბილისში, სვანი ბანკის განყოფილების ბინაზე გამომეცხალა. რასაკვირველია, მე იგი თანამდებობის ასრულებაზე არ დავუშვი. გამგეობას მოვსთხოვე, რომ ან მე უნდა მომცემოდა უფლება ამკრეფის დანიშვნისა, ან გამგეობას აერჩია იმ კანდიდატებიდან, რომელთაც მე წარვუდგენდი. ამ მიწერ-მოწერაში ვიყავი ბანკის გამგეობასთან და ამ დროს ლორთქიფანიძემ ჩემ წინააღმდეგ გაილაშქრა. მეც პასუხი გავეცი და აღვნიშნე, რომ ლორთქიფანიძე რატომღაც არაფერს ამბობს იმ სიმართლის შესახებ, რომლის მეობებითაც მან ამკრეფის ადგილი მიიღო-თქო. ეს სიმართლე კი ის იყო, რომ მას დავით ოტიას ძის ნიკარაძისათვის ჭრთამად მიეცა ექვსას სამოცდაათი მანეთი. გამგეობას კი, აქ ეითომ არაფერიაო, იგი ნიკარაძის თხოვნით ჩემთან ამკრეფად გამოეგზავნა. ეს მე ვიცოდი და სწორედ ამიტომაც ეს კილოკავად აღვნიშნე საპასუხო წერილში, კილოკავად იმიტომ, რომ ჭრთამის მიცემის უტყუარი საბუთი ხელთ არა მქონდა, გამგეობამ კი ამას კუდი გამოაბა და დ. ნიკარაძეს რომ თავიდან აცდენოდა მთელი პასუხისმგებლობა და საჯაროდ არ გამოქენებულიყო და გამგეობასაც „მკრთალი ნათელი" არ მოფენოდა, — ბომთხოვა, ან ყარყაცი შენი განცხადება გაზეთში მოთავსებულიო, ან დაგვიმტკიცე ჭრთამის აღებაო. აბის შესახებ ახალი მიწერ-მოწერა დაიწყო. მე გავიმარკვე. ხოლო საინტერესო ის იყო, რომ გამგეობას მსარი დაუჭირა პეტრე ყიფიანმა, რომელიც იმხანად მიწვეულ იქნა ზედამხედველი კომიტეტის მიერ ამავე კომიტეტის მდივნად. ამან გაზეთში წერილი მოათავსა. მისმა ასეთმა საქციელმა ჩემი მოთმინების ფიალა აღავსო და პეტრე ყიფიანი, რომელიც 1906 წლიდან გაზეთებში მაქიქებდა და მკბენდა, სამედიატრო სასამართლოში გამოვიწვიე, ამხანაგების სამჯაროში მიეცეცი. კიტას ვრცელი წერილი მივწერე, სადაც

დაწვრილებით აღვწერე პ. ყიფიანის მოქმედება, ჩემ წინააღმდეგ ჩადენილი, ვთხოვდი კიტას და იასონ ბაქრაძეს, ეგ საქმე საბოლოოდ გამოერკვიათ. კიტა და იასონ ბაქრაძე, მგონია, მოელაპარაკენ პ. ყიფიანს, მაგრამ ეგ საქმე მაინც მიაფუჩეჩეს. შედეგი კი ამისა მხოლოდ ის იყო, რომ ამის შემდეგ პ. ყიფიანი ჩემი მონა და ლაქუცა შეიქნა, მე თვითონ შემრცხვა მისი ასეთი საქციელისა და ამ საკითხს შემდეგი მსვლელობა აღარ მივეცი: იმდენად შემეზიზღა მისი პიროვნება, რომ ჩემი თავი დამცირებად ჩავთვალე მისთვის თავი გამეყადრებია. გამგეობის მიერ ჩადენილ ინციდენტს ის მოყვა, რომ ლორთქიფანიძემ, რომელიც გამგეობამ ჩემთან ამკრეფად დანიშნა, თანამდებობაზე არ დავუშვი. ლორთქიფანიძემ ნიკარაძეს ამ ფულის ასანაზღაურებლად ავეჯი აუწერა და სასამართლოს ბოქაულს საჯაროდ გააყიდვინა. ეს საჯარო ვაჭრობა გამოცხადებული იყო ქუთაისის საგუბერნიო უწყების გაზეთში 1912 წლის 15 მაისს.

ჩამოვედი თბილისში და აქ რამდენიმე დღის შემდეგ იმავე აგვისტოს თვეში შედგა ქართველების მიერ მოწვეული კრება. კრებამ დაადგინა, კომისია იქნეს არჩეული, რომელმაც თბილისის თვითმმართველობის ახალი შემადგენლობის ხმოსანთა არჩევნები აწარმოოსო. მე მივედი კრებაზე მხოლოდ მაყურებლად. ფიქრადაც არ მომსვლია ამ საარჩევნო კომისიაში მონაწილეობა.

ფედერალისტები დამაჯინდნენ, ჩვენი მხრით შენც კომისიაში უნდა იქნეო. ვეუბნები: ახლად ჩამოსული ვარ, ჯერ დაბინავებულიც არა ვარ, ბანკში ბევრი საპასუხისმგებლო საქმე მაქვს დაგროვებული, ეს საქმეები კი აბურდულ-დაბურდული, არევ-დარეულია-თქო; თავს ვერ შევირცხვენ. უნდა ბევრი ვიმუშაო, რომ ყოველივე დროზე მოვაგვარო-თქო. ამასთან მე თბილისის პირობებთან გაცნობილი არა ვარ, რომ კომისიაში პირნათლად შევასრულო ყველაფერი, რაც არჩევნებისათვის საჭიროა-თქო. შენც არ მომიკვდე. არ მომისმინეს. შეეედი კომისიაში. სინდისიერად ვიმუშავე. ცალკე პროგრამა გამოვიმუშავეთ და გამოვეცით.

ცვალებადია წუთის სამყარო.
რაც კი ოსებობს, ყველა იცვლება.
წარსული არ ჰგავს აწმყოს, მომავალს...
სხვადასხვა არის მოთხოვნილება.

ჩემი პირველი სტატია „კრიტიკული შენიშვნები აზროვნებაზე" დაიბეჭდა გაზ. „კვალში", 1893 წლის 5 სექტემბერს (№-37). ეს სტატია დავწერე შემდეგ პირობებში. ზევით მაქვს აღნიშნული, რომ ივლისში თბილისში ჩავედი იახოვსკის სანახავად. სასტუმროში ჩამოვხტი. იმ დღის გაზ. „ევერია" ვიხილე. ნავიკითხე დავით მიქელაძის (მეველე) მეთაური. არ მომეწონა. იმავე დღეს სასტუმროში შავად დავწერე ეს სტატია, ხოლო სოფ. ხობულში დაბრუნებულმა გადავათეთრე და ქუთაისიდან რედაქციას გავუგზავნე. იმხანად გ. წერეთელს სრულებით არ ვიცნობდი. ნახული მყავდა. მე რომ გიმნაზიაში ვსწავლობდი, მაშინ გიორგი ქუთაისში ცხოვრობდა. გაზ. „ევერიას" უგზავნიდა და იქ იბეჭდებოდა გიორგის სტატიები ქუთაისის დრამატიული დასის (ლოტე მესხის დასის) მიერ დადგმული პიესების შესახებ. ახლაც კარგად მახსოვს გიორგის დიდი და ვრცელი რეცენზია ასიკო ცაგარელის „ციმბირელის" შესახებ. ჩემი სტატიის დაბეჭდვა, რასაკვირველია, ძალიან მესიამოვნა, მეორე ჩემი სტატია „ფაქტორები ისტორიული პროცესისა" (ჩემ თხზულებათა ვამოცემაში კი „ისტორიის ფაქტორები") დაიბეჭდა „კვალშივე", 1894 წ. ნოემბრის 27-ს, დეკემბრის 4; და 18-ს №-49—52. ეს სტატია დავწერე სოფ. დიღომში აგვისტოში, სადაც ზაფხულში ჩვენი საფილოქსერო ჯგუფი მუშაობდა. დღისით სხვებთან ერთად ვენახებში ფილოქსერას დავეძებდი, ხოლო ღამ-ღამობით, როცა სხვებს ეძინათ, მე ამ სტატიას ვწერდი. ეს სტატია, გადათეთრებული გიორგი წერეთელს პირადად რედაქციაში შევუტანე და ვუთხარი: თუ მოგეწონოთ, დასტამბეთ, თუ არა, ნუ დამიკარგავთ, რადგან მისი შავი არა მაქვს-თქო, მეორე მოგაკითხავთ და წავიღებ-თქო.

ჩრდილო კავკასიიდან რომ დაბრუნდი, ამ სტატიის დასაწყისი უკვე დაბეჭდილი დამხვდა. მესამე ჩემი სტატია „ჩვენი საშინაო საქმეები“, რომელიც ფოთში დავწერე, დაიბეჭდა „კვალშივე“ 1895 წლის შემდეგ ნოემბერში: 24, 25, 26 და 27 ივლისის თვის ამ რიცხვებში: 4, 11, 18, და 25. ამავე წლის 18 იულისს №-26 მოთავსებულია ჩემივე სტატია „კეთილი განწრახვა“.

1895 წლის მაისიდან თბილისში დავრჩი, როგორც ეს ზევით მაქვს ნათქვამი. ამ დროს დღისით სახელმწიფო ბანკის თბილისის კანტორაში ვმუშაობდი, საღამოობით „კვალის“ რედაქციაში შევდიოდი ხანდახან და გ. წერეთელს ვნახულობდი. ამავე დროს ვრეპეტიტორობდი და თავს ამით ვირჩენდი. ივლისის ბოლო რიცხვებში გ. წერეთელმა მითხრა:— რამდენიმე დღით სოფელში მივდივარ; ჰალის მთის სიმდიდრეთა გაბაღდება მსურს; ამიტომ ჩემ დაბრუნებამდე კვალში შენ უნდა ჩადგე და იმუშავო, ვინაიდან შენ გენდობიო. დავთანხმდი. „კვალში“ ჩემი მუდმივი მუშაობა იწყება 1895 წლის ცხრა ივლისიდან. მუშაობა კი დავიწყე გიორგი წერეთლის დაჟინებითი თხოვნით, სანამ გიორგი სოფლიდან დაბრუნდებოდა. სხვა პირობით მუშაობას არც დავთანხმდებოდი. ჩემი მოვალეობა იყო: კორექტურა, ახალი ამბები, გაზეთებიდან ამოკრებილი, ქრონიკა, დედნების წაკითხვა, მიღება და დაწუნება და შესწორება და ცალკე სტატიებიც ამ შრომისათვის მეძლეოდა ოცი მანეთი. ეს მუდმივი თანამშრომლობა გაგრძელდა 1896 წლის 10 მარტამდე. „კვალის“ ამ წლის №-11-ში; რომელშიც არის მოთავსებული ჩემი სტატია გაბრიელ ეპისკოპოსზე — უკანასკნელი გამოსალმება. აგვისტოში გიორგი სოფელში წავიდა, მაგრამ მალე დაბრუნდა. ეს იქიდან ჩანს, რომ 11 სექტემბერს გიორგი თბილისში იყო. სწორედ ამ დღეს შედგა კრწანისის ომის ასი წლის თავი. ამ დღეს ილია ხონელმა (ბახტაძემ) გაზ. „Кавказ“-ში სტატია დაბეჭდა. სტატია გიორგი წერეთელს ისე მოსწონებოდა, რომ წაკითხვისთანავე ჩემთან შემოვიდა დილა ადრიანად, სასტუმროში, სადაც პაწია ოთახი მეჭირა. გიორგიმ მითხრა: ახლავე წავიდეთ, ილია ხონელი ვნახოთ, მივესალმოთ ასეთი შესანიშნავი სტატიისათვისო. მეც გავყე-

წამს. ამას ეწოდება სინოტიკური თვე. ამის თანაბრად წელიწადი უდრის 354 დღე-ღამეს, 8 საათს, 48 წუთს, 34,8 წამს. მაგრამ ეს ნამდვილი წელიწადი არ არის, ვინაიდან გრიგორის კალენდარი ზუსტია და წელიწადი უდრის 365 დღე-ღამეს აი, ეს რომ შემეთანხმებია, ფიქრად მოვიდა წელიწადის ცამეტ თვედ დაყოფა, მეც ამის მიხედვით კალენდარი ჩამოვაყალიბე, და დავწერე ისიც ფინსახკომის ჩემ კაბინეტში სამსახურის დროს. ამიტომ ეს პროექტი სხვადასხვა მელნით არის დაწერილი: მთხოვნელებმა ძიმისწრეს და ბეწყვეტის დროს შემთხვევით, შეუგნებლად მეორე საწერელში ჩამიყვია კალამი და ამით დაბინწერია. მერმე დაწერილის გადაწერა დამეზარა, რადგან არც ვფიქრობდი, თუ ამ ჩემ პროექტს ასე ადვილ განხორციელება მოესწრებოდა. ჩემი კალენდარი ზედმიწევნით სწორია, ზუსტია, სრულებით შეფარდებული და შეხამებული გრიგორის კალენდართან. უპირატესობა კი ის არის, რომ საბოლოოდ მტკიცედ გარკვეულია დღეებიც. აქ დავუმატებ, რომ უმჯობესი იქნებოდა, რომ წელიწადის დასაწყისი პირველ აპრილიდან იწყებოდეს, ვინაიდან გაზაფხულის ბუნიობა არის 23 მარტს. ეს რიცხვი კი უფრო ახლოა პირველ აპრილთან, გადამცდებოდა მხოლოდ რვა დღე პირველ მარტთან შედარებით, რადგან აქ აკლია მთელი ოცდასამი დღე. დაწვრილებით ყოველივე ეს განმარტებული მაქვს ცალე საქმეში — კალენდრის შეცვლა, რომელიც სხვა დოკუმენტებთან ერთად ჩემ არქივში ინახება და დაცულია.

იმ მოსაზრებათა და ძირითად დებულებათა თანახმად, რომელნიც განმარტებული მაქვს ჩემ საქმეში ჩართულ მოხსენებაში, ქართულსა და რუსულ ენაზე. ჩემი კალენდრის პროექტი ასე ყალიბდება:

1. წელიწადი იწყება პირველი აპრილიდან. ამნაირად, ახალი წლის პირველი თვე არის აპრილი, უკანასკნელი თვე კი არის მარტი.

2. თვე ოთხ კვირად არის დაყოფილი.

3. წელიწადში არის ცამეტი თვე: აპრილი, მაისი, ივნისი, ივლისი, აგვისტო, სექტემბერი. ოქტომბერი, ნოემბერი, დეკემბერი, იანვარი, თებერვალი და ბიმარტი.

4. თითოეულ თვეს აქვს ოცდარვა დღე.

5. ბიმარტის შემდეგ, ამ თვის უკანასკნელი დღისა და პირველ აპრილს შორის არის მოთავსებული, მომწყვდეული ახალი წელი, რომელიც უდრის უნაკო წლის სამას სამოცდამეხუთე დღეს. ეს დღე ახალი წელია, უქმე დღეა და უსახელო. ხოლო თუ წელიწადი ნაკიანია, მაშინ ახალი წელი უდრის ორ დღეს, რომელნიც უქმე დღეებია და უსახელონიც. და რომელიც მოთავსებული, მომწყვდეული არიან იქვე, ბიმარტისა და პირველი აპრილის დღეებს შორის შუაზე.

6. ყოველი თვე იწყება ორშაბათით და თავდება კვირით. აგრეთვე. ყოველი ახალი წელიწადი იწყება ორშაბათით და თავდება კვირით.

7. ყოველთვის, თუკი თვე და ამ თვის რიცხვი გვეცოდინება, ამასთანავე ისიც გვეცოდინება, თუ ამა თუ იმ წელიწადში ამ რიცხვს რა დღე იყო.

8. წელიწადი განიყოფება ოთხ კვარტალად ასე: პირველი კვარტალი: აპრილი, მაისი, ივნისი. მეორე კვარტალი: ივლისი, აგვისტო, სექტემბერი. მესამე კვარტალი: ოქტომბერი, ნოემბერი, დეკემბერი, მეოთხე კვარტალი: იანვარი, თებერვალი და ბიმარტი.

პირველი კვარტალი გაზაფხულია, მეორე — ზაფხული მესამე — შემოდგომა და მეოთხე — ზამთარი.

შემოდგომის ბუნიობის დღე 21 სექტემბერს იქნება, ხოლო გაზაფხულის ბუნიობა 6 ბიმარტს. 14 ივნისიდან იქნება უდიდესი დღე, ხოლო 28 დეკემბერს უდიდესი ღამე.

9. ამ ჩემი კალენდრის წელიწადში არ არის მოხეტიალე დღე, რაიც ახასიათებს საფრანგეთის დიდი რევოლუციის მიერ შემოღებულ კალენდარს, რომელიც პირწმინდად გადმოღებულია ჩვენში.

10. დასასვენებელ დღეთა რაოდენობა, როცა წელიწადი უნაკოა, უდრის ჩემი კალენდრით წელიწადში 52-ს დღეს და ერთ ახალ წელიწადს დღეს, ე. ი. სულ 53 დღეს. როცა წელიწადი ნაკიანია, მაშინ დასასვენებელ დღეთა რაოდენობა არის 52 დღე და ორიც კიდევ ახალი წელიწადის დღეთ, სულ 54 დღე. დასასვენებელ დღეთა ეს რაოდენობა სრულებით

მცირეა. ამას ეი მოითხოვს ქვეყნის მომჭირნეობა და სარგებლიანობა. მაგრამ სახელმწიფო ხელისუფლებას შეუძლია, ამ სავალდებულო დასასვენებელ დღეთა გარდა, შემოიღოს და დააწესოს უქმეებიც და დღესასწაულებიც, შეუძლია აგრეთვე ზოგი ასეთი დღესასწაული გადაიტანოს რომელსამე აბლობელ დასასვენებელ დღეზე და ამით შეამციროს უქმე დღეთა რაოდენობა.

11. მთვარის რიცხვის ჩემ მიერ გამოანგარიშება ზუსტზე უზუსტესია. ამას ამოწმებს და ადასტურებს სახელგამის მიერ გამოცემული ქართული კალენდარი 1932 და 1933 წლებისა, სადაც მთვარის რიცხვები, თუმცაღა ეს გამოანგარიშება ჩემ მიერ მოხდენილი და შესრულებული იყო 6—12 1927 წელს, ე. ი. ბევრად ადრე.

ბოლოსიტყვაობა

ვამთავრებ მოთხრობას ჩემი თავგადასავლის შესახებ. მე, რასაკვირველია, არ ვიცი, მოესწრება თუ არა ამ ჩემ მოთხრობას ის დრო, როცა იგი დაიბეჭდება და ცალკე წიგნად გამოვა. თუ დაიბეჭდება, ეყოლება მას თუ არა მკითხველი, ან თუ იქნება ამ მკითხველთაგანი ერთი ვიხილე. რომელიც ამ ჩემი მოთხრობით დაინტერესდება და თუ იგი მასალად მაინც გამოიყენებს დასახასიათებლად იმ ყოფაცხოვრების დონისა, რომელიც საქართველოში ჩემი ცხოვრების დროს იყო გამეფებული. ყოველ შემთხვევაში, მე ჩემი სიცოცხლის განმავლობაში კეთილსინდისიერად ვმოქმედობდი და ვშრომობდი, ჩემი ძალა და ღონე არ დამიზოგავს, რომ ქართველი ხალხის შეგნებაში შემეტანა ნათელი და სწორი შეგნება და შემეცნება, რომ მას საერთაშორისო გზაზე სწორი და ბედნიერი ნაბიჯით ეელო. არ ვიცი, რა უფლება მაქვს, რაიმე ვსთქვა ჩემი მოღვაწეობის ღირსებისა და ნაკლულოვანების შესახებ. ეს სრულებით ეკუთვნის იმ მომავალ თაობებს, რომელიც ერთმანეთს შესცვლიან, ერთმანეთს გაუსწორებენ და ერთმანეთთან გაჯიბრებით ცხოვრებას წინ წასწევენ, გააუმჯობესებენ, ქართველ ხალხს კი ნათელსა და ჭეშმარიტ აზრს გაუკაფავენ და შეათვისებენ, ამიტომ, მე მჯერა და მრწამს ამ ახალ თაობათა კეთილსინდისიერება. ამიტომაც ამ ახალ თაობას სრულებით გულწრფელად ვანდობ ჩემი მოღვაწეობის შეფასებას. ბედნიერი და კმაყოფილი ვიქნები იმითაც, თუკი აღმოჩნდება ერთი ვინმე, რომელიც ჩემს აზრსა, ჩემ შეხედულებასა, სულ უბრალო ტერმინსაც კი მიიღებს და მოიწონებს ამ თაობათა საგულისხმიეროდ და საჭიროდ. რა გვარი შეცდომაც არ უნდა ჰქონდეს ამა თუ იმ თაობას, ეს შეცდომა მაინც დასაფასებელია, რადგან ეს თაობანი ყოველთვის იძიებენ, შესწორება შეაქვთ და ამით ცხოვრებას წინ წასწევენ და აუმჯობესებენ ამიტომ ამ თაობათა აზრი, შეხედულება, რა გინდ სასტიკიც არ უნდა იქნეს იგი ამა თუ იმ მოღვაწეს შესახებ, მაინც დასაფასებელია, მოსათმენია და ასატანი.

ი. ფანცხავა.
1915-1931 წ.
ქ. თბილისი

მინაწერი:

აქ უნდა მოვიყვანო ვასილ წერეთლის გამოთქმა, რომელიც ზედმიწევნითა და მკაფიოდ ასახავს ჩემი გულის ბოღმასა და ჩემი გულის მწარე ტკივილებს იმის-გამო, რომ, ბოლოს და ბოლოს, მე მაინც მწერლობას გარეშე შორიდან ვემსახურებოდი და არ ვიყავი აკაკისავით ბედნი-

ერი, რომ ამ მწერლობას მიეცემოდი მთელი ჩემი არსებითა და გულის-ოქმიანის, აღგზნებული მისწრაფებით, რადგან ლუკმაპურისთვის საზოგადო სამსახურს ბევრ დროს ვანდომებდი. ვასილ წერეთელი შემდეგს ამბობს: „როგორც ტარიელი იტანჯებოდა ნესტან დარეჯანის უნახავობით, ისე ჩვენი მწერალი იტანჯება სულიერად, რომ თავის სატრფოს, ლიტერატურას შორიდან ემსახურება და არ შეუძლია მთლად თავისი სული, გული, თავისი განუზომელი სიყვარული ანაცვალოს. ამ დიდ სულიერ ტანჯვას გაიგებს მხოლოდ ის, ვინც მწერალია მოწოდებით".

ამით ვამთავრებ. დაეუმატებ კი, ჩემდა ნუგეშად, ნ. გ. ჩერნიშევსკის შემდეგს სამართლიან შეხედულებას მემუარების ღირსება-ნაკლულოვანების შესახებ. „მემუარების შესახებ ჩვენ მხოლოდ ერთადერთი პირობა გვაინტერესებს ლიტერატურულივე მხრით: რომ ეს მემუარები ურიგოდ დაწერილი არ იყოს, გვარიანი იქნეს, ამაზე მეტს ჩვენ არ მოვითხოვთ, არ დაეუწყებთ ძებნას, რომ ეს მემუარები სრულქმნილი იყოს. უნაკლო იქნება და მშვენიერი იქნას, პირიქით, ასეთი მშვენიერი ერთი სილამაზე და დახვეწილობა მხოლოდ ხელს შეუშლის მემუარების არსებითი ღირსებას მოთხრობის ზუსტსა და სწორ სიმართლეს, ალალმართლობას.

ს ა რ ჩ ე ვ ი

ალექსანდრე ჭავჭავაძის ლექსები	5
ნიკოლოზ მელიტონის ძე ბარათაშვილი	46
ილია ჭავჭავაძე	100
სიტყვა ილია ჭავჭავაძის ცხედართან	104
ილია ჭავჭავაძის სახსოვრად	107
აკაკი (აკაკის ძეგლის დადგმის გამო)	110
აკაკი	116
სიტყვა გიორგი წერეთელზე	124
სიტყვა გიორგი ქოჩაკიძეზე (ჭალადიდელზე)	131
ჩემი თავგადასავალი	136

რედაქტორი | ბესარიონ ჟღენტი |
გამომცემლობის რედაქტორი ც. ქაროსანიძე
მხატვარი ა. ენაგელი
მხატვრული რედაქტორი ა. თოდრია
ტექნიკური რედაქტორი დ. რაზმაძე
კორექტორები: ნ. ლომაძე, მ. სანადირაძე

ჩაბარდა წარმოებას 11.04.78 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 15.01.80 წ. უე 00303. ფორმატი 84×108 1/32. ქაღალდი საბეჭვი № 2. გარნიტურა ჩვეულებრივი. ბეჭდვა მაღალი. პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 12,81. სააღრიცხვო-საგამომცემლო ფურცელი 11,13. ტირაჟი 2000 ეგზ. შეკვეთა № 4664

ფასი 70 კაპ.

გამომცემლობა „მერანი", რუსთაველის 42. თბილისი 1980.

ПАНЦХАВА ЯКОВ СПИРИДОНОВИЧ

ИЗБРАННОЕ

(На грузинском языке)
Издательство «Мерани», Руставели, 42
Тбилиси, 1980

საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა
და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის
ქუთაისის პოლიგრაფიული საწარმოო გაერთიანება
ქ. ქუთაისი, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 33
Кутаисское полиграфическое производственное объединение
Государственного комитета по делам издательств,
полиграфии и книжной торговли Грузинской ССР
г. Кутаиси, пр. И. Чавчавадзе, 33.